საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№44 (231)
27 ნოემბერი - 3 დეკემბერი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

4 **როდის ჩამოვა მოსკოვის მატარებელი?**

## «სწორედ ბარამიძემ დაწვა დაჭრილი და დატყვევებული აფრასიძე»

7



ირმა ჭკადუა:

**საქმეები გამოძიებულია და დღის შუქზე არ გამოდის მხოლოდ იმიტომ, რომ კოჰაბიტაციაა და მაღალჩინოსნებს დასავლეთი იცავს, რასაც ახალი ხელისუფლება ანგარიშს უწევს**

12



მამა თეოდორე (გიგნაძე):

## სოდომიტურ ევროპაში საქართველოს ადგილი არაა!

**«გამოფხიზლება გვმართებს! რაღაც არაჯანსაღი რამ ხდება, რაღაც ცუდს გვიპირებს ევროკავშირი!»**

## შემოიყვანს თუ არა ნატო საქართველოში თურქ ჯარისკაცებს და ვინ არიან «ცეერუს» აგენტები ქართულ პოლიტიკურ ელიტაში?

6



ვალერი ხაბურძანია:

**«ქართულ ოცნებაშიც» არიან დასავლური ინტერესების აქტიური გამტარებლები**

**სოდის «ადამიანების გატაცების განყოფილების» სამი ოფიცერი დღეს დაწინაურებულია!** 2

**უკრაინული გაკვეთილები და ქართული ვირეშმაკობა...** 11

**იმედები — ფუჭი, რეალობა — მწარე, პრობლემები — უამრავი, პერსპექტივა — ნული!** 18



3

## ცნობილი ბიჭის უცნობი თავგადასავლები



14 მამა ბასილი:

## ახალ მთავრობაში მართლ-მადიდებლობის დაუძინებელი მტრებიც სხედან

**«ამერიკა და ევროპა გვპირდებიან დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, არადა, ხდება პირიქით — უფრო ვკარგავთ»**

საქართველო და მსოფლიო
სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სოდში იყო სპეციალური განყოფილება, პირობითად ამას შეიძლება ადამიანების გატაცების განყოფილებაც ეწოდოს, რომელიც ასეთ თემებზე მუშაობდა, ასეთ საკითხებს აგვარებდა. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ამერიკელებთან გავლილი ტრენინგებითა და ამერიკაში გავლილი მომზადების წლების მერე დაიწყო ჩვენში ეს ყველაფერი.“**

# სოდის «ადამიანების გატაცების განყოფილების» სამი ოფიცერი დღეს დაწინაურებულია!

**ამნისტიამ საზოგადოებაში ბევრი პირქუში პროგნოზი გააჩინა, თუმცა კრიმინალური ფონი მაინცდამაინც არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით ადამიანთა გატაცების ბოლო ხანებში გახშირებულ ფაქტებს... ვის და რაში სჭირდება ეს გატაცებები? რატომ იყო „ნაციონალების“ დროს ლამის ყოველდღიურ ამბად გადაქცეული პოლიტიკური ოპონენტებისა და მათი ოჯახის წევრების გატაცება? იმიტომ ხომ არა, რომ ამერიკელებმა თავის შვილობილ საქართველოს სპეცსამსახურებს ეს ყველაფერი ხანგრძლივი სტაჟირებისა და მომზადებების დროს ასწავლეს? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრა.**



## შალვა ხაჭაპურიძე:

## კუბლაშვილის წინააღმდეგ მოსამართლეთა აჯანყება მზადდება!

**— ადამიანების გატაცება და მოკვლა ჩვენში უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა, ღარიბაშვილი თვლის, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა „ნაცების“ დაკვეთით და მათ ჯერ კიდევ საკმარისი ძალა აქვთ ამ ტიპის დივერსიების მოსაწყობად, თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ლოგიკურად ჯდება დღევანდელ სცენარში ის ამბავი, რომ კრიმინალურმა ფონმა ვითომ მოიმატა ქვეყანაში. არადა, ამისი შემოწმების სამართლებრივი მექანიზმები თითქმის არ გვაქვს. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ კრიმინალური ფონი გაიზარდა ან არ გაიზარდა. ასეთ სიტუაციაში ბუნებრივი იქნება, რომ ის ადამიანები, რომლებიც აკეთებდნენ ამ პროგნოზს, თვითონ იყვნენ დაკავშირებულნი შემსრულებლებთან ან სულაც მათი დავალებით ხდებოდეს ყოველივე. მით უმეტეს, რომ წინა ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლისთვის ხშირად იყენებდა ისეთ მეთოდს, როგორიცაა ადამიანების გატაცება. **გავიხსენოთ, 7 ნოემბრის დარბევა და გამოსვლები, როცა ხელისუფლება ხშირად გაატაცებინებდა ხოლმე რომელიმე არც ისე ცნობილ ფიგურას და ატყდებოდა პანიკა. ამით ცდილობდნენ, დაეშინებინათ აქციის მონაწილეები.** ასევე **გავიხსენოთ 26 მაისის სისხლიანი ღამე. გატაცებები დაიწყო 22-დან. რამდენი კაცი გაიტაცეს ამ აქციების დროს, რამდენი უგზო-უკვლოდ გაქრა, რამდენს დღემდე ეძებს ოჯახი, საიამ და არასამთავრობოებმა რამდენი იყვირეს ამ საკითხზე, მაგრამ უშედეგოდ.**

გარდა ამისა, რამდენი ციხის კამერებში ცემაში შემოაკვდათ, რა გასაკვირია, რომ ასეთი წარსულის ხალხს დღესაც ახასიათებდეს გატაცებების რეციდივი? პროკურატურაში წარსადგენად საკმარისი საბუთები, ცხადია, არ მაქვს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ადვოკატებმა, ვის რა ინტერესი ამოძრავებს ხოლმე პროცესზე. სრულიად გასაგებია, რომ 26 მაისის ავტორები დღესაც არ ანებებენ თავს ძველ ხელობას. მარტო სხვებზე რომ არ ვილაპარაკო, მე თვითონ ძლივს არ გადავრჩი 26 მაისს? ჩემი მეუღლე რომ არ მდგომოდა გვერდით, ისე მცემეს, ძლივსღა ვიდექი ფეხზე. ერთ პოლიციელს რომ არ ვეცნე და არ დაერეკა (დარეკვასაც გააჩნია) შალვა ხაჭაპურიძეა აქ და ჩავაძაღლოთ თუ არაო, არ ეკითხა, მეც ხომ ისეთივე უგზო-უკვლოდ დაკარგული ვიქნებოდი? ამ დროს მიშველა ჩემმა მეუღლემ და გამომიყვანა...

ასეთი საქმეები ცხელ კვალზე იხსნება ხოლმე, როგორც წესი, მაგრამ მარტო ეს საქმეები კი არა, იმ საქმეების გამოძიებაც ჭიანურდება, რომელთაც არ სჭირდება ბევრი წვალება. ხომ ვიცით, რომ უამრავ ადამიანს წაართვეს ბიზნესი, უამრავი ფაქტია უფრო მძიმე დანაშაულის, ანუ იმ საქმეების გახსნას პოლიტიკური ნება სჭირდება, დანარჩენი ადვილია, მაგრამ გამოიძია ვინმემ? ხალხი უკმაყოფილოა, ხშირად მესმის საყვედურები.

**— ოფიციალური მონაცემებით, 2000-მდე კაცი ითვლება დაკარგულად, ამ საქმეებს „გრიფი საიდუმლო“ ადევს. შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ ამ საქმეებს ოდესმე ვინმე გამოიძიებს?**

— ეს გრიფი იმიტომ კი არ ადევს, რომ ძნელი გამოსაძიებელია, არამედ სულ სხვა მოსაზრებით — თუ სხვას არ მიუშვებენ, თვითონ გრიფის დამდებს ხომ შეუძლია ჩაიხედოს ამ საქმეში? ყველაფერი ზედაპირზე დევს. არც დიდი ანალიტიკური აზროვნებაა საჭირო და არც ძალიან ბევრი ხალხის დაკითხვა, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ გამოიძიებენ ადრე თუ გვიან. პროფესიული ყნოსვა მეუბნება ამას. **ელემენტალურად დაკარგულია ხომ ცინდელიანი? დეტალები ნაღდად არ ვიცი, მაგრამ არ მჯერა, რომ ეს საქმე ჯერაც არ არის გამოძიებული. ბარამიძემ რომ სვანეთში ოპერაცია ჩაატარა, ოპერაციას ვამბობთ, თორემ სინამდვილეში ჟლეტა მოაწყო. მაშინაც დაიკარგა ხალხი, იმ ხალხის ბედიც დღემდე გაურკვეველია.**

ამას რაღა გამოძიება უნდა? სვანეთში ყველა ერთმანეთის ნათესავი და ახლობელია, ყველა ერთმანეთს იცნობს, გულით რომ გინდოდეს, ვერ დაიკარგები. ხუთი წლის ბავშვით დაწყებული, ყველამ იცის, სვანეთში ვინ დაიკარგა, ვინ მოიტაცეს, ვინ შემოაკვდათ და ვინ კიდევ მკვდარი გადამალეს. სხვა შემთხვევაც ბევრია, მაგრამ სიტუაცია ისეა არეული, ძნელად გაბედავს კაცი გვარებისა და სახელების ასე პირდაპირ პრესაში დასახელებას, თუმცა გამოძიებასთან სათანამშრომლოდ მე ყოველთვის მზად ვარ. თუ პროკურატურა დაინტერესდება, წარვუდგენ იმ მასალებს, რომლებიც გამაჩნია, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში.

**— ვახტანგ მაისაიამ ამ ყველაფრის მოთავედ პირდაპირ დაასახელა მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე ამირან მესხელი. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

— თავად მესხელზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენის არ ვარ. ის არის ერთი ჩვეულებრივი კაცი, საშუალო განათლებით, მისი ერთადერთი „ღირსება“, რის გამოც მოხვდა შს სამინისტროში, იყო ის, რომ ვანო მერაბიშვილის ბავშვობის მეგობარია. ეს კაცი სრულიად ჩვეულებრივი კრიმინალია და დარჩებოდა კრიმინალად და მკვლელად, რომ არა ვანო მერაბიშვილი. აქაც ძალიან უცნაური სიტუაცია გვაქვს: **დაიკარგა კაცი, ამ კაცს უზარმაზარი ინფორმაცია აქვს, მაგრამ არ ეძებენ. ამბობენ, ვეძებთო, რეალურად კი თითი თითზე არავის დაუკარებია საამისოდ. მაინც მგონია, რომ ეს კაცი ლიკვიდირებულია უკვე და იმიტომაც არ ეძებენ. მაგნაირებს როგორც წესი, თავიდან იშორებენ ხოლმე. სერიოზულად საუბრობენ, რომ მესხელის გარდა ამ საქმეში ჩარეულნი არიან „ნაციონალი“ დეპუტატებიც** (გვარების დასახელებას ნუ მომთხოვთ). არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს საკითხი უშუალოდ უშიშროების სამინისტროს აძლევდეს ხელს და ეს ხმებიც მისი გავრცელებული იყოს.

**— გასაგებია... მაინც რა სამართლებრივი გარანტიები არსებობს, რომ კაცი დაცული იყოს გატაცებისგან, და რამდენად ეფექტურია ეს გარანტიები?**

— დაიკარგა კაცი, იწყება ძიება. მერე მოიძებნა საბუთები, მოწმეები, სად მივდივართ ბოლოს? უნდა მივიდეთ სასამართლოში, ხომ? და რა ხდება ამ დროს სასამართლოში? რასაც უნდათ, იმას აკეთებენ... არავის აინტერესებს არც სამართალი, არც მტკიცებულება. კანონმდებლობა შესაცვლელია. გარდა ამისა, დღეს სასამართლოში არის ორხელისუფლებიანობა. ადრეც იდიოტობა იყო ის, რომ კუბლაშვილი გახლდათ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და ახლა საერთოდ სასაცილოა ეს.

**— „ქართული ოცნების“ ძირითადი დაპირება ხომ სასამართლოს გათავისუფლება იყო?.. მათ რომ ჰკითხო, თავისუფალია კიდეც...**

— მეც მაგას არ გეუბნებით? არა, **„ქართული ოცნება“ თვლის, რომ კუბლაშვილი მოსაშორებელია, ასე თვლის მოსამართლეთა კორპუსის 80%. ერთადერთი რა ტალღაზეც კუბლაშვილი ჩერდება, არის ის, რომ „ნაციონალები“ ჯერ კიდევ ახერხებენ დასავლეთში თავიანთ მფარველებთან ძველი მეგობრობის ხარჯზე კონტაქტების შენარჩუნებას,** თუმცა, ჯერ ერთი, ეს ყველაფერი სააკაშვილზეა მიბმული; მერე მეორეც: აღარავის აქვს იმდენი ფული, რომ ძველი დატვირთვით ამუშაოს ეს ლობისტური აპარატი, მაგრამ ახლა ხომ სულ წავიდა სააკაშვილი. ხომ იცით ეს რას ნიშნავს და რა მოჰყვება ამას? ის, რომ არავინ შეეგუება ამდენი დანაშაულის ჩამდენი კუბლაშვილის პარპაშს სასამართლოში.

**— კანონმდებლობით ვადა როდის უმთავრდება კუბლაშვილს?**

— რა მნიშვნელობა აქვს ამას, თუ კუბლაშვილი ვეღარ მართავს სიტუაციას სასამართლოში? მოსამართლეების უმეტესობა სერიოზულად არის გაბრაზებული, ისინი აუჯანყდებიან კუბლაშვილს და ვერც კუბლაშვილი და ვერც მისი მფარველები ვერ შეძლებენ წინ აღუდგნენ მოსამართლეების ამ აღშფოთებას. ჩემი ინფორმაციით, **კუბლაშვილი ვადაზე ადრე წავა ამ თანამდებობიდან. ვიმეორებ, კუბლაშვილი წავა! თუ სასამართლო არ იქნა გათავისუფლებული, დაკარგული ხალხის მოძებნაც შეუძლებელი ხდება და ვერც სამომავლოდ იქნება კაცი დაცული მოტაცებისგან.**

**— 70-80-იან წლებში ამერიკის სპეცსამსახურში გავრცელებული იყო პოლიტიკური ოპონენტების ქვედა ეშელონებიდან ადამიანების გატაცება და გაქრობა. როგორ ფიქრობთ, ამერიკული მეთოდები ხომ არ გადმოიღეს ჩვენმა პროამერიკულმა სპეცსამსახურებმა?**

— ამერიკაში და არამარტო ამერიკაში, სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო პოლიტიკური ოპონენტების გატაცება და რამდენიმე დღით მათი სადღაც სარდაფში ჩაკეტვა, მათი ოჯახის წევრების დაშინების მიზნით; ასევე იტაცებდნენ ოჯახის წევრებსაც. ეს ხდებოდა აქ სააკაშვილის რეჟიმის მძვინვარების პერიოდში. პირდაპირ გეტყვით, — **სოდში იყო სპეციალური განყოფილება, პირობითად ამას შეიძლება ადამიანების გატაცების განყოფილებაც ეწოდოს, რომელიც ასეთ თემებზე მუშაობდა, ასეთ საკითხებს აგვარებდა. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ამერიკელებთან გავლილი ტრენინგებითა და ამერიკაში გავლილი მომზადების წლების მერე დაიწყო ჩვენში ეს ყველაფერი.** სხვათა შორის, დაზუსტებას ნუ მომთხოვთ, მაგრამ სწორედ იმ განყოფილებიდან, რომელიც ამ საშინელებებს სჩადიოდა, სამი ადამიანი ამჟამად დაწინაურებულია მაღალ თანამდებობაზე!

**«დაიკარგა მესხელი. ამ კაცს უზარმაზარი ინფორმაცია აქვს, მაგრამ არ ეძებენ. ამბობენ, ვეძებთო, რეალურად კი თითი თითზე არავის დაუკარებია საამისოდ. მაინც მგონია, რომ ეს კაცი ლიკვიდირებულია უკვე და იმიტომაც არ ეძებენ. მაგნაირებს, როგორც წესი, თავიდან იშორებენ ხოლმე»**

ესაუბრა
ქეთი ხომერიკი

**ამერიკელები, ერთის მხრივ, ეუბნებოდნენ მენტალურად არასტაბილურ ლიდერს, „რომ თქვენ არ ხართ ნატოში, თუ სროლაზე მიდგა საქმე, ვერ დაგეხმარებით“, მაგრამ ამავე დროს არ უშლიდნენ შეტევითი შეიარაღების შეძენას, რომელიც სულ უფრო ათამამებდა სააკაშვილს აგრესიული რიტორიკის გამოყენებაში და ძალზე სახიფათო, რუსეთთან კონფრონტაციაზე მიმართული ნაბიჯების გადადგმისკენ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თქვენ ხართ ცნობილი გიჟი, ბატონო მიხეილ!“ — საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის, რიჩარდ მაილსის, მიცემულ ინტერვიუს ტელეკომპანია „იმედისთვის“, პრინციპში, ეს ლეგენდარული რეპლიკაღა აკლდა; ყველაფერი დანარჩენი ამერიკელმა დიპლომატმა თქვა. ამერიკელების დისტანცირება ყოფილი ფავორიტისგან სულ უფრო თვალშისაცემი ხდება და, ალბათ, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა დგას ამის უკან — უახლესი ისტორიის რედაქტირების სურვილი თუ მომავალთან დაკავშირებული პოლიტიკური გათვლა.**

# ცნობილი გიჟის უცნობი თავგადასავლები



„მე არ მგონია, რომ ეს ომი გარდაუვალი იყო, — განაცხადა მაილსმა: **სააკაშვილს რომ არ ეყიდა საიერიშო სამხედრო აღჭურვილობა, თვითმავალი არტილერია, მძიმე ჯავშანმანქანები, მოიერიშე შვეულმფრენები და სხვა, მას არ ექნებოდა უგუნური სითამამე იმისთვის, რომ საქართველოს შეიარაღებული და შინაგანი ძალები ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში, ისე, როგორც მან გააკეთა. მას უნდა სცოდნოდა, რომ ეს მოქმედებები რუსეთს უდავოდ შემოიყვანდა ქვეყანაში. არ ვიცი, ეს ადამიანი რას ფიქრობდა. მიუხედავად პროვოკაციების დონისა, რომლებიც რუსეთიდან მოდიოდა, ამ კონფლიქტში ისე შესვლა, როგორც მან ეს გააკეთა, პოლიტიკური სიგიჟე იყო. იმაზე ფიქრი, რომ წარმატების მიღწევის რაიმე შანსი ჰქონდა, ან რომ შეერთებული შტატები სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა — ეს, ალბათ, იფიქრა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, არ შევიდოდა. ის მთლად შეშლილი არ არის, რაღაც ამგვარი უნდა ეფიქრა, მაგრამ საიდან მოუვიდა ეს აზრი თავში, არ ვიცი,** — თქვა ყოფილმა ელჩმა და დასძინა: — **სააკაშვილის მდგომარეობაში მყოფი სხვა ადამიანი, ჩემი აზრით, ამ ომის შემდეგ გადადგებოდა და ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავდა. რა მიზეზით დარჩა თანამდებობაზე, არ ვიცი. ეს არ არის ნორმალური“.**

„მთლად შეშლილი“ იყო (და არის) „ნაცმოძრაობის“ ბელადი თუ ნაწილობრივ, შესაბამისი დარგის სპეციალისტები დაადგენენ. აქ მთავარია სხვა რამ — საუბარია არა მყისიერ ფსიქო-პოლიტიკურ აშლილობაზე, არამედ საკმაოდ ხანგრძლივ პროცესზე, რომელიც კატასტროფული შედეგით დაგვირგვინდა. ამ დროის განმავლობაში ამერიკელები სააკაშვილთან უშუალო კონტაქტში მუშაობდნენ, მხარს უჭერდნენ მას, მთელ ამ პათოგენეზს თვალნათლივ ხედავდნენ და, როგორც მაილსის კიდევ ერთი განცხადებიდან ჩანს, სავსებით ადეკვატურად აფასებდნენ მას: **„მას სურდა, ქვეყანაზე რაღაც სახით საკუთარი ნიშანი დაედო, ამაში შედიოდა ის გრანდიოზული სამშენებლო პროცესები ან გასართობი პარკები და სხვა ასეთი პროექტები, რომლებსაც ეკონომიკური დანიშნულება არ ჰქონდა, მაგრამ ქვეყანას დიდძალი ფული უჯდებოდა. ამაზე მნიშვნელოვანია მისი მოუთმენლობა სეპარატისტული რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით. ის 2004 წლის დასაწყისში მოვიდა ხელისუფლებაში და უკვე აგვისტოში პირველი ინციდენტი მოხდა საქართველოს შეიარაღებული და შინაგანი ძალების მიერ. ეს დიდი შეცდომა იყო. საბოლოო ჯამში, სააკაშვილმა ვერ შეძლო კარგი ურთიერთობის დამყარება რუსეთთან ან სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან და მზად იყო, ძალა გამოეყენებინა ამ მიზნის მისაღწევად. ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, როგორც ეროვნული უშიშროების მხრივ, ასევე პოლიტიკურადაც“.**

აქ ბუნებრივად შეიძლება დაიბადოს კითხვა: **რატომ არ შემოკრა განგაშის ზარი სახელმწიფო დეპარტამენტმა ან ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და არ მიუთითა საფრთხეზე, რომელსაც საქართველოს ნახევრადშეშლილი მმართველი ქმნიდა? მოვლენათა მოსალოდნელი განვითარება ზედაპირზე იდო და აშშ-ის მძლავრი ანალიტიკური სამსახურებისთვის შესაბამისი დასკვნის მომზადება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა.** რუსების გარღვევა კავკასიონის სამხრეთით და სეპარატისტულ რესპუბლიკებში პლაცდარმების შექმნა, რომლებმაც სერიოზული დარტყმა მიაყენა აშშ-ის პოზიციებს რეგიონში — ყოველივე ამის პროგნოზირება არც ისე რთული იყო. მიუხედავად ამისა, ისინი განაგრძობდნენ სააკაშვილის მხარდაჭერას და აწარმოებდნენ უცნაურ ორმაგ თამაშს, რომლის აღწერა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ **მეთიუ ბრაიზამ** „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შემდეგნაირად სცადა (ფსიქიატრიული შეფერილობის მქონე მინიშნებებს ადგილი ამ შემთხვევაშიც ჰქონდა): **„სააკაშვილს ვაშინგტონში უყურებდნენ, როგორც დინამიურ და ხანდახან იმპულსურ ლიდერს. მის შესახებ ვაშინგტონს ინფორმაცია მოსკოვიდანაც მოსდიოდა. ამ ყველაფერზე დაყრდნობით ამერიკაში ფიქრობდნენ, რომ ქართველები ახალგაზრდები და გამოუცდელები იყვნენ რუსებთან შედარებით და მათ გარკვეული შებოჭვა სჭირდებოდათ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოსთვის სამხედრო, ფინანსური თუ პოლიტიკური ზედმეტი მხარდაჭერა შეიძლება გამხდარიყო გადაწყვეტილების საფუძველი, რომელსაც ზოგიერთი პოლიტიკოსი სააკაშვილის ენერგიულ ხასიათს დაუკავშირებდა. ამიტომ ვაშინგტონი და განსაკუთრებით ბერლინი, ამ გადმოსახედიდან, ალბათ, მათი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ასკვნიდნენ, რომ რუსები უფრო გამოცდილები და პასუხისმგებლობის მატარებლები იყვნენ. ამით საქართველო მოვაქციეთ კუთხეში და ვუთხარით, რომ აი, ამას არ გააკეთებ. ის კი არ გვითქვამს, თუ რა უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ ჩვენგან უფრო მეტი დახმარება მიეღოთ“.**

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საუბარი არა ზესახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, არამედ პოკერის თამაშს ან სამედიცინო ექსპერიმენტს ეხება. **ამერიკელები, ერთის მხრივ, ეუბნებოდნენ მენტალურად არასტაბილურ ლიდერს** (ციტატა ბრაიზას ინტერვიუდან), **„რომ თქვენ არ ხართ ნატოში, თუ სროლაზე მიდგა საქმე, ვერ დაგეხმარებით“, მაგრამ ამავე დროს არ უშლიდნენ** (რიჩარდ მაილსის მიერ დაწყევლილი) **შეტევითი შეიარაღების შეძენას, რომელიც სულ უფრო ათამამებდა სააკაშვილს აგრესიული რიტორიკის გამოყენებაში და ძალზე სახიფათო, რუსეთთან კონფრონტაციაზე მიმართული ნაბიჯების გადადგმისკენ.** საერთოდ, ამერიკელების როლი წინასაომარ პროცესებში ამოუწურავი თემაა, მას უამრავი კონსპიროლოგიური ვერსია უკავშირდება და, ალბათ, აჯობებს, მხოლოდ ერთი საკითხი გამოვყოთ — **რატომ მიანიშნებენ ამერიკელები** (ბრაიზა და მაილსი გამონაკლისს ნამდვილად არ წარმოადგენენ) **სულ უფრო ხშირად სააკაშვილის მენტალურ პრობლემებსა და საბედისწერო შეცდომებზე, მაშინ, როდესაც ეს ირიბად ზიანს მათაც აყენებს?**

არც მაილსი, არც ბრაიზა დუჟმორეული დისიდენტების რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნებიან და არასოდეს ამბობენ იმას, რაც აშშ-ის ინტერესებს და მის პოლიტიკას პრინციპულად ეწინააღმდეგება. ამასთანავე, ორივე, ასე თუ ისე, კარგად გრძნობს, რა მიმართულებით უბერავს ქარი სახელმწიფო დეპარტამენტის დერეფნებში. იმისთვის, რომ ეს მიმართულება დავადგინოთ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება ბარაკ ობამასა და მიხეილ სააკაშვილის ბოლო, ძალიან ხანმოკლე შეხვედრის გახსენება, რომელიც გაეროს დერეფანში, ერთი შეხედვით, შემთხვევით მოხდა. **აშშ-ის პრეზიდენტმა ჰკითხა სააკაშვილს, რით დაკავდება პოსტიდან წასვლის შემდეგ, ფიგურანტმა კი უპასუხა, რომ ბიბლიოთეკის გახსნას აპირებს. პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მაშინ საუბრობდა იმაზე, რომ ობამამ ამ რეპლიკით სააკაშვილს თითქოს მართლმსაჯულებისგან ხელშეუხებლობის არაფორმალური გარანტია მისცა. მაგრამ, შესაძლოა, მთავარი ქვეტექსტი სხვაგვარი იყო: „აპირებ თუ არა პოლიტიკაში დაარჩენას?“, ხოლო ჰიპოთეტური გარანტია** (თუ ის საერთოდ იგულისხმებოდა) **ამ კითხვაზე სააკაშვილის ადეკვატური პასუხიდან გამომდინარეობდა.**

უპირობო კონსენსუსი საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აშშ-ის წარმატებული მოქმედების ქვაკუთხედს წარმოადგენდა, თანდათან ისტორიის კუთვნილება ხდება. სხვადასხვა ჯგუფი (შეცდომა იქნება მათი წარმოჩენა რესპუბლიკელებად ან დემოკრატებად; ეს სწორედ რომ თანამოაზრეთა ან თანამზრახველთა არაფორმალური ჯგუფებია) თავის უცხოელ პარტნიორებთან ერთად სულ უფრო ხშირად დგამს ამ ნაბიჯებს, რომლებიც ადმინისტრაციის პოლიტიკას აშკარად ეწინააღმდეგება. რად ღირდა თუნდაც ობამას გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენების მცდელობა სირიასთან დაკავშირებით, როდესაც მისი ოპონენტები შტატებში და აშშ-ის ზოგიერთი პარტნიორი რეგიონში, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ და კინაღამ მასშტაბური სამხედრო კონფლიქტი გააჩაღეს. თამაშის წესები შეიცვალა; გაათრებული პოლიტიკური კონკურენცია აშშ-ში ახდენს სერიოზულ დესტრუქციულ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე და პროცესების მართვა თეთრი სახლისთვის სულ უფრო რთული ხდება.

**ამერიკელებს, სავარაუდოდ, არაფერი ექნებოდათ საწინააღმდეგო იმისა, რომ სააკაშვილი გარკვეული დროით დამჯდარიყო „სათადარიგოთა სკამზე“ და ჩუმად დალოდებოდა მომენტს, როდესაც ისევ მოუხმობდნენ** (ან არ მოუხმობდნენ). **მაგრამ ის არ ისვენებს, შურისძიების იდეით შეპყრობილი აქეთ-იქით დაძრწის, დამოუკიდებელი თამაშის წამოწყებას ცდილობს, ხვდება ობამას რადიკალურ ოპონენტებს, ადამიანებს, რომელთაც, იდეაში, შეუძლიათ „ალტერნატიული საგარეო პოლიტიკის“ კალაპოტში მხარი დაუჭირონ ავანტიურებს აშშ-ს ფარგლებს გარეთ, თუნდაც იმავე საქართველოში** (როგორც დამოუკიდებლად, ისე თავის რეგიონულ პარტნიორებთან ერთად), **მითუმეტეს, რომ ამით, ჩვენგან განსხვავებით, განსაკუთრებულს არაფერს დაკარგავენ.**

ბოლო დროს „ნაციონალებმა“ სოციალურ ქსელებში გააჩაღეს პროპაგანდისტული კამპანია ორი ძირითადი მიმართულებით: ჯერ ერთი, ისინი ცდილობენ, დაუმტკიცონ აუდიტორიას, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან მათი ლიდერების ხელშეუხებლობა გამომდინარეობს და, თუ ევროკავშირი მაღალჩინოსანი პატიმრების გათავისუფლებას მოითხოვს (აქ ხდება პარალელების გავლება იულია ტიმოშენკოსთან), ახალმა ხელისუფლებამ უნდა გადააბიჯოს კანონს და ეს აუცილებლად გააკეთოს (ევროკავშირის პოზიციად, სავარაუდოდ, წარმოჩენილი იქნება მათი ლობისტი ევროპოლიტიკოსების ცალკეული განცხადებები). ამასთანავე, **„ნაციონალები“ სრული სერიოზულობით იმუქრებიან (!!!), რომ ქუჩაში ხალხს გამოიყვანენ, როგორც კი საქართველოს ევროინტეგრაციას რაიმე საფრთხე** (ცხადია, მათი აზრით) **შეექმნება, კიევში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების მაგალითი მოჰყავთ და შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ გადატრიალების იდეასაც კი არ უარყოფენ.**

რა თქმა უნდა, მათი ნებისმიერი ნაბიჯი ამ მიმართულებით სრული კრახით დასრულდება, მაგრამ აქ სხვა რამ არის საინტერესო — **დასავლური ორიენტაციისა თუ ევროინტეგრაციის მსგავსი მიბმა ყოფილი მაღალჩინოსნების ბედზე ანტიდასავლურ განწყობებს, სავარაუდოდ, გეომეტრიული პროგრესიით გაზრდის, ხოლო პუტჩის მცდელობას დესტაბილიზაცია, პოლიტიკური სივრცის სრული გადაფორმატება და, დიდი ალბათობით, საქართველოში აშშ-ის პოზიციების შესუსტება მოჰყვება.** აქედან გამომდინარე, ობამას ადმინისტრაციის ინტერებში, შესაძლოა, შედის სააკაშვილისთვის და მისი აღგზნებული მხარდამჭერებისთვის სიგნალის გაგზავნა: **„დამშვიდდით და თამაშის წესები დაიცავით, თორემ ფიგურანტი „განტევების ვაცად“ გადაიქცევა და მართლმსაჯულებისგან არანაირი არაფორმალური გარანტიები აღარ დაიცავს“.** ამ ქვეტექსტის აღმოჩენა საქართველოსთან დაკავშირებული არაერთი ამერიკელის განცხადებებში შეიძლება. **მარტივად რომ ვთქვათ, „ნაწილობრივ შეშლილი“ ამ ეტაპზე უნდა დაწყნარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ფრიად უსიამოვნო მეთოდების გამოყენებით დააწყნარონ.** მაგრამ „ცნობილი გიჟი“, ისევე, როგორც წინა წლებში, სავარაუდოდ, არც ამჯერად გაჩერდება.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი ქვეყნის (ან, მაგალითად, მოლდოვას) მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას ან თუნდაც ხელმოწერას მოსკოვი გაცილებით ნაკლებ საფრთხედ აღიქვამს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ნატოში გაწევრიანებაზე, რომლის ჩასაშლელად ის მზად იქნება არამხოლოდ აამოქმედოს ზეწოლის ყველა ბერკეტი, არამედ იომოს კიდეც.**

# როდის ჩამოვა მოსკოვის მატარებელი?




**დღეს საქართველოში ყურადღებით აკვირდებიან პროცესებს უკრაინაში, სადაც სასწრაფო ევროინტეგრაციის მომხრეები უპირისპირდებიან პრეზიდენტ იანუკოვიჩს, რომელმაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა გადადო. ეს არ არის უბრალოდ „სპორტული ინტერესი" — უკრაინის საკითხის გადაწყვეტა რუსეთის ან დასავლეთის სასარგებლოდ, მისი დიდი გეოპოლიტიკური ფასიდან გამომდინარე, გავლენას ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის ბედზე მოახდენს. თბილისში შიშობენ, რომ საქართველოს სწორებას ევროკავშირზე და განსაკუთრებით ნატოზე რაღაც მომენტში შეიძლება მოსკოვის რადიკალური, ძნელად ამოსაცნობი ნაბიჯები მოჰყვეს, რომლებიც ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას უდიდესი საფრთხეების წინაშე დააყენებს.**

## დათვის გაღვიძება გარდაუვალია

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და უკრაინის უახლეს ისტორიაში ბევრი მსგავსებაა, პირდაპირი პარალელების გავლება, ალბათ, მაინც არაკორექტულია. **უკრაინა გაცილებით მნიშვნელოვანი ქვეყანაა როგორც რუსეთისთვის, ისე დასავლეთისთვის და ევრაზიული ინტეგრაციის** (ან მისი ჩაშლის) **ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. მის დაახლოებას ევროკავშირთან ან პირიქით, რუსეთის მიერ შექმნილ „საბაჟო კავშირთან" ძალიან მასშტაბური ეკონომიკური შედეგები მოჰყვება.** საქართველოს მნიშვნელობა მოსკოვისთვის, ვაშინგტონისთვის და ბრიუსელისთვის, უკრაინასთან შედარებით, მცირეა, **ჩვენი ქვეყნის** (ან, მაგალითად, მოლდოვას) **მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას ან თუნდაც ხელმოწერას მოსკოვი გაცილებით ნაკლებ საფრთხედ აღიქვამს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ნატოში გაწევრიანებაზე, რომლის ჩასაშლელად ის მზად იქნება არა მხოლოდ აამოქმედოს ზეწოლის ყველა ბერკეტი, არამედ იომოს კიდეც.** მაგრამ ის ნამდვილად არ იტყვის უარს საქართველოს ეტაპობრივ ჩართვაზე ევრაზიულ ინტეგრაციულ პროექტებში, უპირველესად, მისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდგომარეობის გამო და შეეცდება, მომავალში დასავლეთთან ინტეგრაციაზე უარი ათქმევინოს. ნაკლებად სავარაუდოა, მან პრინციპული მნიშვნელობა მიანიჭოს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას, ისე, როგორც ეს უკრაინაში გააკეთა, მაგრამ ეს მხოლოდ ტაქტიკური ნიუანსია; მიზნის მიღწევისთვის მოსკოვი, სავარაუდოდ, გამოიყენებს როგორც ზეწოლას, ისე ახალ, ეკონომიკურად მიმზიდველ ინიციატივებს.

**„რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლა გარდაუვალია,** — განაცხადა ამ თემაზე საუბრისას ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორმა, პოლიტოლოგმა კახა გოგოლაშვილმა, — **რუსეთს აქვს შესაძლებლობა და გამოცდილებაც, რომ საქართველოს წინააღმდეგ სხვადასხვა ბერკეტი გამოიყენოს. დარწმუნებული ვარ, რუსეთის შესაბამის სტრუქტურებს, კარგა ხანია, შემუშავებული აქვთ საქართველოსთან მოქმედების გეგმა, სტრატეგია და სვლები, რომ საქართველომაც არ მოაწეროს ხელი ვილნიუსში ევროპასთან ურთიერთობის შეთანხმებას. რუსეთი ამ დოკუმენტის პარაფირებას ხელს ვერ შეუშლის, მაგრამ პარაფირება ხომ ინსტიტუციურად არაფერს ნიშნავს, ვინაიდან მხარეებს არანაირ ვალდებულებებს არ აკისრებს. რუსეთი საქართველოს მიმართულებით, სავარაუდოდ, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ გააქტიურდება"** (ინტერპრესნიუსი).

დეკემბრის პირველ რიცხვებში ვლადიმერ პუტინი ერევანში ჩასვლას გეგმავს, სადაც, დიდი ალბათობით, რეგიონის ქვეყნებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან გზავნილებს გააჟღერებს. **გამორიცხული არაა, რომ საუბარი შეეხოს საქართველოს, როგორც „საბაჟო კავშირის" წევრი რუსეთისა და სომხეთის დამაკავშირებელ სატრანზიტო ქვეყანას და, შესაბამისად, აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას. საქართველოსგან განსხვავებით, სადაც ამ თემის განხილვა სპონტანურად იწყება და მალევე ემოციურ, ეკონომიკასთან კავშირის არმქონე პოლემიკაში გადადის, სომხეთში ამ საკითხს სრული სერიოზულობით ეკიდებიან და ლამის 24-საათიან რეჟიმში განიხილავენ.**

გასულ კვირას სომხეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერნეშნლ ალერტის" (კონფლიქტების დარეგულირებაზე მუშაობს; სათაო ოფისი ლონდონშია) კვლევის პრეზენტაცია გაიმართა „სამხრეთ კავკასიის რკინიგზის აღდგენა: პოტენციური ეკონომიკური ეფექტის შეფასება", რომელსაც ექსპერტები და მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ. მოხსენების ავტორების აზრით, **აფხაზეთის მონაკვეთის რეკონსტრუქცია 277,5 მილიონი დოლარი დაჯდება. ამ რიცხვს კამათი არ გამოუწვევია** (თავის დროზე, მეტიც დასახელებულა, ნაკლებიც, ასე რომ, ის შეიძლება „საშუალო არითმეტიკულად" ჩაითვალოს). **აზრთა სხვაობა მოჰყვა ექსპერტების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ინვესტიციის შედარებით სწრაფ ამოღებას (16 წელიწადი) დასჭირდება ყოველწლიურად 10 მილიონი ტონა ტვირთის გატარება, ხოლო დღევანდელ სიტუაციაში რკინიგზის დატვირთა მაქსიმუმ 4 მილიონი ტონით მოხერხდება, შესაბამისად, პროექტში დაბანდებული ფულის ამოღება ათწლეულების ან სულაც ასწლეულების შემდეგ თუ მოხერხდება.** ამას სომხეთის ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენელი არტურ სარქისიანი არ დაეთანხმა და თქვა, რომ „ექსპერტები მნიშვნელოვნად ამცირებენ ამ რკინიგზის პოტენციალს, რომელიც ევროპისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს აკავშირებს. 10 მილიონი ტონა წელიწადში მხოლოდ ქვედა ნიშნულია". უნდა აღინიშნოს, რომ **კვლევის ავტორებმა ძირითადი აქცენტი გააკეთეს ტვირთების გადაზიდვაზე რუსეთსა და საქართველო-სომხეთს შორის, ხოლო იმ ტვირთების მოცულობა, რომლებიც ამ რკინიგზის მიმართულებით შეიძლება ირანელმა და თურქმა ბიზნესმენებმა გადაამისამართონ, მათი აზრით, მხოლოდ 500 ათასი ტონა, საუკეთესო შემთხვევაში, მილიონ-ნახევარი ტონა იქნება.**



**იმ შემთხვევაში, თუ (მაგალითად) ევროკავშირთან ასოცირების პარალელურად საქართველო აქტიურად იმუშავებდა რუსეთთან ერთად სარკინიგზო პროექტზე, ეს მოსალოდნელ დაპირისპირებას (და შესაძლო პრობლემებს რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანასთან დაკავშირებით), ალბათ, მაინც შეარბილებდა**

ამ კვლევის მთავარი მინუსი, ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ ის არ ითვალისწინებს ცვლილებებს, რომელთაც რეგიონულ გადაზიდვებში სომხეთ-ირანის დამაკავშირებელი 316-კილომეტრიანი სარკინიგზო მაგისტრალი შეიტანს (მის პარალელურად ჩქაროსნული ტრასა შენდება). ეს პროექტი, ექსპერტების შეფასებით შეიძლება 3 მილიარდამდე დაჯდეს და მის რეალიზებას დაახლოებით 5 წელიწადი დასჭირდება. ჩინურმა „საკომუნიკაციო-სამშენებლო კომპანიამ" უკვე დაიწყო კვლევითი სამუშაოები, ხელმოწერილია 30-წლიანი საკონცესიო ხელშეკრულება სომხეთის ტრანსპორტის სამინისტროსა და არაბულ კომპანია „რასია ფზე"-ს შორის (მის უკან რუსული ინტერესები მოიაზრება), რომელმაც პროექტის დაფინანსების საკითხი უნდა გადაწყვიტოს. დაინტერესება პროექტის მიმართ მსოფლიო ბანკმა და აზიის განვითარების ბანკმა გამოხატეს; ოფიციალურმა თეირანმა უკვე გამოთქვა მზადყოფნა, დააფინანსოს მშენებლობა ირანის ტერიტორიაზე.

## იქ მივყავართ მატარებლის ლიანდაგს

ცხადია, არავინ დაინტერესდებოდა ამ პროექტით იმ შემთხვევაში, თუ საუბარი შეეხებოდა მხოლოდ ტვირთების „სომხურ ჩიხში" შეტანას (ან მის, ამ კონტექსტში აბსოლუტურად უაზრო, გადამისამართებას საქართველოსკენ) და ვაჭრობას ირანსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. **ეს პროექტი, რუსული კონცესია სომხეთის რკინიგზაზე და აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, მთლიანობაში უნდა განიხილებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსული ინვესტიციები სომხეთის რკინიგზაში** (2008-ში ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, 572 მილიონი დოლარის ინვესტირებით; მათგან 220 მილიონი — პირველ 5 წელიწადში), **ისევე, როგორც ირანამდე რკინიგზის გაყვანა აზრს კარგავს.**

საუბარი, სავარაუდოდ, ერთიანი სარკინიგზო ღერძის შექმნას ეხება, რომელიც რუსეთს სპარსეთის ყურესთან დააკავშირებს და რომელსაც დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ექნება.

277,5 მილიონი დოლარი, რომელზეც „ინტერნეიშნლ ალერტის" ექსპერტები საუბრობენ, რუსეთისთვის საგრძნობი ხარჯი არაა (რაც არ ნიშნავს, რომ ამ ფულს უბრალოდ გადაყრიან და მის ამოღებაზე არ იზრუნებენ). ეს უფრო გეოპოლიტიკაა, ვიდრე ეკონომიკა, მაგრამ თქმული სულაც არ ნიშნავს, რომ პროექტი მაინცდამაინც წამგებიანი იქნება. როდესაც 2004-ში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და რუსეთი ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის აღდგენა-მომსახურებისთვის საოპერატორო კომპანიის შექმნაზე შეთანხმდნენ, რუსეთის ტრანსპორტის იმჟამინდელმა მინისტრმა იგორ ლევიტინმა ისაუბრა სსრკ-ის დროინდელ მაჩვენებელზე, 15 მილიონ ტონა ტვირთზე წელიწადში, როგორც ნიშნულზე, რომლისკენაც მხარეები უნდა ისწრაფოდნენ. ირანის „გახსნა" ამ პერსპექტივას, ალბათ, უფრო ხელშესახებს გახდის. **ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რა გავლენას მოახდენს ამ პროექტზე დასავლეთის ქვეყნების მიერ ირანისთვის სანქციების ეტაპობრივი მოხსნა** (რაც, ჟენევის მოლაპარაკებებზე გასულ კვირას მიღწეული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, სავსებით რეალურია), **თუმცა, ალბათ, დროა, დიდი ქვეყნების ინტერესებიდან თანდათან საქართველოს შესაძლო ამონაგებზე გადავიდეთ, აგრეთვე, იმ პოლიტიკურ ბონუსებსა და საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება „დიდი ტრანსკავკასიული მაგისტრალის" პროექტს დაუკავშირდეს.**

**ცხადია, ამ პროექტის და ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის პარალელური რეალიზება საქართველოს უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო გზაჯვარედინად აქცევს. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც საკმაოდ სერიოზული კომპენსაცია ქართუ-** ▶

**„ბიძინა ივანიშვილი რიჩარდ ნორლანდის მოსაზრებებს ყოველთვის ითვალისწინებდა და, რასაც ის ეუზნებოდა, პრაქტიკულად ასრულებდა კიდეც. ეს შეიძლება ნაწილობრივ კარგიც იყო გარკვეულ საკითხებში, მაგრამ მთლიანობაში ხალხის დაკვეთა არ სრულდებოდა. ნორლანდის მოთხოვნა იყო, სისხლის სამართლის ისეთი დამნაშავეები, როგორებიც არიან მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, გია ბარამიძე და ა.შ. არ დასჯილიყვნენ; ასევე, „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი 22%-ით პოლიტიკაში დარჩენილიყო. ბიძინა ივანიშვილმა ესეც გაითვალისწინა.“**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ლი პორტების როლის დაკნინებისთვის, რომელიც გარდაუვალად მოჰყვება ბაქო-ყარსის ამოქმედებას.** წინა ხელისუფლება მსგავს იდეებს უარყოფდა და განიხილავდა ამ პროექტს, როგორც „რუსეთის შემოვლით“, საბოლოო ჯამში, რუსეთის საწინააღმდეგო ინიციატივას. სააკაშვილი იმაზეც კი საუბრობდა, რომ ეს რკინიგზა ჩინური ტვირთების გადაზიდვის კონტექსტში კონკურენციას ტრანსციმბირულ მაგისტრალს გაუწევს და აღწერდა მატარებლებს, რომლებიც თბილისის გავლით აზიის შუაგულიდან ევროპის შუაგულისკენ მიემართებოდნენ. პრობლემა ისაა, რომ ეს აღტკინებული ბოდვა, სხვა ყველაფერთან ერთად, საერთოდ არ ითვალისწინებდა რკინიგზის მდგომარეობას ბალკანეთში, რომელიც იუგოსლავიის ომის შემდეგ უმძიმეს მდგომრეობაშია. მონაკვეთი ედირნე-სოფია-ბელგრადი-ზაგრები ზოგიერთ ადგილას იმდენად გაუბედურებულია, რომ აფხაზეთის მონაკვეთზე სერიოზულ რეაბილიტაციას საჭიროებს. საინტერესოა, რომ **ჩინეთის სარკინიგზო ატლასის ზოგიერთ რუკაზე, რომლებზეც აღბეჭდილია ყველა ამ ქვეყნისთვის ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი მაგისტრალი, აშკარად მეორეხარისხოვანი შუააზიური მონაკვეთების ჩათვლით, ბალკანეთი ერთგვარ „თეთრ ლაქას“ წარმოადგენს და იქაური რკინიგზა ჩინური ეკონომიკური ექსპანსიის, ჩინური ექსპორტ-იმპორტის კონტექსტში საერთოდ არ განიხილება.** თუმცა მთავარი, ალბათ, არა ეს, არამედ იდეოლოგიური დატვირთვაა, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება სატრანზიტო პროექტებს ანიჭებდა და ამით „გზაჯვარედინის იდეას“ ჩანასახშივე კლავდა.

### სტარტი მკვდარი წერტილიდან

ახალი ხელისუფლება, ერთი შეხედვით, წარსულის ამ ტვირთისგან თავისუფალია. 17 იანვარს სომხეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა „შესაძლებელია“ და ეს საკითხი შეიძლება სწრაფად მოგვარდეს, „თუ ყველა მხრიდან ამის ნება იქნა“. ივანიშვილმა დასძინა, რომ **ქართული მხარე საკითხის სწრაფ გადაწყვეტაზეა ორიენტირებული. რკინიგზის ამოქმედებას მხარს მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს, „ენ-დი-აის“ კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც გასული წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნდა, გამოკითხულთა 68 პროცენტისთვის აფხაზეთის გავლით რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა მისაღებია და მხოლოდ 8%-მა განაცხადა, რომ ეს მიუღებელია.** რკინიგზის ამოქმედებას საქართველოში მთელ რიგ იმედებს უკავშირებენ, უპირველესად, მას განიხილავენ, როგორც კონფლიქტის მოგვარებისკენ გადადგმულ ნაბიჯს, აგრეთვე, საუბრობენ გადაზიდვების ფასის შემცირებაზე („ინტერნეშნლ ალერტის“ ექსპერტების შეფასებით, ის შეიძლება 20%-ით შემცირდეს), რუსულ ბაზარზე მეტი ქართული პროდუქციის შეტანაზე და ა. შ. მაგრამ ამ საკითხის განხილვას გარდაუვალად მოსდევს წინა პლანზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელი პრობლემატიკის წამოწევა, რომელსაც ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემამდე მივყავართ.

**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა შედარებით გაუმჯობესდა, ხოლო მხარეების რიტორიკა შერბილდა, „კონფრონტაციის სივრცე“ გაცილებით დიდია, ვიდრე „თანამშრომლობის სივრცე“ და მოსკოვში, სავარაუდოდ, განიხილავენ საქართველოს დასავლეთისგან მოწყვეტის ხისტ მეთოდებს, როგორც პრიორიტეტულს, ხოლო სამშვიდობო ინიციატივებსა და ეკონომიკურად მომგებიან პროექტებს, — როგორც მეორეხარისხოვანს.** საქართველოს ხელისუფლებაში კი, კორექტულობის მიუხედავად, რუსეთისგან დასავლეთისკენ „გაქცევის“ რიტორიკა დომინირებს. ამ სასტარტო პოზიციების გათვალისწინებით მორიგი კრიზისი და მწვავე დაპირისპირება ძალიან მალე შეიძლება რეალობად იქცეს.

„თანამშრომლობის სივრცის“ გაფართოება, თუნდაც ოფიციალურმა თბილისმა დეკლარირებულ ორიენტაციაზე უარი არ თქვას, რუსეთის ძალისმიერი ზეწოლის საფრთხეს, სავარუდოდ, შეამცირებს. **იმ შემთხვევაში, თუ** (მაგალითად) **ევროკავშირთან ასოცირების პარალელურად საქართველო აქტიურად იმუშავებდა რუსეთთან ერთად სარკინიგზო პროექტზე, ეს მოსალოდნელ დაპირისპირებას** (და შესაძლო პრობლემებს რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანასთან დაკავშირებით), **ალბათ მაინც შეარბილებდა.** თქმული არ ეხება საქართველოს ლტოლვას ნატოსკენ, ამ პრობლემის სიმწვავეს რუსეთისთვის ვერაფერი შეარბილებს და ის, 99% ალბათობით, ყველა მიმართულებით ფართომასშტაბიან შეტევაზე გადავა, როგორც კი პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძვრება, თუნდაც მინიმალური შანსი გაჩნდება.

**რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ამოქმედება, რომელიც რთულ წინასწარ მოლაპარაკებებს მოითხოვს, ალბათ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც „თანამშრომლობის სივრცის“ მნიშვნელოვანი გაფართოება; მას, სხვა ყველაფერთან ერთად, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქართული ეკონომიკისთვის სერიოზული მასტიმულირებელი როლის შესრულება შეუძლია.** მაგრამ ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, წავა ამ გზით ღარიბაშვილის მთავრობა თუ მცირერიცხოვან („ენ-დი-აის“ სარკინიგზო გამოკითხვის შედეგი გავიხსენოთ), მაგრამ მომაბეზრებლად ხმაურიან ოპონენტებს შეუშინდება. განიხილავს თუ არა ის, სააკაშვილის რეჟიმის მსგავსად, ქვეყანას, როგორც კამიკაძეს, რომელმაც დასავლეთის გულისთვის საკუთარი სიცოცხლის ფასად უნდა გადაუღობოს გზა რუსულ მატარებელს (მაშინ, როდესაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასავლეთი ამას არ სთხოვს) თუ ალტერნატიულ სტრატეგიას აირჩევს?

**დიმიტრი მონიავა**

## ლაშა ამირეჯიბი: «ნაციონალური მოძრაობის» პოლიტიკაში დარჩენა ნორლანდის მოთხოვნა იყო

**„სახალხო კრების“ წევრის — ლაშა ამირეჯიბის განცხადებით, ბიზნესმენებზე ზეწოლა ახალი ხელისუფლების მმართველობის პირობებში კვლავ გრძელდება. ამირეჯიბი ხელისუფლების მაღალჩინოსანს, შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსს, რევაზ მუმლაძეს, ბიზნესმენების შევიწროებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მუმლაძე მთელ რეგიონს აკონტროლებს.**



— სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი რევაზ მუმლაძე და მისი ცოლის ძმა, შალვა ფხიკაძე, მეტსახელად „ღოროვიჩი“, პრაქტიკულად მთელ რეგიონს განაგებენ. ფხიკაძე მუმლაძის დავალებით მოქმედებს. ისინი ატერორებენ და აწუხებენ ბიზნესმენებს, სთხოვენ წილს ბიზნესიდან. ეს ინფორმაცია თავად ადგილობრივი მოსახლეობისგან შევიტყვე. ხალხი ძალიან შეწუხებულია. არადა, შალვა ფხიკაძე „ნაციონალების“ მხარდამჭერი გახლდათ. დარბოდა და მათ პარტიულ, ხუთნომრიან მაიუსურებსაც კი არიგებდა ბორჯომში.

**ჩემს ერთ ნაცნობ ახალგაზრდას ბაკურიანში ბეტონის ქარხანა აქვს და ამის გამო ამ ადამიანზე ზეწოლას ახორციელებდნენ, მის მანქანებს აჩერებდნენ, მძღოლებს აშინებდნენ. მას შემდეგ, რაც ეს ადამიანი მოვიდა ჩემთან და მომიყვა, რაც ხდებოდა, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირს დავურეკე და ამ ყველაფრის შესახებ მოვუყევი. მხოლოდ ამის შემდეგ დაანებეს თავი ამ ადამიანს.**

**— რას ითხოვდნენ მისგან?**

— როგორც აღმოჩნდა, ბატონ მუმლაძესაც ჰქონია ბეტონის ქარხანა ბორჯომში და აქ მათი ბიზნესინტერესები გადაიკვეთა. მუმლაძეს კონკურენტის ჩამოშორება სურდა. რეგიონში არიან ადამიანები, რომლებიც პირდაპირ დაადებენ მუმლაძეს და ფხიკაძეს ხელს. **ყველამ იცის, რომ მუმლაძე ჩართულია ყველა ბიზნესში, ასევე ხეტყის უკანონოდ დამზადებაში. ჩუმად იჭრება ხეები, აბასთუმანში ტყე ნადგურდება. დილის 4-5 საათზე ხეტყით დატვირთული მანქანების კოლონა ჩამოდის თბილისში და აქ ხდება მისი რეალიზაცია.** მინდა ვთხოვო გარემოს დაცვის მინისტრ ხათუნა გოგალაძეს და ბიძინა გიორგობიანს, ყურადღება მიაქციონ აბასთუმნის და, საერთოდ, მესხეთ-ჯავახეთის მხარეს, გააძლიერონ მონიტორინგი. ვინაიდან ძალიან ბევრი სამსახური იქ თვალს ხუჭავს ამ ყველაფერზე, რადგან რეზო მუმლაძეს ივანიშვილის ნდობით აღჭურვილ პირად და უახლოეს ადამიანად იცნობენ და ვერაფერს უბედავენ, მისი ეშინიათ. **რეზო მუმლაძე თავადაც არ მალავს და სახალხოდ ამბობს, სანამ ბიძინა ივანიშვილი იქნება ცოცხალი, მე მუდამ თანამდებობაზე ვიქნებიო. არადა, დარწმუნებული ვარ, ბატონმა ბიძინამ მისი საქციელის შესახებ არაფერი იცის.**

აღსანიშნავია, რომ რევაზ მუმლაძე იყო ბიძინა ივანიშვილის ბაკურიანის რეზიდენციის დაცვის უფროსი. 2012 წელს მას ბრალი დასდეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული დიდი ოდენობის ნივთის შეძენაში და დაიჭირეს. მუმლაძეს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე და 210-ე მუხლების გათვალისწინებით ედებოდა და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. თუმცა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ეს ადამიანი ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა. როგორც ჩანს, ეკა ბესელიამ მხოლოდ იმიტომ შეიყვანა სიაში და მისცეს პოლიტპატიმრის სტატუსი, რომ ის ივანიშვილთან მუშაობდა. ეს კაცი პოლიტპატიმარი არ არის.

**— რის საფუძველზე ამბობთ, რომ მუმლაძე პოლიტიკური ნიშნით არ დაუპატიმრებიათ, ის ხომ ივანიშვილთან მუშაობდა, რაც, შესაძლოა, სააკაშვილის ხელისუფლების დროს მისი დაკავების მოტივი გამხდარიყო?**

— რევაზ მუმლაძემ ითაღლითა, მას ბრალი ჰქონდა წაყენებული ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენებისთვის. მას სხვისი მიწის მისაკუთრება სურდა. ეს ყველაფერი წერია განაჩენში და, თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება, შეუძლია გადაამოწმოს. საინტერესოა ერთი დეტალიც: **ყველა ის ადამიანი, რომელიც პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა, თავის დროზე სამი მუხლით არის გასამართლებული. ჩვეულებისამებრ, მათ ბრალად ედებოდათ წინააღმდეგობის გაწევა, ნარკოტიკის უკანონო შენახვა ან იარაღის უკანონო შენახვა-ტარება, თუმცა ასე არ ყოფილა მუმლაძის შემთხვევაში.**

მე ვნახე მუმლაძის ქონებრივი დეკლარაცია და საინტერესოა, რომ, სანამ მას დააკავებდნენ, ერთი პატარა სასტუმრო ჰქონდა ბორჯომში, მაგრამ დღეს, მის და მისი ცოლის სახელზე გაფორმებულია მიწები, სასტუმროები, სააფთიაქო ქსელი, ბეტონის ქარხანა და ა. შ. ეს ყველაფერი ერთ წელიწადში შეიძინა. ვსვამ კითხვას: როგორ შეიძინა ამდენი რამ ერთ წელიწადში? ან, როგორ ფიქრობთ, რომც ჰქონოდა მას ეს ყველაფერი, პატიმარ კაცს (ან სულაც მის დაპატიმრებამდე) „ნაციონალები“ ამ ყველაფერს არ წაართმევდნენ, გადაურჩებოდა მისი ქონება ექსპროპრიაციას?

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც მუმლაძის პიროვნებას კარგად ახასიათებს. **ბორჯომში ივანიშვილმა საბაგირო გზა გააკეთა, რომელიც კარგად მუშაობდა და ბიუჯეტში დიდი თანხა ირიცხებოდა. მას შემდეგ, რაც მუმლაძეს გაუჩნდა ინტერესი და იქ თავისი მოლარე მიიყვანა, ნებისმიერს შეუძლია, გადაამოწმოს, რამდენად შემცირდა ეს თანხა. საბოლოოდ კი ეს მოლარე დაიჭირეს.**

რევაზ მუმლაძეს ასევე სურდა, ლიკანში რომანოვების სასახლის 49 წლით ხელში ჩაგდება და უნდოდა, ეს ყველაფერი მისი ცოლის ორ მეგობარზე გაეფორმებინა.

**— როგორ ფიქრობთ, ახალ ხელისუფლებას არ აქვს ინფორმაცია, თანამდებობის პირების ამგვარი ქცევების შესახებ?**

— არ ვიცი, აქვთ თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლებს ამის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ ახლა ხომ გაიგებენ? ჩემთან პირადად მოვიდნენ ეს ადამიანები და შემომჩივლეს, რაც ამ რეგიონში ხდებოდა. **მე ბიძინა ივანიშვილს დიდ პატივს ვცემ და ამ ყველაფერს საჯაროდ იმიტომ ვყვები, რომ ასეთი ადამიანები იზოლირებულები უნდა იყვნენ საზოგადოებისგან, განსაკუთრებით ხელისუფლებისგან და, როდესაც სამართლიანობაზე საუბრობენ, კარგი იქნება, თუ ახალი ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენას საკუთარი რიგებიდან დაიწყებს.**

რამდენადაც ვიცი, რევაზ მუმლაძის სამსახურიდან გაშვებას და სხვაგან გადაყვანას აპირებენ. მას სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორობაც სურს, მაგრამ მინდა, ახალ ხელისუფლებაში ყველას ვუთხრა, არც იფიქრონ მის ახალ თანამდებობაზე გადაყვანა ან დაწინაურება. **ეს წაგლეჯვა, ბიზნესის რეკეტი ოდესმე ხომ უნდა დამთავრდეს საქართველოში? სხვა რეგიონებშიც ანალოგიური სიტუაციაა და ვპირდები ქართულ საზოგადოებას, რომ რევაზ მუმლაძის მსგავსად ყველას ვამხელ. თუ გვინდა, ახალ ხელისუფლებას ხელი შევუწყოთ, საზოგადოებრივი მონიტორინგი აუცილებელია. ჩვენი ვალია, ხელისუფლებას მივაწოდოთ ინფორმაცია, ხოლო თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან, ახალ მთავრობას თავს ძალიან დიდი რისხვა დაატყდება.**

**— მთავრობაში განხორციელებულ ცვლილებებს როგორ შეაფასებთ?**

— ბიძინა ივანიშვილი არსად წასულა, ის დარჩა პოლიტიკაში, ოღონდ ამჯერად სამოქალაქო საზოგადოებაში. თუმცა, სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ეს ხელისუფლება მართული იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი აცხადებდა, რომ არ ვაკადრებ და არ ჩავერევი ხელისუფლების საქმეებშიო, მას მაინც მოუწევს ამის გაკეთება, რადგან ხელისუფლებაში საკვანძო პოსტებზე ისეთი ადამიანები დატოვა, რომლებსაც ის ენდობა და ეს ადამიანები მისი თანაგუნდელები არიან.

რაც შეეხება, ცვლილებებს, **ივანიშვილი რიჩარდ ნორლანდის მოსაზრებებს ყოველთვის ითვალისწინებდა და რასაც ის ეუზნებოდა, პრაქტიკულად ასრულებდა კიდეც. ეს შეიძლება ნაწილობრივ კარგიც იყო გარკვეულ საკითხებში, მაგრამ მთლიანობაში ხალხის დაკვეთა არ სრულდებოდა.** მაგალითად, **ნორლანდის მოთხოვნა იყო სისხლის სამართლის ისეთი დამნაშავეები, როგორებიც არიან მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, გია ბარამიძე და ა.შ., არ დასჯილიყვნენ. გენერალური პროკურორი არჩილ კბილაშვილი სწორედ ამიტომ წავიდა თანამდებობიდან. კბილაშვილს ახლობლების ვიწრო წრეში უთქვამს კიდეც, სამართლიანობის აღდგენის საშუალება არ მეძლეოდაო.**

**ასევე ნორლანდის მოთხოვნა იყო, „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი 22%-ით პოლიტიკაში დარჩენილიყო. ბიძინა ივანიშვილმა ესეც გაითვალისწინა.** მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ამერიკული პროექტია, რომელსაც ჯერჯერობით ფუნქციონირება არ დაუსრულებია, რადგან ინტერესი ჯერ კიდევ არსებობს, მათ იტრივტივონ. თუმცა მე ველი ცვლილებებს ირაკლი ღარიბაშვილისგან, რადგან ის ჭკვიანი, პრინციპული, ხისტი კაცია და მაინც მგონია, რომ ის სამართლიანობას აღადგენს.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროპა ვერ მიგვიღებს, არაფერში ვჭირდებით ჩვენი პრობლემებით. დანარჩენი ეს ყველაფერი — ურთიერთობები, ასოცირების ხელშეკრულება, მისი პარაფირება — არის სატყუარა, რაც შეეხება ევრაზიულ სივრცეს, აქაც, სამწუხაროდ, შეიძლება დადგეს დრო, რომ არ მიგვიღონ და ჩვენ საერთოდ აღმოვჩნდეთ რეგიონული გაერთიანებების გარეშე.“**

# შემოიყვანს თუ არა ნატო საქართველოში თურქ ჯარისკაცებს და ვინ არიან «ცეერუს» აგენტები ქართულ პოლიტიკურ ელიტაში?

**20 წელზე მეტია, რაც საქართველო მისწრაფვის ნატოსკენ, მაგრამ ნატოს თითო მიზეზი არ ელევა, რომ საქართველოს უარი უთხრას მიღებაზე, თანაც ნატო ჩვენგან მოითხოვს გარკვეულ დონეს, მაგრამ ამ დონის მიღწევის გზებს არ გვაჩვენებს. ექსპერტების დიდი ნაწილის აზრით, სერიოზული ეკონომიკური ზრდა რუსეთის ბაზრის გარეშე წარმოუდგენელია. გამოდის, რომ საქართველოს ნატო უბიძგებს რუსეთისკენ... „საქართველო და მსოფლიოს“ უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია ესაუბრა.**





## ვალერი ხაბურძანია: დღეს აშშ უხეშად ერევა ჩვენს საქმეებში და ამის სანაცვლოდ არაფერი სასიკეთო ჩვენთვის არ მოაქვს

**— ბატონო ვალერი, უშიშროების ყოფილი მინისტრი ხართ და, ბუნებრივია, ბევრი რამ იცით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ. ქვეყანაში რომ დღეს ეკონომიკური კრიზისია, ამაში, ალბათ, მეთანხმებით. თქვენი აზრით, როგორ აისახება რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება ქართულ ეკონომიკაზე?**

— რა თქმა უნდა, თუ ეს ურთიერთობები დარეგულირდება, ეკონომიკაზეც დადებითად აისახება იმიტომ, რომ რუსეთს აქვს უზარმაზარი ბაზარი. საერთოდ, ეკონომიკურ კრიზისებს იწვევს ბაზრის უქონლობა, წარმოებული საქონლის გაუსაღებლობა. ჩვენთან ორივე უბედურებაა. ჯერ ერთი, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკა რეალურად არაფერს აწარმოებს, გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა, და მცირე საწარმოები მუშაობენ; მეორეც, არ არსებობს გასაღების ბაზარი. ამის გამო რუსული ბაზრის გახსნა დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე.

**— საქართველოს ხელისუფლება დღესაც დეკლარირებს, რომ ნატო არის ჩვენი მთავარი ორიენტირი. როგორ ფიქრობთ, დაუშვებენ თუ არა რუსეთის მმართველი წრეები, ბაზრები გაუხსნან ბოლომდე (ანუ ეკონომიკის განვითარებაში დაეხმარონ) ქვეყანას, რომელიც ნატოსკენ მიისწრაფვის?**

— მარტო ბაზრის გახსნა არ არის მთავარი, უნდა მოხდეს ჩვენი ეკონომიკური ინტეგრაცია რუსულ ეკონომიკურ სივრცეში. დღევანდელი სამყარო არის გლობალური სივრცეების სამყარო, რეგიონული სივრცეების სამყარო, ჩვენ თუ რომელიღაც ეკონომიკურ სივრცეში ჩვენი ინტეგრირება არ მოვახდინეთ, საქართველოს ეკონომიკა ვერ არის თვითკმარი, ვერ შეძლებს თვითრეგულაციას და აღდგენას, ამიტომ ნებისმიერი კრიზისი მასზე დამანგრევლად მოქმედებს. მე ვთვლი, რომ **ჩვენი სრული ეკონომიკური ინტეგრაცია რუსეთთან აუცილებელია. მაქსიმალურად უნდა გაკეთდეს ერთობლივი პროექტები, მით უმეტეს, დღევანდელ პირობებშიც კი საინვესტიციო კაპიტალის 70% ჩვენში არის რუსული, ამიტომ მარტო ბაზრის გახსნა კი არ არის პრობლემა, პრობლემაა მთლიანად ეკონომიკური ურთიერთობები და ერთობლივი საწარმოების შექმნა, ერთობლივი წარმოების ორგანიზება და ერთობლივი სატრანსპორტო სივრცის ფორმირება.** ვფიქრობ, ჩვენ თუ ვართ დერეფანი ერთი მხრიდან (დასავლეთიდან ან აღმოსავლეთიდან), მაშინ ამავე დროს უნდა ვიყოთ ტვირთის გამტარი ასევე ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. და ერთგვარ გზაჯვარედინად უნდა ვიქცეთ სატრანსპორტო დერეფნის თვალსაზრისით. აი, ამ შემთხვევაშია მხოლოდ ქართული ეკონომიკის გადარჩენა შესაძლებელი. ამერიკა საკმაოდ შორს არის იმისთვის, რომ ეს ფუნქცია იტვირთოს, ამიტომ ძირითადში ამერიკის აგენტურა მუშაობს ჩვენში და არა ამერიკის ეკონომიკური ერთობლივი პროგრამები.

**— სააკაშვილი ხშირად უწოდებდა ივანიშვილს რუსეთის აგენტს. შეუძლებელია, თქვენ არ იცოდეთ უცხო ქვეყნის, მაგალითად, „ცეერუს“ აგენტების არსებობა „ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილის გარემოცვაში, ასევე ზოგადად — ქართულ პოლიტიკურ ელიტაში. იქნებ დაგვისახელოთ, ვინ არიან ისინი?**

— რა არის, იცით? ძველი, ცივი ომის პერიოდის ცნება **აგენტი** აღარ არსებობს, რომლებიც ფარულ დავალებებს იღებდნენ და აგზავნიდნენ მათ „დამავერბოვკებელ“ ქვეყნებში. ის დრო წავიდა, ეს იყო ორ დიდ ბანაკს შორის, კომუნისტურ ბანაკსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, დაპირისპირებისას. დღესდღეობით რა საჭიროა აგენტურა, როდესაც არის ხალხი, რომელიც ღიად ატარებს ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესებს და ამას არ სჭირდება რაღაც სია და რაღაც ფარული თანამშრომლობა, ეს არის ღია თანამშრომლობა და ეს არის მთლიანად „ნაციონალური მოძრაობა“. ვიმეორებ, **აბსოლუტურად მთელი „ნაციონალური მოძრაობა“ ამ წუთას არის რაღაც, მათი გაგებით, ტრანსფორმირებული ამერიკული თუ დასავლური ინტერესების გამტარებელი, ზოგჯერ ეს ინტერესები მაინცდამაინც შეიძლება არც ემთხვეოდეს დასავლურს და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი გაგება შექმნა დასავლური ინტერესების. ეს არის რაღაც ლიბერალური ტიპის საზოგადოების შექმნა დაძალებით, დიქტატორული ხერხებითა და მეთოდებით.**

**— რა ხდება ამ მხრივ „ქართულ ოცნებაში“?**

— „ქართულ ოცნებაშიც“ არიან დასავლური ინტერესების აქტიური გამტარებლები. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პარტია „თავისუფალი დემოკრატები“, რესპუბლიკური პარტია. დანარჩენებს უფრო, ასე ვთქვათ, ნაციონალური შუა ხაზი უჭირავთ.

**— მივედით იქამდე, რომ ქართული საზოგადოების ინტერესებს კი არ აყენებენ პირველ ადგილზე, არამედ დასავლეთის დაკვეთებს, ანუ ეროვნული ხელისუფლება არ ჰყავს საქართველოს?**

— დიახ, დასავლეთიდან დაკვეთას (და თანაც ეს დასავლეთიდან დაკვეთა მათ არასწორად აქვთ კიდევ ტრანსფორმირებული, რაღაც თავისი გაგება აქვთ ამ დასავლური დაკვეთის). რა თქმა უნდა, საქართველოს სჭირდება ეროვნული ხელისუფლება, მაგრამ ეროვნულმა ხელისუფლებამ სწორი ვექტორი უნდა აირჩიოს ქვეყნის შემდგომი განვითარების. ჩვენი განვითარების ვექტორი უნდა იყოს მიმართული იქით, საიდანაც ჩვენ რეალურ სარგებელს მივიღებთ და არა რაღაც მოსალოდნელი ჰიპოთეტური სარგებელი, რომელიც არასდროს გვექნება. კარგია ევროპაში ცხოვრება, კარგია ევროპასთან ერთად ცხოვრება, კარგია ევროპული კარგი ღირებულებები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სივრცისა და ამ სივრცის შერწყმა არ და ვერ ხერხდება. **ევროპა ვერ მიგვიღებს, არაფერში ვჭირდებით ჩვენი პრობლემებით. დანარჩენი ეს ყველაფერი — ურთიერთობები, ასოცირების ხელშეკრულება, მისი პარაფირება — არის სატყუარა, რაც შეეხება ევრაზიულ სივრცეს, აქაც, სამწუხაროდ, შეიძლება დადგეს დრო, რომ არ მიგვიღონ და ჩვენ საერთოდ აღმოვჩნდეთ რეგიონული გაერთიანებების გარეშე.** მარტო კი ძალიან გაგვიჭირდება არსებობა და ცხოვრება, ამიტომ ჯერჯერობით სადაც არის თავისუფალი შესვლის საშუალება, სადაც ჩვენ ჩვენი შესაძლებლობებით უფრო თანაბარნი ვართ სხვებთან, შეგვიძლია იქ წარმოვჩინდეთ ერთად და დროულად უნდა მოვახდინოთ ჩვენ იმ სივრცეში ინტეგრირება, თორემ იმ სივრცესაც კი დავკარგავთ, რომელსაც ევრაზიული სივრცე ჰქვია.

**— თანაც ნატოს კარი დახურულია...**

— დიახ, ეს არის ღიად დახურული კარი. ეს რომ ხალხისთვის არის სატყუარა, 20 წელმა აჩვენა. ჩვენ ნელ-ნელა ამ სატყუარას ჯერ ვქმნიდით, მერე შევქმენით, შემდეგ ჩამოვკიდეთ და ამდენი ხანია, ხალხი შესციცინებს, მაგრამ რეალურად არავინ იცის, რა არის ნატო ჩვენთვის, რა სტანდარტებს ითხოვს ჩვენგან და რას მოგვცემს ამ შესრულებული სტანდარტების სანაცვლოდ. რომ გავამარტივოთ საკითხი, **უცნაური პერსპექტივა გვაქვს — თუ შევასრულეთ ის სტანდარტები, რომლებსაც ჩვენგან მოითხოვენ, გამოდის, ძლიერი ქვეყანა ვიქნებით. ჩვენ თუ თვითონვე უზრუნველვყავით ჩვენი უსაფრთხოება, მაშინ დამატებით ინტეგრირება რაღაც რეგიონული უსაფრთხოების სივრცეებში პრობლემებს უფრო შეგვიქმნის, ვიდრე უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოახდენს. რაში გვჭირდება ნატო, თუ საკუთარი თავი ჩვენ თვითონ დავიცავით და ამის შესაძლებლობები გვექნა?** ნატოში ყოფნა, რაღაც რეგიონულ ტერიტორიად ქცევა გულისხმობს ნატოს შესაბამისი შეიარაღების ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებას, გულისხმობს იმავე რაკეტების განლაგებას. მე ვერ წარმომიდგენია რუსეთიდან თბილისზე დამიზნებული რაკეტები. ჩემი ოჯახი თბილისში ცხოვრობს, მეც თბილისში ვაპირებ ცხოვრებას და ნამდვილად არ მინდა და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ რუსეთიდან არ იყოს დამიზნებული რაკეტები საქართველოზე.

**— ნატოს ბაზის საქართველოში განთავსება იმას ნიშნავს, რომ თურქი ჯარისკაცის ჩექმა გაჩნდება საქართველოში... თურქები ისედაც მასპინძლად გრძნობენ თავს ჩვენთან. ხომ არ გამოიწვევს ეს, ფაქტობრივად, საქართველოს „ოკუპაციას“?**

— თუ ნატოს ბაზა საქართველოში განლაგდება, რა თქმა უნდა, იქ დომინანტი იქნება თურქეთი, ანუ **საქართველოში შემოსვლას ნატო განახორციელებს თურქეთის მეშვეობით. ტერიტორიულად ყველაზე ახლოს ის არის, მას უფრო შეუძლია ლოჯისტიკური საკითხების გადაწყვეტა და ამავე დროს, თურქეთს გარკვეული პოლიტიკური ინტერესებიც გააჩნია საქართველოში.** ამდენად, იმედია, ეს არ მოხდება, მაგრამ უნდა მოველოდეთ, რომ, თუ ასეთი რამ იქნა, ეს აუცილებლად თურქეთის მეშვეობით მოხდება. აქ არ განალაგებენ ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს, აქ განალაგებენ აუცილებლად თურქებს.

**— აშშ ისედაც უხეშად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, ახლა თურქეთიც რომ დაემატოს?..**

— საერთოდ, ნებისმიერი ჩარევა არასწორია, მაგრამ ნებისმიერ ჩარევას ახლავს რაღაც თანმდევი პროცესი. მაგალითად, ჩარევის სანაცვლოდ შეიძლება მიიღო ერთგვარი სარგებელი. ვფიქრობ, რომ აშშ-ს მცირე კაპიტალი მაინც რომ ჩაედო საქართველოში, ჩვენს ეკონომიკას რომ წადგომოდა აშშ-ის კაპიტალი, ამ თვალსაზრისით რომ ყოფილიყო პროტექციონალური ხასიათის მცირედი ღონისძიებები მაინც, რაღაცნაირად ქართული საზოგადოება ჩაყლაპავდა ამ შიდა პოლიტიკაში ჩარევას. **დღეს არათუ რეკომენდაციებს გვაძლევენ, არამედ არსებობს გარკვეული მოთხოვნები შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით და ამ დროს არ არსებობს არავითარი დახმარება და ხელისგაწვდენა ეკონომიკური საკითხების მოგვარების მიზნით. აშშ უხეშად ერევა ჩვენს საქმეებში და ამის სანაცვლოდ არაფერი სასიკეთო ჩვენთვის არ მოაქვს.** ვიმეორებ: ჩარევა მიუღებლად მიმაჩნია, მაგრამ, თუ იქნება ჩარევა, უნდა იყოს რაღაც სასიკეთოს სანაცვლოდ, ჩვენ კი ეს რაღაცაც არ გვაქვს.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**„დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ამ საქმეზე არავის დაიჭერენ, რადგან, თუ აფრასიძეების საქმეზე ვინმეს დაჭერა და დასჯა უნდოდათ, საამისოდ საქმის ყველა მტკიცებულება ხელთ ჰქონდათ, ოღონდ ბარამიძისთვის იმუნიტეტის მოხსნაზე უნდა ემსჯელათ, ეს კი არ გააკეთეს... ახლა, როდესაც სააკაშვილი უკვე აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი, ვერ ვხედავ ნებას, რომ მისი დანაშაულის სახალხოდ აღიარების საფუძველზე მის დაკითხვას ვინმე აპირებდეს.“**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სწორედ ბარამიძემ დაწვა დაჭრილი და დატყვევებული აფრასიძე



**ქართველ ხალხს ახსოვს, ალბათ, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეშინებული „ნაცები“, მერე — ისევ გადიდგულებული, კოაბიტირებული და დანაშაულშერჩენილი. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოჰაბიტაცია დასრულდება და სამართალიც სრულად იზეიმებსო, გვარწმუნებდნენ, მაგრამ არჩევნებიდან ზუსტად რამდენიმე დღეში ყველამ ვიხილეთ გიორგი ბარამიძის გამოსვლა ტელევიზიით, თუ როგორი შეურაცხმყოფელი სიტყვებით საუბრობდა მის მიერ განადგურებულ აფრასიძეებზე, როგორ ამართლებდა თავის საქციელს, ოდნავი სინანულის გრძნობაც არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ სააკაშვილმა რამდენიმე წლის წინ აფრასიძეების წინააღმდეგ განხორციელებული ვანდალიზმი ძალის გადაჭარბებად შეაფასა. აფრასიძეების საქმეზე დაპატიმრებას ვინღა ჩივის, დღემდე დაკითხულიც კი არ არის არც ერთი დამნაშავე. არადა, დანაშაული ხელისუფლების მხრიდან საჯაროდ აღიარებულია, რადგან სააკაშვილის 2009 წლის გამოსვლა, ფაქტობრივად, აღიარებითი ჩვენება იყო. რატომ დადის სასტიკ დანაშაულში ეჭვმიტანილი ბარამიძე თავისუფლად და რატომ საუბრობს ასეთი გონორით, ამის გარკვევას „საქართველო და მსოფლიო“ აფრასიძეების ადვოკატთან — ირმა ჭკადუასთან შეეცადა.**



**ირმა ჭკადუა:**

## საქმეები გამოძიებულია და დღის შუქზე არ გამოდის მხოლოდ იმიტომ, რომ კოჰაბიტაციაა და მაღალჩინოსნებს დასავლეთი იცავს, რასაც ახალი ხელისუფლება ანგარიშს უწევს

**— ქალბატონო ირმა, რა ვითარებაა აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით?**

— პროკურატურაში, როგორც კი ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, ძალიან ინტენსიურად დაიწყო საქმის გამოძიება, ბევრი მოწმე დაიკითხა, პრაქტიკულად, დარჩენილი იყვნენ ის მაღალჩინოსნები, რომლებიც აფრასიძეების საქმეში ფიგურირებდნენ და იმუნიტეტი იცავდათ, მათ შორის იყო საქართველოს პრეზიდენტიც, რომელმაც აღიარებითი ჩვენება საჯაროდ მისცა. სააკაშვილმა „რადისონის“ გახსნის დღეს აღიარა, რომ აფრასიძეების წინააღმდეგ სპეცოპერაცია ძალის გადაჭარბებით ჩაატარეს.

**ის, რაც „ნაცებმა“ აფრასიძეების წინააღმდეგ განახორციელეს, სპეცოპერაცია არ იყო, ეს იყო მიზანმიმართული ომი, გამოცხადებული სახელმწიფოს მიერ ერთი ოჯახის წინააღმდეგ. ამ ომში მონაწილეობდა 1200 სპეცრაზმელი 12 ვერტმფრენით.** ამ დროს ოფიციალურად ცნობილია, რომ ტამიშთან ბრძოლის დროს მხოლოდ შეიარაღებული ძალების 800 წარმომადგენელი იყო.

**— ბარამიძე თავად აცხადებს, საშუალება რომ მქონოდა, მეტსაც წავიყვანდიო...**

— ბარამიძე, რასაკვირველია, ამას იტყვის, რადგან მას აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ თავი იმართლოს. ყველაფერი სწორედ მისი გადაწყვეტილებით მოხდა, მისი ხელმძღვანელობით იქნა ლიკვიდირებული უკვე დაკავებული ადამიანები. **სწორედ მან დაწვა დაჭრილი და დატყვევებული ევგენი აფრასიძე, ბარამიძემ მოსახლეობას არ მისცა საშუალება, გვამი გამოეტანათ ცეცხლწაკიდებული სახლიდან. იგი ხელებს ითბობდა ცეცხლზე, რომელიც სახლს ეკიდა და რომელშიც ადამიანი იწვოდა. მართალია ისიც, რომ იგი მიმართავდა მეზობლად მცხოვრებ ქალბატონებს, რომ მისთვის კუბდარი გამოეცხოთ, რაზეც უარი მიიღო, შემდეგ კი თავისი თანამებრძოლები გააგზავნა, საჭმელი მოატანინა და ჭამაც იქვე დაიწყო.** ცარიელი კონსერვის ქილები იქვე დატოვეს. ამ ფაქტის მოწმე მოსახლეობაა. **ბარამიძის ბრძანებით იბომბებოდა ის სახლი, რომელშიც ოთხ მცირეწლოვან ბავშვს და ორ ქალს ეძინათ, მათ შორის ერთი ღრმად მოხუცებული იყო, ხოლო მეორე, შმაგი აფრასიძის მეუღლე, ფსიქიურად დაავადდა და დღემდე ფსიქიატრიულში მკურნალობს.**

ალნიშნული სპეცოპერაცია სააკაშვილის, ადეიშვილის, მერაბიშვილის დიდი დამსახურებაა, რაც სააკაშვილმა აღიარა კიდეც. ოჯახს მთლიანად გაუნადგურეს კერძო საკუთრება, ორი ადამიანი მოკლეს და ორი — ციხეში საშინელ პირობებში გაუშვეს. ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი მოხუცთან ერთად ქუჩაში დატოვეს და წლების განმავლობაში არავის უკითხავს, თუ სად და რა პირობებში ცხოვრობდნენ ისინი. ნათესავებთან კარდაკარ სიარულში გაზარდა ბავშვები დიდი აფრასიძემ.

მოგეხსენებათ, აღნიშნული საქმე სტრასბურგშია გაგზავნილი და მას შემდეგ, რაც ხელახლა დაიწყო ძიება, ევროსასამართლომ შემოგვთავაზა მორიგება და კომპენსაციის სახით ზარალის ანაზღაურება, რადგან მკვდრებს ვერ გააცოცხლებენ, ცოცხლებს კი შველა სჭირდებათ. თანაც ამნისტიის შემდეგ აფრასიძეებმა საპყრობილე დატოვეს.

ჩემი შეხედულება ბარამიძეზე ასეთია: **ის არის უთვისტომო, გულქვა ადამიანი, რომელიც თავის გადარჩენაზე ზრუნავს და ოდნავადაც არ აქვს სინანულის გრძნობა. თუმცა ძალიან ცდილობს, რომ სპეცოპერაციის კანონიერება დაამტკიცოს, მაგრამ ვერ შეძლებს, რადგან მათ მიერ შეკერილ საქმეშიც კი არსად დევს, რომ აფრასიძეების ოჯახიდან იარაღი ამოიღეს, ერთი ცალი მაინც, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ. ბარამიძეს არ აქვს არანაირი საფუძველი, თავდასხმა გაამართლოს.** აფრასიძეებს იარაღი რომც ჰქონოდათ, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებდნენ, რადგან სახლში მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავდათ და თან ხედავდნენ, რომ აურაცხელი სპეცრაზმელის გარემოცვაში იყვნენ.

ევგენი აფრასიძე სახლიდან ხელებაწეული გამოვიდა, თავდამსხმელებს მიმართა, რომ აქ ვართ და გნებდებითო. ევგენი აფრასიძეს ტყვია იღლიაში აქვს მოხვედრილი, მერე დაჭრილი შეიყვანეს საკუთარ სახლში და ცოცხლად დაწვეს.

თუ ბარამიძეს ჰგონია, რომ ეს შერჩა და დიდი ალბათობაა ამისა, მე ვიტყვი, რომ უფალი სამართლიანია, მას უფლის რისხვა აუცილებლად დაატყდება თავს. ხოლო სამართლებრივ საკითხს რაც შეეხება, გამოძიება მიმდინარეობს და იმედს ვიტოვებ, კოჰაბიტაციის რეჟიმში ყოფნის შედეგი იყო ის, რომ დღემდე ბარამიძე დაკითხულიც კი არ არის ამ საქმეზე და არ აქვს ბრალი წაყენებული. მართალი გითხრათ, ნაკლებად მჯერა, რომ კოჰაბიტაცია დასრულდა ან დასრულდება, რადგან ქვეყანა სერიოზულ ზეწოლას განიცდის, ჩვენ გვავალდებულებენ და გვაიძულებენ, დავივიწყოთ მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული და ვაპატიოთ მათ. ასევე, **დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ამ საქმეზე არავის დაიჭერენ, რადგან, თუ აფრასიძეების საქმეზე ვინმეს დაჭერა და დასჯა უნდოდათ, საამისოდ საქმის ყველა მტკიცებულება ხელთ ჰქონდათ, ოღონდ ბარამიძისთვის იმუნიტეტის მოხსნაზე უნდა ემსჯელათ, ეს კი არ გააკეთეს.**

**ახლა, როდესაც სააკაშვილი უკვე აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი, ვერ ვხედავ ნებას, რომ მისი დანაშაულის სახალხოდ აღიარების საფუძველზე მის დაკითხვას ვინმე აპირებდეს.**

პროკურატურაში ცვლილებები მიმდინარეობს, ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით ცოტა ხნით შევჩერდებით, იმ დრომდე, ვიდრე კონკრეტულ ადამიანებს არ გადაეცემათ საქმე ძიებისთვის. მერე გავერკვევით, თუ რას გეგმავენ, რადგან საქმეში სრულად არიან გამოკვეთილი ბრალწასაყენებელი პირები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უყურადღებოდ ბევრი საქმეა დარჩენილი და არამარტო აფრასიძეების. მე ვაზაგაშვილის ადვოკატიც ვარ, მათ ინტერესებს ვიცავ, მათ საქმეზეც პროკურატურასთან ინტენსიური თანამშრომლობა მქონდა, მპირდებოდნენ, რომ აწარმოებდნენ დაკითხვას, იკვლევდნენ ფაქტებს... დარწმუნებული ვარ, პირთა ბრალეულობა დადგენილია, მაგრამ ბრალის წაყენებას კონკრეტული ადამიანები აფერხებენ.

**— ვინ არიან ის ადამიანები, რომელთაც საქმის შეფერხება შეუძლიათ?**

— ესენი გახლავან ის ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ „ნაციონალების“ ზემოქმედების ქვეშ არიან და პროკურატურაში სხედან. **საქმეები გამოძიებულია და დღის შუქზე არ გამოდის მხოლოდ იმიტომ, რომ კოჰაბიტაციაა და მაღალჩინოსნებს დასავლეთი იცავს, რასაც ახალი ხელისუფლება ანგარიშს უწევს.**

ჩვენ ცოტა ხანს დაველოდებით და შემდეგ განცხადებებს გავაკეთებთ. **დიდი იმედი მაქვს, რომ ვენდეტაზე არ გადავალთ, რაც, ალბათ, ყველაზე სამწუხარო და შემაშფოთებელი იქნება, თუმცა უკვე ჩანს, რომ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსული ხელისუფლება არ აპირებს პირობის შესრულებას. დღემდე ციხეში სხედან ადამიანები, რომლებიც უკანონოდ იხდიან სასჯელს, ხოლო გარეთ დადიან ისინი, ვისაც სასტიკი დანაშაული აქვთ ჩადენილი. არ მომხდარა და არც მოხდება წართმეული ქონების უკან დაბრუნება, რადგან ამბობენ, რომ ყველა გამამართლებელი განაჩენი ეკონომიკას ურტყამსო.** აქედან გამომდინარე, შეურაცხყოფილი, გაუპატიურებული, განადგურებული, ქონებაჩამორთმეული ადამიანები, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ არავინ მათ დაცვას არ აპირებს, თავად დაიწყებენ შურისძიებას. ამის რამდენიმე „მსუბუქი“ მაგალითი უკვე გვაქვს. ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას თავისი მოქალაქეები არამარტო ნამდვილი კრიმინალებისგან, არამედ იმ დამნაშავეებისგანაც, რომლებიც ხელისუფლებაში სხედან.

ძალიან ცუდია, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების რამდენიმე გამამართლებელი განაჩენი დადგა, რაც პირდაპირ პოლიტიკური დაკვეთა იყო. არ ვისურვებდი იმ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც სამართალი შერჩევითია, არ მინდა, თუნდაც რიგითი მოქალაქე ვიყო ისეთი ქვეყნისა, რომელსაც ასეთი სასამართლო და პროკურატურა ეყოლება. ძნელია, ერთ დღეში შეცვალო პროკურატურა, მაგრამ მარტივი იყო იმ პროკურორების შეცვლა, რომელთაც დანაშაულიც აშკარა იყო და ბევრი ადამიანი უჩიოდა. პრეტენზია მაქვს პარლამენტთან, რადგან მთელი რიგი ცვლილებებია გასატარებელი, რომელთა მოგვარებასაც მხოლოდ ერთი სასესიო კვირა ეყოფოდა. მუდმივად წარსულზე აპელირება ძალიან ცუდია, განსაკუთრებით, როცა სათქმელიც აღარაფერი დარჩა და ყველამ ყველაფერი იცის. დღეს რეალურად უნდა შევხედოთ პრობლემებს და მათ გამოსწორებაზე ვიფიქროთ.

**— თქვენ მიერ დახატული სურათიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ყველას ყველაფერი შერჩება, მათ შორის, ბარამიძესაც. აფრასიძეები მშიშრები არ არიან; არ ეშინიათ, რომ ისინი სულს მოითქვამენ და თავად გაუსწორდებიან ყველას?**

— ღმერთმა დაიფაროს, რომ აფრასიძეებმა ეს გადაწყვეტილება მიიღონ. სახელმწიფოს თუ დღეს პრეტენზია აქვს იმაზე, რომ შედეგა, მაშინ მას უნდა ჰქონდეს იმის პასუხისმგებლობა, რომ საკუთარი მოქალაქეები დაიცვას. სახელმწიფო ვალდებულია, დამნაშავეს დანაშაული დაუმტკიცოს და პასუხი აგებინოს, ეს მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს. დღეს სასამართლოში სასაცილო მდგომარეობაა, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დანაშაულის ჩადენიდან ბევრი დროა გავიდა და მტკიცებულებებიც განადგურებულია ამა თუ იმ საქმეზე, მაგრამ მაინც ვალდებულება ვალდებულებაა. **თუ ვერ ხერხდება კონკრეტული დანაშაულების დამტკიცება, მაშინ ისღა დაგვრჩენია, მთლიანად რეჟიმი გასამართლდეს.**

**— ხართ თუ არა ოპტიმისტურად განწყობილი, რომ ბარამიძეს ოდესმე პასუხს აგებინებენ?**

— თუ პროკურატურა მოინდომებს, მაშინ ბარამიძისთვის ბრალის წაყენებას დიდი ძალისხმევა არ დასჭირდება. **ბარამიძისა და მისთანების დაჭერას მხოლოდ ნება სჭირდება და მეტი არაფერი, რადგან დანაშაულის მამხილებელი დოკუმენტების წარმოდგენა პრობლემა არაა, მაგრამ ამის ნებას ჯერჯერობით ნამდვილად ვერ ვხედავ.** ბარამიძე, შესაძლებელია, არც დაისაჯოს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვფიქრობ, ნორლანდმა იჩქარა ბოდიშთან დაკავშირებით, რადგან ბოდიშის მოხდა რომ რაიმეს შველოდეს, მაშინ აფხაზების და ოსების მხრიდანაც უამრავი ბოდიშია მოსახდელი. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მაინც „ვეფხისა და მოყმის“ ქვეყანა ვართ და მოვა დრო, როდესაც ქართველი, აფხაზი, ოსი ერთმანეთს ბოდიშს მოუხდის, მაგრამ ამას სტრატეგიული საფუძვლის შექმნა სჭირდება და არა ემოციები.“



გიორგი ვოლსკი:

# თუ სააკაშვილის დაპატიმრება სახელმწიფოს ინტერესებს დააზარალებს, ასჯერ უნდა გავზომოთ, სანამ გადავჭრით!

**ახლახან „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობა ჩატარდა, სადაც პარტიის ახალი თავმჯდომარე, გენერალური მდივანი და პოლიტსაბჭოს წევრები აირჩიეს. მთავრობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ თუ რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი — გიორგი ვოლსკი ესაუბრება.**

**— საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „პარტია თვისობრივად ახალ ეტაპზე გადადის“. განხორციელებული ცვლილებებისა და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, რა შეიცვლება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

— ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ოცნება“ ევროპული მმართველობის საპარლამენტო მოდელს, ევროპული სოციალისტების გზას ირჩევს. რამდენიმე მთავარი მიმართულება გვაქვს განსახორციელებელი, მაგრამ ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული იქნება სოციალური საკითხები. ასევე პირველი რიგის ამოცანათა შორის იქნება უსაფრთხოების საკითხები, საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრება, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. ჩვენი მთავარი ამოცანაა ინვესტორების მოზიდვა და საინვესტიციო გარემოს შექმნა, რომელსაც, დიდი იმედი გვაქვს, სამოქალაქო საზოგადოებაში გადასული ბიძინა ივანიშვილი ხელს შეუწყობს. რაც მთავარია, სახელმწიფო მართვის სისტემა უნდა შეიცვალოს.

**— ბოლო დღეებში აქტუალურია კითხვა, დაბრუნდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი საქართველოში და დადგება თუ არა მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?**

— მე ვერანაირ წინაპირობას ვერ ვხედავ, რათა მოხდეს სააკაშვილის რეაბილიტაცია როგორც პოლიტიკოსის და როგორც მმართველის, ვინაიდან, **მიხეილ სააკაშვილისა და მისი ძალადობრივი რეჟიმისგან გამიჯვნას უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც კი ცდილობენ. ამაზე, მართალია, ჯერ ჩუმად, ზოგადი რეპლიკებით, მაგრამ უკვე საუბრობენ და ეს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის საარჩევნო ლოზუნგებშიც კარგად გამოჩნდა.** მართალია, ხშირ შემთხვევაში, ჩვენ ძალიან მკაცრ რიტორიკა გვაქვს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიმართებაში, მაგრამ ადამიანური თუ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს რიტორიკაც კი არ არის საკმარისი, რათა ზუსტად შეფასდეს, თუ რა უბედურებასთან გვქონდა საქმე.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის დასჯას, ჩემი სუბიექტური აზრით, როდესაც სახელმწიფო სასწორზე დებს არჩევანს — სახელმწიფოს ინტერესებსა და სააკაშვილის დასჯას შორის, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ინტერესებმა უნდა გადაწონოს. **თუ სააკაშვილის დაპატიმრება სახელმწიფოს ინტერესებს დააზიანებს, რასაკვირველია ასჯერ უნდა გავზომოთ, სანამ რაიმეს გადავწყვეტთ. თუმცა, მე პირადად ვფიქრობ, რომ თუ გერმანიის პრეზიდენტს, ბატონ ვულფს იმის გამო ასამართლებენ, რომ მისმა მეგობარმა სასტუმროსა და რამდენიმე კათხა ლუდში 917 ევრო გადაიხადა და ეს პრეზიდენტს სერიოზულ გადაცდომად ჩაუთვალეს, ჩვენ გაცილებით დიდი დანაშაულთან გვაქვს საქმე.**

თუმცა აქ ერთი პრობლემაა. გერმანიისგან განსხვავებით, ევროპისთვის ჩვენ არ ვართ სტაბილური დემოკრატიული ქვეყანა, სადაც ზუსტად იციან, რომ სასამართლო უკანონო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს. ასე რომ, აუცილებელია საფუძვლიანი არგუმენტები. ზოგიერთმა შეიძლება ეს ყველაფერი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევად შეაფასოს, მაგრამ ევროპის მიერ ჩვენი სრულფასოვანი აღქმა სწორედ შიდა საქმეს სჭირდება.

**— თუმცა, არ ფიქრობთ, რომ ეს მართლაც ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევაა? თუნდაც საკმარისია შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის განცხადება გავიხსენოთ, როდესაც ის ამბობს „ჩვენ მკაფიოდ ვუთხარით ივანიშვილს, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება ქვეყანას ზიანს მიაყენებს“. ამას გარდა, აშშ ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადება, ნაციონალური მოძრაობის მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიარების შესახებაც ამის დადასტურებას წარმოადგენს...**

— მე წმინდა დიპლომატიურად და პოლიტიკურად ვუყურებ ამ საკითხს. პირდაპირი დარტმა ბილდტზე ან ნორლანდის განცხადებაზე საჭირო არ არის. ყველა შემთხვევაში, აქსიომაა რომ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, რათა ის მხარდაჭერაც არ დავკარგოთ რაც მსოფლიოში დღეს გვაქვს.

**— მაშინ რატომ ვერ მოახერხა ახალმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოება დაერწმუნებინა, თავის სიმართლეში და რატომ უჭერს ის ამ დრომდე მხარს სააკაშვილის ხელისუფლებას?**

— აქტიურად საქართველოს უჭერენ მხარს და არა სააკაშვილს, რათა არ მოხდეს ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით ადამიანების გასამართლება. თუმცა, გეთანხმებით, რომ ამ მიმართულებით მუშაობაა საჭირო, რათა ყველა დავარწმუნოთ, რომ როდესაც ყოფილ მაღალჩინოსნებს პასუხს სთხოვს, საქართველოს ხელისუფლებას არავითარი პოლიტიკური მოსაზრება არ გააჩნია.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ევროპა სააკაშვილს კი არა, საქართველოს სახელმწიფოს უჭერს მხარს, თუმცა ჩნდება კითხვა: რატომ არ იყო ასეთი მკაცრი საერთაშორისო საზოგადოება ყოფილი ხელისუფლების მიმართ, თუნდაც 7 ნოემბრის, 26 მაისის სასტიკი დარბევების შემდეგ, როდესაც ხელისუფლების ქმედებები დემოკრატიის ჩარჩოებს სცდებოდა? როდესაც ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ და ამის შესახებ ევროპაში ინფორმაცია ჰქონდათ, ასეთი სიმკაცრე არ გამოუხატავთ...**

— კარგი კითხვაა. ძალიან კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ნელა ახდენს გარესამყარო რეაგირებას. კიდევ არ გვეგონა, ასეთი მძლავრი თუ იყო „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდისტული აპარატი. მე არ ვამბობ, რომ ვინმეს ქრთამს აძლევდნენ, ეს მართებული არ იქნება, მაგრამ **მილიონები ლობისტებში იხარჯებოდა. ასეთ ვითარებას ხელს უწყობდნენ ასევე ე.წ. ქართული სატელიტური ოპოზიციური პარტიები, რომლებიც საჭიროების დროს ყოველთვის უკან იხევდნენ.** მაგრამ არსებობს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, რომელიც მართალია, დროში გაიწელა, მაგრამ მაინც იმუშავა. რასაკვირველია, არჩევნებში ქართულმა საზოგადოებამ გაიმარჯვა, მაგრამ არა საერთაშორისო დახმარების გარეშე. თორემ ის ინციდენტი, რაც საპარლამენტო არჩევნების დროს ხაშურში მოხდა, მთელ საქართველოს მოედებოდა.

ერთი რამ უნდა ითქვას: **საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია პრაგმატულია და ისინი საკუთარი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. მათ როგორც კი დაინახეს პოლიტიკური ძალა, რომელსაც საზოგადოება მხარს უჭერდა, ნელა, დაფიქრებით, მაგრამ მაინც მიიღეს ეს ძალა.**

**— ამ ცოტა ხნის წინ უკრაინას ევროკავშირმა პირობა წაუყენა. ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე აცხადებდა, რომ შეთანხმება ხელმოსაწერად მზადაა, მაგრამ ჯერ ქვეყანაში შერჩევითი სამართალი უნდა შეწყდეს. საქართველოს მიმართაც რომ ასე დაისვას საკითხი, როგორ მოიქცევა ხელისუფლება ამ შემთხვევაში?**

— რთული საკითხია. ორი ვარიანტია აქ, ან უთხრა მათ, რომ საერთოდ არ მაინტერესებს თქვენი აზრიო და დარჩე მოკავშირეების გარეშე, რაც შეუძლებელია, ან წახვიდე და შენი სტრატეგიული თამაში ითამაშო. ამიტომაც შეიქმნა პოლიტიკური საბჭო და მთავრობის ახალი შემადგენლობა ჩამოყალიბდა, რომ ასეთი საკითხები ერთად გადავწყვიტოთ. უნდა გაითვალისწინო, რა დაგაზიანებს, ზოგჯერ შეიძლება უკან დაიხიო, მაგრამ ამით წინ წახვიდე.

თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი მთავარი რამ: საქართველოს დღევანდელი სამართლებრივი სისტემა ძალიან განსხვავდება უკრაინის სამართლებრივი სისტემისგან. ჩვენ გაცილებით დახვეწილი, ევროპული ტიპის მმართველობის სისტემა გვაქვს. ამიტომ ჩვენი პოზიცია ამ შემთხვევაში უკრაინასთან შედარებით, რაღაც დოზით უფრო ძლიერია.

**— საქართველო კრიზისის მართვის ოპერაციებში ევროკავშირის პარტნიორი ხდება, რის შემდეგაც, ქართველო ჯარისკაცები აფრიკის, მალის, ლიბიის საზღვრის დაცვის მისიებში მიიღებენ მონაწილეობას. იქნება თუ არა ISAF-ის ოპერაციის მსგავსი და დადებითს რას მოუტანს ეს საქართველოს?**

— შეთანხმება ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკოსები ამ თემის განხილვისას გულახდილები არ არიან და პიარის მოთხოვნებს უფრო ემორჩილებიან. **ჩვენ თუ ევროპული ოჯახის წევრები ვხდებით, პასუხისმგებლობაც უნდა გავინაწილოთ. თუნდაც ISAF-ის მისიაში მონაწილეობაზე, წინააღმდეგობა მხოლოდ საქართველოში არ არის, უცხოეთშიც ბევრს არ უნდა ეს, მაგრამ ამავე დროს კარგად ესმით, რომ ავღანეთი რუკაზე შეიძლება შორსაა, მაგრამ გლობალური და პოლიტიკური განზომილებით ძალიან ახლოსაა.** რასაკვირველია, ამ მისიას თავისი დანაკარგი ახლავს. ხშირ შემთხვევაში მძიმე დანაკარგიც და ბევრი ადამიანი ზარალდება, მაგრამ სამწუხარო რეალობაა, რომ სამყაროში სრულფასოვანი არაფერი არ არსებობს. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველო გამოკეტილია რეგიონში, რომელიც აგრესიული პროცესებით გამოირჩევა. ამიტომ, როდესაც შენს გარშემო ასეთი გლობალური პროცესები მიმდინარეობს, შენი რესურსების სიმწირე, სამწუხაროდ, გავალდებულებს გარკვეულ კომპრომისზე წახვიდე. ეს საქართველოს რეალობაა. ისტორიის მანძილზე, ქართველები იძულებულები იყვნენ, საკუთარი მომავლის გადასარჩენად, სხვის ომებში ებრძოლათ.

**— ამიერიდან მკაცრდება ვიზების გაცემა. ამ ინფორმაციამ ემიგრანტი ქართველების შეშფოთება გამოიწვია. იქნებ განმარტოთ, ვის შეეხება ეს რეგულაცია და უცხოეთის მოქალაქეობის მქონე ქართველები თუ შეძლებენ ქვეყანაში დაუბრკოლებლად შემოსვლას?**

— პრობლემები უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს არ შეექმნებათ და არავის ინტერესი არ დაზარალდება. ბევრ ქვეყანასთან დარჩება უვიზო რეჟიმი, მაგრამ არ შეიძლება ყველა ქვეყანას უვიზო რეჟიმი ჰქონდეს ჩვენთან, მაშინ როცა ჩვენი მოქალაქეები საკმაოდ რთული პროცედურებს გადიან მათ ქვეყანაში ჩასასვლელად. მე სიტყვა გამკაცრებას არ გამოვიყენებდი, უფრო ასე ვიტყოდი, გარკვეულ ქვეყნებთან მიმოსვლა ჩვენს ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობაში მოვა.

**— რაც შეეხება ბინადრობის ნებართვის გაცემის წესში ცვლილებას, „გაუქმებულია მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობა პირებზე, რომლებსაც შეუწყდათ საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო“. ის ადამიანი, ვინც უცხოეთის მოქალაქეობას მიიღებს, გარკვეულიდ დროის გასვლის შემდეგ, ბინას დაკარგავს?**

— ბინის დაკარგვის საფრთხე არავის არ შეექმნება, მაგრამ მუდმივი ბინადრობის ნებართვა არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, რომელსაც წლებს განმავლობაში საქართველოსთან კავშირი არ ჰქონია. რეგულაციების დეტალებს უნდა დავუკვირდეთ, რომელიც ამ ყველაფერს დაარეგულირებს. გარკვეულ გამოსაცდელ ვადებზეა საუბარი. ასე რომ, შეგვიძლია საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები დავამშვიდოთ.

**— როგორ შეაფასებთ აშშ-ის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადებას, როდესაც მან ბრძანა, რომ ქართველები ოსებს და აფხაზებს ცუდად ვექცეოდით და ამიტომ ბოდიში უნდა მოვიხადოთ?**

— რიჩარდ ნორლანდმა განმარტა, რომ მან 20 წლის წინანდელი პერიოდი იგულისხმა, მაგრამ სენსაციისთვის სათაურში იყო გამოტანილი საუბრიდან ამოჭრილი ერთი ფრაზა, როგორც ხდება ხოლმე. თუმცა, საქართველოს ისტორიის მანძილზე, არც ერთხელ არც რელიგიურ და არც ეთნიკურ ნიადაგზე საქართველოში დაპირისპირება არ ყოფილა. **ვფიქრობ, ნორლანდმა იჩქარა ბოდიშთან დაკავშირებით, რადგან ბოდიშის მოხდა რომ რაიმეს შველოდეს, მაშინ აფხაზების და ოსების მხრიდანაც უამრავი ბოდიშია მოსახდელი. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მაინც „ვეფხვის და მოყმის“ ქვეყანა ვართ და მოვა დრო, როდესაც ქართველი, აფხაზი, ოსი ერთმანეთს ბოდიშს მოუხდის, მაგრამ ამას სტრატეგიული საფუძვლის შექმნა სჭირდება და არა ემოციები.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„უპირველეს ყოვლისა, დავაკვირდეთ იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომლებიც უკვე იქ არიან. ჩვენ ვხედავთ, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა არაა მთლად სახარბიელო. მეტიც, იგივე საბერძნეთი რომ ავიღოთ ან პორტუგალია, ესპანეთი, მათ ძალიან დიდი ეკონომიკური პრობლემები აქვთ. ეს კი უკვე ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, ჩვენ რა პერსპექტივა შეიძლება გვქონდეს ამ კავშირში და რას მივიღებთ რეალურად...“



## თამარ კიკნაძე:

# რუსეთის პოლიტიკის ნიველირება კარგს არაფერს მოგვიტანს

**აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მესამე სამიტამდე ერთი დღე დარჩა. 28-29 ნოემბერს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გადაწყდება, შეძლებს თუ არა საქართველო ევროკავშირთან ასოცირებას. თავად დასავლელი ლიდერების განცხადებით, ქართულმა დემოკრატიამ ბოლო ორ არჩევნებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, თუმცა რამდენად არის ის ევროპისთვის შესაშური, როგორც ამას აწ უკვე ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი გვპირდებოდა, ჯერჯერობით უცნობია. საზოგადოებაში წინსვლისა და წარმატების მოლოდინია, ხელისუფლება კი ხალხს ევროინტეგრაციასთან ერთად კონფლიქტების მოგვარებას და კრემლთან ურთიერთობის დალაგებას ჰპირდება.**

**რა პერსპექტივა გვაქვს რეალურად ვილნიუსის სამიტზე და რას მოუტანს საბოლოოდ საქართველოს ცალსახად პროდასავლური ორიენტაცია — ამ საკითხებზე გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ კიკნაძე.**

**— ქალბატონო თამარ, უწინარესად, ვილნიუსის სამიტზე გკითხავთ: რა მოლოდინი შეიძლება გვქონდეს და რა შეიცვლება რეალურად ჩვენთვის, თუკი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებას მივაღწევთ?**

— ჯერ ერთი, ასოცირების პარაფირება არ გვაძლევს გარანტიას, რომ შენ გახდები ევროკავშირის წევრი. ამის ნათელი მაგალითია თურქეთი, რომელიც დაახლოებით 50 წელი იღვწის და შედეგი ვერ მიიღო. ზოგადად, ესაა ტიპიური ევროპული პოლიტიკა თავისი პრაგმატიზმით. ეს კი ითვალისწინებს გრძელვადიან პერსპექტივას, რომელსაც განსაზღვრავს კონკრეტული კრიტერიუმები.

**— საქართველო რამდენად ახლოსაა ამ კრიტერიუმებთან?**

— გადამწყვეტი მარტო ეს არაა. კი, კრიტერიუმები მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი ისეა განსაზღვრული, რომ, თუ პოლიტიკურ კონიუნქტურაში არ ჯდება, ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფოს უარი ეთქვას კავშირში მიღებაზე; ამ დროს ოფიციალური ვერსია იქნება სულ სხვა და განცხადებებიც გაკეთდება შესაბამისად. რაც შეეხება თქვენს პირველ შეკითხვას, რას მოგვიტანს ევროპულ ოჯახში გაწევრიანება, **უპირველეს ყოვლისა, დავაკვირდეთ იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომლებიც უკვე იქ არიან. ჩვენ ვხედავთ, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა არაა მთლად სახარბიელო. მეტიც, იგივე საბერძნეთი რომ ავიღოთ ან პორტუგალია, ესპანეთი, მათ ძალიან დიდი ეკონომიკური პრობლემები აქვთ. ეს კი უკვე ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, ჩვენ რა პერსპექტივა შეიძლება გვქონდეს ამ კავშირში და რას მივიღებთ რეალურად...**

**— იმავეს იტყვით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზეც?**

— რა თქმა უნდა, ნატოს შემთხვევაშიც დასავლეთი ძალიან პრაგმატულია. ამის მაგალითია საქართველო; არ არის ალიანსში, მაგრამ იმდენი ვალდებულებები აქვს, რამდენიც არ აქვთ წევრ სახელმწიფოებს.

**— რაც შეეხება უკრაინას, რამდენიმე დღის წინ ქეთრინ ეშტონმა და შტეფან ფულემ განაცხადეს, რომ იანუკოვიჩზე რუსეთის პოლიტიკური ელიტა, კერძოდ, პრეზიდენტი პუტინი ახორციელებდა ზეწოლას. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს?**

— საერთოდ პოლიტიკა ფასდება არა პროცესით, არამედ შედეგით. შედეგი კი არის ის, რომ უკრაინამ უარი თქვა შეთანხმებაზე. თუ რით იყო ეს განპირობებული, ცალკე თემაა, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო და იანუკოვიჩზე მართლაც ზეწოლა მოეხდინათ, ფაქტია, ამან გაამართლა და სუვერენულმა სახელმწიფომ გადაწყვეტილება შეცვალა. ეს რუსეთის პოლიტიკური გამარჯვებაა. ასე რომ, აღიარებს ამას დასავლეთი თუ არა, ამით რეალურად არაფერი შეიცვლება.

**— თუკი ჩვენთვის მომგებიანი არ არის ევროკავშირთან დაახლოება, რატომაა, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტა ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ქვეყნის ისტორიულ არჩევნად წარმოაჩენს?**

— მე პირადად არ მინახავს, სადმე დებატები ყოფილიყო იმაზე, თუ რას ნიშნავს კონკრეტულად ევროპული ფასეულობები და ღირებულებები. ასევე, არავინ საუბრობს მთავარ საკითხზე — რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირება; ჩვენ, უბრალოდ, აპრიორად გვაწოდებენ იმას, რომ ისტორიული არჩევანი არის დასავლური გზა და თურმე ამ გზას ალტერნატივა არ გააჩნია. **პოლიტიკურ ელიტას რაც შეეხება, აქაც ყველაფერი გასაგებია: ისინი ატარებენ ცალსახად პროამერიკულ პოლიტიკას და ემსახურებიან მათ ინტერესებს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქართველოში დღემდე არაფერი შეცვლილა.** ამიტომ არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ **სანამ არ დაბალანსდება საგარეო პოლიტიკა, წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არაფერს ვამბობ იმ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელიც გამოიხატება თუნდაც საგარეო ვალებში.**

**— თქვენ პროამერიკული ძალები და დაბალანსებული პოლიტიკა ახსენეთ. ხელისუფლების ფორმირების პროცესი, ფაქტობრივად, დასრულდა. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი მმართველი გუნდი რამდენად გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს?**

— პირადად პრემიერმინისტრი პატრიოტი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ პოლიტიკური სპექტრი ერთგვაროვანი არაა. აქ არის სხვადასხვა ჯგუფი, რომლებსაც განსხვავებული ინტერესებიც აქვთ და შეხედულებებიც. ყოველ შემთხვევაში იმედს ვიტოვებ, რომ ღარიბაშვილი შეძლებს საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკის გატარებას, თუმცა იმ გლობალისტების პირობებში, რომლებიც მრავლად არიან მის გუნდში, გარკვეული წინააღმდეგობები, ალბათ, იქნება.

**— მით უმეტეს, იმ გლობალისტებს უფრო მეტი პოლიტიკური გამოცდილებაც გააჩნიათ.**

— გამოცდილებაც და მხარდაჭერაც. მიუხედავად ამისა, მაინც მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ის ჯგუფი, რომელიც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებზე იქნება ორიენტირებული, საბოლოოდ გაიმარჯვებს.

**— ზოგადად, ბოლო ოცი წელია, ქართულ პოლიტიკაში ერთი და იგივე სახეები ტრიალებს: ყოფილი მხედრიონელები, ყოფილი „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები და „ნაციონალები“. თქვენი აზრით, რითაა ეს განპირობებული და რატომ ვერ ხერხდება ამ ხნის მანძილზე ახალი ხალხის შემოყვანა ასპარეზზე?**

— პირველ რიგში, ეს არის დაბალი პოლიტიკური კულტურის ბრალი. აბსოლუტურად სწორად ბრძანეთ, ჩვენ მუდმივად ერთსა და იმავე ხალხს ვხედავთ, რომელიც აქედან იქით გადაბარგდებიან და პირიქით; **საერთოდ, ის პატრიოტიზმი, რომელიც ქვეყანას სჭირდება, არ არსებობს, ამიტომ ჯანსაღი პროცესები არ მიდის. გარდა ამისა, პოლიტიკური ასპარეზი ერთგვარი ჩაკეტილი წრე გახდა. მათ კი, ვისაც სუფთა ბიოგრაფია აქვთ და გამოცდილებაც გააჩნიათ, არ უნდათ ამ სფეროში ფეხის შედგმა, ვინაიდან ითვლება, რომ ეს ბინძური საქმეა.**

**— ასე თუ ისე, ფაქტია, რომ დამოუკიდებლობიდან დღემდე საქართველოში ერთგვარი პოლიტიკური სტანდარტი ჩამოყალიბდა — პროდასავლურობა, რომელმაც გარკვეულწილად საზოგადოებაც დააკომპლექსა. რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ქვეყანა გამოვიდეს ამ ჩარჩოდან?**

— პირველ რიგში, უნდა მოვიდეს ეროვნული ხელისუფლება და, თუკი ამ პრო-ს მაინცდამაინც პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად ვაქცევთ, მაშინ ის უნდა იყოს პროქართული. აი, ამ გადმოსახედიდან უნდა განისაზღვრებოდეს, რა ნაბიჯებს ვდგამთ, საით მივდივართ, რა გვჭირდება და რა არა. დანარჩენი კი უკვე დეტალებია და ამას პოლიტიკური ელიტა წყვეტს საზოგადოებასთან შეთანხმებულად.

**— ჭეშმარიტად პროქართულობა იმთავითვე ნიშნავს არც ერთი პოლუსის მხარდაჭერით სარგებლობას. ასეთ ძალას რა პერსპექტივა აქვს რეალურად?**

— სამწუხაროდ, გამოჩენისთანავე მისი მარგინალიზება ხდება და ითვლება, რომ ეს არის რეგრესისკენ მიმართული, ჩამორჩენილი ძალა. კიდევ ვიმეორებ, **ასეთი სივრცეა შექმნილი, რომ ეროვნული ადამიანების დისკრედიტებას ახდენენ და მათ ერთგვარ პოლიტიკურ ბორკილებს ადებენ! ეს იმას ნიშნავს, რომ, მოგვწონს თუ არა, დღეს ძალაუფლება გლობალისტების ხელშია.**

## «ეროვნული ადამიანების დისკრედიტებით მათ ერთგვარ პოლიტიკურ ბორკილებს ადებენ»

**— საინტერესოა, რუსეთი რატომ არ ცდილობს საქართველოში დასაყრდენის გაძლიერებას? ეს დასაყრდენი რომ არსებობდეს, ალბათ, პოლიტიკური ველიც ბევრად უფრო დაბალანსებული იქნებოდა.**

— სხვათა შორის, რუსეთი ძალიან პრაგმატულად იქცევა და, ისტორიას თუ გავიხსენებთ, ეს შეიძლება შევადაროთ 1795 წელს, როდესაც სანამ აღა-მაჰმად ხანმა ბოლომდე არ დაასუსტა საქართველო, მანამდე თავს იკავებდნენ მოქმედებისგან. საერთოდ, **რუსეთში ახლა მთლიანად ისტორიული პროცესების გადახედვა და შესწავლა მიდის, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება ჩვენთან. აქედან გამომდინარე, მათი ნაბიჯები აბსოლუტურად პრაგმატულია და ზუსტად შეესაბამება იმ რეალობას, რომელიც დღესდღეობით შექმნილია მსოფლიოში.**

**— სააკაშვილის მისამართით ხშირად ისმოდა ხოლმე ბრალდებები, რომ ის მკვეთრად პროდასავლური პოლიტიკოსის იმიჯს ხელოვნურად იქმნიდა, სინამდვილეში კი რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა. არგუმენტად 2008 წლის აგვისტოს ომი, ტერიტორიების დაკარგვა და სტრატეგიული ობიექტების რუსი ინვესტორებისთვის მიყიდვა სახელდებოდა. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს მოსაზრება?**

— სააკაშვილის პრორუსულობაზე საუბარიც ზედმეტია, მაგრამ იმას, რომ მისი პოლიტიკა ქვეყნისთვის დამანგრეველი აღმოჩნდა, თავისი მიზეზი აქვს. ის, უბრალოდ, იმდენად ანტიქართულ, ანტიეროვნულ კურსს ატარებდა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო რაიმე სიკეთის მოტანა. ამ დროს კიდევ ვიმეორებ, რუსეთის პოლიტიკა არის წმინდა პრაგმატული და თავიდან ბოლომდე გათვლილი მათ ეროვნულ, ნაციონალურ ინტერესებზე.

**— რა იყო ჩვენ მიერ ბოლო 20 წლის მანძილზე გატარებული პოლიტიკის ყველაზე დიდი შეცდომა რუსეთთან დაკავშირებით?**

— საქართველომ აბსოლუტურად არასწორი, არაადეკვატური ნაბიჯი გადადგა, როცა კრემლის ფაქტორი ჩამოწერა. ამასწინათაც მოვისმინე, ვიღაც ამბობდა, შევარდნაძემ თქვა რუსეთი დაიშლებაო. აი, ამ მითებში ვცხოვრობთ ჩვენ დღემდე. **რუსეთი არა თუ არ დაიშლება, ის სულ უფრო გაძლიერდება და წარმატებებს წარმატებებზე მიაღწევს საერთაშორისო ასპარეზზე. ასე რომ, ის არის შენი ძალიან დიდი მეზობელი, რომელსაც აქვს სერიოზული გავლენა და რუსეთის პოლიტიკის ნიველირება კარგს არაფერს მოგვიტანს.**

**— ევრაზიულ კავშირზეც გკითხავთ: ერთადერთხელ განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ღიად, თუკი ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება, შესაძლოა, გაწევრიანებაზე ვიფიქროთო და „ნაციონალებმა“ მაშინვე მის რუსეთის აგენტობაზე დაიწყეს საუბარი. როგორ ფიქრობთ, რას მოგვცემს რეალურად საბაჟო კავშირის წევრობა და რამდენად შედის ეს ჩვენს ინტერესებში?**

— უწინარესად, ივანიშვილის განცხადებაზე ვიტყვი. ეს იყო აბსოლუტურად სწორი აქცენტი და გზავნილი როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ ჩვენ, პირველ რიგში, ვემსახურებით საკუთარ ეროვნულ ამოცანას. ამას ვინ როგორ გაშიფრავდა, სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, პრიორიტეტის ხაზგასმა მოხდა პირველი პირის დონეზე. ზოგადად, ქართულ პოლიტიკას ახასიათებს ინფანტილიზმი, გაუთვლელობა, არაპრაგმატიზმი და სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება. ვთვლი, რომ ეს არის პროვინციალიზმი, როდესაც შენ გინდა, იყო ის, რაც სინამდვილეში არ ხარ.

**— ეს პროდასავლურობასაც ეხება?**

— ცხადია. **როცა ამბობ: მე ვარ ევროპელი და რეალურად არ ხარ, ეს არის ერთგვარი ღამურას სინდრომი. აი, ამ პროვინციალიზმს უნდა დააღწიოს საქართველომ თავი და საბოლოოდ დაამკვიდროს პრინციპი, რომ არავინ და არაფერი დგას ეროვნულ ინტერესებზე მაღლა.** ამის გარეშე მუდმივად ვიქნებით მარიონეტული სახელმწიფო, რომელსაც ყოველთვის გამოიყენებენ სხვები, ქვეყანა კი წაგებული დარჩება.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გვინდა თუ არა ნატო?

## «ნატოში საერთოდ არ ფიქრობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე»



**უკვე თვეზე მეტია, რაც გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“ დაიწყო დისკუსია თემაზე — გვინდა თუ არა ნატო?**
**ალსანიშნავია, რომ უკვე გარკვეულწილად დასკვნის გამოტანაც შესაძლებელია, საქართველოს მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილი ნატოში ინტეგრაციის წინააღმდეგია, ისინი იმდენი არიან, რომ საქართველოს მთავრობის დაფიქრებად ღირს.**
**ადამიანები, რომელთაც საზოგადოება კარგად იცნობს, მართლაც არგუმენტირებულად ასაბუთებენ, თუ რატომ არ ულირს საქართველოს ნატოში შესვლა, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ იქნებ ხელს გვაძლევს კიდეც ნატოში შესვლა, თუ მთავრობა დეტალურ ინფორმაციას მოგვაწვდის და გაგვარკვევს იმ დოკუმენტების ტექსტების შინაარსში, რომლებზეც დღე-დღეზე ხელის მოწერას აპირებენო. მაგალითად, რას ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულება და ა. შ.**



**მამა ელიზბარი (დიაკონიძე), „წმინდა გიორგის სადროშოს“ დამფუძნებელი:**

— არასოდეს მომინდება, საქართველო ნატოს წევრი გახდეს. ეს არის თემა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოიწყო. **საქართველოს ნატოში გაწევრიანება ნიშნავს სექსუალურად გაუკუღმართებული ხალხის აღზევებას და ეს არამარტო ჩვენზე ვრცელდება, ყველგან ასე ხდება. მაგალითად, პარიზის მერმა გეიაღლუმში მიიღო მონაწილეობა. გიგი უგულავას ჟანდაბამდე გზა ჰქონია, მაგრამ არ მინდა, რომ ჩემი ქალაქის მერმა ასეთ ღონისძიებებში მიიღოს მონაწილეობა. მე არ მეგულება ქართველი მართლმადიდებელი, რომლისთვისაც ნატო ასეთ რამესთან არ ასოცირდებოდეს.**

ნატო ჩვენგან ითხოვს მათი ორგანიზაციის წევრ ნებისმიერ ქვეყანასთან ჩვენს თანამშრომლობას, მათ შორის — თურქეთთანაც, რასაც ვერასოდეს მოვიწონებ, რადგან თურქეთი არის ქვეყანა, სადაც ჩვენი ოჯახის წევრები მონებად მუშაობენ.

**და, რაც ყველაზე მთავარია, ჯერ არ მახსოვს, ნატო ვინმეს დახმარებოდეს, ისე, რომ იმ ქვეყანაში უზნეობა და გახრწნილება არ გაევრცელებინოს.**

**— მამაო ელიზბარ, ხელახლა რომ ჩატარდეს პლებისციტი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, თქვენი აზრით, მოსახლეობის რა რაოდენობა დაუჭერს მხარს?**

— საუბედუროდ, დაცვედნებულია ქართული აზროვნება და შეიძლება, იგივე შედეგი მივიღოთ, რაც ახალი პრეზიდენტის არჩევისას, თუმცა ამას არჩევას ვერ დავარქმევ. ადამიანები საკუთარ აზრს ვერ გამოთქვამენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეშინიათ კაცისა და არა ღვთისა.

## «20-წლიანმა გამოცდილებამ ამ გზის უპერსპექტივობა ნათლად დაგვანახა. საქართველოში ნატოს მომხრეები უმცირესობაში არიან»



**ვალერი კვარაცხელია, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი:**

— არავითარ შემთხვევაში ნატო არ გვინდა. ეს ის გზაა, რომლითაც ჩვენ ჩვენს სამშობლოს, რომელიც ჯერ სამ ნაწილად არის დაშლილი, ცოტა ხანში რამდენიმე ნაწილად კიდევ დავშლით. **20 წელი გავიდა ნატოს მოლოდინში, სამწუხაროდ, ამას პოზიტიური არაფერი მოუტანია. მოგვიტანა მხოლოდ დაშლილი ქვეყანა, გაპარტახებული ეკონომიკა, გამათხოვრებული ერი, რომელიც ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ არის წასული. აი, ეს არის ნატოსკენ სწრაფვა.**

ნატოსთან უფრო დაახლოება ერთი და ძალიან დიდი მინუსი აქვს საქართველოსთვის, ყველა იმ უარყოფითთან ერთად, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ეს არის თურქეთიზაცია. **ყველაზე ახლოს ჩვენს მეზობლად ნატოს წევრი ქვეყანა თურქეთია, რომელიც, რა თქმა უნდა, თავისი პირადი გავლენის მოპოვებას, როგორც თავად იტყვიან-ხოლმე, დაკარგული აჭარის მიერთებას შეეცდება.**

**— ახლა თქვენი ოპონენტი ამას რომ ისმენდეს, გეტყოდათ, რომ ნატო სწორედ იმისთვის გვჭირდება, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება დავიცვათ და ავიცილოთ სხვა ქვეყნების ყოველგვარი ჰეგემონიაო.**

— თუ ამას ვინმე მეტყვის, ეს იქნება შიშველი განცხადება. ვერავინ დაამტკიცებს და დადებს იმ გეგმას, თუ როგორ აპირებს ნატო ჩვენს დაცვას და ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებას. ადამიანები კი, რომლებიც ნატოს წინააღმდეგნი ვართ, ყოველთვის არგუმენტირებულად ვსაუბრობთ.

20 წლის განვალობაში, ვერც დასავლეთისგან და ვერც ამერიკისგან ვერაფერი მივიღეთ. თუ ვინმეს უფრო მეტი სიღრმეები აინტერესებს, ვეტყვი, საქართველო ამ გზაზე რუსეთის აგრესიის ობიექტი გახდა და განსაკუთრებით მწვავედ 2008 წელს დადგა საკითხი, რომ ნატო და ევროკავშირი დაგვეხმარებოდა, მაგრამ დახმარება რაში გამოიხატა, ყველამ კარგად დავინახეთ. ამ ქვეყნებს არ აქვთ იმის პოტენციალი, რომ რუსეთს აშკარა წინააღმდეგობა გაუწიონ. **პრაქტიკულად საქართველო დაიშალა, რუსეთმა საბრძოლო ოპერაციებიც განახორციელა, აფხაზეთი და ცხინვალიც ძალით აღიარებინეს, დასავლეთი კი სადღაც მიიმალა და მხოლოდ ის გვითხრა, რომ ჩვენ ვცნობთ თქვენს ტერიტორიულ მთლიანობასო, რაც პრაქტიკულად არაფერს ცვლის.**

აი, მაგალითად, რა მოხდა უკრაინაში: მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ქვეყანა დადგა არჩევანის წინაშე — ან ურთიერთობა გაეგრძელებინა იმ სახელმწიფოსთან, რომელთანაც ისტორიულად არის დაკავშირებული, რაც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ხალხის კეთილდღეობას გააუმჯობესებს, ან არის მეორე გზაც, რომელიც ევროკავშირთან აბსურდული ასოცირებისკენ მიდის, რაც რეალურად არაფრის მომტანი არ არის. თუკი ევროპასთან ასოცირებულ უკრაინას რუსეთი ისევე მოექცეოდა, როგორც ის ევროპას ექცევა, ათეულობით მილიარდს დაკარგავდა, მთელი უკრაინის სამრეწველო პოტენციალი საფრთხის წინაშე დგებოდა. **უკრაინის მთავრობამ პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ უკრაინის მოსახლეობის ერთი ნაწილი, გარკვეულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან ერთად, თვალდახუჭული, მოწუსხულივით მიექანება დასავლური სივრცისკენ, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არც კი იცის, რისი მომცემია. ასეთ დროს უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგიერთები პირად ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ქვეყნისას, ზუსტად ისევე, როგორც საქართველოში მოღვაწე პოლიტიკოსები.** უკრაინელების არჩევანი სწორი იყო, მაგრამ ახლა მთავარია, დასავლეთის ზეწოლას გაუძლონ. თუ იანუკოვიჩი ამას ვერ გაუძლებს და გადაწყვეტილებას შეცვლის, მაშინ ძალიან მძიმე რეალობის წინაშე დადგება ქვეყანა.

**— ვდგავართ თუ არა საშიშროების წინაშე, რომ ტერიტორიების გარეშე მოხდეს საქართველოს ნატოში ინტეგრაცია?**

— სამწუხაროდ, ამის რაღაც სიგნალები იყო, ვგულისხმობ, ნორლანდის განცხადებას: „როგორც რუსეთი ექცეოდა საქართველოს, ისევე ექცეოდით თქვენ აფხაზებსა და ოსებს“. ეს ნიშნავს, რომ ის საქმეში ჩაუხედავია, მაგრამ ძალიან ცუდად მენიშნა, **დასავლეთი და ნატო მიდიან იქითკენ, რომ აიძულონ ჩვენი ხელისუფლება, ჩაიდინონ სამარცხვინო და საშინელი საქციელი, აღიარონ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა, ხოლო დანარჩენი საქართველო გაამზადონ ნატოში შესასვლელად.**

ასეთი რეალობის წინაშე ნამდვილად ვდგავართ.

იმედს ვიტოვებ, რომ ყოფილი პრემიერი პატრიოტი კაცია და ამას არ დაუშვებს. საქართველოს ისტორიაში არ დატოვებს თავის სახელს, როგორც ყველაზე სამარცხვინო მმართველი. და თუ მაინც წუთით დავუშვებთ იმას, რომ საქართველოს მთავრობამ ეს სამარცხვინო ნაბიჯი გადადგა, ეს საქმე მაინც არ გამოვა, რადგან ძალიან დიდი გეოპოლიტიკური თამაშია.

**ვფიქრობ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ახალი ეტაპის დაწყების წინაპირობა გაჩნდა. ეს არის არა კონფრონტაციის გზით სიარული, არამედ ინტერესთა გათვალისწინებით. ამისთვის არსებობს ბაზა პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც და, თუ გნებავთ, სამხედროც. ეს არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა. რუსეთის ინტერესების გათვალისწინება მიგვიყვანს იქამდე, რომ რუსეთი დაიწყებს ჩვენი ინტერესების გათვალისწინებას.**

**— უნდა ჩატარდეს თუ არა ხელახალი პლებისციტი იმასთან დაკავშირებით, გვინდა თუ არა ნატო?**

— ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ, თანაც არ მგონია, ნატოში ინტეგრაციას ქვეყანაში ბევრი მომხრე ჰყავდეს. მაშინ, როდესაც ეს გამოკითხვა ჩატარდა, ყველაფერი გაყალბებული იყო, მათ შორის — ამ გამოკითხვის შედეგებიც. თუ ოდესმე ვინმე გადაწყვეტს ასეთი პლებისციტის ჩატარებას, მაშინ აუცილებლად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამაც უნდა მიიღოს მასში მონაწილეობა.

**2008 წლის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჩვენ ძალიან ბევრი პრაქტიკული, თვალნათელი მაგალითები დავინახეთ, რა, როგორ უნდა განვითარდეს, ამიტომ ვფიქრობ, რომ ასეთი გამოკითხვის აუცილებლობა დღეს ნამდვილად არ დგას. 20-წლიანმა გამოცდილებამ ამ გზის უპერსპექტივობა ნათლად დაგვანახა. საქართველოში ნატოს მომხრეები უმცირესობაში არიან.**



**ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:**

— მთავარი საკითხი ნატოსთან დაკავშირებით ისაა, თუ რას მიიღებს საქართველო მასში გაწევრიანებით. **წარმოუდგენლად მიმაჩნია ჩვენი ნატოში ინტეგრაცია, სანამ ტერიტორიებს არ დავიბრუნებთ და დაკარგული რეგიონები ჩვენი არ იქნება. წარმოუდგენელია იმიტომ, რომ დაკარგულ ტერიტორიებზე უარს ვერასოდეს ვიტყვით. ხელისუფლებას, რომელიც ამას გაბედავს, ხალხი გააძევებს.** ასეთი პრობლემებით კი ნატოში საქართველოს არავინ მიიღებს, იმ უბრალო მიზეზით, რომ **ნატო ჩვენი გულისთვის რუსეთს არ დაუპირისპირდება.**

**— ამბობენ, რომ შესაძლებელია ასოცირების ხელშეკრულების პროცესი დაჩქარდესო. ასეთ შემთხვევაში, როგორ ფიქრობთ, ემუქრება საქართველოს თურქეთის ჰეგემონია?**

— არ ვიცი, რა წერია ასოცირების ხელშეკრულებაში, წარმოდგენა არ მაქვს და არამარტო მე, დარწუნებული ვარ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილიც დეტალურ ინფორმაციას არ ფლობს. **ჩვენ უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, რა ხელშეკრულებაზეა საუბარი, რომ შემდეგ ცუდი ფაქტის წინაშე არ დავდგეთ. ვფიქრობ, სანამ რამეზე ხელს მოაწერენ, მანამდე შინაარსი საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა გახდეს.** ის, რომ საზოგადოება საქმის კურსში არ არის და ხელი რაღაცას ეწერება, თავისთავად ამაზრზენი ფაქტია. ქართველი ხალხის ზურგს უკან არ უნდა ხდებოდეს არანაირ დოკუმენტზე ხელმოწერა, ვერავინ უნდა ბედავდეს ასეთ დროს ხალხის აზრის იგნორირებას.

**— რამდენად ხორციელდება ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე შევიდეთ ნატოში? ამას წინათ ნორლანდმა ცუდი განცხადება გააკეთა — თქვენ ისევე ექცეოდით ▶**

**რუსეთმა სირიაში აჩვენა, რომ 25-წლიანი ამერიკული ჰეგემონია დასრულდა, ანუ დღეს მსოფლიო ერთპოლუსიანი აღარ არის და ვის აძლევს ეს ხელს და ვინმეს მოსწონს თუ არა, ამის მიუხედავად, რუსეთი ნელ-ნელა იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს. აქედან გამომდინარე, მის ევრაზიულ პროექტს „გაქათმებული“ დასავლეთი ხელს ვერ შეუშლის.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **აფხაზებსა და ოსებს, როგორც რუსები გექცეოდნენო.**

— ამ ტერიტორიების გარეშე ნატოში ინტეგრაციის არანაირი, არც იურიდიული და არც მორალური, უფლება არ აქვს ხელისუფლებას. ასეთ რამეს მხოლოდ ქვეყნის მოღალატე ხელისუფლება გააკეთებს. ნორლანდის განცხადებას რაც შეეხება, ჯობია, ამერიკის ელჩი გაერკვეს, ვის ეკუთვნოდა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.

**— 20 წელზე მეტია, ნატოსკენ ვისწრაფვით. რა მოუტანა საქართველოს ამ წლებმა?**

— **არამარტო ნატოსკენ სწრაფვა, მთლიანად ეს 20-წლიანი პოლიტიკა, რომელიც დამოუკიდებლობის აღიარების დღიდან ხორციელდება, არასოდეს ყოფილა სახელმწიფოზე ორიენტირებული.** ვინც კი ხელისუფლებაში მოვიდა, ყველა თავის პირადი ცხოვრების ან კლანის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. სწორედ ეს არის ჩვენი გაუსაძლისი ყოფის მიზეზი. ამ მდგომარეობაში ვართ დღესაც, ქართველებს ნატო უნდა გამოგვეყენებინა რუსეთის წინააღმდეგ და პანაცეად არ უნდა გვექცია. ნატოც კლანურ ინტერესებზე გათვლილი იყო.

**— უნდა ჩატარდეს თუ არა ხელახალი გამოკითხვა — გვინდა თუ არა ნატო, და მოსახლეობის რა რაოდენობა დაუჭერს მხარს ნატოში გაწევრიანებას?**

— არ მგონია, რომ მოსახლეობის ისევ იმ რაოდენობამ დაუჭიროს მხარი ნატოში გაწევრიანებას, რამდენმაც 2008 წელს, თუ იქნება ნამდვილად ობიექტური პლებისციტი. ხალხის იმედგაცრუება იმან გამოიწვია, რომ ამ წლების განმავლობაში ნატოზე ფიქრი, სწრაფვა და ოცნება მითად იქცა. ნატოსკენ სწრაფვა მაგონებს კომუნიზმისკენ სწრაფვის პერიოდს, რომელიც ჰორიზონტზე ჩანდა და, რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო გვშორდებოდა... **რა მოაქვს ნატოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის? ეს საკითხი ჩემთვის გაუგებარია და მაშინ, როდესაც გაუთვითცნობიერებელი ხარ იმაში, თუ რას ნიშნავს ნატო შენი ქვეყნისთვის და უმთავრესი მოთხოვნის შესრულებისთვის, არანორმალურია იქითკენ სწრაფვა. განსაკუთრებით როდესაც ეს ნატო სულაც არ ფიქრობს შენი ტერიტორიების დაბრუნების არანაირ გეგმაზე.**

ესაუბრა

**ეკა ნასყიდაშვილი**

**P.S. „საქართველო და მსოფლიო“ ნატოს თემაზე დისკუსიას განაგრძობს. საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცემა ყველა მსურველს.**
**დაგვიკავშირდით**
**ტ.: 591 195 907,**
**ელექტრონული ფოსტა:**
**ekanaskidashvili@mail.ru**
**ან გაზეთში მითითებულ მისამართებზე.**

# უკრაინული გაკვეთილები და ქართული ვირეშმაკობა...

**პარადოქსი — არაჩვეულებრივი, უცნაური, მოულოდნელი აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებულისგან, ეწინააღმდეგება საღ აზრს — აი, ამ ბერძნული სიტყვის განმარტება და მართლაც ძნელია, უფრო უკეთესად შეაფასო ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება. მართლაც, თავი დავანებოთ ევრაზიულ კავშირს — უკრაინა და რუსეთი კულტურულად, რწმენით, ერთი ეკლესიით ხომ პრაქტიკულად ერთი ხალხია? კიევის რუსეთიდან დაიწყო ზოგადად რუსეთის ისტორია და უკვე რუსეთის იმპერიაში თავად კიევსაც „МАТЬ ГОРОДОВ РОССИЙСКИХ“ ერქვა. თუნდაც ამიტომ არის რუსეთის სურვილი ლეგიტიმური, რომ უკრაინასთან განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდეს!**

იქედან გამომდინარე, რაც უკრაინაში ხდება, ადვილად შეიძლება იმ სცენარის წარმოდგენა, თუ რა შეიძლება მოხდეს ხვალ საქართველოში, ანუ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ, როდესაც რუსეთი კიდევ ერთხელ და, ალბათ, საბოლოოდ მოიცლის ჩვენთვის, რასაც, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, კვლავ ქართულ ვირეშმაკობას დავუპირისპირებთ, მაგრამ ამაზე ქვემოთ. მანამდე კი გავიხსენოთ, რა და როგორ ვითარდებოდა ახალ კიევურ „მაიდანამდე“...

**უკრაინამ საბოლოო და მკაფიო უარი განაცხადა ნატოში გაწევრიანებაზე და მხოლოდ ევროინტეგრაცია დაისახა მიზნად. ამ ორი თუ სამი თვის წინ კი ვლადიმერ პუტინის ვიზიტისას ერევანსა და ბაქოში ჩვენმა მოძმე სომხეთმა წინმსწრები თანხმობა განაცხადა ე. წ. საბაჟო კავშირის, ანუ იმავე ევრაზიული კავშირის წევრობაზე. იმავე თემის ზონდაჟი მოხდა ბაქოშიც, როგორც ამ წერილის მომზადებისას შევიტყვე, ილხამ ალიევმაც ოფიციალურად განაცხადა უარი ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაზე!**

ალარაფერს ვიტყვი ყაზახეთზე და ზოგადად შუა აზიის რესპუბლიკებზე, რომლებიც აპრიორი და, რაც მთავარია, უპრობლემოდ მოიაზრებიან ევრაზიული კავშირის წევრებად. ამას დავუმატოთ ისიც, რომ აზიის ქვეყნებიც, ვიეტნამიდან დაწყებული და ჩინეთით დამთავრებული, სულ უფრო მეტად ამჟღავნებენ ცხოველ ინტერესს ამ მართლაც ათასწლეულის პროექტის მიმართ და დასკვნა ცალსახაა — ევრაზიული კავშირი აღარ არის მხოლოდ პუტინის ახირება, არამედ მან რეალური კონტურები შეიძინა.

**და ყველაზე მთავარი — რუსეთმა, სირიაში საკუთარი პრინციპული პოლიტიკური ნების წარმატებული დემონსტრაციის შემდეგ, როდესაც მან და მხოლოდ მან შეძლო აშშ-ის უკვე დაქოქილი სამხედრო მანქანის შეჩერება, როგორც ჩანს, გადაწყვიტა დასავლეთთან დიპლომატიური კეკლუცობის გარეშე, საკუთარი გეოსტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის აქტიური ქმედებების დაწყება და უკრაინა სწორედ ამ მოსაზრების სისწორის პირველი დასტურია!**

ზემოთ ბაქო და ერევანი ვახსენე და რა გამოდის? სამხრეთ კავკასიაში საქართველო ერთადერთი ქვეყანა იქნება, რომელიც რუსეთის დალაგებულ პოლიტიკურ პასიანსს აურევს და ამას რუსეთი შეეგუება?

**რა თქმა უნდა, არა და ამ მოცემულობის გათვალისწინება, პირველ რიგში, ჩვენს „მეოცნებე“ ხელისუფლებას მართებს, რომელიც მის წინამორბედებზე არანაკლებ ვირეშმაკობს!**

ერთის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს რუსეთთან ურთიერთობების თვისობრივად ახალი ტიპის დარეგულირებაზე და მეორე დღეს გიორგობის დღესასწაულს ულოცავს ქართულ ჯარს მთავარსარდალი მარგველაშვილი და იგივე ძველი პრონატოური რიტორიკა, თუმცა ახალი შტრიხებით — **ჩვენაო ისეთი ჯარი უნდა შევქმნათო, რომ ნებისმიერ აგრესორს დაეკარგოს სურვილი საქართველოსთან ომისაო — შინაარსობრივად ეს ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა. თუმცა რაღა ახალი, „ნაცებისგანაც“ მოგვისმენია, რომ ჩვენ თურმე ისეთი ჯარი გვყავს, რუსებს კრემლამდე თუ ვერა, ტულამდე მაინც გავრეკავთო!..**

ჰოდა, ნეტავ, ვინ უნდა იყოს ის „ნებისმიერი“, ისევ რუსეთი ხომ არა? ალბათ, რადგან თურქეთი, რომელიც ფერებ-ფერებით, ნაბიჯ-ნაბიჯ გვიპყრობს, როგორც „ნაცები“ მიიჩნევდნენ „ისტორიულ მეგობრად“, ასევე არც „ქოცებში“ განიხლება საფრთხედ და რუსეთის წინააღმდეგ ნატოს სტანდარტებით გაწვრთნილი ჯარით „რა ჩიტიც დავიჭირეთ“, 2008-ში გამოჩნდა!

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ უკრაინას. რა ხდება რეალურად კიევში? რა და „ტარანი ხომ თვლით არის“ და კიევის „რადაშიც“ დაითვალეს, რომ ევროკავშირის ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემთხვევაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უკრაინელებს გაუადვილებდათ ევროპის ქვეყნებში „სუდნოების გამტანებად“ ან რესტორნებში მიმტანებად




მუშაობის დაწყებას, სანაცვლოდ, ახლოვადიან პერსპექტივაში, მყისიერად დაატყდებოდათ თავს რუსეთის ეკონომიკური სანქციების მრავალმილიარდიანი ზარალი!

**ხოლო ის, რაც დღეს უკრაინის ქალაქებში ხდება, ერთის მხრივ, დასავლეთიდან ფინანსირებულ-ორგანიზებული ახალი ნარინჯისფერი, ოღონდ ამჯერად კონტრრევოლუციის მცდელობაა; მეორე მხრივ, ის, რომ პოლიციამ უკვე გამოიყენა ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი, იმას ნიშნავს, რომ კიევის ხელისუფლება აღარ აპირებს ახალი მაიდანის, ანუ კიდევ ერთი ნარინჯისფერი ჭირის დაშვებას! თანაც ცხადზე უცხადესია, რომ 50-მილიონიან უკრაინაში დასავლური გრანტებით მოსყიდული და კარგად დაფინანსებულ-ეკიპირებული 50 ათასი მომიტინგე პოლიტიკურ ამინდზე გავლენას ვერ მოახდენს...**

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩვენი ტელევიზიები მხოლოდ პროდასავლურ პროტესტზე საუბრობენ. არადა, „რადას“ გადაწყვეტილების მომხრეებიც, როგორც მინიმუმ, არანაკლებნი არიან. რას ემსახურება ჩვენი „თავისუფალი“ ტელევიზიების ასეთი ტენდენციურობა, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ უკრაინაში მიმდინარე პროტესტს და ჩვენი ტელევიზიების „თავისუფლებას“ ერთი დამფინანსებელი — საერთაშორისო ნეოლიბერალური სინდიკატი ჰყავს!

აქედან გამომდინარე, წამოყვეს თავი „ნაცების“ მიერ მართულმა ე. წ. არასამთავრობოებმა „თავისუფალი ზონის“ მეთაურობით და თბილისში ევროპის მოედანზე უკრაინელი ძმების სოლიდარობის აქცია გამართეს, რაც ისეთი ოსტატობით გადმოსცეს, რომ პანორამა არ გვაჩვენეს, რადგან იმ მომიტინგეთა სამარცხვინო სიმცირე არ დაგვეფიქსირებინა, რომლებმაც დაგმეს პოლიციის ძალადობა მომიტინგეებზე!

**მოდი და ნუ გაგეცინება — ნეტავ, სად, სოროსის რომელ სოროში ისხდნენ „თავისუფალი ზონის“ ვირთხები, როდესაც 9 წელიწადი გვარბევდნენ, გვაწამებდნენ, გვხოცავდნენ და გვაუპატიურებდნენ?..**

პარალელურად კეთდება ახალი ხელისუფლების წევრთა კომენტარები, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესები თბილისთან „გარტყმაში არ არის“ — რუსეთს იგივე ბერკეტები (რაც უკრაინის შემთხვევაში აქვს) საქართველოს მიმართ არ გააჩნია და ყველაზე მთავარიო, ბრძანა ალექსი პეტრიაშვილმა, საქართველოს მოსახლეობის 80% მომხრეა ნატო-ევროკავშირში გაწევრიანებისო, უფრო მეტიც, ამხელა პროცენტები თვით ნატო-ევროპის უკვე წევრ ქვეყნებშიც არ არისო!

**ამაზე დიდი ვირეშმაკობა, თვალებში ნაცრის შეყრა გაგონილა? ვირეშმაკა ხარ, მაშ, რა ჯანდაბა გქვია, როდესაც იცი, რომ ეს მაღალი პროცენტი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად „დაიდო“? არჩევნების, რომელიც, საყოველთაო აზრით, გაყალბებული იყო და შესაბამისად, ნატოს თემაზე დადებული 80%-ც გაყალბებულია და ათასჯერ მეტი ვირეშმაკა ხარ, როდესაც, როგორც უკვე „ნაცების“ სამართალმემკვიდრე მაინც თავხედურად აპელირებ მითიურ პროცენტებზე!**

მაგრამ დავუშვათ დაუშვებელი და ვითომ მართლაც 80% უჭერდა მხარს — შე ვირეშმაკა, იმ გამოკითხვის თუ რეფერენდუმის შემდეგ 2008 წლის აგვისტოს ომი მოხდა, ქართველებმა კარგად ვნახეთ ნატოს „კაიკაცობა“ და ისიც, რომ თანამედროვე დასავლეთი, ე. წ. ევროპული ღირებულებები დღეს სხვა არაფერია, თუ არა ერთი დიდი სოდომგომორი, რომელიც წალეკვით ემუქრება ყოველივე კულტურულს და მართლაც ღირებულს მთელ მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება განწყობები დღეს სხვაგვარი იყოს საქართველოში?

მაშინ ჩავატაროთ ახალი პლებისციტი, რატომ არ აკეთებს ამას „ქართული ოცნება“? იმიტომ, რომ ქართულ ოცნებებს დიდი დოზით გაერია სხვა, არაქართული (ეთნიკურობას არ ვგულისხმობ) ოცნებები და გეგმები. ბოლოსდაბოლოს ჩვენ 1 ოქტომბერს ბიძინასთან ერთად „ნაცების“ ალტერნატივას მივეცით ხმა და რა მივიღეთ? ერთი-ორი ახალი სახე და სინამდვილეში ძველი რესპუბლიკელები, „თავისუფლების ინსტიტუტი“, მისი გამოზრდილი ყოფილი კმარელ-მხედრიონელ-მოქკავშირელები მართავენ ქვეყანას!..

**აქედან გამომდინარე, არავითარი კოჰაბიტაცია არ დამთავრებულა და არც დამთავრდება, რადგან, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის განსხვავების ანეკდოტის არ იყოს, „ნაცებსა“ და „ქოცებს“ შორისაც ფუნას ურმის ბორბალი რომ გადაუვლის, მხოლოდ ეს განსხვავებაა, ანუ დღეს „ქოცები“ ოდნავ მეტნი არიან, ხვალ „ნაცები“ იქნებიან ოდნავ მეტნი და ქართველი ხალხი, ეს მერამდენედ, — კვლავ გაბითურებული...**

რუსეთმა სირიაში აჩვენა, რომ 25-წლიანი ამერიკული ჰეგემონია დასრულდა, ანუ დღეს მსოფლიო ერთპოლუსიანი აღარ არის და ვის აძლევს ეს ხელს და ვინმეს მოსწონს თუ არა, ამის მიუხედავად, რუსეთი ნელ-ნელა იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს. აქედან გამომდინარე, მის ევრაზიულ პროექტს „გაქათმებული“ დასავლეთი ხელს ვერ შეუშლის.

**რაც შეეხება უკრაინას, თუ ვირეშმაკობას მოვეშვებით, კიევი მართლაც გაკვეთილი შეიძლება აღმოჩნდეს. ანუ, ადრე თუ გვიან, სავარაუდოდ, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ უკრაინის მოვლენები ჩვენამდეც მოაღწევს და, თუ 40-მილიონიანი უკრაინა მოარჯულეს, როგორმე ქართულ საკითხსაც მოუვლიან და რა ჯობია ჩვენთვის: როგორც თავის დროზე დსთ-ში დაჩოქილები შეგვათრიეს ჩვენთვის სასარგებლო ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, ასევე იძულებით რომ მოგვიწიოს ევრაზიულ კავშირში შესვლა თუ ახლავე მივხვდეთ მოსახდენს და პირველ ეტაპზე ლტოლვილების დაბრუნების რეალური პერსპექტივის წინაპირობით გავხდეთ ამ კავშირის წევრი?**

თუ არადა, მაშინ ვიძახოთ ძველებურად „ნატო, ნატო!“, ისეთი ჯარი შევქმნათ, რომ რუსეთს აბაბანებდეს და იმავე რუსეთს „ვაჟკაცურად“ შევაკვდეთ...

**დავით მხეიძე**

ჩვენი მსოფლიო
ჩელიშია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როცა მე ევროპა ან ამერიკა პირობებს მიყენებს: შენ თუ გინდა, ჩვენთან შემოხვიდე, ამისთვის ვალდებული ხარ, აღიარო და დააკანონო ალვირახსნილობა და სხვა სექსუალური გადახრებიო, მე ვალდებული ვარ, დავფიქრდე, — ესენი რატომ მეპატიჟებიან. მიზეზი? როცა ადამიანი მეუბნება, აღიარე, ერთსქესიანი ქორწინებებიო ნორმად, თვალნათელი ხდება, ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ და ერთმანეთს ვერასდროს გავუგებთ!“**

# მამა თეოდორე (გიგნაძე): სოდომიტურ ევროპაში საქართველოს ადგილი არაა!

**ბოლო თვეებში თბილისის ქუჩები გაივსო დასავლური „დემოკრატიის“ მორიგი „ბოყინის“ — „არაბული გაზაფხულის“ მრავალრიცხოვანი მსხვერპლით, ანუ იმ ადამიანებით, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, მიეტოვებინათ სამშობლო იქ დატრიალებული არეულობების გამო. გაჭირვებული კაცის შეფარება მისასალმებელია, მაგრამ, ვაი, რომ ამ „გაჭირვებულთა“ დიდი ნაწილი ყიდულობს საცხოვრებელ ბინებს, მთლიან შენობებს, სახნავ-სათესი მიწის ფართობებს და, ვინც მოასწრო, სულ ახლახან ნაპრეზიდენტალ სააკაშვილისგან საქართველოს მოქალაქეობაც მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე მათ არ აქვთ, თუ, რა თქმა უნდა, „დამსახურებად“ არ ჩავთვლით მათ მიერ გახსნილ საროსკიპოებს... რატომ ხდება ეს უმსგავსობა დამოუკიდებელ და „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ საქართველოში? რატომ მივისწრაფვით სოდომიტური ევროპისკენ? ან რატომ დაემსგავსა ჩვენი სამშობლო იმ შემოუღობავ ყანას, რომელსაც მეზობლების საქონელი ჩლიქებით თელავს? — ამ საჭირბოროტო კითხვებზე თბილისის ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე გვიპასუხებს.**



**— მამაო, რატომ მივისწრაფვით იმ სამყაროსკენ, რომელშიც ყოველგვარ უზნეობას ნორმად აკანონებენ? უფალი ხომ პირდაპირ გვეუბნება, — რა უნდა შეიძინოს კაცმა სულის ნაცვლად, ღირს რამეში გაცვალო შენი მარადიული სიცოცხლეო?**

— იმ დღიდან, როდესაც ადამიანმა ღმერთი დაკარგა (ადამ და ევას ვგულისხმობ), დაკარგა უნარი ღმერთის ხილვისა და მარადიული სამყარო მისთვის უხილავი გახდა. მაგრამ ღმერთმა ადამიანს დაუტოვა საოცარი, აუხსნელი ფენომენი, რასაც ჰქვია რწმენა! თუ ადამიანი რწმენაში სულიერად გაიზრდება, იგი გულით ხედავს ღმერთს, ხოლო ძალიან, ძალიან წინ წასულ შემთხვევაში, თავად ღმერთს ხედავს, როგორც სინათლეს. რწმენა ყველას აქვს, ის თანდაყოლილი ნიჭია, ერთი შემთხვევის გარდა, როცა ადამიანი თავისუფალი ნებით თავად უარყოფს რწმენას.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი სამყარო ითვლება პოსტსეკულარულად, მასში სეკულარიზმი, ანუ თავისუფლება რელიგიური კანონებისგან და სწავლებისგან მაინც აგრესიულ ელემენტად რჩება და ის, რაც პოსტსეკულარულია, მაინც არაა რელიგიური, ამ სიტყვის სწორი გაგებით. **პოსტსეკულარული სამყაროს რელიგიურობა უფრო ოკულტისტურია და ძალიან შორსაა ზნეობისგან. ტრადიციული რელიგიებისგან განსხვავებით, რომლებიც უძველეს ფესვებთან ამყარებენ კავშირს და ტრადიციული ღირებულებებიდან აღმოცენდნენ, ოკულტური მიმდინარეობები ძალიან ხშირად ზნეობრივ გარყვნილებას ქადაგებენ. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი კაცობრიობა რელიგიურია, მაგრამ ამ რელიგიური კაცობრიობის ღმერთია ფული, ფუფუნება და ეს რელიგიურობა კერპთაყვანისმცემლობას ჰგავს.** აქ გაღმერთებულია მიწიერი კეთილდღეობა, აგრეთვე, თავისუფლებისა და სიყვარულის მიწიერი გაგება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის საჭირო აღარაა სიღრმისეული აზროვნება; და რაში სჭირდება ამგვარი აზროვნება, როცა მთელი მისი ენერგია მიმართულია მხოლოდ სიამოვნების მოპოვებისკენ, ხოლო ამისთვის საკმარისია რაღაც მიწიერი მეცნიერება, რომელიც ამ მიწიერ სიამოვნებას დაუკმაყოფილებს. აქედან გამომდინარე, სიღრმისეული აზროვნების დაკარგვისთანავე ადამიანი კარგავს ცხოვრების ჭეშმარიტ საზრისს. და როცა ამ ადამიანის გარშემო რაიმე მოვლენა ხდება, თუნდაც უკიდურესი სიმახინჯე, როგორიცაა, მაგალითად, ერთსქესიანი „ქორწინება“, იგი ამას ნორმად აღიქვამს — რა მოხდა მერე, — გეტყვის. — უყვარს და თავისუფალიაო... ხომ ხედავთ, როგორაა დამახინჯებული სიყვარულის და თავისუფლების მცნება!

ქართველების არჩევანი ოდითგან იყო ქართული სული და მართლმადიდებლური რწმენა. ეს იყო ჩვენი წინაპრების არჩევანი და, ეს ღერძი რომ შეენარჩუნებინათ, ისინი ლავირებდნენ ზესახელმწიფოებს შორის. დღეს ეს ღერძი თითქმის დაკარგულია. ქართველები უკვე იწყებენ ცხოვრების საზრისისა და არჩევანის ძიებას... პოლიტიკურ სიბრტყეში! ეს საერთოდ გამაოგნებელია! **როგორ შეიძლება ქართველი კაცისთვის არჩევანი იყოს ან ნატო, ან ევროკავშირი, ისევე, როგორც რუსეთი? ჯერ ერთი, რა წესია, როდესაც შენ, ხელისუფლებავ, ცალკეულ ადამიანს, მთელ ერს ცხოვრების საზრისად მიწესებ პოლიტიკურ სივრცეს და ამის იქით არ მახედებ; და მეორე, თუ ამ პოლიტიკურ სივრცეში მატარებ, ის მაინც გავაანალიზოთ, რას მაძლევს მე ეს ყველაფერი!** მე დამანახე საკუთარი თავი! რა იგულისხმება ევროპულ ფასეულობებში? ადამიანური ღირსება? პიროვნების თავისუფლება? მაგრამ ეს ყველაფერი ქრისტიანულია და ეს საქართველოში უკვე დიდი ხანია არის! მეხუთე საუკუნეში მე მყავდა მეფე, რომელსაც იმდროინდელმა ეკლესიის წინამძღვარმა კბილებში წიხლი ჩაარტყა. დამისახელეთ იმდროინდელი მეფეები, შუასაუკუნეების მეფეები, ან თუნდაც დღევანდელი ხელისუფალნი, რომლებიც ასეთ ქმედებას დაუსჯელად დატოვებდნენ. გვყავდა დავითი, გვყავდა თამარი, რომლის მეფობისას გაუქმდა ადამიანის სიკვდილით დასჯა?! **რა უნდა მასწავლონ ევროპელებმა — ის, რაც ჩემს გენეტიკურ მეხსიერებაშია და ჩემს ხასიათში?! მე რუსეთისკენ იმიტომ კი არ გავიწევ, ქრისტიანობა რომ შევიძინო; დასავლეთისკენ მე იმიტომ კი არ გავიწევ, სამართლებრივი წესრიგი და დემოკრატიული გარემო რომ მქონდეს. ერთიც და მეორეც ჩემს პოტენციაშია!**

ჩვენს ზოგიერთ უახლოეს წინაპარს მზე რომ ჩრდილოეთიდან ამოჰყავდა, მართლმადიდებლობის შენარჩუნებისთვის იწევდნენ რუსეთისკენ? არა! ეს იყო მერკანტილური ინტერესები, რომლებიც ქართულ სულს ასამარებდა! ასევეა ახლაც. დასავლეთისკენ იმიტომ მიისწრაფიან, რომ დაიკმაყოფილონ მიწიერი, ჰედონისტური მოთხოვნილებები, რომლებიც ჩემში კლავს ზნეობას, ღირსებას, თავისუფლებას, ქართულ სულს, მართლმადიდებლობას! ანუ მე თუ ღერძი დავკარგე, მე ყველაფერს ვკარგავ! ამიტომ მე ვამბობ, როგორც მღვდელი და ამ ერის შვილი: ჩემთვის თანაბრად მნიშვნელოვანია ოთხივე გეოგრაფიული მხარე: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი, რადგან ჩემთვის უპირველესია მთავარი ღერძი — ქართული სული, რომელიც მე მაკავშირებს ღმერთთან! იმდენადაა ყველაფერი მნიშვნელოვანი ჩემ გარშემო, რამდენადაც ის დამეხმარება ჩემს მისწრაფებაში. ამიტომ მე მუდამ უნდა ვახდენდე ლავირებას პოლიტიკურ სივრცეში, რათა ეს მთავარი მეტაფიზიკური ღერძი ქართველი ერისა და ქართული სულისა შენარჩუნდეს!

## «გამოფხიზლება გვმართებს! რაღაც არაჯანსაღი რამ ხდება, რაღაც ცუდს გვიპირებს ევროკავშირი!»

**როცა მე ევროპა ან ამერიკა პირობებს მიყენებს: შენ თუ გინდა, ჩვენთან შემოხვიდე, ამისთვის ვალდებული ხარ, აღიარო და დააკანონო ალვირახსნილობა და სხვა სექსუალური გადახრებიო, მე ვალდებული ვარ, დავფიქრდე, — ესენი რატომ მეპატიჟებიან. მიზეზი? როცა ადამიანი მეუბნება, აღიარე, ერთსქესიანი ქორწინებებიო ნორმად, თვალნათელი ხდება, ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ და ერთმანეთს ვერასდროს გავუგებთ!** სამწუხაროდ, არსებობს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური სირთულეები, მაგრამ ადამიანისთვის ესაა დროებითი მოვლენები, რადგან ჯანმრთელიც და ავადმყოფიც ერთნაირად გარდაიცვლებით. ჩვენთვის მთავარი მხოლოდ სულიერი ღირებულებებია! მე მრევლში მყავს ადამიანები, რომლებსაც გარკვეული მიდრეკილებები აქვთ და ეს ჯერ არაა დანაშაული. მაგრამ, როგორც კი ადამიანი უზნეობის პროპაგანდას იწყებს, მრუშობა იქნება ეს — ჰომოსექსუალობა, ნარკომანია, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, იგივე აბორტი, მაშინ ყალიბდება კატასტროფული ვითარება, რასაც ჩვენ არ ვილებთ და ვემიჯნებით! კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, **ავადმყოფური მდგომარეობა კი არაა დანაშაული, არამედ ამ მდგომარეობის ნორმად წარმოჩენა! ასე რომ, სოდომიტურ ევროპაში საქართველოს ადგილი არაა!**

**— მამაო, წმინდა მეფის — დავით აღმაშენებლის სახელობის გამზირზე მუსლიმანები საროსკიპოებს ხსნიან. მეჩვენება, რომ ამ უმსგავსობით თურქები და არაბები თავისებურ რევანშს მიმართავენ, მათთვის იმ საშინელი მრავალი მარცხისთვის, რომლებიც მათ წინაპრებს აგემა მეფე დავითმა, თუმცა აქვე ვამბობ, რომ ამ უცხოტომელებთან მე არავითარი პრეტენზია არ მაქვს, რადგან ისინი მარტო შედეგია. კითხვები მიჩნდება მიზეზთან — ქართველ მოხელეებთან, რომლებმაც უცხოელებს ამისი ნება დართეს. მაინტერესებს თქვენი აზრი.**

— ადამიანებს, რომლებიც ფულის გამო სამშობლოს მტრობენ, შესაძლოა, ამოძრავებდეთ მხოლოდ საკუთარი მერკანტილური მოსაზრებები, მაგრამ ამის უკან ბოროტი სული დგას და ეს, რა თქმა უნდა, რევანშია. დავით აღმაშენებელი არაა ჩვეულებრივი მეფე. მსოფლიოშიც ძალზე იშვიათია ხელისუფალი, რომელიც არა მხოლოდ ძლევამოსილ სახელმწიფოს შექმნის არაფრისგან, არამედ თავისი შინაგანი განწყობით არ ჩამოუვარდება არც ერთ ბერს! მარტო მისი „გალობანი სინანულისანი“ როგორ მეტყველებს მის შინაგან სამყაროზე! ამ ნაწარმოებს ჩვენი უწმინდესი პატრიარქი ანდრია კრიტელის კანონს ადარებს! საქართველოს მაშინდელი მტერი იყო მუსლიმანური სამყარო, რომელიც ევროპასაც მტრობდა. **თავისი მოღვაწეობით დავითმა საქართველო ააღორძინა და უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. დიდგორის ველზე მან გაანადგურა უზარმაზარი მუსლიმანური სამხედრო კოალიცია, რომელმაც მანამდე რამდენიმე წლით ადრე მუსრი გაავლო დასავლეთ ევროპის გაერთიანებულ ლაშქარს და ევროპის ასალაგმავად მიიწევდა. ამგვარად დავითმა ევროპაც იხსნა მუსლიმანთა წალეკვისაგან!**

როცა ჩვენ ამ ისტორიას ვიხსენებთ, ერთი კითხვა გვიჩნდება: დავითის ხმლის ქნევას რა აზრი ჰქონდა მისტიკური და მარადიული თვალსაზრისით? ის, რომ ის ტერიტორია, რომელზეც იყო ქართველთა სახელმწიფო, შემოზღუდა, რათა არ მომხდარიყო ასიმილირება და არ გარყვნილიყვნენ ზნეობრივად ის მოქალაქეები, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ, ქართველებიც და არაქართველებიც. **თუ დავით აღმაშენებელი ხმლით იცავდა ზნეობას, დღეს მისი სახელობის გამზირზე მიმდინარეობს სულიერი ბრძოლა! როგორც ამბობენ, იმ საროსკიპოებში ქართველი გოგონებიც არიან და ესაა კატასტროფა!** იქ მყოფ ნებისმიერ გოგონას, ეროვნების განურჩევლად, მე აღვიქვამ საკუთარ შვილად და მრცხვენია, რომ ამაზე არ ვყვირი... მართალია, ეს საშინელება წინა ხელისუფლების დანატოვარია, მაგრამ **ახლანდელი მთავრობის წევრებს ვეკითხები: თქვენი შვილი ან და რომ იყოს და კლიენტებს იცვლიდეს, რა ხასიათზე დადგებოდით? რადგან თქვენი შვილი ან და იქ არაა, წაყრუება შეიძლება?!**

**— თუ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს გადავხედავთ, ისინი ზნეობით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ. შარშან სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ორგიის კადრები. მას არ შერცხვა და გადადგომაზე არც უფიქრია! არაა გამორიცხული, რომ ასეთმა ადამიანმა გითხრათ: მერე რა, იყოს იქ ჩემი შვილიც, რადგან ევროპელი ვარო!**

— ნებისმიერი ხელისუფალი (და არამარტო ხელისუფალი) გახდება ისტორიის კუთვნილება, ცოტა ხნის შემდეგ ფურცლებს გადავშლით და წავიკითხავთ (თუ ჩვენ არა, ჩვენი შვილები), რომ ამა და ამ დროს, წელს ქალაქის მერი იყო ეს, შინაგან საქმეთა მინისტრი — ეს და აღარ არიან, ახლა სხვებია; და მათ უნდა ახსოვდეთ, სახელი და გვარი ჩაბარდება ისტორიას, „ხორცი“ ჩაიფლება მიწაში, სული კი — ჯოჯოხეთში. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანის ხორცი მიწაში ლპობისთვისაა განკუთვნილი, სახელი და გვარი — არქივისთვის, ხოლო შენი მარადისობა იქ არის, სადაც შენ, ადამიანმა (და არა ღმერთმა) გადაუწყვიტე. სად გადაუწყვიტე? იქ, სადაცაა აღვირახსნილობა, უზნეობა, უსიყვარულობა, გულგრილობა, უდარდელობა საკუთარი ხალხის მიმართ.

**— მამაო, ჩვენს ქვეყანაში, სადაც, სულ ცოტა, 70% მოსახლეობისა უმუშევარია და გვყავს ნახევარი მილიონი ლტოლვილი, ბევრი ემიგრანტი გაჩნდა, განსაკუთრებით, არაბული სამყაროდან. აღარაფერს ვამბობ ჩინელებზე, თურქებზე, ირანელებზე, აფრიკელებზე, ფილიპინელებზე და ა.შ. ხომ შეიძლება ამან გამოიწვიოს უკიდ-** ▶

**„თანდათან ამზადებენ ადამიანის ცნობიერებას, რათა მამათმავლობა და ასეთი უმძიმესი ცოდვები ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს. მშობელმა თუ შეამჩნია შვილს რაიმე გადახრა, არანაირი წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს, ექიმთან რომ წაიყვანოს, შეიძლება პრობლემები შეუქმნან, რაც უკვე მოხდა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიაში ბავშვს სექსუალურ გაკვეთილს უტარებდნენ, რაც მამამ გააპროტესტა, რის გამოც მამა დაიჭირეს.“**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ურესი სოციალური დაძაბულობა და ეთნიკური დაპირისპირებები?

**— როდესაც ხელისუფალი იღებს დევნილებს სხვა ქვეყნებიდან, ანუ „გუგულის ბარტყებს“ ასახლებს ჩვენს სახლში — ჩვენს სამშობლოში და ამას კაცთმოყვარეობად ასაღებს, მაშინ ეს ხელისუფალი ბოროტმოქმედია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!**

თუ ჩვენთან არსებულ „უვიზო რეჟიმს“ ზნეობრივი კუთხით შევაფასებთ, როგორ შეიძლება იმ ქვეყნებთან, რომლებშიც ასეთი არეულობებია, იგივე ეგვიპტეში, ერაყში ან სირიაში, და რომლებშიც, დემოკრატების მტკიცებით, ტერორიზმის საფრთხეა და სხვა არაჯანსაღი მოვლენები ხდება, სავიზო რეჟიმის გაუქმება და, ვისაც მოეპრიანება, აქ შემოვიდეს! ეს იგივეა, იცოდე, ქუჩაში ყაჩაღები და ქურდები დათარეშობდნენ, შენ კი საკუთარი სახლის კარი ღიად დატოვო! რატომ აკეთებენ ამას?

**— მათი პასუხი, მამაო, ორიგინალობით არ გამოირჩევა — ევროპამ მოითხოვაო!**

— მოიცადეთ, ახლა რომ გადავწყვიტოთ ხვალ ესპანეთში წასვლა, აი, ასე, უვიზოდ გაგვიშვებენ? რა თქმა უნდა, არა! რა გამოდის? ევროპა ჩემგან ითხოვს იმას, რაც თავად არა აქვს?! **კაცმა კაცი ცოლად მოიყვანოსო, კარი ყველას გაუღეო, ვინც ითხოვსო!.. გამოფხიზლება გვმართებს! რაღაც არაჯანსაღი რამ ხდება, რაღაც ცუდს გვიპირებს ევროკავშირი!**

**— თქვენი, როგორც სასულიერო პირის, აზრით, ამ შემთხვევაში, როდესაც სხვა ქვეყნიდან დევნილი მოგადგება, სახელმწიფომ როგორ უნდა იმოქმედოს?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ხელისუფლების წარმომადგენლების გულწრფელობაში (თუნდაც, ბრიყვულ გულწრფელობაში) მხოლოდ მაშინ დავრწმუნდები, როდესაც თითოეული მათგანი უცხოელ გაჭირვებულებს საკუთარ სახლში შეუშვებს. დღეს საქართველოში უამრავი გაჭირვებულია. თქვენ, მე ან სხვა ჩვენი სახლის კარს რატომ არ ვაღებთ და ადგილობრივი უსახლკარონი შინ არ შემოგვყავს? იმიტომ, რომ სიკეთის ამგვარი ქმნა ახალ უბედურებას მოასწავებს, ამით გააუბედურებ საკუთარ ოჯახს! ამის უფლება კი არ გაქვს. შენი სახლი მარტო შენ არ გეკუთვნის, ის ოჯახის საკუთრებაა! იგივე შეიძლება ითქვას ემიგრანტებთან დაკავშირებით. ეს არაა სიკეთე! ფორმით სიკეთე ყოველთვის სიკეთე არაა! **ვინ მოგცა შენ უფლება, ხელისუფალი ხარ თუ კანონმდებელი, რომ ჩვენი საერთო სამშობლო, ჩვენი წინაპრების საძვალე, სადაც ჩვენ ვსწავლობთ ღმერთი როგორ ვიპოვოთ, გახადო სათარეშოდ და გზაჯვარედინად, სადაც ათასი ჯურის ადამიანი შევა და გამოვა!** და კიდევ: **ამერიკამ, თავისი პოლიტიკური მიზნების გამო ვიღაცას რომ ბომბავს, შეიფაროს მის მიერვე დაზარალებული ადამიანები. ამერიკა მათ დაიტევს, საქართველოში კი ეს ფიზიკურად შეუძლებელია!**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

# მამა დავითი (ისაკაძე): უსახლკაროებზე ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს და არა რომელიღაც მარგინალური ორგანიზაცია



**„გარყვნილება ჩვეულებრივ მოვლენად უნდა იქცეს; სირცხვილის გრძნობა, ყოველგვარი კომპლექსი უნდა მოიხსნას. თანდათანობით ამზადებენ ადამიანის ცნობიერებას, რათა მამათმავლობა და ასეთი უმძიმესი ცოდვები ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს“, — აცხადებს დეკანოზი დავითი (ისაკაძე). წმიდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, მამა დავითი, „საქართველო და მსოფლიოს“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ესაუბრა.**

**— მამაო, დღეს აქტუალურია კითხვა: უნდა მონაწილეობდეს თუ არა სასულიერო პირი პოლიტიკურ ცხოვრებაში? ზოგიერთის აზრით, სასულიერო პირებს პარლამენტში ფრაქციაც კი უნდა ჰქონდეთ. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— სასულიერო პირი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს. სჯულის კანონით ეს დაუშვებელია. თუმცა როდესაც სასულიერო პირები ვსაუბრობთ გარკვეულ საკითხებზე, თუნდაც სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ გამოვდივართ, ეს პოლიტიკაში ჩარევას არ ნიშნავს. ჩვენ ნებისმიერი ხელისუფლების დროს იგივე პოზიცია გვექნება, ვინაიდან ასეთი საქციელი ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელია.

**— საპატრიარქო რატომ დაუპირისპირდა ორგანიზაცია „იდენტობის“ ინიციატივას, გაეხსნა თავშესაფარი უსახლკაროებისთვის? გასაგებია, რომ ზოგადად ამ ორგანიზაციის საქმიანობა ეკლესიისთვის მიუღებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ ხომ სიკეთის გაკეთება სურდათ?**

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს ორგანიზაცია შედგება მამათმავალთა და დედათმავალთა საზოგადოებისგან და მათი მხარდამჭერებისგან. ეკლესიური თვალსაზრისით კი, ეს უმძიმესი სოდომგომორული ცოდვაა და ასეთ ცოდვაში მყოფი ადამიანი საეკლესიო კანონებით მკაცრად ეპიტიმირებულია. ამიტომ ჩვენი, ეკლესიის, მიზანია, ასეთ ადამიანებს სინანულისკენ მოვუწოდოთ, დავეხმაროთ მათ, რათა შეინანონ და დაუტევონ ცოდვა.

რაც შეეხება ქველმოქმედებას, სიკეთე ფარულად კეთდება. მათ თუ მართლაც სურთ ადამიანების დახმარება, დაეხმარონ საკვებით, ფულით, რითიც შეუძლიათ. მაგრამ ისინი რას აკეთებენ? 4 თვით ავტოფარეხის მსგავს ნაგებობას აძლევენ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს და დიდი ალბათობა და ეჭვი არსებობს, რომ შეეცდებიან, მათ საკუთარი ორიენტაციის შესახებ უქადაგონ. ვინც დათანხმდება, შემდეგ სხვა სათბურს მოუძებნიან. ჩვენ ეს გვაშფოთებს, თორემ გაჭირვებულების დახმარებას და ქველმოქმედებას მათ არავინ უშლის.

**— ხომ შეიძლება ეს ადამიანები ქუჩაშიც გახდნენ პედოფილების ან ჰომოსექსუალების მსხვერპლნი?**

— ამიტომ ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ ისინი ასეთ ვითარებაში არ აღმოჩნდნენ. **როდესაც ადამიანი თავისი სექსუალური გადახრით ამაყობს და ყველაფერი მიდის იმისკენ, რომ პედოფილია და ინცესტი გაამართლოს, ასეთ ადამიანს ჩავუგდოთ ბავშვები ხელში?** ჩვენი პოზიცია ასეთია: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გასაჭირში მყოფი ადამიანების დახმარება და, ალბათ, ახალი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული სწორედ მიუსაფარ და უპატრონო ბავშვთა დახმარება იქნება. სხვათა შორის, ჯანდაცვის მინისტრ სერგეენკოს გამოსვლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მკაფიო იყო. **უსახლკაროებზე ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს და არა რომელიღაც მარგინალური ორგანიზაცია.**

ხოლო, როდესაც ვიღაცები კითხულობენ, ეკლესია რას აკეთებსო და ამით ცდილობენ, როგორმე ჩირქი მოსცხონ მას, უნდა იცოდნენ, რომ ეკლესიას უამრავი ქველმოქმედება აქვს გაკეთებული. მეტსაც გეტყვით, **წლების განმავლობაში არაერთი ცნობილი მეცნიერი, პროფესორი საპატრიარქოში სადილობდა და ტანისამოსსაც კი პატრიარქისგან იღებდა. არავინ მათი პატრონი არ ყოფილა, თუმცა ეს არ გახმაურებულა.** საპატრიარქოს აქვს უფასო სამშობიარო, უფასო სასადილო, მაგრამ საკუთარი ქველმოქმედების აფიშირებას ეკლესია არ ცდილობს. არ უნდა იცოდეს მარჯვენამ, რას აკეთებს მარცხენა...

**— სექსუალური განათლების დანერგვას სკოლებში მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი აქტიურად აპროტესტებდა. პერიოდულად ისევ ვრცელდება ინფორმაცია სხვადასხვა სკოლაში ეროტიკული ლიტერატურის გავრცელების შესახებ... რა ვითარებაა ახლა?**

— საქართველოს ხელისუფლებამ 2012 წელს ევროსაბჭოდან სახელმძღვანელოდ და დასანერგად მიიღო სპეციალური დოკუმენტი „იმპლემენტაციის მონიტორინგი. საქართველო, 2012 წელი. ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი“. დოკუმენტის ავტორია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. აღნიშნული დადგენილების მე-9 მუხლში წერია, რომ „განათლების სამინისტრომ სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად უნდა შეიმუშავოს პროგრამები, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას. მაგალითად, შესაძლებელია სასკოლო პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ჩართვა“. 32-ე მუხლში კი მითითებულია, რომ, „ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული, სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის მხარდასაჭერად, მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას, გეგმებსა და საგანმანათლებლო მასალებს; აუცილებელი ინფორმაციით, დაცვითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვრება“.

**ეს არის ევროსაბჭოს რეკომენდაცია, რომლის მიზანიცაა, ბავშვებს ოჯახური სიწმინდის შესახებ კი არ ესაუბრონ და ზნეობა ასწავლონ, არამედ პირიქით, ელაპარაკონ გენდერულ თანასწორობაზე, სექსუალურ ორიენტაციაზე და ა. შ. ამის განხორციელება ჩვენს სკოლებში პარტიზანულად უკვე დაიწყეს.** მაგალითად, ზოგიერთ სკოლაში ვინმე ფრანგი მამათმავლის წიგნი შემოიტანეს. ის ყვება, 15 წლის ასაკში როგორ გახდა ჰომოსექსუალი. ეს ხდება ნიადაგის მოსასინჯად, შემდეგ უკვე ყველა სკოლაში დაარიგებენ ამ ლიტერატურას. **ასე ეწევიან სკოლებში გარყვნილების ქადაგებას. ბუნებრივია, ჩვენ ამას არ შევეგუებით და ცოტა ხანში ყველა სკოლას მივაკითხავთ და გავარკვევთ, ვინ ახორციელებს ამ პროგრამას. სკოლებში სამინისტროს ნებართვის გარეშე როგორ შედიან და წიგნებს არიგებენ?!**

**— ამ საკითხის გარკვევა განათლების სამინისტროსთან არ სცადეთ?**

— მშობლებმა სცადეს, მაგრამ ისეთი ბარიკადები დახვდათ, რომ განათლების მინისტრთან შეხვედრა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ჯერჯერობით არავისგან პასუხი არ მიგვიღია.

ასევე აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა ორგანიზაციამ, ჯანდაცვის სფეროში განათლების გერმანიის ფედერალურ ცენტრთან ერთად, შეიმუშავა და გამოაქვეყნა მათ მიერ რეკომენდებული, ევროპაში სექსუალური განათლების სტანდარტები. თემის განხილვა 2010 წელს კიოლნში გაიმართა. **პირდაპირ წერენ, რა უნდა ასწავლონ 6-დან 9 წლამდე ბავშვებს. როგორ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია და დაეხმარონ ბავშვებს, განავითარონ სექსუალურობა, სიყვარული, სინაზე, სიყვარულისა და სექსუალურობის განცდა საკუთარ სხეულთან შეხებით, სათანადო სექსუალური ტერმინოლოგია; ხოლო 9-12 წლამდე ბავშვებს ესაუბრებიან სექსუალურობაზე, პირველი სექსუალურ გამოცდილებაზე, გენდერულ ორიენტაციაზე, ახალგაზრდების სექსუალური ქცევების, სიყვარულის, სიამოვნების, მასტურბაციის შესახებ...**

საინტერესოა, რომ სექსუალური განათლების თანამედროვე მეთოდოლოგია, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში, ძირითადად ეყრდნობა ამერიკელი ექიმისა და სექსოპათოლოგის, ალფრედ კინსის, ნაშრომებს, კერძოდ, ორ მონოგრაფიას ადამიანის სექსუალური ქცევის შესახებ. „მამრი ადამიანის სექსუალური ქცევა“ გამოქვეყნდა 1948 წელს, „მდედრი ადამიანის სექსუალური ქცევა“ კი 1953 წელს დაიბეჭდა. კინსი ინდიანას უნივერსიტეტის ზოოლოგი იყო და შემდეგ სექსის კვლევის ინსტიტუტი დაარსა. მისი პირველი წიგნი ამერიკაში მალევე შეიტანეს ყველაზე ცუდი თანამედროვე წიგნების სიაში მესამე ნომრად. ხოლო მისი მეორე წიგნი ყველაზე საშიში წიგნების სიაში მეოთხე აღმოჩნდა. კინსის ნაშრომების კომპეტენტური კრიტიკა ეკუთვნის მედიაგანათლების ინსტიტუტის პრეზიდენტს, ფილოსოფიის დოქტორს, სამართლის პროფესორ ჯუდიტ რეისმანს, რომელიც გახლდათ სექსუალური განათლების კრიტიკოსი და ის პორნოგრაფიის წინააღმდეგ იბრძოდა. კინსის მიმართ მისი ბრალდებები შემდეგ მტკიცებულებებს შეიცავს: რეისმანის აზრით, დოქტორ კინსის სამეცნიერო „მიგნებები“ იყო თაღლითური და, ზოგიერთ შემთხვევაში, დანაშაულებრივი. **ბავშვთა სექსუალობის შესახებ მონაცემების მოსაკრებად კინსი ბავშვთა გარყვნას და მათზე ძალადობას მიმართავდა. ხოლო სექსუალური განათლების მთელი ინდუსტრია კინსის ფალსიფიცირებული მონაცემებიდან ამოიზარდა. კინსის იდეებზე დაფუძნებული სექსუალური დანაშაულისთვის სისხლის სამართლებრივი დასჯის მეთოდმა მიგვიყვანა ბავშვთა დასჯის დანაშაულების შერბილებამდე. ამით გაზარდა რისკი ბავშვებისა და ქალებისთვის.**

**— რა არის ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მიზანი ამ შემთხვევაში?**

— მათი მიზანია, გარყვნან საზოგადოება, რადგან ანტიქრისტეს მოსვლის ერთ-ერთი ნიშანი უკიდურესი გარყვნილება იქნება. კაცობრიობას ნელ-ნელა ამზადებენ ანტიქრისტესთან შესახვედრად. ბევრისთვის შეიძლება გაუგებარია, მაგრამ სახარებაში ეს ყველაფერი პირდაპირ წერია. გარყვნილება ჩვეულებრივ მოვლენად უნდა იქცეს — სირცხვილის გრძნობა, ყოველგვარი კომპლექსი რომ მოიხსნას. **თანდათან ამზადებენ ადამიანის ცნობიერებას, რათა მამათმავლობა და ასეთი უმძიმესი ცოდვები ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს. მშობელმა თუ შეამჩნია შვილს რაიმე გადახრა, არანაირი წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს, ექიმთან რომ წაიყვანოს, შეიძლება პრობლემები შეუქმნან, რაც უკვე მოხდა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიაში ბავშვს სექსუალურ გაკვეთილს უტარებდნენ, რაც მამამ გააპროტესტა, მაგრამ ამის გამო მამა დაიჭირეს.**

მერე რა, რომ მე სასულიერო პირი ვარ, მე მოქალაქე ვარ და ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ყოველთვის შევეწინააღმდეგები 6-10-15 წლის ბავშვის გარყვნას, ამას არ დავუშვებთ. ეს რეკომენდაცია საქართველომ 2012 წელს მიიღო, ეს ვალდებულებები შეიძლება აიღო სააკაშვილმა, ბოკერიამ და მათმა მსგავსმა „გადახრილმა“ ადამიანებმა, მაგრამ ჩვენ არ მიგვიღია და 5-10 კაცი წყვეტს ყველაფერს? ჩვენ რატომ არავინ არაფერი გვკითხა?

**— მამაო, ამ დღეებში ID ბარათების საწინააღმდეგო კიდევ ერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. სინოდის გადაწყვეტილების მიუხედავად, რომ ID ბარათი არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი, რა საფრთხეს ხედავენ ეს ადამიანები და რატომ აქვთ ასეთი მძაფრი რეაქცია?**

— ID ბარათი ნამდვილად არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი, ვინაიდან ანტიქრისტე პირდაპირ მოითხოვს თაყვანისცემას და არა ასე შეფარული სახით. უბრალოდ, ID ბარათი ადამიანის გაკონტროლების სრულ საშუალებას იძლევა და, თუ თანამედროვე დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე განვიხილავთ ამ საკითხს, იქნებ არ მინდა კონტროლი, რატომ ლახავენ ჩემს უფლებებს? ისევე, როგორც ეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია მიღებული, მოგვცენ ალტერნატიული საშუალება.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქართულმა ეკლესიამ ლომის წილი დაიდო მოძმეთა განდევნაში მშობლიური მიწა-წყლიდან. სასჯელად მივიღეთ შევარდნაძის სატანური მმართველობა. მას მოჰყვა მისი გამოზრდილი ქართველთ მოძულე სააკაშვილი. ორივე აშშ-დან იმართებოდა. სააკაშვილი რომ ეშმაკის მოგზავნილი იყო, მტკიცდება იმით, რომ მან თავისი მოღვაწეობა ეკლესიის რბევით დაიწყო... ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა უფლის ნება იყო. სწორედ მან მოგვაშორა მძვინვარე ჭირი, რომელიც პარტიებმა და ხალხმა ვერ მოიშორეს.“

# მამა ბასილი: კოალიცია გასაწმენდია...

**ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან — მამა ბასილ მკალავიშვილთან**

**— 17 ნოემბერს სააკაშვილის რეჟიმი ოფიციალურად დასრულდა. ახლა საზოგადოება მოლოდინის რეჟიმშია და ხელისუფლებისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ითხოვს. როგორ ფიქრობთ, რამდენად დამაიმედებელია ახალი გუნდი და რას უნდა ველოდეთ მომავალში კოალიციაში შემავალი იმ ძალებისგან, რომლებიც თავის დროზე ერთნაირად თანამშრომლობდნენ როგორც შევარდნაძის ხელისუფლებასთან, ისე „ნაცმოძრაობასთან“?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩუენთან არს ღმერთი.

ჯაბა, გენაცვალე, ისეთ შეკითხვას მისვამ, თითქოს მთელი პოლიტიკური საქმე მე უნდა გადავწყვიტო.Mმე, როგორც ღმრთის მსახური, შევეცდები, შეკითხვებს სულიერი ხედვით ვუპასუხო; რამეთუ, როცა ქუეყანა განსაცდელშია, ერი თუ ბერი ვალდებულია, გარკვეული წვლილი გაიღოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

17 ნოემბერს მართლაც პარადოქსული რამ მოხდა. ხშირად ვამბობთ, საქართველო ღმრთისმშობლის წილხვედრიაო და ღმერთი არ მიგვატოვებსო, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველივე უზრუნველად აღსრულდება. **ღმერთი დაბლა არ ჩამოვა, არამედ მისი ნებითა და წყალობით რომელიმე პიროვნება აღასრულებს კეთილ საქმეს. სწორედ უფლის ნებით მოხდა, რომ საქართველომ მოიცილა სატანის მიერ მოგზავნილი დამანგრეველი სააკაშვილის სახით, რომელმაც მთლიანად გაანადგურა ქვეყანა როგორც სულიერად, ისე ზნეობრივად. წარმოიდგინეთ, 9-წლიანი ტანჯვაწამებაც ღვთის სასჯელი იყო ჩვენზედ მოწევნული.**

**— მამაო, რა დავაშავეთ ასეთი?**

— ცოტა წარსულისკენ მივიხედოთ, გავიხსენოთ 1991-92 წლები, მაშინ, როცა საქართველოში მართლაც კანონიერი არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოვიდა ღვთივკურთხეული ეროვნული მთავრობა. ზვიად გამსახურდიას მმართველობის მოკლე პერიოდში ვიგრძენით, რომ ქართველნი ვიყავით და ღვთივბოძებულ მშობლიურ მიწაზე ვცხოვრობდით. ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი სიხარული. ისევ ჩვენივე, ქართველთა, მეშვეობით შევძელით განაჩენი გამოგვეტანა ჩვენი ბედნიერი მომავლისთვის. ვერ შევიფერეთ ჭეშმარიტი პრეზიდენტი, როგორც წმიდა წერილი ბრძანებს: **„აჰა ესერა მოვავლინე თქუენდა წინასწარმეტყველნი, ბრძენნი და მწიგნობარნი და მათგანი მოჰსწყვილეთ“...** *(მთ: 23-24).*

**ქართულმა ეკლესიამ ლომის წილი დაიდო მოძმეთა განდევნაში მშობლიური მიწა-წყლიდან. სასჯელად მივიღეთ შევარდნაძის სატანური მმართველობა. მას მოჰყვა მისი გამოზრდილი ქართველთ მოძულე სააკაშვილი. ესენი, ორივე აშშ-დან იმართებოდა. სააკაშვილი რომ ეშმაკის მოგზავნილი იყო, მტკიცდება იმით, რომ მან თავისი მოღვაწეობა ეკლესიის რბევით დაიწყო.** ჩვენი ეკლესიის დარბევის შემდეგ მე ჩემი მრევლის 10-მდე წარმომადგენელთან ერთად წლების მანძილზე ციხეში გამომკეტა.

**ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენაც უფლის ნება იყო. სწორედ მან მოგვაშორა მძვინვარე ჭირი, რომელიც პარტიებმა და ხალხმა ვერ მოიშორეს.** სწორედ ღვთის ნებით ერთმა ადამიანმა შეძლო ეს, თუმცაღა ჯერჯერობით დალაგებული არაფერია, მაგრამ მჯერა, რომ ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილს დაიჭერს, იმ შემთხვევაში, თუ ახალი ხელისუფლება სულიერებას თავის პრიორიტეტს მიანიჭებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სულისწარმწყმედელი სექტების პროზელიტიზმი ახალ ხელისუფლებას შევარდნაძისა და სააკაშვილის გზას გაუყენებს.

რაც შეეხება კოალიციაში მყოფ პიროვნებებს, თავიდანვე ვაცხადებდი, შეგიძლიათ გადახედოთ იმდროინდელ ჩემს ინტერვიუებს, სადაც თეთრზე შავით წერია მხილება ულირსი პიროვნებების მიმართ;

> **ფრიად დასანანია, რომ ახალ მთავრობაში ტრადიციულად არიან მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები რესპუბლიკური პარტიის სახით. ვაცხადებ, რომ კოალიცია გასაწმენდია.**



## «ახალ მთავრობაში მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრების სხედან»

მე არავისი მეშინია, გარდა უფლისა. ულირსი სააკაშვილი ჩვენი დარბევის წინა დღეს მკაცრად ვამხილე სახალხო დამცველის ოფისის ეზოში.

ასევე მინდა შევეხო ორ პიროვნებას, ბურჯანაძესა და ბაქრაძეს, რომლებიც პრეზიდენტობის კანდიდატის ამპლუაში მოგვევლინენ და ლამაზ დაპირებებს იძლეოდნენ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ისინი სისხლისმსმელ სააკაშვილს არ ედგნენ გვერდით? ხელისუფლებაში მოსვლის სანაცვლოდ არ დათმეს სამაჩაბლო და აფხაზეთი? ბურჯანაძემ არ შეაქო „სპეცნაზელები“, 7 ნოემბერს რიყეზე ოპერაცია კარგად ჩაატარეთო? ახლა გაახსენდა შეჭირვებული ხალხი? იქნებ პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გახდა სააკაშვილის ოპოზიცია?

**— ინაუგურაციის დღეს მარგველაშვილმა ხაზგასმით განაცხადა, რომ მისი მმართველობის პირობებში რიგი მიმართულებებით ძირეული რეფორმები განხორციელდება. თქვენი აზრით, ხომ არ იქნება ეს რეფორმები სააკაშვილის მიერ გაცხადებული ე. წ. მენტალური რევოლუციის გაგრძელება, რომლის მთავარ სამიზნესაც იმთავითვე ქართული ეროვნული ცნობიერება, ღირებულებები და ფასეულობები წარმოადგენდა?**

— ლამაზი დაპირებებით აგვავსო დაღმაშენებელმა სააკაშვილმა აღმაშენებლის საფლავზე ინაუგურაციის დროს. **არც მარგველაშვილის ფიცი მავსებს იმედით. ვერ ვხედავ მაგ პიროვნებაში საქართველოს გადამრჩენელს, რამეთუ ის ღმერთისგან დაშორებულია;**

მარგველაშვილი — „ენდიაი“-ს დამფუძნებელი;

მარგველაშვილი — სოროსის ფონდის დამფუძნებელი;

მარგველაშვილი — „თავისუფლების ინსტიტუტის სათავეებთან“...

კომენტარი ზედმეტია!

> **ვეჭვობ, ახალმა პრეზიდენტმა რაიმე სიკეთე მოუტანოს სარწმუნოებას. დაიცვას მართლმადიდებლობა; პირიქით — სხვადასხვა კონფესიას ყოველგვარი დახმარება აღუთქვა, ასევე თამამად აცხადებს, რომ ლევან რამიშვილი და თემურ იაკობაშვილი ჩემი უახლოესი მეგობრები არიანო.**

ამ ერთი წლის მანძილზე არაფერი გაკეთებულა სულიერების სასარგებლოდ. პირიქით, თამამად აცხადებენ, რომააშენებენ მეჩეთს, მკაცრად დაიცავენ რელიგიური უმცირესობების უფლებებს, მართლაც გაუტოლეს მათი უფლებები მართლმადიდებელთა უფლებებს.

> **ერთ რაღაცაში დარწმუნებული ვარ — მარგველაშვილი გაატარებს სერიოზულ ცვლილებებს, მხოლოდ სექტანტთა სასარგებლოდ.**

ისე გათავხედდნენ იეღოვას მოწმეები, რომ ქალაქში ნებისმიერ ადგილას დგანან და თავისუფლად არიგებენ სულიწმიდის მგმობელ ლიტერატურას. ასე რომ, ოცსაუკუნოვან მართლმადიდებელ ქვეყანაში არაფერი კეთდება მართლმადიდებელთა სასარგებლოდ, არაფერი შეიცვლება. გამოდის, რომ **ეს რეფორმები** (გავიმეორებ თქვენს კითხვას) **მართლაც სააკაშვილის მიერ გაცხადებულ ე. წ. მენტალური რევოლუციის გაგრძელებაა, რომლის მთავარ სამიზნესაც იმთავითვე ქართული ეროვნული ცნობიერება, ღირებულება და ფასეულობები წარმოადგენს.**

ასე რომ, ჩვენი ერის ბედკრულ ისტორიაში ისე ღრმად ჩაითესა სარეველა, მისი ამოძირკვა და განადგურება დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. მისი აღმომფხვრელი ღვთის რჩეული უნდა იყოს, მისი მცნებების გულისხმიერი, უზადო დამცველი. ასეთ პიროვნებას დღესდღეობით ვერ ვხედავ, სამწუხაროდ.

**— რას ფიქრობთ ივანიშვილის წასვლაზე პოლიტიკიდან? იგი ამბობდა, რომ საზოგადოების ყველაზე ღირსეულ ნაწილს დატოვებდა ხელისუფლებაში, რომ შექმნიდა ევროპელებისთვის შესაშურ დემოკრატიას და ა. შ. რამდენად შეძლო მან ამ დაპირებების თუნდაც ნაწილობრივ შესრულება?**

— ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ახალი ცნობა არ ყოფილა. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაპრემიერებისთანავე აღნიშნა, რომ 1 წლის შემდეგ დატოვებდა ამ თანამდებობას. ამასთანავე, ის აღნიშნავდა, რომ ყველაფერს დალაგებულს დატოვებდა, ისეთ ღირსეულ პიროვნებას დატოვებდა, რომელიც თავისი ქმედებით საზოგადოების ინტერესების გარანტი იქნებოდა და გააუმჯობესებდა ხალხის ცხოვრებისეულ პირობებს.

დღესდღეობით, ბუნებრივია, წინა ხელისუფლების მიერ დანგრეულის აღორძინება გარკვეულ ძალებთან არის დაკავშირებული.

მე მხოლოდ სიმართლეს ვემსახურები. **ბატონი ბიძინა ივანიშვილი დასაფასებელია იმით, რომ ღვთის შემწეობით შეძლო თითქმის შეუძლებელი, ახლა კი ჩვენ დავიკაპიწოთ ხელები, ჩვენვე ვეცადოთ პირობების გაუმჯობესებას, მოვუხმოთ გონიერებას და ვმართოთ ქვეყანა, უფალს მინდობილი ადამიანი კლდეზე მაგარია.**

მიუხედავად იმისა, რომ კოალიციას ზურგს ამოფარებული ულირსნი ივანიშვილის გარეშე 1%-საც ვერ მიიღებდნენ, პარლამენტში ამოყვეს თავი. ისინი ყველა მთავრობას ერგებოდნენ, მაგრამ არიან იქ სალად მოაზროვნენი, რომლებიც იზრუნებენ ერის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

ამას წინათ ტელევიზიით ვიხილე ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა უმცირესობასთან. გაოგნებული დავრჩი, როგორ ეპაექრებოდნენ მას გია ბარამიძე და გივი თარგამაძე.

> **ბატონო ირაკლი, მე, როგორც ერთი უბრალო მღვდელი, რომელსაც მრავალი ტანჯვავაება მაქვს გადატანილი სამშობლოს სიყვარულისა და მართლმადიდებლობის დაცვისთვის, მოგმართავთ თქვენ, სასწრაფოდ გამოიძიოთ გია ბარამიძის მინისტრობის დროს ჩადენილი დანაშაულობები. ის ხელმძღვანელობდა ჩვენი ეკლესიის ბარბაროსულ დარბევას, მეორე — სვანეთში აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვას და კიდევ რამდენი რამ არც ვიცით. მარტო ამისთვის იმსახურებს სამუდამო პატიმრობას.**

ვიტოვებ იმედს, რომ პოლიტიკის მიღმა მყოფი ბატონი ბიძინა ივანიშვილი არ მიატოვებს თავის ხალხს, ამომრჩევლებს იმ ქაოსში, რომელიც დღესდღეობით სუფევს საქართველოში. ღმერთმა არ ქნას, ისევ ვუყუროთ პარლამენტში დაპირისპირებული მხარეების გაუთავებელ ომს, რომელიც ხშირად მუშტი-კრივით მთავრდება. ▶

## აზერბაიჯანმა ევროკავშირს ასოცირებაზე უარი უთხრა

**აზერბაიჯანი ევროკავშირს, ასოცირების ნაცვლად, პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას სთავაზობს. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ნოვრუზ მამედოვმა განაცხადა. მანვე დასძინა, რომ რუსეთის მხრიდან ზეწოლა არ განხორციელებულა. ამის შესახებ რუსული მედია წერს.**

„ჩვენ უკვე შევატყობინეთ ევროკავშირს, რომ ვერ შევძლებთ ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას. გვსურს, მოვამზადოთ დოკუმენტი, რომელიც უფრო ადეკვატურად პასუხობს ჩვენი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის დონეს“, — აღნიშნა მამედოვმა.

მისი თქმით, ოფიციალურმა ბაქომ ევროკავშირს შესთავაზა, მიღწეული თანამშრომლობის დონის გათვალისწინებით, ხელი მოაწეროს პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას.

„სპეციალისტებმა, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებულები ჩვენი ურთიერთობებით ევროკავშირთან, იციან, რომ აზერბაიჯანმა ეს პოზიცია ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გამოთქვა, ანუ ეს სიახლე არ არის ჩვენსა და ევროკავშირის ურთიერთობებს შორის“, — განაცხადა მამედოვმა ტელეკომპანია ANS-თან ინტერვიუში.



# „ზვიად გამსახურდიას განდევნის შემდეგ სიცრუისა და უსამართლობის წყვდიადში მოვაბიჯებთ."

ცოდვილთა ჰგვემდეთ ცეცხლი...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ეს რომ არ მოხდეს, ამ ბანდის თავი და თავი, რომლის ბატონობამ ჩაიარა, თავის თანამზრახველებთან ერთად უნდა წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე. არავინ იფიქროს, ამას ახლა ვამბობ მხოლოდ, სააკაშვილს სისხლიან რეჟიმს მე ყოველთვის ვამხელდი.

**ჯალათმა სააკაშვილმა მე ციხეში გამომაწყვდია, ბატონი გურამ შარაძე შუა ქალაქში დახვრიტა. ამით სექტანტებს ხელფეხი გაეხსნათ შავბნელი საქმეების კეთებისთვის ისევ ვაიქართველების — ბოკერიებისა და რამიშვილების ხელშეწყობით.**

**— ბოლო დროს სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ, თუკი ხელისუფლება საზოგადოების მთავარ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და სამართლიანობას არ აღადგენს, ხალხი შესაძლოა, ქუჩაში გამოვიდეს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ყველაფერი?**

— რომელი სიმართლის აღდგენაზეა ლაპარაკი. სიმართლე იყო კი ოდესმე ჩვენთან? როგორც აღვნიშნეთ, **ზვიად გამსახურდიას განდევნის შემდეგ სიცრუისა და უსამართლობის წყვდიადში მოვაბიჯებთ.**

**ქართული ეკლესიაც ფარულად თუ ღიად ეროვნულ ხელისუფლებას დაუპირისპირდა. უსამართლობამ დაისადგურა. იქედან მოყოლებული, დაკარგა ღვთის მადლი, რის შედეგადაც დავდექით სავალალო ფაქტის წინაშე, რომლის გამოსწორებაც საკმაოდ რთულია.**

საზოგადოება მართლაც ელოდება სამართლიანობის დამკვიდრებას. ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ ტირანის დამარცხების შემდეგ ხალხს იმედი ჩაესახა. ქართველი ადამიანი იმდენად ბრძენია, მან მატერიალური გვერდზე გადადო, ითხოვდა მხოლოდ სამართლიანობის დამკვიდრებას.

ასე რომ, თუ სიმართლემ არ იზეიმა, ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ. დაპატიმრებული ჰყავთ კრიმინალური დამნაშავენი და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ბრალეულობას ვერ უმტკიცებენ მერაბიშვილსა და ახალაიას, რომელნიც უშუალოდ აწამებდნენ პატიმრებს არაადამიანურად; თან უსირცხვილოდ აცხადებენ, ჩვენ მართლები ვართო. ისევ ემზადებიან რეანიმაციისთვის, რათა კვლავ მოვიდნენ ხელისუფლებაში. მე არ ვიცი, არ ვარ პოლიტიკოსი, იქნებ კულუარებში სხვა რაღაც ხდება, მაგრამ აშკარად იკვეთება გარიგების მსგავსი რამ... ამიტომ, ბატონო ირაკლი, მოგიწოდებთ, შეუმცდარი მხოლოდ უფალია ზეცაში, ის, ვინც აკეთებს მასვე ეშლება, ამიტომ მოგმართავთ:

**თუ ესენი, დაწყებული სააკაშვილით, დამთავრებული ბოლო ნაციონალით, რომლებმაც ეს საზიზღრობები ჩაიდინეს, არ წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე და არ იწვნევენ გისოსებს მიღმა ყოფნას, ქვეყანაში არაფერი დალაგდება. იქნებ მაშინ ჩახვდნენ თავიანთ ცოდვებს ქართველი ერის წინაშე. ამას ხალხი მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით საზოგადოება გამოუტანს მათ განაჩენს და ეს სერიოზულ არეულობამდე მიგვიყვანს, ყველაფერი ახალი ხელისუფლების ზურგზე გადაივლის.**

**— ახლოვდება ვილნიუსის სამიტი და მოლოდინიც დიდია. წინა კვირას გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, ჩვენ, როგორც ქვეყანა, სამიტზე უაღრესად კარგი შედეგით მივდივართო. რა პერსპექტივა გვაქვს რეალურად და საერთოდ, რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება?**

— ჩემო კარგო, მსგავსი დემაგოგიური ფრაზები ყოველი მთავრობის არჩევის დროს გვესმის. იმისათვის, რომ მსოფლიოს ყურადღება საქართველოსთვის მიეპყრო ჯალათმა სააკაშვილმა ყოველივე ქართული დაგმო: წინაპართა სისხლით მოპოვებული მიწა-წყალი, ბუნებრივი რესურსები, სარწმუნოება. ახლა ამ სამიტზე რაღას ვთავაზობთ მათ ევროკავშირთან დაახლოების სანაცვლოდ?

**2008 წლიდან ამერიკა და ევროპა გვპირდებიან დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, არადა, ხდება პირიქით — უფრო ვკარგავთ. ყველაფერი გავიღეთ, რაც გაგვაჩნდა. დაგვრჩა ერთადერთი — ზნეობა, რომლითაც ქართველნი პირველობდნენ ყოველთვის. ისღა დაგვრჩა დასათმობი, რომ მათ საამებლად ხშირად მოვაწყოთ ჰომოსექსუალების ბილწი, სოდომგომორისეული მსვლელობები ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე, მაგრამ ვერ ეღირსებიან, სანამ ქართული, მართლმადიდებლური გენი ისევ მყარად დგას.**



**«2008 წლიდან ამერიკა და ევროპა გვპირდებიან დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, არადა, ხდება პირიქით — უფრო ვკარგავთ. ყველაფერი გავიღეთ»**

ამერიკა და ევროპა მოგვიტანს იმას, რაც მოგვიტანა რასელმა, ჯორჯ სოროსმა და სწორედ სოროსის მიერ დაქირავებულმა ვაიქართველებმა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ანტიმართლმადიდებლურ „თავისუფლების ინსტიტუტში" და „კმარაში", საიდანაც მოვიდნენ სააკაშვილის ხელისუფლებაში და ისე გააცამტვერეს ყოველივე ქართული ფასეულობა სარწმუნოებასთან ერთად, რასაც საუკუნეების მანძილზე აკეთებდნენ ოსმალები, თურქ-სელჯუკები თუ სხვა ბარბაროსი დამპყრობლები.

სხვათა შორის, მარგველაშვილმა უდიდესი ტვირთი, პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე. ხალხი მას მოსთხოვს იმ დაპირებების შესრულებას, რომლებიც განუხორციელებელია დღემდე.

შევევედრებით უზენაესს, ქვეყნიერების გამჩენს, მოსცეს ძალი, მადლი და შესაძლებლობა ამ სირთულეების დასაძლევად. **ჩვენ ისევ ღმრთის ნებით უნდა შევძლოთ ყოველივე, სხვა დანარჩენი — ნატო, სამიტი, ევროინტეგრაცია მოგონილია და უშუალოდ ჩვენი ერისთვის არაფრისმთქმელი. საბოლოოდ ერის ერთიანობა, განწმენდილი ეკლესიის წინამძღოლობა გვიხსნის.**

**— რაც შეეხება წინა ხელისუფლებას, სააკაშვილმა საკუთარი საკონსტიტუციო ვადის ბოლო დღეები მაქსიმალურად გამოიყენა იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი უცხოელისთვის მიენიჭებინა საქართველოს მოქალაქეობა. ლაპარაკია 25 ათასამდე ადამიანზე. როგორ ფიქრობთ, რამდენად საფრთხის შემცველია ეს ჩვენთვის?**

— ეს საკითხი მეტად მტკივნეულია ყოველი ქართველისთვის. საქართველოში ამჟამად სააკაშვილის მცდელობით მიმდინარეობს თურქული ექსპანსია. მათი პირველი მოვალეობაა ქართველთა სულიერი და ფიზიკური გენოციდი, შემდგომი გეგმაა დემოგრაფიული გენოციდი. მათი მიზანია, საქართველოში რაც შეიძლება მეტი თურქული სასწავლებელი გაიხსნას, მოხდეს ერის ასიმილაცია, სისხლის აღრევა და გადაშენება.

**ჩვენი ღირსეული ქალბატონები კლდეებიდან ხტებოდნენ მუსლიმანთაგან თავდასაცავად, დღეს კი პირიქით, იქეთ ეახლებიან. ეს ხომ ჩვენი ერის სირცხვილი და სიკვდილია.**

**სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდი საქართველოს დასაღუპად გამოიყენა. მან ფართოდ გაუღო კარი თურქებს, არაბებს, ირანელებს, ჩინელებს. გულუხვად დაურიგა ჩვენი კარგი და მოსავლიანი მიწები. ისინი ქართველებს თავისივე სამშობლოში მონებივით ამუშავებენ და აბუჩად იგდებენ.** რას ჰგავდა მიშას პრეზიდენტობის ბოლო დღეები?! მარჯვენა თუ მარცხენა ხელით არიგებდა საქართველოს მოქალაქეობას. ქართველ ხალხს აქვს იმის სრული უფლება, მოითხოვოს სააკაშვილის მიერ უცხოელებზე გაცემული პასპორტების გაუქმება.

**— მამაო, თქვენ მიიღეთ მონაწილეობა 16 ნოემბრის აქციაში რესპუბლიკის მოედანზე ღამის კლუბების დახურვის მოთხოვნით.**

— მე ჩემი მრევლით ვიქნები იქ, სადაც ჩემი ქვეყნის ბედი წყდება და გასაჭირია. როგორც შევიტყვე, რომ აქცია იმართებოდა, მაშინვე შევკრიბე ჩემი მრევლის წარმომადგენლები და მამა ვახტანგ მარგიანთან ერთად გავემართე დანიშნულების ადგილისკენ. ღამის 10 საათისთვის მოედნის დაბლა სარდაფში არაბებს, ირანელებს, თურქებს, აზერბაიჯანელებს გახსნილი აქვთ ღამის კლუბ-ბორდელები, ხოლო ქართველი გოგონები მეძავებად ჰყავთ დაქირავებული.

**— მამაო, როგორც ამბობენ, იქ ქართველ მამაკაცებს არ უშვებენ...**

— მართალი ბრძანდებით. მე სანამ რაიმეს ვიტყვი, წინასწარ ვიკვლევ, მერე ფაქტებზე დაყრდნობით განვაცხადებ. რესპუბლიკის მოედნის დაბლა, მთელ ყოფილი პლეხანოვის გამზირზე მათ შესყიდული აქვთ თვალსაჩინო ობიექტები, გახსნილი აქვთ ღამის კლუბები და მთელი ღამის განმავლობაში ათასგვარ სიბილწეს სჩადიან. ეს ხომ დაცინვაა ჩვენი ერისა და ქართველი მამაკაცებისა.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რომ იქ ქართველ მამაკაცებს არ უშვებენ, აბსოლუტური სიმართლეა. იყო ისეთი შემთხვევა, რომ ერთმა მამაკაცმა იცნო თავისი ბიძაშვილის მეუღლე, რომელსაც სამი შვილი ჰყავს. ოჯახში ეგონათ, რომ იგი სამსახურში დადიოდა. იმ ქალმა რომ დაინახა ნათესავი, თავი მოიკლა. ეს ამბავი გახმაურდა.

მეორე მაგალითს მოგიყვანთ: ჩემთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა ბიჭი და მითხრა: მამაო, დამარიგეო. მითხრა, რომ თავისი მეზობელი ნახა კლუბში, მას ორი შვილი ჰყავს და ძალიან პატიოსანი ქმარიო. რჩევა მკითხა — ეთქვა თუ არა ეს მისი მეუღლისთვის. მე დავარიგე, პირველ რიგში, თვითის გოგო გაეფრთხილებინა და არა მისი ქმარი, რამეთუ შეიძლებოდა მკვლელობა მომხდარიყო. ასეთი შემთხვევები უამრავია, ამიტომაც არ აძლევთ მათ იქ ქართველი მამაკაცების მისვლა.

**მივმართავ ახლადარჩეულ შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ჭიკაიძეს: ბატონო ალექსანდრე, მე თქვენს მამას კარგად ვიცნობდი. ის იყო უაღრესად პატიოსანი პიროვნება. მჯერა, მისი აღზრდილიც ღირსეული ადამიანი იქნება. გთხოვთ, ყველა ღონე იხმაროთ, რათა დაიხუროს ზნეობის გამხრწნელი ღამის კლუბები. შორს გავიხედოთ, დავფიქრდეთ — ჩვენ შვილთაშვილებს როგორ საქართველოში მოუწევთ ცხოვრება. ღმერთმა დაგლოცოთ.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ჩვენი ღირსეული ქალბატონები კლდეებიდან ხტებოდნენ მუსლიმანთაგან თავდასაცავად, დღეს კი პირიქით, იქეთ ეახლებიან. ეს ხომ ჩვენი ერის სირცხვილი და სიკვდილია»**

## ევროკავშირის მხარდაჭერა რეფორმების განსახორციელებლად

**საქართველოსა და მოლდოვას აქვთ ჩვენი მხარდაჭერა იმ რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის არის საჭირო, — ამის შესახებ ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, შტეფან ფულემ, ქართველ და მოლდოველ ჟურნალისტებთან ვიდეოკონფერენციისას განაცხადა.**

„თუ საქართველო ერთგული დარჩება იმ ფასეულობების, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის და დაამყარებს კანონის უზენაესობას, არ დაუშვებს შერჩევით სამართალსა და ქვეყანაში იქნება თავისუფალი მედია, მაშინ ის უფრო მეტად დაუახლოვდება ევროკავშირს. რაც უფრო ახლოს მივა საქართველო ევროკავშირთან, მით უფრო უკეთესად შევძლებთ ჩვენ მის დაცვას", — აღნიშნა ევროკომისარმა. მისივე განცხადებით, საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, სულ მცირე, მომავალი წლის სექტემბრის ბოლოსთვის მოხდება.

ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ასევე შეეხო უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების მზადების პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით. როგორც შტეფან ფულემ აღნიშნა, ევროკავშირი კვლავაც მზადაა უკრაინასთან ხელშეკრულების გასაფორმებლად და ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რეპლიკა

**უკრაინა ფასს იდებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი უფლებებით თუ არა, ტრადიციულ ქვეყნებთან თანასწორად შევიდეს ევროკავშირში, არ აღაქმევინოს ეს აქტი, როგორც მოწყალების მიღება... უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილება ასევე შეიძლება აღვიქვათ, როგორც რბილი გადასვლა აღმოსავლეთისკენ, რუსეთისკენ ნაბიჯის გადადგმა, როგორც საბოლოო ორიენტაციის განსაზღვრის ერთგვარი მოსამზადებელი თუ მოსინჯვის ტაქტიკური სვლა.**

# კიევის რუსეთი თუ რუსეთის კიევი?

**უკრაინამ შეაჩერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პროცესისთვის მზადება. საფუძველი — ქვეყნის ეროვნული და ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა.**
**შეაჩერა მზადება. უკრაინელი ხალხი ფეხზე დადგა: ამ გადაწყვეტილების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მრავალათასიანი მიტინგები უწყვეტ რეჟიმში იმართება კიევის მთავარ მოედნებზე, სხვა ქალაქებში. მასები მთავრობაზე ზემოქმედებას ცდილობენ ვილნიუსის სამიტის კვირაძალს — ერთი მხარე გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს, მეორე — მხარს უჭერს პრეზიდენტ იანუკოვიჩის პოზიციას.**



დაპირისპირება მწვავეა და უკომპრომისო. სიტუაცია სულ უფრო რთულდება.

უკრაინის მინისტრთა კაბინეტი თავის გადაწყვეტილებას ხსნის იმ პრობლემათა კომპლექსის „უფრო დეტალურად“ შესწავლის აუცილებლობით, რომლებიც დაკავშირებულია ევროინტეგრაციასთან და რუსეთთან, ასევე, დსთ-ს სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებთან.

The financial Times კი კიევის ამ გადაწყვეტილებას რუსეთის გამარჯვებად მიიჩნევს, თუმცა დასძენს, რომ ეს გამარჯვება „დიდი არ არის“, მცირეა, რომ „ხანგრძლივ პერსპექტივაში რუსეთი ამ გამარჯვებას დაკარგავს“.

შეფასებები მრავალგვარია: **უკრაინა ფასს იდებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი უფლებებით თუ არა, ტრადიციულ ქვეყნებთან თანასწორად შევიდეს ევროკავშირში, არ აღაქმევინოს ეს აქტი, როგორც მოწყალების მიღება.**

**ე. ი. უკრაინა ვაჭრობს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს ევროკავშირში გაერთიანებისგან.**

**უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილება ასევე შეიძლება აღვიქვათ, როგორც რბილი გადასვლა აღმოსავლეთისკენ, რუსეთისკენ ნაბიჯის გადადგმა, როგორც საბოლოო ორიენტაციის განსაზღვრის ერთგვარი მოსამზადებელი თუ მოსინჯვის ტაქტიკური სვლა.**

აქაც არ გამორიცხავენ ვაჭრობის ელემენტს — **უკრაინა სჭირდება რუსეთს, სჭირდება დსთ-ს და ამ ქვეყნის მიერ ევროკავშირისთვის ზურგის შექცევა სათანადოდ უნდა იყოს დაფასებული, აქედან გამომდინარე, მხარდაჭერილიც.**

შესაბამისი სტატუსით. არ არის გამორიცხული.

მოკლედ, უკრაინა ორივე მხარეს იტოვებს გადასასვლელ ხიდებს.

ექსპერტების გათვლით, უკრაინის მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა-ხელმოუწერლობის თამაში ბოლო დღემდე აქტიურ ფაზაში დარჩება და ვილნიუსის სამიტის შემდეგაც გაგრძელდება.

ვილნიუსის სამიტი ის მიჯნა არ არის, რომელიც ასეთ „პინგ-პონკის“ პოლიტიკას წერტილს დაუსვამს.

რატომ?

თუნდაც იმიტომ, რომ **არც ამერიკა არის დამთმობი, არც რუსეთი აპირებს უკან დახევას.**

ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო იყო რუსეთის ტელეარხ „როსიას“ პროგრამაში „კვირის ექო“ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მოსაზრების ციტირება: **„ფაქტობრივად, ჩვენ მოვისმინეთ მუქარა ჩვენი პარტნიორების მხრიდან უკრაინასთან დაკავშირებით, მასობრივი საპროტესტო აქციების მოწყობამდეც კი. აი, ეს არის ზემოქმედება, აი, ეს არის შანტაჟი. დაემორჩილება თუ არა უკრაინა და უკრაინის ხელმძღვანელობა ამ შანტაჟს, გაირკვევა ამ დღეებში. მას შეუძლია წინ აღუდგეს ამ ზემოქმედებას და დაიკავოს პრაგმატული პოზიცია თავისი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად“.**

უკრაინის პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება სამმხრივი მოლაპარაკების გამართვის შესახებ. რუსეთი მზადაა, მონაწილეობა მიიღოს ამ მოლაპარაკებაში.

პუტინის აზრით, დასავლელი პარტნიორების პოზიცია ამასთან დაკავშირებით ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი იქნება იმის გასარკვევად, მზად არის თუ არა დასავლეთი მოლაპარაკების გასამართად თანასწორუფლებიანობის ნიადაგზე.

**ახლა — აშშ-ის პოზიციის შესახებ,** რომლის გამოც იმავე ტელეპროგრამაში ასეთი შეკითხვა დაისვა: **აინტერესებს კი აშშ-ს უკრაინა?**

**— არა, არ აინტერესებს, —** იყო პასუხი. **ამერიკას არ აინტერესებს არც უკრაინის ტერიტორია, არც ამ ქვეყნის სიმდიდრენი, არ აინტერესებს თვით უკრაინელები, მათი ტრადიციები, კულტურა და ა. შ. ამერიკას აინტერესებს უკრაინის არყოფნა — გინდ მთლიანის, გინდ დანაწევრებულის(!).**

**«ამერიკას არ აინტერესებს არც უკრაინის ტერიტორია, არც ამ ქვეყნის სიმდიდრენი, არ აინტერესებს თვით უკრაინელები, მათი ტრადიციები, კულტურა და ა. შ. ამერიკას აინტერესებს უკრაინის არყოფნა — გინდ მთლიანის, გინდ დანაწევრებულის(!)»**

ნიშანდობლივია, რომ ასეთივეა პატიოსანი ამერიკელი ექსპერტების შეხედულებაც.

ერთი თვის წინათ, ოქტომბრის ბოლოს ერთგვარად გამოიკვეთა ახალი ამერიკული სცენარის კონტურები „ევროპისა და ევრაზიისთვის“, ხოლო გასულ კვირაში შედგა საერთაშორისო საკითხების აშშ-ის კონგრესის კომიტეტის სხდომა თემაზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარი მომენტი: პერსპექტივა უკრაინისთვის, მოლდოვისთვის, საქართველოსთვის, ბელარუსისთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის“. სენატორებმა მოუსმინეს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილედ სექტემბერში დანიშნულ **ვიქტორია ნულანდს**, რომელსაც ევალება ევროპისა და ევრაზიის საკითხების კურირება, და ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცეპრეზიდენტს — **დეიმონ უილსონს.**

პირველმა ერთგვარი თავშეკავებით ილაპარაკა აშშ-ის მიერ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ევროინტეგრაციული მისწრაფების მხარდაჭერაზე, რომელსაც აბრკოლებს რუსეთი, მეორემ — უილსონმა დიპლომატიური რევერანსების გარეშე განაცხადა, რომ **ამერიკამ დრო არ უნდა დაკარგოს „აღმოსავლური პარტნიორობის“ თვითდინებაზე მიშვებით და, რაც შეიძლება მეტი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო მოწყვიტოს „ევრაზიულ ავტორიტარულ კლეპტოკრატიას“.** აშშ-მა უნდა დაასრულოს აღმოსავლეთ ევროპაში დაწყებული „სამუშაო“, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ამერიკის, როგორც ლიდერის, როლის შესრულებასთან ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებით დასრულებასთან. მისთვის კი **ვაშინგტონმა სასწრაფოდ უნდა მოახდინოს თავისი სტრატეგიის რადიკალიზაცია და თავი დაანებოს რუსეთის პოზიციისთვის ანგარიშის გაწევას. რუსეთზე დაციკლვას და მისი მეზობლების უყურადღებოდ მიტოვებას დეიმონ უილსონი „დამარცხების რეცეპტად“ მიიჩნევს.**



სენატორების წინაშე გამოსვლისას დეიმონ უილსონმა არც საქართველო და მოლდოვა დაივიწყა, დადებითად მიიჩნია ფაქტი, რომ ევროკავშირთან მათი ასოციაცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა, **რაც გინდა იყოს,** ვილნიუსის სამიტის დღის წესრიგში რჩება.

**რაც გინდა იყოსო. ისე სასხვათაშორისოდ, გინდა იყოს, გინდა — არა, სულერთია იმავე ევროინტეგრაციისთვის. სამაგიეროდ ჩვენი საგარეო პოლიტიკის კურსისთვის 28-29 ნოემბრის ვილნიუსის სამიტი ედემის ბაღის კარიბჭის გახსნად არის აღქმული და პროპაგანდირებული. ვთქვათ და, გაიხსნა კარიბჭე. რა პერსპექტივა გველოდება?**

დასალიერამდე მისულმა ამ შემოდგომამ, როგორც ჩანს, ევროპაში განვითარებული ფინანსური და ჰუმანიტარული კრიზისის შესახებ წაკითხული მოხსენებების, ჩატარებული ეკონომიკური კვლევებისა და სოციოლოგიური გამოკითხვების რაოდენობის ყველა რეკორდი მოხსნა.

ევროპის სოციალურ-ეკონომიკური კომიტეტის ამას წინათ გამართულ კონფერენციაზე ფრიად ნიშანდობლივი მონაცემები გამოქვეყნდა. **ევროკომისიის შეფასებით, 84 მილიონი ადამიანი ევროპაში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ამ კრიზისიდან გამოსვლის პროცესი, ევროკომისიის აზრით, შესაძლებელია 10 წელიწადს გაგრძელდეს. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს ციფრები შეგნებულადაა შემცირებული.** საერთაშორისო ჰუმანიტარული სააგენტო Oxfam-ის მონაცემებით, **ბებერ კონტინენტზე სიღარიბის ზღვარს მიღმა 120 მილიონზე მეტი ადამიანი იმყოფება და, თუ არ შეიცვლება ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მკაცრი საბიუჯეტო ეკონომიის პოლიტიკა, ევროპელ ღატაკთა მასივი 2025 წლისთვის დამატებით 15-25 მილიონით გაიზრდება.**

ასეთმა პოლიტიკამ, რომელიც ლათინურ ამერიკაში განხორციელდა, ისე უკან დახია ეს ქვეყნები, რომ მათ რამდენიმე ათეული წელიწადი დასჭირდათ უწინდელი ცხოვრების დონეზე დასაბრუნებლად. ექსპერტების აზრით, კრიზისამდელი (2008 წელი) დონის მისაღწევად ევროპელებს მეოთხედი საუკუნე მაინც დასჭირდებათ. **პრობლემის ფესვებს ეკონომისტები ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ პოლიტიკაში ხედავენ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის უპრეცედენტო სოციალური უთანასწორობა გამოიწვია.**

აი, ასეთი სამოთხის კართან ვდგავართ.

ამბობენ, რომ ჭკვიანები სხვების შეცდომებზე სწავლობენ, სულელები — ვერც საკუთარზე.

ჩვენ რომელ კატეგორიას ვეკუთვნით?

ნაციონალიზმის მესიანიზმთან აღრევა, ნაციონალიზმის მესიანიზმად გასაღება გონების სიბნელითაა გამოწვეული და, როგორც სწორად შენიშნავენ, ბოროტების მთესველია. ასეთი იყო „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოში და მას ეროვნულობასთან საერთო არაფერი ჰქონდა, პირიქით ეროვნულობის, ეროვნული სულის, ტრადიციების, რწმენის წინააღმდეგ იყო მიმართული.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მესიანიზმი» დავძლიეთ, ახლა — საით?

**ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გავრცელებული შეფასების მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის წასვლა მესიანიზმის უგულებელყოფის, მესიანიზმის დამთავრების ეპოქის დასაწყისია.
თითქოს რაღაც დაავადება მოვიხადეთ.
ასეთია შავ-თეთრი შეხედულება:
იყო, აღარ არის გასაგები, როგორც ყველა პროპაგანდისტული ილეთი.
მაგრამ არც ასე მარტივად ყოფილა საქმე და, მოდით, საგაზეთო ვარიანტის დონეზე მაინც გავეცნოთ ამ პრობლემის არსსა და რაობას — კომპილაციურ დონეზე.**



## ნაციონალიზმი და მესიანიზმი

მოაზროვნეთა შეხედულებით, ნაციონალიზმი — ეროვნულობა და მესიანიზმი გარკვეულ პირობებში არამარტო არ გამორიცხავს ერთმანეთს, არამედ ურთიერთშემხებლობაშია და ურთიერთს ერწყმის, მაგრამ არა ყოველთვის.

გავრცელებული მოსაზრებით, ნაციონალიზმი დადებითი მნიშვნელობით დამკვიდრებისას, განსაკუთრებული სულიერი აღმავლობის მომენტებში მესიანიზმად ყალიბდება.

ისტორიკოსები ამის არაერთ მაგალითს ასახელებენ ევროპასა თუ რუსეთში: **სლავიანოფილების ნაციონალიზმი შეუმჩნევლად გადაიზარდებოდა მესიანიზმში, XIX საუკუნის დასაწყისში გერმანიის სულიერი ნაციონალური აღმავლობა გერმანულ მესიანიზმად გარდაიქმნა.**

**მაგრამ პრინციპულად** ნაციონალიზმი და მესიანიზმი ურთიერთგამომრიცხავი, დაპირისპირებული ბუნების მქონე მოვლენებია, რომლებიც წარმოშობითა და მიზანსწრაფვებით შეუთავსებადია.

ნაციონალისტები ბიურგერების ტიპის პრაქტიკოსები არიან, რომლებსაც ამ ცხოვრებაში კარგად და თბილად მოწყობის სურვილი და უნარი გააჩნიათ. საკუთარი ცხოვრების, ცხადია. ბიოლოგიურ კეთილდღეობასაც უწოდებენ ასეთ კომფორტულ თვითდამკვიდრებას, რადგან **ბიოლოგიურად საბუთდება იგი.**

მესიანიზმის წარმოდგენა და გააზრება მხოლოდ რელიგიურ ნიადაგზეა შესაძლებელი, მაშასადამე, მისი **დასაბუთება ბიოლოგიურად შეუძლებელია,** რადგან იგი მისტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული, რწმენის საძირკველზე დგას, რელიგიური ფენომენია.

**ნაციონალიზმი მრავალსახიერია — მრავალი ნაციონალიზმი შეიძლება არსებობდეს. მას უნივერსალიზმის, ერთადერთობის, განსაკუთრებულობის პრეტენზია არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს,** თუმცა, როგორც ანალიტიკოსები ისტორიული მაგალითებით ასაბუთებენ, **პრაქტიკულად ეიოლება სხვა ეროვნებათა უგულებელყოფა და მოსპობაც კი.**

ნაციონალიზმი თავისი არსით, იდეით პარტიკულარულია — განცალკევებისკენ, დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებისკენაა მიდრეკილი, ყოველთვის კერძოა.

**მესიანიზმი თანაარსებობას ვერ იტანს, იგი ერთადერთია, სამყაროსეულია. მაგრამ ნაციონალიზმისგან განსხვავებით არასოდეს უარყოფს, ბიოლოგიურად არ სპობს და არ ანადგურებს სხვა ეროვნებებს, იგი მათ გადაარჩენს, უმორჩილებს თავის სამყაროსეულ, მსოფლიო იდეას.**

## საიდან მოდის მესიანიზმი?

მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მესიანიზმის ფესვები ებრაელი ხალხის მესიანურ ცნობიერებაშია, საკუთარი თავის ღვთის რჩეულ ხალხად აღქმაშია, იმ ხალხად, რომლის წიაღში უნდა იშვას მესია, მხსნელი, რომელიც ისრაელისთვის ბედნიერების დამამკვიდრებელი იქნება.

ეს ცნობილია.

არც ისაა საკამათო, რომ **ძველებრაული მესიანიზმი განსაკუთრებულია, მიჯაჭვულია ერთ ეროვნებას და უარყოფს ყველა სხვას.** იმ პერიოდის ებრაულ მესიანიზმში ჯერ კიდევ არ არის საყოველთაო საკაცობრიო იდეა. **ებრაული მესიანიზმი შეუძლებელია ქრისტიანულ სამყაროში, რადგან ქრისტიანობა არ განასხვავებს ადამიანებს ეთნიკური კუთვნილებით. ქრისტე-მესიის მოვლინებით მთავრდება ებრაული მესიანიზმი. ქრისტიანულ სამყაროში დაუშვებელი ხდება რელიგიურ-ეროვნული სიძულვილი.**

ქრისტიანობა სულაც არ უარყოფს რასებსა და ეროვნებებს. ქრისტიანობა კაცობრიობის და მთელი მსოფლიოს გადარჩენის რელიგიაა. ქრისტე ყველას და ყველაფერს მოევლინა — **ქრისტიანობაში გამორიცხულია ნაციონალური, ეროვნული მესიანიზმი, რომელიც საკაცობრიო იდეას უარყოფს, ანუ ძველი აღთქმის მესიანიზმი, მაგრამ შესაძლებელია ახალი აღთქმის მესიანიზმი, რომელიც ეფუძნება მესიის მოვლინებას მთელი კაცობრიობისთვის და მთელი მსოფლიოსთვის.**

მკითხველებს ვთხოვ, ყურადღება მიაქციონ ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც, შეიძლება ითქვას, **ქრისტიანული მესიანიზმის ამოსავალი წერტილია — მესიის მოვლინება მომავლისკენაა მიმართული, რადგან თავისი არსით წინასწარმეტყველურია.**

თეოლოგების აზრით, ქრისტიანმა ერმა საკუთარი თავი ღვთისმატარებლად შეიძლება აღიქვას, მესია-ერად, შეიძლება ირწმუნოს თავისი განსაკუთრებული რელიგიური დანიშნულება მსოფლიო ისტორიის ბედის გადაწყვეტაში, მაგრამ ამით იოტისოდენადაც არ უარყოს სხვა ქრისტიანული ერები.

**ამიტომ სიხარული მესიანიზმის დაძლევის გამო ხელოვნურად შემოტანილი ცრუდემოკრატიზმის ნიშანია, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური მედროვეობისთვისაა დამახასიათებელი.**

**ის, რაც დავძლიეთ მხოლოდ მესიანიზმის კარიკატურად შეიძლება ჩაითვალოს, უკეთეს შემთხვევაში, მესიანისტური განწყობილების, კერპის შექმნის, სხვისი მოიმედეობის, ხელისშემყურეობის დაძლევად.** ეს „სხვა“ ყველაფერი შეიძლება იყოს — პიროვნებიდან დაწყებული, ქვეყნით თუ საერთაშორისო ორგანიზაციით დამთავრებული, ისეთით როგორიც, მაგალითად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსია, რომელზეც მზად ვართ, ვილოცოთ.

ამის გამო მაინცდამაინც თვითგვემას ნუ მივეცემით, რადგან მსგავსი განწყობილება და მცნებათა აღრევა მარტო ჩვენი საზოგადოებისა და მხოლოდ ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი ნიშანი არ არის.

## ნაციონალიზმი თუ ეროვნული იდეა?

ნაციონალიზმი, როგორც ცნობილია, შედარებით ახალი მოვლენაა, რომელიც მხოლოდ XIX საუკუნეში განვითარდა და შუა საუკუნეებსა და ძველრომაულ უნივერსალიზმს ჩაენაცვლა. ეს მიმდინარეობა უარყოფს სხვა ეროვნებათა არამხოლოდ სულიერებას, არამედ მათ ფიზიკურ არსებობასაც, ეგოისტურ თვითდამკვიდრებად და ორგანულ კარჩაკეტილობად ყალიბდება. ეს კი თავისთავად აცლის მას უნივერსალობას და, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, შემოქმედებითი სულისკვეთებისგან ფიტავს. **იგი თანდათან ტოტალიტარიზმის უკიდურეს ფორმად ყალიბდება, სადაც განვითარებას ცვლის ადმინისტრირება და ძალადობა.**

საქართველოს სინამდვილეში ნაციონალიზმი ე.წ. ელიტარული პოლიტიკანების რელიგიად იქცა, თავაწყვეტილ ეგოისტურ მეთოდად, რომელიც საკუთარი ძალაუფლების დასამკვიდრებლად და საკუთარი კეთილდღეობის დასამყარებლად იყო გამოყენებული თითქმის ათი წლის განმავლობაში. სათავისოდ და, რა თქმა უნდა, თანამგზავრებისთვის, რომლებიც ყველა მიმდინარეობას ყოველთვის თან სდევს საზოგადოების ყველა ფენის მედროვეთა სახით და მდუმარე ხალხის ფონზე.

**ნაციონალიზმის მესიანიზმთან აღრევა, ნაციონალიზმის მესიანიზმად გასაღება გონების სიბნელითაა გამოწვეული და, როგორც სწორად შენიშნავენ, ბოროტების მთესველია. ასეთი იყო „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოში და მას ეროვნულობასთან საერთო არაფერი ჰქონდა, პირიქით ეროვნულობის, ეროვნული სულის, ტრადიციების, რწმენის წინააღმდეგ იყო მიმართული.**

ხან სინგაპურის მიბაძვით დამკვიდრებული ბედნიერებით ცდილობდნენ ხალხის მოხიბვლას, ხან კიდევ, რა ვიცი, რა მოდური უბედურებით.

ტოტალური მიმბაძველობის პრინციპით მართავდნენ სახელმწიფოს. ეს კი, **„ცხოვრების უცხო წესის, საზოგადოების მართვის უცხო ფორმების, ერის განვითარების უცხო პრინციპების ძალდატანებითი დანერგვაა,** — შენიშნავს ცნობილი პოლიტოლოგი და მეცნიერი ალექსანდრე ჭაჭია, რაც მისი აზრით — **მიმართულია ქართველი ერის თვითმყოფადობის, ქართული ეროვნული სპეციფიკის, ტრადიციული სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების თანმიმდევრული მოსპობისკენ და ქართველთა უეროვნებო, უსახო ბრბოდ გადაქცევისკენ“** *(ალექსანდრე ჭაჭია, „საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...“ გვ. 159-160).*

დავძლიეთ, მადლობა ღმერთს! და გადავარჩინეთ ეროვნული თვითშეგნება, მენტალობა, იდენტურობა. ეროვნული ყოფა ბუნებრივი არსია, რომლისთვისაც ბრძოლაა საჭირო, რომლის გახსნა და განვითარებაა აუცილებელი.

**მესიანური ცნობიერება ასეთ ერში შეიძლება** განვითარდეს, მაგრამ, როგორც თეოლოგები მიიჩნევენ, **ასეთი შედეგი დადგება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხი უდიდეს ტანჯვას გადაიტანს.**

ჩვენ გადავიტანეთ ასეთი ავბედობის ჟამი და, **თუ დღეს რაიმესგან გათავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი, არა მესიანიზმის დაძლევაზე, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ შავი ჭირის მოხდაზე.**

ერის მესიანისტური მისწრაფება კი მიიღწევა სულიერი აღმაფრენით, სხვათა მჯობნობის სრული გამორიცხვით, უმეტესის კეთებით და უმეტესზე უარის თქმით, რომელსაც „წინ უნდა უსწრებდეს დადებითი ეროვნული საქმიანობა, სულიერი და მატერიალური განწმენდა“, ჩვენი ეროვნული ყოფის განმტკიცება და განვითარება.

**„...ქართულ ინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, ქართველი კაცი უნდა ემსახურებოდეს და საქართველოზე, უწინარეს ყოვლისა, ქართველი უნდა ზრუნავდეს,** — ჯერ კიდევ 2002 წელს წერდა ალექსანდრე ჭაჭია, — **საკუთარ ქვეყანაში ქართველმა კაცმა უნდა იგრძნოს თავი კარგად და ჩვენი მოძმე ხალხებიც მხოლოდ ამის შემდეგ იცხოვრებენ აქ კარგად.**

**ქართველებს მინდა ვუთხრა: ძმებო, დებო, იქნებ ჯერ ჩვენ თვითონ მივხედოთ საქართველოს და მერე ვიქონიოთ სხვისი იმედი? სწორედ ასეთი პრინციპით უნდა ვაშენოთ ქართული, ეროვნული სახელმწიფო“** *(„ახალი თაობა“, 04.11.2002).*

ანალიტიკოსები გვარწმუნებენ, რომ მესიანიზმი არ შეიძლება იყოს განვითარების პროგრამა. პროგრამა ეროვნული, შემოქმედებითი შრომის ნაყოფია.

საქართველო ასეთი, ეროვნული იდეით გამსჭვალული, პროგრამის მოლოდინშია.

გვერდები მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

## ბათუმის პორტში რუსეთში ციტრუსის გადამზიდავი გემი შემოვა

**ბათუმის პორტში გემი შემოვა, რომელიც ნოვოროსიისკის პორტის გავლით ციტრუსს რუსეთის მიმართულებით გადაზიდავს, — ამის შესახებ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაურ ფუტკარაძემ განაცხადა.**

ზაურ ფუტკარაძემ ციტრუსის სეზონთან დაკავშირებულ საკითხებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ ციტრუსის შეფუთვა ევროპული სტანდარტებით ხორციელდება. **„ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში 30-მდე პავილიონი მუშაობს, რომლებშიც დღის განმავლობაში სამი სახის 300 ათასი ყუთი მზადდება. ექსპორტი წელს უკრაინაში, რუსეთში, უზბეკეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსსა და ყაზახეთში ხორციელდება. ერთი ტონა ტვირთის გადატანა ბათუმი-ნოვოროსიისკის პორტის მიმართულებით 70 დოლარი, ხოლო ნოვოროსიისკში ტვირთის ექსპედირება-განბაჟება 275 დოლარი იქნება“,** — აღნიშნა ზაურ ფუტკარაძემ.

მისივე განმარტებით, აჭარის მთავრობის ინიციატივით, ბათუმის სავაჭრო პალატაში შექმნილია სპეციალური საინფორმაციო ცენტრი, რომლიდანაც ერთი ფანჯრის პრინციპით გაიცემა ტვირთის ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტაცია.



პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხალხსა და ქვეყანაზე მაფიქრალ, აქტიურად მოქმედ დეპუტატებს სრულებითაც არ ანაღვლებთ ვადამდელი არჩევნები, თავისი ერთგული ამომრჩეველი მათ ყოველთვის ეყოლებათ, იკითხონ იმათ, ვინც „პარავოზით“ ან „კარუსელით“ მოხვდნენ პარლამენტარის სავარძლებში; ასეთები კი, ჩვენდა სამწუხაროდ, არა უბრალოდ უმრავლესობა, არამედ დიდი უმრავლესობაა!**

# იმედები — ფუჭი, რეალობა — მწარე, პრობლემები — უამრავი, პერსპექტივა — ნული!

**კაცი იმედით ცოცხლობს და ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, ყოველ ახალ სახეს, ახალ დანიშვნას თუ არჩევას იმედის თვალით შევყურებთ და ვივიწყებთ(!) ვინ ვინ არის, საიდან მოდის, ანუ მთავარი ქართული შეგონება „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“ გვავიწყდება!**

**ღმერთმა ქნას, მარგველაშვილ-ღარიბაშვილმა ნაწილობრივ მაინც გაამართლონ ხალხის იმედები და გაცემული დაპირებები კოჰაბიტაციის დასრულებაზე და სამართლიანობის დამკვიდრებაზე დაპირებებადვე არ დარჩეს; მაგრამ, გამომდინარე წინაპირობებიდან, მე პირადად ძალიან მიჭირს საკუთარი თავის ამაში დარწმუნება.**

მხოლოდ სამ წინაპირობაზე შევჩერდები:

**პირველი.** რაც უნდა „კარგი ბიჭი“ იყოს ახალი პრემიერმინისტრი – ირაკლი ღარიბაშვილი, იგი ვერ წავა იმ კურსის წინააღმდეგ, რომელიც მისმა დამნიშნავმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა უანდერძა და რომლის დედააზრიც ორი სიტყვით გამოიხატება: **„დასავლეთი (ამერიკა) ვერ გაგვიგებს“;**

**მეორე.** პრეზიდენტად არჩეული, უფრო სწორად კი ისევ ივანიშვილისგან დანიშნული გიორგი მარგველაშვილი, ძალიან ძნელია, წარმოვიდგინოთ განუკითხაობის შემოქმედებთან, „ნაცებთან“, მებრძოლის როლში – **ერთი წიაღიდან** (თავისუფლების ინსტიტუტი, სოროსის ფონდი) **გამოსული და ამერიკული ფულით დაფინანსებული ადამიანები, რომლებიც ღიად აცხადებენ და თავს დებენ მეგობრობაზე, ერთმანეთის „ტყავს“ არამც და არამც არ დახევენ.** რას იტყვის შორეული ან თუნდაც ახლობელი მამა-მარჩენალი, რომლისგანაც მარგველაშვილს, ღარიბაშვილის მსგავსად, ახალი ხელისუფლების უნიათობის გასამართლებელ არგუმენტად ისევ **„ამერიკა ვერ გაგვიგებს“** მეტი არაფერი სმენია (პირველ რიგში, სისხლის სამართლის უმძიმესი და სახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩამდენთა დასჯის კუთხით გამოვლენილ უნიათობას ვგულისხმობ);

**მესამე.** თეორიულად დავუშვათ, რომ პირველი ორი წინაპირობა (ფაქტობრივად კი, ერთი), ანუ ხელისშემშლელი მიზეზი არ არსებობს. თეორიულად, რადგან „არგამგები“ მხარე არსად წასულა, ჩვენთვის თავი არ გაუნებებია და მისი მახვილი თვალი, სამკუთხედში ჩასმული (გამგები გაიგებს!), დამოკლეს მახვილივით კიდია ჩვენს თავზე.

იბადება კითხვა: **როცა პრეზიდენტს თითქმის ყველა უფლება ჩამორთმეული აქვს და ყველაზე დიდი უფლებები იმ პარლამენტის ხელშია გადასული** (ახალი კონსტიტუციით და კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით), **რომელშიც პარადი რესპუბლიკელებს მიჰყავთ, კვალში კი „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაცები“ მიჰყვებიან, იქ პრეზიდენტი და პრემიერი რამეს გახდებიან?!** მშვიდობიანად, ანუ კენჭისყრის გზით რაიმეს მიღწევა, ნებისმიერი კანონის მიღება ამათ უკითხავად წარმოუდგენელია! ეს ძალა ხომ შენსას არ გაგატანინებს, ვინც არ უნდა იყო და რა რკინის ხელიც არ უნდა გაგაჩნდეს! ასე რომ, **პარლამენტის მხარდაჭერის გარეშე კარდინალურ ძვრებს, ანუ იმას, რასაც ერთი წლის მანძილზე ველოდით და ივანიშვილის ხელშიც ვერ ვეღირსეთ, არც მომავალში უნდა ველოდოთ ცალ-ცალკე თუ ერთად მარგველაშვილ-ღარიბაშვილისგან.**

**ერთადერთი გამოსავალი** (მშვიდობიანი გამოსავალი!) **პარლამენტის გადარჩევაა, რაც სიკვდილივით არ სურს არც ერთ ზემოდასახელებულ ძალას, არ სურს, რადგან ეს მართლაც მათი პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნება! მაგრამ ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში არასაპარლამენტო ოპოზიციას გამარჯვება გარანტირებული ექნება.** ძალიან დიდი ალბათობით, მოვლენები ისეთივე სცენარით განვითარდება, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების დროს და შედეგებიც შესაბამისი დადგება, თუ... ხალხის ნაკლებინფორმირებულობა და ზომბირებაც (განსაკუთრებით, რაიონებში) გვერდზე რომ გადავდოთ, როცა ადმინისტრაციული რესურსები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, შეგნებულად არდაზუსტებული საარჩევნო სიებით მანიპულირების შესაძლებლობა „ქართული ოცნებისა“ და „ნაცების“ ხელშია, როცა მაჟორიტარი დეპუტატების არჩევა მახინჯი წესით (30% + 1 ხმა) ტარდება, როცა ისიც კი არ ვიცით დაზუსტებით, თუ რამდენი ამომრჩეველი მივიდა საარჩევნო ყუთთან (ვიდეოთვალი ზედმეტადაა ჩათვლილი!), როცა ტელესივრცეზე მონოპოლიაა და არასაპარლამენტო ოპოზიციურ ძალებს იგნორირებას უკეთებენ და კანტიკუნტად იწვევენ ცენტრალური ტელევიზიების თოქშოუებში, ბოდიში და, რამდენიც არ უნდა ვიფაფხუროთ, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება არჩევნებში გამარჯვება, ისევ ძველებურად პირში ჩალაგამოვლებულებს დაგვტოვებენ და თან დაგვამუნათებენ კიდეც: რა გინდათ, არჩევნები არ გაყალბებულა, ამისთანა დემოკრატიული არჩევნები აქამდე არ ჩატარებულა, ხალხს ჩვენ მოვწონვართ და ა. შ.

**ასეთია დღევანდელი გადასახედიდან დანახული ხვალინდელი დღის რეალური სურათი და ჩემი ბრალი არ არის, თუკი პესიმისტურად მოჩანს! სად არის გამოსავალი?**

**სულ ამ გამოსავლის ძებნაში ვართ და ვერ გვიპოვია! თუმცა არა, კარგა ხნის ნაპოვნია, მაგრამ ძველი თუ ახალი ხელისუფლების მიერ არგანხორციელებული. რატომ? არ აძლევთ ხელს დეპუტატების უმეტესობას და იმიტომ! აბა, ხალხსა და ქვეყანაზე მაფიქრალ, აქტიურად მოქმედ დეპუტატებს სრულებითაც არ ანაღვლებთ ვადამდელი არჩევნები, თავისი ერთგული ამომრჩეველი მათ ყოველთვის ეყოლებათ, იკითხონ იმათ, ვინც „პარავოზით“ ან „კარუსელით“ მოხვდნენ პარლამენტარის სავარძლებში; ასეთები კი, ჩვენდა სამწუხაროდ, არა უბრალოდ უმრავლესობა, არამედ დიდი უმრავლესობაა!**



**როცა პრეზიდენტს თითქმის ყველა უფლება ჩამორთმეული აქვს და ყველაზე დიდი უფლებები იმ პარლამენტის ხელშია გადასული, რომელშიც პარადი რესპუბლიკელებს მიჰყავთ, კვალში კი «თავისუფალი დემოკრატები» და «ნაცები» მიჰყვებიან, იქ პრეზიდენტი და პრემიერი რამეს გახდებიან?!**

ამ მანკიერი და ჩაკეტილი საარჩევნო წრიდან თავის დასაღწევ ნაბიჯებს, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ, წინასწარ შეიძლება თქმა, ხელისუფლება თავისი ნებით არ გადადგამს. იგი არასაპარლამენტო ოპოზიციამ, სამოქალაქო სექტორში მოღვაწე ადამიანებმა და ფართო საზოგადოებამ უნდა ვაიძულოთ (ხალხის მხრიდან ფართო მხარდაჭერის ფონზე, ცხადია), რაც აქტიურ(!) გამოსვლებში — მასობრივი დემონსტრაციებითა და მიტინგებითაც უნდა გამოვხატოთ, საჭიროების შემთხვევაში. ეს იმიტომ, რომ, **სამწუხაროდ, დავრწმუნდით, მხოლოდ ლაპარაკს, აკადემიურ რჩევებსა და ასეულათასობით ხელმოწერებსაც ახალი** (უკვე მეორე წელში გადამდგარი!) **ხელისუფლებაც ყურადღებას არ აქცევს. პრესატელევიზიით აზრების გამოთქმას, ანუ ცარიელ სიტყვის თავისუფლებას კი** (ასე რომ გვაყვედრიან დღეს!) **ვინ რა თავში ვიხლით, როცა ხელისუფლება ხალხის გულისნადებს არ იზიარებს, ჩვენი გულიდან ამოთქმულს ისევ და ისევ ჩვენ ვასკდებით, ჩვენ ვიხეთქავთ გულებს!**

მაშ ასე, **უპირველესად, რა თქმა უნდა, საჭიროა, მივაღწიოთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, რასაც ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება. აქედან გამომდინარე, ვშიშობ, გვერდზე არ დაგვრჩეს იმ პრობლემების დროული მოგვარება, რომელთა გარეშეც არჩევნებში ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალების გამარჯვება გამორიცხულია.** არჩევნების მოთხოვნა და არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება პარალელურ რეჟიმში უნდა მიმდინარეობდეს. სხვანაირად, დარწმუნებული ვარ, დანიშვნით კი დაგვინიშნავენ ვადამდელ არჩევნებს (გაჭიანურებული ბრძოლის შემდეგ), მაგრამ გამარჯვებულები ისევ „ქოცები“ და „ნაცები“ გამოვლენ, ზუსტად ისე, როგორც საპრეზიდენტო არჩევნებში! **თუ ეროვნული, ანუ ერის ინტერესების გამტარებელი პარლამენტის არჩევა გვწადია, აუცილებლად უნდა მივაღწიოთ:**

**1. მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის მახინჯი წესის შეცვლას — 30% + 1 ხმის პრინციპი უნდა შეიცვალოს 50% + 1 ხმის პრინციპით** (სხვანაირად ისეთივე სურათის მოწმენი გავხდებით, როგორსაც ნაძალადევის რაიონში ჰქონდა ადგილი, როცა გამოკვეთილ ოპოზიციურ ლიდერს, ერთ-ერთ გამორჩეულ პოლიტიკოსს — კახა კუკავას სრულიად უცნობმა თამარ კორძაიამ აჯობა!);

**2. საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ასევე მახინჯი წესის შეცვლას — ხელისუფლებაში ამჟამად წარმოდგენილ ძალებს** („ქოცებს“ და „ნაცებს“) **მხოლოდ თითო ადგილი უნდა დაეთმოს, დანარჩენი ადგილები არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა გადაინაწილონ, უპირველესად, მრავალრიცხოვანმა პარტიებმა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თითოეულ პარტიას მხოლოდ თითო ადგილი უნდა დაეთმოს კომისიის წევრთა რაოდენობის შესავსებად; ცესკოს კომისიის თავმჯდომარედ კი სულაც უპარტიო პროფესიონალი უნდა შეირჩეს ურთიერთშეთანხმებით;**

**3. ყოველ საარჩევნო უბანზე ორ-ორი ვებკამერის** (და არა ვიდეოთვალის!) **დამონტაჟებას, რათა თითოეულ ამომრჩეველს შესაძლებლობა ჰქონდეს, საკუთარი თვალით დააკვირდეს არჩევნების მიმდინარეობას მისთვის საინტერესო ნებისმიერ საარჩევნო უბანზე, ანუ ზუსტად ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს რუსეთში, სადაც 91 ათას უბანზე 182 ათასი ვებკამერა იყო დამონტაჟებული, რომელთა მეშვეობითაც ყველას მიეცა საშუალება თვალყურის დევნებასთან ერთად დარღვევებიც სახლიდან გაუსვლელად დაეფიქსირებინა!** ნახევარზე მეტი შეტყობინება (დარღვევების თაობაზე) ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სწორედ ამ „დამკვირვებლებისგან“ — რიგითი ამომრჩევლებისგან მიიღო ბინებიდან! ხაზს ვუსვამ: უნდა დამონტაჟდეს ვებკამერები და არა ვიდეოთვალები. ვებკამერით დაფიქსირებული ვიდეოს ნახვა თავისუფლად შეეძლება ყველას ინტერნეტის მეშვეობით, ვიდეოთვალით გადაღებული მასალის ნახვა კი მხოლოდ(!) მის ჩამწერს შეუძლია; სხვას, თუნდაც ოფიციალურ დამკვირვებელს, დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, ცესკოს თავმჯდომარის ნებართვა ან სასამართლოს გადაწყვეტილება ესაჭიროება! გავიხსენოთ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მხოლოდ 12 ვიდეოთვალის (1200-დან!) ჩანაწერის ნახვა მოახერხა, ისიც დიდი ბრძოლისა და არჩევნების დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ! ასეთი გამჭვირვალობა მით უფრო აუცილებელია ჩვენთან — **ყველა სიკეთესთან ერთად, ჩვენთან ხომ საარჩევნო სიებიც არ არის დაზუსტებული და, ალბათ, არც დაზუსტდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერამდე. ეს სიები კი, როგორც ფიქრობენ, დაახლოებით 40%-ით, ანუ ერთი მილიონით არის გაბერილი(!) და მის დაზუსტებას არც ახალი ხელისუფლება შეეცადა! ყველას გვახსოვს, თითქმის ერთი წელი არავის გახსენებია სიები და, როცა საპრეზიდენტო არჩევნები მოახლოვდა, მაშინ გამოგვიცხადეს – რა ვქნათ, არ ესწრება სიების დაზუსტებაო!**

4. **საარჩევნო ბარიერის სრულ გაუქმებას – სადეპუტატო ადგილებისთვის საჭირო ხმების რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს ძალიან მარტივად და ბუნებრივად, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით და არა — ხე-** ▶

# ყველამ უნდა ვიცოდეთ იმ ნამუსგარეცხილი ადამიანის ვინაობა, რომელსაც თავში მოუვიდა სამშობლოში, შინ დასაბრუნებელად ვიზა მოსთხოვოს ქართველს! სწორედ ასეთი ქართველი 20 წელი უცხოეთში თავდაუზოგავი და ხშირად დამამცირებელი შრომით გამათხოვრებულ ყოფაში მყოფი საქართველოს მოსახლეობის 90%-ს ინახავს.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლოვნურად დაწესებული ბარიერით, რომელიც ხან 5 %-ია, ხან — 3 და ხანაც — 7, ვისაც როგორ მოეპრიანება! რა უნდა იმის დადგენას, თუ რამდენი ამომრჩევლის ხმაა საჭირო ერთი სადეპუტატო ადგილისთვის?! — არც არაფერი, მხოლოდ-დამხოლოდ ერთადერთი მარტივი არითმეტიკული მოქმედების, გაყოფის, შესრულება, ისიც ერთხელ! უფრო ადვილად გასაგები რომ იყოს ჩემი ნათქვამი, უმარტივეს მაგალითს განვიხილავ:

**დავუშვათ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ერთ-ნახევარმა მილიონმა ამომრჩეველმა. თუ პარტიული სიით დეპუტატების 50%, ანუ 75 დეპუტატი იქნება არჩეული, მაშინ ერთი სადეპუტატო ადგილისთვის საკმარისი აღმოჩნდება 1500000:75=20000 ხმა** (დაახლ. 1.3 %). **მორჩა და გათავდა! და, თუ რომელიმე პარტია ამაზე მეტ ხმას ვერ დააგროვებს, მიეცეს მას ეს ერთი ადგილი პარლამენტში, რომელიც მან დამსახურებულად მოიპოვა, რატომ ვართმევთ მას ამომრჩევლების ხმებს** (ათეულობით ათასს, ბარიერის პროცენტს გააჩნია!) **და რატომ ვჩუქნით ამ ხმებს იმათ, ვისაც ისედაც უამრავი ადგილი აქვს განაღდებული პარლამენტში და ვისთვისაც ამ კონკრეტულ ამომრჩევლებს ხმა არ მიუციათ, ეს ხომ აშკარა უსამართლობაა!**

**იმ შემთხვევაში, თუ პარტია ვერ აგროვებს ხმების მინიმალურ რაოდენობას** (ჩვენს მაგალითზე, 20 ათასს), **მას უფლება უნდა ჰქონდეს, თავისი ხმები გადასცეს სხვა პარტიას საკუთარი შეხედულებისამებრ, რომელსაც მასავით დააკლდა ხმები ან ნებისმიერ სხვას, გარდა პირველ ადგილზე გასული პარტიისა** (ეს პატარა შეზღუდვა ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი ხელისუფლების სატელიტ პარტიებს არ მისცემს საშუალებას, ამ გზით დაეხმარონ ხელისუფლებას)!

ცხადია, კიდევ არის სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები გასატარებელი, როგორიცაა, სატელევიზიო ეთერის დათმობა ცენტრალურ არხებზე, უფასო სარეკლამო დრო, პარტიათა დაფინანსება და ა. შ., მაგრამ მათზე არ შევჩერდები, ამაზე ისედაც ბევრჯერ ითქვა და დაიწერა.

კანდიდატების სწორად შერჩევას რაც შეეხება, ანუ ცრუ დაპირებებით ამომრჩევლის გაცურების თავიდან აცილებას, რაც წარმოუდგენლად ძნელია ჩვენი ტვინების სატელევიზიო გამორეცხვების ფონზე, ამის თაობაზე ბევრჯერ მისაუბრია ადრინდელ წერილებში, ამიტომ ახლა მხოლოდ ზოგადად ვიტყვი — **ასარჩევ კანდიდატს თუ ცალკე აღებულ პარტიის ლიდერს (ლიდერებს) უნდა მოვთხოვოთ საკუთარი პოზიციის ნათლად ჩამოყალიბება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ნატო და ნატოს საომარ ოპერაციებში მონაწილეობა, შესაბამისი რეფერენდუმის აუცილებლობა; რუსეთი და მასთან გასატარებელი პოლიტიკა; უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები; ჰომოსექსუალობა, ერთსქესიანთა ქორწინება და მისი პროპაგანდა; „ნაციონალური" არა, „ნაცმოძრაობა" და მისი პასუხისმგებლობა; ეროვნების გრაფის აღდგენა პასპორტში; მართლმადიდებლური ეკლესიისთვის უპირატესი ან სახელმწიფო რელიგიის სტატუსის მინიჭება საბერძნეთის ეკლესიის ანალოგიურად და სხვ.** დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემისგან თავის არიდების შემთხვევაში, ნებისმიერ ასეთ კანდიდატს თუ პარტიას უნდობლობა უნდა გამოუცხადოს ამომრჩეველმა.

მოსაგვარებელ პრობლემებს რა გამოგვილევს, მათ ნაწილზე ბატონმა გიორგი მჭედლიშვილმაც ილაპარაკა თავის საინტერესო წერილში „ქვეყანას ახალი, ნიჭიერი ხალხის გამოვლენის შესაძლებლობა და ასპარეზი უნდა მივცეთ!", რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ვებსაიტზე დაიდო 14 ნოემბერს. მან ბევრი ყურადსაღები და აუცილებლად გასათვალისწინებელი წინადადებები მოგვაწოდა: პროპორციული არჩევნების გერმანულ სისტემაზე გადასვლის თაობაზე, რომლის მიხედვითაც გამოირიცხება პარლამენტში „პარავოზის" პრინციპის წყალობით მოხვედრა (ამ სისტემით ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს არა მთელ პარტიულ სიას, ანუ არა პარტიის გამოკვეთილ ლიდერს მიტმასნებულ, არაფრის მაქნის ხალხს მთლიანად, როგორც ეს ხდება დღეს, არამედ — კონკრეტულ ადამიანს); კენჭისყრის ბრიტანული წესის — სახელობითი კენჭისყრის დანერგვაზე და ფარული კენჭისყრის საერთოდ აკრძალვაზე; „პარლამენტიდან გაწვევის შესახებ" კანონზე (გამარტივებულის, ცხადია!); პარლამენტართა რაოდენობის, მათი ხელფასების შემცირებაზე და სხვ.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მჭედლიშვილის არც ერთ მოსაზრებას ამჟამინდელი პარლამენტი არ გაიზიარებს, პრივილეგიებისთვის და კარგი ცხოვრებისთვის მოვიდნენ პარლამენტში სხვადასხვა(!) გზით და ახლა თავის დასაკლავ დანას თავად გალესავენ?! მხოლოდ მომავალი პარლამენტი თუ წავა ამ რეფორმებზე (გააჩნია, ძალები როგორ გადანაწილდება!). ასე ვფიქრობდი წერილის კითხვისას და ახლაც იმავე აზრის ვარ, მაგრამ პუბლიკაციიდან რამდენიმე დღეში გამოქვეყნებულმა ცნობამ საქართველოდან უცხოეთში წასული მოქალაქეების უფლებებზე, მაიძულა, დღესვე მოვითხოვო, თანაც კატეგორიულად, სახელობითი კენჭისყრა და იმ პირების გამოვლენა, რომელთა თავშიც ის ავადმყოფური იდეები იშვა, რომლებმაც ჩემი და ჩემნაირად უამრავი ადამიანის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. აღშფოთებისა და, შესაბამისად, ღია კენჭისყრის მოთხოვნის მიზეზებს ახლავე მოგახსენებთ.



**ყველა სიკეთესთან ერთად, ჩვენთან ხომ საარჩევნო სიებიც არ არის დაზუსტებული და, ალბათ, არც დაზუსტდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერამდე. ეს სიები კი, როგორც ფიქრობენ, დაახლოებით 40%-ით, ანუ ერთი მილიონით არის გაბერილი(!) და მის დაზუსტებას არც ახალი ხელისუფლება შეეცადა!**

**ყველამ უნდა ვიცოდეთ იმ ნამუსგარეცხილი ადამიანის ვინაობა, რომელსაც თავში მოუვიდა სამშობლოში, შინ დასაბრუნებელად ვიზა მოსთხოვოს ქართველს! სწორედ ასეთი ქართველი 20 წელი უცხოეთში თავდაუზოგავი და ხშირად დამამცირებელი შრომით გამათხოვრებულ ყოფაში მყოფი საქართველოს მოსახლეობის 90%-ს ინახავს** (მას ორ მილიარდ დოლარზე მეტი, ანუ ოთხ მილიარდ ლარამდე შემოაქვს საქართველოში ყოველწლიურად; 1.5 მილიარდ დოლარამდე მხოლოდ საფოსტო გადმორიცხვებით შემოდის!). **ამ ხალხმა უშველა და დღესაც შველის არამარტო თავის დანატოვარ ოჯახს და საახლობლოს, არამედ მთლიანად საქართველოს. და ამისთანა ხალხს ვიღაც ტვინნაღრძობი ვიზას თხოვს?!**

**ან ვისი ინიციატივით, რა უფლებით უხსნიან ასეთ ადამიანებს საქართველოს მოქალაქეობას?! ყველა ჯურის ხალხს, რომელსაც თითზე თითი არ დაუკარებია საქართველოს სასარგებლოდ, საქართველოს მოქალაქეობას ვატენით, ხოლო საქართველოზე გადაყოლილ ადამიანებს, აქაოდა, სხვა ქვეყნის მოქალაქეობა რად მიიღეთო, ვართმევთ ამ უფლებას და ვიზებს ვთხოვთ?!** ენა რომ არ იციან, არასოდეს ისრაელში რომ არ ყოფილან და მისთვის იოტისოდენაც რომ არ გაუკეთებიათ არაფერი, იმათ აძლევენ ისრაელის მოქალაქეობას უპირობოდ(!), მხოლოდ ებრაელობისთვის(!), თუნდაც ბებიის ბებიის ბებია დედის მხრიდან თუ იყო ებრაელი! ჩვენ კი **სიდუხჭირის გამო უცხოეთში იძულებით გადახვეწილ, მაგრამ მუდამ საქართველოზე მაფიქრალ და მზრუნველ თანამემამულეებს, რომელთა** უმეტესობა (განსაკუთრებით, მათი შთამომავლობა!), **სამწუხაროდ, დაკარგულია საქართველოს ეთნოფონდისთვის, ახლა იურიდიულადაც ხელს ვკრავთ?! საქართველოში ჩამოსვლას, საცხოვრებლად ჩაწერის უფლებას ვუზღუდავთ და ქართულ მიწაზე სიკვდილის ნებასაც არ ვაძლევთ?! ვიზას ვთხოვთ ქართული მიწის გულზე დასაყრელად?! ცოტა ხომ არ დაუსტვინეს ახალ ეშელონებშიც?!** მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ უფრო რბილად თქმისთვის ენა არ მიტრიალდება!

როგორ შეიძლება, ამ იდეის ავტორი ქართველი იყოს ან ნორმალური! როგორ შეიძლება ასეთი, ყოვლად წარმოუდგენელი, ქართველი ერის ღალატის ტოლფასი გადაწყვეტილებები ფარული კენჭისყრით წყდებოდეს და ინიციატორის, მხარდამჭერი დეპუტატების გვარები მთელმა საქართველომ არ იცოდეს?! ყველა მათგანი კინწისკვრით გასაყრელია სამსახურებიდან — პარლამენტიდან თუ საგარეო და შინაგან საქმეთა სამინისტროებიდან, სწორედ ისინი უნდა გავაძევოთ საქართველოდან სამუდამოდ, ქართველი ერის გადაშენება-გადაჯიშების მოსურნეთა გვარები შავ სიაში უნდა შევიტანოთ და მათ ვიზითაც აღარ უნდა დავადგმევინოთ ფეხი ქართულ მიწაზე!

**არა, ნამდვილად ისე გამოგვათაყვანეს „ნატო, ნატოს" და „ევროპა, ევროპის" ძახილით, რომ საღი აზროვნების უნარი დავკარგეთ! სხვისი არ ვიცი და, ჩემდათავად, სამი სიტყვა ისე შემაზარეს, რომ მათ გაგონებაზე გინების ხასიათზე ვდგები. არადა, ეს ის სამი სიტყვაა, რომლებზეც დიდი ხნის წინ, საბჭოეთში ცხოვრების დროს, პირდაპირ ვოცნებობდი: დემოკრატია, ნატო და ევროპა.**

**„დემოკრატია" როგორ არ შემძულდებოდა ამ ათი წლის მანძილზე, როცა საქართველოში გამეფებულ სრულ განუკითხაობას, სახელმწიფო ტერორს და ულვთოდ გაყალბებულ არჩევნებს დემოკრატიად გვინათლავდა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული დასავლეთი!**

ან „ნატო" როგორ უნდა შემყვარებოდა მთელ მსოფლიოში მისი ნამოქმედარის შემხედვარეს, განსაკუთრებით ბოლო 15 წლის მანძილზე (დაწყებული ბელგრადის დაბომბვიდან 1999-ში), **როცა იგი თავის ჭკუაზე ამყარებს „დემოკრატიას" სადაც მოესურვება, როცა მიწასთანასწორებს სახელმწიფოებს და მილიონობით ადამიანს** (სამხედროს თუ მშვიდობიანს, ქალს თუ ბავშვს) **საიქიოს ისტუმრებს!**

„ევროპას" რაღას ვერჩი? არც არაფერს. წარამარა ევროპელობაზე, გაევროპელების დაუოკებელ სურვილზე ლაპარაკი მაღიზიანებს, მეტი არაფერი. ვითომ რა, ქართველებად, ანუ ნახევრადევროპელებად და ნახევრადაზიელებად თუ დავრჩით, ამით ქვეყანა იქცევა თუ ჩვენს კაცობას ადგება ჩრდილი?! „ნახევრადს" ვამბობ, თორემ **სინამდვილეში ხომ კარგად ვიცით, რომ ჩვენი კულტურით, ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებით აზიელები უფრო ვართ, ვიდრე ევროპელები. და ასეც რომ არ იყოს, რა მნიშვნელობა აქვს, რას დავირქმევთ ან რას დაგვარქმევენ. ლამის ათასი წელია, ზეპირად ვიცით ყველამ და მაინც ვერ შეიგნო ბევრმა** (ხელისუფლებამ, პირველ რიგში!), **რომ, „თუ კაცი კაცად არ ვარგა, რას გვარგებს გვარიშვილობა"! თუ ერი ერად არ ვივარგებთ და წავხდებით, წინაპართა სისხლის ფასად დღემდე მოტანილ ენას, მამულს და სარწმუნოებას დავკარგავთ, ანუ სინდის-ნამუსზე ხელს ავიღებთ და ყველაფერს მწვანეებზე გავყიდით, ჩვენს მრავალსაუკუნოვან კულტურას თანამედროვე(!) დასავლურ ღირებულებებს ვანაცვალებთ – ეროვნების, სამშობლოს, პატრიოტიზმის, დედ-მამის ცნებებს მოვსპობთ, პედერასტობას და ერთსქესიანთა ქორწინებას კი კანონის ძალით დავამკვიდრებთ, თუ უფროსი ადამიანის პატივისცემას დავივიწყებთ და დასმენა-გარყვნილებას წავახალისებთ, თუ სხვის ომებში თავს გამოვიჩენთ და საკუთარ სახლში კი ტერორისტულ აქტებს საკუთარივე ხელისუფლება მოგვიწყობს** (სხვათა წამხედურობით!), **მაშინ რაღა მნიშვნელობა ექნება, ასეთი გადაგვარების გზაზე დამდგარ ერს ევროპელებს გვიწოდებენ თუ მარსიანელებს?!**

ზემოთ ხაზი გავუსვი „თანამედროვე" დასავლურ ღირებულებებს და ამ „ღირებულებების" დამადასტურებელი ერთი „მეცნიერულ-მორალური" მიღწევის შესახებ მინდა „გახაროთ". **ძველი თაობის მედიკოსები, ფილოსოფოსები, თეოლოგები და სხვებიც, ცხადია, დღესაც შოკში არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში 1973 წელს გაკეთებული „მეცნიერული აღმოჩენით", რომელმაც სათავე დაუდო ადამის მოდგმის გადაგვარებას — ამერიკაში „გაარკვიეს", რომ ჰომოსექსუალიზმი არ ყოფილა თურმე ბიოლოგიური ნორმიდან გადახრა — ფსიქიური დაავადება, როგორც ეს ყველა დროში და ყველა ხალხში ითვლებოდა, იგი „სექსუალური ორიენტაცია" ყოფილა მხოლოდ. ევროპას 1992 წლამდე არ სჯეროდა ამ „აღმოჩენის", მაგრამ ამერიკამ მაინც „დააჯერა"!**

**40 წლის შემდეგ, სულ ახლახან, ისევ ახალი მიღწევა, ისევ ამერიკული სამედიცინო აზრის გამობრწყინება** (საზოგადოების დამუნჯების ფონზე!) — **როგორც თავის დროზე პედერასტობა, ისე ახლაც ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ სექსუალურ ორიენტაციად ჩათვალა პედოფილიაც! და პედოფილების უფლებებიც განსაზღვრა: „პედოფილებს შეუძლიათ** (ანუ უფლება აქვთ) **განახორციელონ სექსუალური მოქმედებები** (ანუ აქტები) **ბავშვებთან მათი თანხმობით"!**

„იხარე ჭერო, მოკვდი მტერო"! ანუ იხარეთ, ლგბტ-ს მიმდევარ-მომხრეებო (ნინია კაკაბაძევ, ელენე ხოშტარიავ და სხვა „გამოჩენილო" „უფლებადამცველებო"), თქვენს სათაყვანებელ აბრევიატურას კიდევ ერთი ასო დაემატა — „პ", ამიერიდან თქვენი სახელი ხუთი ასოსგან შედგება — „ლგბტპ", ლესბოსელს, გეის, ბისექსუალს და ტრანსსექსუალს, ამერიკის რეკომენდაციით, პედოფილიც ემატება. ასოები ნუ მოგაკლოთ ღმერთმა!

მგონი, დავლოცე ეს ცოდვისშვილები!

**იაკობ ლეჟავა**

**უპირველესად, რა თქმა უნდა, საჭიროა, მივაღწიოთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, რასაც ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზუსტად ორი წელია, რაც აშშ-ს იუნესკოს ბიუჯეტში ერთი ცენტიც არ შეუტანია. ვაშინგტონმა ამგვარად გამოხატა პროტესტი საერთაშორისო ორგანიზაციაში პალესტინის ჩართვის გამო. ამასთან, იუნესკოს წესდება ითვალისწინებს არაღიარებული სახელმწიფოების გაწევრებას მის რიგებში. ამდენად, აშშ-ის საპასუხო ქმედებები ფასდება, როგორც ჩვეულებრივი შანტაჟი. ამერიკული დემარშის შედეგად იუნესკოს ბიუჯეტს 240 მილიონი დოლარი მოაკლდა და მთელი რიგი პროგრამებისა შეჩერდა.**

# აშშ იუნესკოს და გაეროს აშანტაჟებს

**ვაშინგტონი უკმაყოფილოა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის (იუნესკო) ზოგიერთი გადაწყვეტილებით და ამის გამო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არ იხდიდა საწევროს. საქმე ისაა, რომ შანტაჟის ამგვარი მეთოდებით მუშაობა საერთაშორისო ინსტიტუტებთან თეთრი სახლისთვის ჩვეულებრივი პრაქტიკაა, მაგრამ ამჯერად ფანდი აღარ გაუვიდა — რამდენიმე დღის წინ იუნესკომ აშშ-ს ხმის უფლება ჩამოართვა.**



ძნელია, გადაჭარბებით შეაფასო იუნესკოს როლი თანამედროვე ძალადობითა და უსამართლობით გაჯერებულ მსოფლიოში. ის აგვარებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მცირერიცხოვანი ხალხების წვდომა სუფთა წყალთან, ბავშვებისთვის წერა-კითხვის სწავლება, სიღატაკის აღმოფხვრა, სიტყვის თავისუფლებისთვის ხელშეწყობა, ექსტრემიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ასე შემდეგ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ყველაფერი ხერხდება სახსრების ეფექტური გადანაწილების წყალობით, ეს სახსრები კი ორგანიზაციაში შედის წევრი ქვეყნების მიერ შენატანების სახით.

**ზუსტად ორი წელია, რაც აშშ-ს იუნესკოს ბიუჯეტში ერთი ცენტიც არ შეუტანია. ვაშინგტონმა ამგვარად გამოხატა პროტესტი საერთაშორისო ორგანიზაციაში პალესტინის ჩართვის გამო. ამასთან, იუნესკოს წესდება ითვალისწინებს არაღიარებული სახელმწიფოების გაწევრებას მის რიგებში. ამდენად, აშშ-ის საპასუხო ქმედებები ფასდება, როგორც ჩვეულებრივი შანტაჟი. ამერიკული დემარშის შედეგად იუნესკოს ბიუჯეტს 240 მილიონი დოლარი მოაკლდა და მთელი რიგი პროგრამებისა შეჩერდა.**

უფრო მეტიც, **„ახლანდელი სიტუაცია, შესაძლოა, სერიოზულ პრეცენდენტად იქცეს, თუ პალესტინა კიდევ სხვა, უფრო გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუერთდება, მაგალითად, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას“,** — წერს გავლენიანი ინტერნეტრესურსი Huffington Post და პირდაპირ მიანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში აშშ-მა, შესაძლოა, ამ ორგანიზაციის დაფინანსებაც შეწყვიტოს...

რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, აშშ ზეწოლის ამ ბერკეტს პირველად როდი იყენებს. **1984 წელს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა დემონსტრაციულად გაიყვანა ქვეყანა იუნესკოს რიგებიდან. ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ორგანიზაციის „გადამეტებულად პოლიტიზირებული სტრუქტურა“. თუმცა რეალური მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ იუნესკოს მაშინდელი გენერალური დირექტორი ადამუ მაჰტარ მბოუ ამერიკის მარიონეტი არ იყო, სიმპათიები ჰქონდა საბჭოთა კავშირის მიმართ და იბრძოდა მსოფლიო საზოგადოების ინსტიტუტებში განვითარებადი ქვეყნების როლის გაზრდისთვის.** აშშ იუნესკოს რიგებში მხოლოდ 2003 წელს დაბრუნდა, რაც ასევე სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. ავღანეთსა და ერაყში გაგანია საომარი მოქმედებებისას, რომლებსაც, როგორც ახლა უკვე ვიცით, ახლდა ისტორიული კულტურული ფასეულობების გაზიდვა საომარი ტერიტორიებიდან, ვაშინგტონს საერთაშორისო იარლიყი სჭირდებოდა, რომ ზედმეტი კითხვების გარეშე გაეგზავნა საომარი მოქმედებების რაიონებში თავისი არქეოლოგები და კულტუროლოგები.

რა თქმა უნდა, ახლა მრავალი მაღალი რანგის თანამდებობის პირი ამერიკელი, მათ შორის მინესოტას შტატის დემოკრატი კონგრესმენი კიტ ელისონიც, თავს იმართლებს, რომ ყველაფერში დამნაშავეა ამერიკის ამჟამინდელი მძიმე ფინანსური მდგომარეობა. თურმე ამ მდგომარეობამ შეუშალა ხელი აშშ-ს, დროულად მოეხდინა ანგარიშსწორება იუნესკოსთან. ელისონმა პირობა დადო, რომ უახლოეს მომავალში გაიტანს კონგრესში კანონპროექტს, რომელიც გააუქმებს „მოძველებულ კანონებს, რომელთა წყალობითაც ავტომატურად შეჩერდა იუნესკოში სახსრების დინება 2011 წლის ნოემბრიდან“.

**უკვე 20 წელია, აშშ-ს გაეროს ვალი აქვს! 1995-2005 წლებში აშშ-ის ყოველწლიური დავალიანება გაეროს მიმართ 1,2-1,3 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ამის შემდეგ ვალი მკვეთრად იზრდებოდა და 2009 წელს ეს მაჩვენებელი 2,2 მილიარდს შეადგენდა**

რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ ამერიკის ვალს, ამ შემთხვევაში მდგომარეობიდან ასე იოლად გამოძრომა ვერ ხერხდება. **უკვე 20 წელია, აშშ-ს გაეროს ვალი აქვს! 1995-2005 წლებში აშშ-ის ყოველწლიური დავალიანება გაეროს მიმართ 1,2-1,3 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ამის შემდეგ ვალი მკვეთრად იზრდებოდა და 2009 წელს,** გაეროში აშშ-ის ელჩის სიუზენ რეის აღიარების თანახმად, **ეს მაჩვენებელი 2,2 მილიარდს შეადგენდა.** კონგრესმა მაშინ ხაზინას დაავალა, გადაეხადათ ვალის ნაწილი — 1 მილიარდი დოლარი, დანარჩენი 1,2 მილიარდი კი განისაზღვრა, როგორც „სადავო“. სინამდვილეში აშშ-მა ღიად აჩვენა ფინანსური ზეწოლა მთავარ მსოფლიო ორგანიზაციაზე. საქმე ისაა, რომ **გაეროს ზოგიერთი ინიციატივა პირდაპირ ეწინააღმდეგება ვაშინგტონის ექსპანსიურ გეგმებს. მაგალითად, საერთაშორისო პროგრამა „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლებები, რომლებიც ამერიკის ეკონომიკურ ბლოკადაში მოხვდნენ, მიიღებდნენ რაღაც შესაძლებლობას მაინც, გამოეკვებათ საკუთარი ხალხი.** ▶

# პრეზიდენტი ობამა ტოტალურ მორჩილებას მოითხოვს

**რამდენიმე დღის წინ კონსერვატორულ მედიაში გაჟონა ინფორმაციამ, რომელიც ახალ ხმამაღალ სკანდალს მოასწავებს: უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ობამას ადმინისტრაცია ოფიცრებს (სერჟანტებიდან გენერლებამდე) მოქმედი პრეზიდენტისადმი ერთგულებაზე ტესტავდა.**



„ჩემს მრავალ კოლეგას უწევს პასუხის გაცემა შეკითხვებზე, რომლებიც შემაშფოთებელია, — ამბობს სპეცრაზმელი ბენ სმიტი. — **თეთრ სახლში სურთ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში უიარაღო ადამიანებს ვესვრით. გულწრფელად რომ გითხრათ, იმის წარმოდგენაც კი არ შემიძლია, თუ მოვლენათა განვითარების რა სცენარი აქვთ ვაშინგტონში.“**

გადამდგარმა გენერალმაიორმა პატრიკ ბრედმა ჟურნალისტებს უამბო, რომ ოფიცრები იძულებულნი არიან, უსიტყვოდ შეასრულონ ყველაზე უგუნური და უცნაური მოთხოვნები ობამას ადმინისტრაციის მხრიდან.

**„თუ ვინმე წინააღმდეგობას გამოხატავს, უმალ აიძულებენ გადადგეს,** — ამბობს ბრედი. — **არმია მუდამ გამოირჩეოდა მკაცრი დისციპლინით, მაგრამ ახლანდელი პრეზიდენტი უსიტყვო მორჩილებას ითხოვს. ვგრძნობ, ადმინისტრაცია რაღაცისთვის ემზადება...“**

ამ ყველაფერთან ერთად გასულ კვირას ინტერნეტში გაჟონა ვიდეორგოლმა, რომლიდანაც ჩანს, რომ სახელისუფლო სააგენტოები ემზადებიან მასშტაბური აქციებისთვის მოსახლეობის განიარაღების მიმართულებით. კერძოდ, შესაბამის ინსტრუქტაჟს გადიან საგანგებო სიტუაციების დროს მართვის ფედერალური სააგენტოს (FEMA) თანამშრომლები.

**„გამორიცხული არაა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახლის კარზე მოგვიკაკუნებენ ამ სააგენტოს თავაზიანი აგენტები და მოგვთხოვენ, ჩავაბაროთ იარაღი,** — დარწმუნებულია ტეხასის მკვიდრი **მერდჟ დონაჰიუ.** — **ამასთან, ისინი რაღაც არადამაჯერებელ მიზეზს მოიშველიებენ, მაგალითად, რომ პოლიციელებს ან სამხედრო მოსამსახურეებს არ ჰყოფნით იარაღი“.**

უნდა აღინიშნოს, რომ **პრეზიდენტობის პირველივე დღიდან ობამა „ჭანჭიკებს უჭერდა“ ყველა სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სახალხო ამბოხებების ჩახშობაში. კერძოდ, მან არაერთხელ შეახსენა ავღანეთში ჩარჩენილ ქვეითებს, საზღვაოქვეითებსა და მფრინავებს, თუ ვინაა მათი ნამდვილი მეთაური.** თავად განსაჯეთ:

2009 წლის ივნისში პრეზიდენტმა და თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა თანამდებობიდან მოხსნეს **გენერალი დევიდ მაკკირნანი.** მიზეზად იქცა გაუგებრობა გამოცდილ სამხედროსა და იმ ჩინოვნიკებს შორის, რომელთაც ხელში იარაღი არასდროს სჭერიათ. ობამა მუდმივად ურჩევდა გენერალს, თუ როგორ ჯობდა საომარი მოქმედებების წარმოება ყანდაღარსა და ჰილმენდში და როგორ უნდა მომხდარიყო „მთელი ძალების მიმართვა მეამბოხეებთან ბრძოლისკენ“.

მორიგი მსხვერპლი **გენერალი სტენლი მაკკრისტალი** — ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სტრატეგი, გახდა. მან პირადად შეიმუშავა რამდენიმე ათასი სპეცოპერაციის გეგმა და არაერთხელ გაურისკავს საკუთარი სიცოცხლე ცხელ წერტილებში. ნატოს ძალებმა სწორედ მაკკრისტალთან დაიწყეს ავღანეთში გამარჯვებები. მაგრამ ვაშინგტონმა მასზე ზეწოლა დაიწყო, რამაც ჟურნალ RollingStone-ის ფურცლებზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის კრიტიკა განაპირობა.

**ავღანეთში ჩარჩენილი ჯარისკაცები ემუდარებოდნენ პრეზიდენტს, ეპატიებინა მაკკრისტალისთვის და განეგრძოთ მის მიერ შერჩეული სტრა-** ▶

**სპეცრაზმელი ბენ სმიტი:**

**თეთრ სახლში სურთ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში უიარაღო ადამიანებს ვესვრით**

**ბენ ლადენისთვის გლობალური ომის გამოცხადებით ბუშმა ამერიკელ სამხედროებს მისცა შესაძლებლობა, სასამართლოსა და გამოძიების გარეშე მოკლან ადამიანები პლანეტის ნებისმიერ კუთხეში... ტერორიზმთან ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი მისთვის გახდა სპეცოპერაციის გაერთიანებული მეთაურობა, რომლის უფლებამოსილებაც მოგვიანებით მნიშვნელოვანწილად გაზარდა ბარაკ ობამამ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ის სახსრებიც, რომელთაც ვაშინგტონი დროდადრო აგზავნის გაეროში, იქ შერჩევით იგზავნება, ძირითადად ხვდება სამშვიდობო მისიების ანგარიშებზე, ეს მისიები კი საბრძოლო ოპერაციების ან აშშ-ის მიერ ამა თუ იმ რეგიონში სამხედრო დასწრების გაფართოების პარალელურად ხორციელდება.** გარემოებათა უცნაური დამთხვევით, **2000-იან წლებში ეს მისიები ხორციელდებოდა ავღანეთში, ერაყში, ლიბანში, ჰაიტზე, კონგოში, სუდანში...**

**„აშშ-სა და გაეროს შორის პოზიტიური ურთიერთობებისკენ მიმავალი გზა მუდამ მოპირკეთებული არ ყოფილა, უკანასკნელ წლებში კი აშშ-ის ვალი კვლავ მკვეთრად იზრდება,** — იტყობინება გაეროს ფონდის ოფიციალური საიტი. — **აშშ-ის სტრატეგია, შეაკავოს სახსრები პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზეზების გამო, კონტრპროდუქტიულია. ეს დაძაბულობას ქმნის გაეროსთან ურთიერთობებში, ჩვენი საერთო მისიების შესრულებას კი გაცილებით რთულ და სახიფათო საქმედ აქცევს“.**

მრავალი ადამიანი მიიჩნევს, რომ გაერო, რამდენიმე ათწლეულია, ამერიკული სტუმართმოყვარეობით სარგებლობს, რადგან მისი შტაბ-ბინა ნიუ იორკშია განთავსებული. ეს მთლად ასე არ არის. მანჰეტენის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მიწა, რომელზეც შენობების ცნობილი კომპლექსი დგას, წარმოადგენს „საერთაშორისო ზონას, რომელიც ყველა წევრ-სახელმწიფოს ეკუთვნის“. 40-იანი წლების ბოლოს „გაერთიანებულმა ერებმა“ გამოისყიდეს ეს მიწა აშშ-ის მთავრობისგან. გარდა ამისა, გაეროს სამდივნოს სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად მიმდინარე დაქირავებების ხელშეკრულებები არის მსუყე ულუფა, რომელსაც ამერიკული კომპანიები ინაწილებენ. მაგრამ გაცილებით უფრო წონადია პოლიტიკური დივიდენდები, რომლებსაც აშშ-ს მის ტერიტორიაზე გაეროს შტაბ-ბინის განლაგება აძლევს. **თავის დროზე იმის გამო, თუ სად უნდა ყოფილიყო გაეროს შტაბ-ბინა, დასავლელმა პარტნიორებმა იჩხუბეს. ბრიტანეთი, საფრანგეთი და კანადა გაეროს ნიუ იორკში გადასვლის წინააღმდეგი იყვნენ. ამდენად, მსოფლიო სტრუქტურებისგან საკუთარი თავისთვის შეღავათების მოსათხოვნად თეთრ სახლს არანაირი მორალური უფლება არ გააჩნია.**

გარდა ამ ყველაფრისა, **აშშ მუდამ ეფლობა „წვრილმან“ საერთაშორისო ვალებში. სულ ცოტა ხნის წინ მას გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის 9,9 მილიონი დოლარი მართებდა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის — 8,7 მილიონი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის — 4,5 მილიონი.** რეგულარულად და დროულად ვაშინგტონი ფულს მხოლოდ ნატოს უხდის, უფრო მეტიც, მსოფლიოს უდიდესი სამხედრო ალიანსის ბიუჯეტში სხვა ქვეყნების მიერ გაჩენილ ხვრელებსაც კი ავსებს. ეს კი რატომღაც სულაც არ არის გასაკვირი...

fbii.org

◀ **ტეგია, მაგრამ ობამას ამპარტავნებამ მაკკრისტალის გადადგომა განაპირობა. გენერლის შეცვლამ ავღანეთში ტერაქტები განაპირობა, ამას კი ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა.**

**როდესაც ავტორიტეტული გენერლები თითქმის აღარ დარჩნენ, თეთრმა სახლმა საბრძოლო მოქმედებების ზონაში დევიდ პეტრეუსი გაგზავნა, თუმცა საკმაოდ მოკლე დროში ისიც გაათავისუფლეს ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე. ამის შემდეგ პეტრეუსი მცირე დროით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორად დანიშნეს, რის შემდეგაც საერთოდაც პენსიაზე გაუშვეს ისევ თეთრი სახლის განკარგულებით გაბერილი უმნიშვნელო სექსსკანდალის გამო.**

პეტრეუსი გენერალმა ჯონ ალენმა ჩაანაცვლა. მან დიდხანს ვერ შეძლო ხელქვეითების პატივისცემის მოპოვება. როდესაც ბოლოსდაბოლოს მოახერხა ეს, თეთრმა სახლმა მასაც უპოვა კომპრომატი: ალენიც სექსსკანდალის ფიგურანტად იქცა.

ახლა კი ყველაზე მთავარი: **გადადგომის მომენტში მაკკირნანიც, მაკკრისტალიც, პეტრეუსიც და ალენიც პოპულარობის ზენიტში იყვნენ. მთავარსარდალმა ობამამ ამის თაობაზე მშვენივრად იცოდა და თავი დაიზღვია თანმიმდევრობით ყველას მოშორებით. რომ არა ეს უგუნური გადაყენებები, ავღანეთში დახოცილი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა გაცილებით ნაკლები იქნებოდა.**

გამოჩენილი და ავტორიტეტული პიროვნებების ჩამოშორების პრაქტიკა გამოცდილია არამხოლოდ გენერლებზე, არამედ სახელმწიფო უწყებების მეთაურებზეც. შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი, შრომის დეპარტამენტი, საბაჟო და იმიგრაციული კანონების განხორციელების დეპარტამენტი, საგადასახადო სამსახური, სოციალური დაზღვევის სამმართველო — ყველა ამ უწყების ხელმძღვანელ თანამდებობებზე ან უკვე მუშაობენ, ან დღედღეზე დაიწყებენ მუშაობას ობამას კადრები.

ყველაფრის დასაჯამებლად უნდა ითქვას, რომ ჯერ არც ერთი პრეზიდენტის პერიოდში არ იცვლებოდნენ უმაღლესი თანამდებობის პირები ისე ხშირად, როგორც ეს ობამას დროს ხდება. **ქვეყნის მოქმედი მეთაური ვერ იტანს სხვაგვარად მოაზროვნეებს და თითქმის მიაღწია ყველა სამსახურის მხრიდან ტოტალურ მორჩილებას.** ამიტომაც სავსებით მოსალოდნელია, რომ მომავალში უამრავ ადამიანს მოუწიოს ერთი და იგივე ფრაზის წარმოთქმა: **„მე მხოლოდ ბრძანებას ვასრულებდი“...**

russian-bazaar.com

# ამერიკის «წითელი» და «ცისფერი» პრეზიდენტების წარმოუდგენელი სიმდაბლე და მსხვერპლი

**შიდა საკითხებთან დაკავშირებული უთანხმოებები სულაც არ უშლის ხელს დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს, ერთიანი საგარეო პოლიტიკა აწარმოონ. ამ საქმეში „მშვიდობისმყოფელი“ ობამა კი სისასტიკითა და ცინიზმით, დიდი ხანია, უსწრებს „კოვბოი“ უმცროს ბუშს.**



## ჯორჯ ბუში უმცროსი:

## ჩვენ განვახორციელებთ სიკვდილისა და ძალადობის ექსპორტს დედამიწის ოთხივ კუთხივ ჩვენი დიადი ერის დაცვისთვის



თუ აღმოსავლური ბლოკის დაცემამდე ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყო, საერთაშორისო საკითხებში ბიპოლარული მსოფლიოსთვის გაეწია ანგარიში, 90-იანი წლების დასაწყისიდან ვაშინგტონს შეეძლო, მსოფლიო საზოგადოებისთვის ყურადღების მიუქცევლადაც ემოქმედა. **აშშ-ის 41-ე პრეზიდენტის, რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშ უფროსის დროს გაჩნდა და მომაკვდინებელი შიგთავსით გაივსო ტერმინი „ჰუმანიტარული ინტერვენცია“, რომელიც აშშ-ისთვის სავიზიტო ბარათად და ინდულგენციად იქცა.** „ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდის ან ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების“ საბაბით თეთრმა სახლმა თავად გამოუწერა საკუთარ თავს ნებართვა, შეჭრილიყო ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციისა და მიზეზების ახსნის გარეშე.

**სატესტო „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ ობიექტი სომალი გახდა. დებიუტმა არ გაამართლა: „შავი ქორის ვარდნის“ და 18 რეინჯერის დაღუპვის შემდეგ ამერიკამ ამ ქვეყნიდან თავისი კონტინგენტი გაიყვანა. პოლიტიკურ უთანხმოებებს დემოკრატი ბილ კლინტონისთვის ხელი არ შეუშლია, 3000 საზღვაო ქვეითი გაეგზავნა ჰაიტში „ცხოვრების დემოკრატიული ნორმებისა და ადამიანთა უფლებების“ აღსადგენად. ოპერაცია მართლაც „ჰუმანიტარული“ აღმოჩნდა — აშშ-მა მხოლოდ ერთი ჯარისკაცი დაკარგა, ისიც შეჭრიდან 4 თვის შემდეგ.**

ამ ვარჯიშების შემდეგ აშშ-მა გადაწყვიტა, საკუთარი სამხედრო ძლევამოსილება და მსოფლიო საზოგადოების მოთმინება უფრო სერიოზულ შემთხვევებზე დაეტესტა. **სამიზნე იუგოსლავია აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ევროპის ცენტრში კვლავ ბომბები ცვიოდა და მშვიდობიანი მოქალაქეების სისხლი იღვრებოდა. „ჰუმანიტარული“ ოპერაციების ექვსი წლის განმავლობაში აშშ-მა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა ათასობით ადამიანი დახოცეს და ერთ დროს ერთიანი ქვეყანა ნაწილებად დაფლითეს.**

ცივი ომის დასრულებიდან ათი წლის შემდეგ, 2001 წლის 11 სექტემბერს ჯორჯ ბუშმა საკუთარი ომი დაიწყო — ომი საერთაშორისო ტერორიზმთან. ამ ომის ნიღბით აშშ-მა გააფართოვა „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ მიზნები ვაშინგტონისთვის არასასურველი პოლიტიკური რეჟიმების და მათი ლიდერების ფიზიკური განადგურების დონემდე. გლობალური დომინირება დაიწყო. ჯერ ავღანეთში დაიწყო „ჰუმანიტარული ინტერვენცია“, ამას კი მოჰყვა აშშ-ის შეიარაღება 43-ე პრეზიდენტის სიტყვებით: **„ჩვენ განვახორციელებთ სიკვდილისა და ძალადობის ექსპორტირებას დედამიწის ოთხივ კუთხივ ჩვენი დიადი ერის დაცვისთვის“** და ერაყში შეჭრა.

**ვერავინ იფიქრებდა, რომ უხეში რესპუბლიკელი ბუშის მომხიბვლელი შემცვლელი დემოკრატი ობამა წარმატებით განაგრძობდა წინამორბედის პოლიტიკას და რაღაც-რაღაცებში აჯობებდა კიდეც მას.**

აშშ-მა თავად გამოზარდა საერთაშორისო ტერორიზმი. ბუშმა მას სული შთაბერა ერაყსა და ავღანეთში შეჭრით, ობამამ — მოუქნელი მოქმედებებით ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. **ბენ ლადენისთვის გლობალური ომის გამოცხადებით ბუშმა ამერიკელ სამხედროებს მისცა შესაძლებლობა, სასამართლოსა და გამოძიების გარეშე მოკლან ადამიანები პლანეტის ნებისმიერ კუთხეში. ტერორიზმთან ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი მისთვის გახდა სპეცოპერაციის გაერთიანებული მეთაურობა, რომლის უფლებამოსილებაც მოგვიანებით მნიშვნელოვანწილად გაზარდა ბარაკ ობამამ.**

ამერიკის მტრების დაუსჯელად განადგურების საქმეში ნობელის პრემიის ლაურეატმა ობამამ ფსონი უპილოტო საფრენ აპარატებზე დადო და არც შემცდარა. ბუშის ორივე საპრეზიდენტო ვადის მანძილზე დრონები ცოცხალი სამიზნეების წინააღმდეგ სულ 52-ჯერ გამოიყენეს, ობამას მხოლოდ პირველი ვადით პრეზიდენტობისას კი — ათჯერ მეტჯერ! ობამა ნამდვილად კარგად ერკვევა ადამიანების ხოცვის საქმეში.

ობამასა და ბუშს აქვთ კიდევ ერთი, უმთავრესი საერთო შტრიხი: **ყოველ ამერიკელ პრეზიდენტს „წითელი“ იქნება თუ „ცისფერი“, მშვენივრად ესმის, რომ აშშ-ის არსებობა დამოკიდებულია მსოფლიოში წამყვან პოზიციაზე. და ის, ვინც თეთრ სახლში გადაწყვეტილებებს იღებს, მზად უნდა იყოს ნებისმიერი დანაშაულისთვის, წარმოუდგენელი სიმდაბლისა და მსხვერპლისთვის სტატუსკვოს შესანარჩუნებლად.**

fbii.org

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალგაზრდა თაობა გაცოფებულია იმის გამო, რომ წინა თაობები მათ 17 ტრილიონი დოლარის მოცულობის სახელმწიფო ვალს უტოვებენ. ამ ახალგაზრდებს ამ ვალის მომსახურება და გადახდა მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუწევთ.**

# 16 საბაბი პესიმიზმისთვის

**ნებისმიერი ქვეყნის მომავალს მხოლოდ ეროვნული სიმდიდრის დაგროვება, მრეწველობის განვითარების ან სასარგებლო წიაღისეულის დონე არ განსაზღვრავს. პირველ რიგში სახელმწიფოს პერსპექტივები იმით განისაზღვრება, თუ როგორ ზრუნავს ის თავის ახალგაზრდობაზე. და ამ თვალსაზრისით აშშ-ის პერსპექტივები, რბილად რომ ვთქვათ, მძიმედ გამოიყურება.**





**დღეს ახალგაზრდა ამერიკელების უმეტესობას დაკარგული აქვს მომავლის რწმენა და ხელისუფლებისადმი ნდობა. ისინი თავს წარუმატებელ ადამიანებად მიიჩნევენ და აღარ ათბობთ ამერიკული ოცნება. კოლეჯის ან უნივერსიტეტის წარმატებულად დამთავრების შემდეგ ისინი აღმოაჩენენ ხოლმე, რომ არავის სჭირდება.** პრესტიჟული თანამდებობები და პერსპექტიული სამუშაო ადგილები მათ არ ელის. შესაბამისად, ახალგაზრდები ვერსაიდან მოიტანენ ფულს არამხოლოდ სახლის საყიდლად, არამედ განათლების საფასურის გადასახდელად აღებული კრედიტების დასაფარადაც. შედეგად, **უამრავი ამერიკელი ახალგაზრდა უნივერსიტეტების საერთო საცხოვრებლებიდან მშობლების სახლში ბრუნდება, განუსაზღვრელი დროით ივიწყებს ოჯახის შექმნის პერსპექტივას და ნებისმიერ შემთხვევით სამუშაოზე თანხმდება, ოღონდ კი კრედიტები დაფაროს.**

აი რამდენიმე ფაქტი, რომლებიც 30 წლამდე ამერიკელებისთვის შექმნილ სიტუაციას ასახავს:

18-დან 24-წლამდე ამერიკელების ეკონომიური აქტიურობა უფრო დაბალია, ვიდრე მსგავსი კვლევების დაწყებიდან ამ დრომდე ოდესმე ყოფილა.

20 წლის ამერიკელების მხოლოდ მესამედი მუშაობს სრულ დღეს. 18-29 წლის ასაკის ამერიკელთა შორის სრული დღის განმავლობაში მომუშავეთა რაოდენობა განუხრელად იკლებს. არადა, ამერიკაში მხოლოდ ამ პირობით მომუშავეებზე ვრცელდება შეღავათები, სამედიცინო დაზღვევა და ასე შემდეგ. 2012 წლის ივნისში ახალგაზრდების 47%-ს ჰქონდა სრული სამუშაო დღე, ზუსტად ერთ წელიწადში ეს მაჩვენებელი 43,6%-მდე დაეცა.

## ამერიკაში 100 ათასზე მეტი მეეზოვე და 317 ათასზე მეტი ოფიციანტი უმაღლესი განათლებითაა

2007 წელს 20-29 წლის ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა 6,5%-ს შეადგენდა, დღეს ეს მაჩვენებელი გაორმაგებულია და 13%-ს უტოლდება.

2012 წელს ამერიკაში დასაქმებულ მოსახლეობას შორის 30-წლამდე ახალგაზრდების რაოდენობა 23%-ს შეადგენდა, უმუშევართა შორის კი — 36%-ს.

2011 წელს იმ 25 წლამდე ამერიკელების 53%, რომლებსაც ბაკალავრის ხარისხი ჰქონდათ, სრულად ან ნაწილობრივ უმუშევრები იყვნენ.

**დღეს კოლეჯების კურსდამთავრებული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი მუშაობს იქ, სადაც საჭირო არ არის უმაღლესი განათლება.**

16-დან 29-წლამდე მომუშავე ამერიკელების რაოდენობა 2000-დან 2010 წლამდე 18%-ით შემცირდა.

**ამერიკელთა 82% მიიჩნევს, რომ ახლა ახალგაზრდებისთვის გაცილებით უფრო რთულია სამუშაოს შოვნა, ვიდრე მათი მშობლებისთვის იყო ამ ასაკში.**

2011 წელს კოლეჯში მისაღები გამოცდების შეფასებები, უკანასკნელი 40 წლის მაჩვენებლებით, ყველაზე უარესი იყო.

**კოლეჯების ყველა კურსდამთავრებულის დაახლოებით ორი მესამედი იძულებული იყო, სტუდენტური კრედიტით ესარგებლა. ამასთან, ფედერალური სარეზერვო სისტემის მონაცემებით, სტუდენტური სესხების საერთო მოცულობა 2003 წლის შემდეგ 275%-ით გაიზარდა.**

**ამჟამად ამერიკაში სტუდენტური სესხების საერთო მოცულობა აჭარბებს საკრედიტო ბარათებით** ▶

# ინტერნეტის მომავალი «სნოუდენის საქმის» შემდეგ



**როგორც ჩანს, ამერიკის სპეცსამსახურების მიერ უცხოელი პოლიტიკური და სახელმწიფო ლიდერების მოსმენებს, რომლებიც ედუარდ სნოუდენმა გამოააშკარავა, და ასევე ევროპელი მოქალაქეების მოსმენებსაც შორსმიმავალი შედეგები ექნება. და ეს შედეგები რიგით დიპლომატიურ სკანდალს მნიშვნელოვნად გასცდება.**

**ევროპელების აღშფოთების ხარისხი იქიდანაც ჩანს, რომ გასულ თვეს შემდგარი ევროკავშირის სამიტი, ნაცვლად მტკივნეული ეკონომიკური პრობლემებისა, მერკელის, ოლანდისა და სხვა ევროპელი ლიდერების ტელეფონების მოსმენებს დაეთმო.** ვიღაცას ისიც კი მოუვიდა აზრად, რომ **აეძულებინათ აშშ, ხელი მოაწეროს ერთგვარ „ანტიჯაშუშურ პაქტს“ ევროპის ქვეყნებთან.**

პრობლემის განხილვიდან მოქმედებაზე უკვე გადავიდა გერმანია და აშშ-ში გაგზავნა სპეციალური დელეგაცია, რომელიც 30 ოქტომბერს თეთრ სახლში ორმხრივ შეხვედრას კი დაესწრო, მაგრამ აშშ კვლავაც ეწინააღმდეგება აღნიშნული პაქტის ხელმოწერას. **თეთრ სახლში, უბრალოდ, გულწრფელად არ ესმით, რატომ უნდა მოაწერონ ხელი ისეთ რაიმეს, რაც აშშ-ის ადმინისტრაციის სურვილებს შეზღუდავს.** მით უფრო **არ ესმით, რატომ უნდა მოუწერონ ხელი ანალოგიურ დოკუმენტზე მათ, ვისაც ბოლომდე მოკავშირედაც კი არ თვლიან** (ვაშინგტონს ხომ არ დავიწყებია, თუ რა პოზიცია დაიკავა ბერლინმა ერაყში შეჭრისას).

## ევროკავშირის სამიტი, ნაცვლად მტკივნეული ეკონომიკური პრობლემებისა, მერკელის, ოლანდისა და სხვა ევროპელი ლიდერების ტელეფონების მოსმენებს დაეთმო




გარდა ამისა, რატომ შეიზღუდავს აშშ თავს იმ სფეროში, რომელიც აბსოლუტურად ცალმხრივი უპირატესობა შეიქმნა? მსოფლიო ქსელის ტოპოლოგია, მისი ტექნიკური შემადგენელი — მაგისტრალური ქსელები — დღეს ფიზიკურად აშშ-ზეა მიბმული და მსოფლიო ტრაფიკის 75% მისი გავლით მიდის. თუ ამას დავუმატებთ ბრიტანეთის მიერ კონტროლირებად საკომუნიკაციო ხაზებს, ეს მაჩვენებელი 95%-ს შეადგენს.

გარდა ამისა, ქსელს აკონტროლებენ კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულნი არიან აშშ-ის ხელისუფლებასთან. საუბარია **ICANN-ზე, IANA-ზე, ISOC-ზე და კიდევ რამდენიმე კომპანიაზე, რომლებზეც საერთაშორისო კონტროლი მნიშვნელოვნად შეზღუდულია. უფრო მეტიც, ამ სტრუქტურების ხელში ინტერნეტის კონტროლის სადავეების რაც შეიძლება მეტ ხანს შენარჩუნება აშშ-ის სტრატეგიული ამოცანაა.**

ამის ნათელი მაგალითი იყო შემთხვევა 2012 წელს დუბაიში გამართულ საერთაშორისო ელექტროკავშირის კონფერენციაზე. მაშინ **რუსეთმა და ჩინეთმა დააყენეს საკითხი ინტერნეტში სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ, რამაც აშშ-ის მხრიდან ისეთი გამწვავებული წინააღმდეგობა გამოიწვია, რომ კონფერენცია ლამის საერთოდ ჩაიშალა.** უფრო მეტიც, ამას მოჰყვა კონგრესის მოწოდება, არ დაუშვან სახელმწიფოებრივი კონტროლი თავისუფალ სივრცეზე — ინტერნეტზე — ეროვნული ხელისუფლებების მხრიდან. სხვათა შორის, დუბაიში აშშ-ის პოზიციას ნაწილობრივ მხარი დაუჭირეს ევროკავშირის ქვეყნებმა, მათ შორის გერმანიამაც.

როგორც ჩანს, უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებით ევროპის პოზიცია ნაწილობრივ მაინც შეიცვლება. ანტივირუსული კომპანია F-Secure-ის წამყვანმა მკვლევარმა მიკკო ჰიუპპონენმა ახლახან განაცხადა, რომ, მისი აზრით, **„ინტერნეტი ამერიკის კოლონიად იქცა“,** რაც დემოკრატიას ვნებს. **„ჩვენ კოლონიზაციის დროში ვბრუნდებით. იძულებულნი ვართ, ამერიკელებზე, როგორც ჩვენს ბატონებზე, ვიფიქროთ. აშშ-ის აბსოლუტური დომინირება განაპირობებს იმას, რომ ეს ქვეყანა სხვა სახელმწიფოებში არაპროპორციულად დიდ გავლენას მოიპოვებს“,** — განაცხადა მან.

ევროპამ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა ამ ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგალითად, ▶

**ობამა ბევრ დროს ატარებს კარავში: უნდა წაიკითხოს საიდუმლო დოკუმენტები, ისინი კი უამრავია, ისაუბროს სატელეფონო კავშირის დაცული ხაზით და ასეთი საუბრებიც უამრავია... გაატარებ რამდენიმე საათს ამგვარ კარავში ხმის ჩამხშობების გარემოცვაში, წაიკითხავ უამრავ მასალას არამხოლოდ მტრების, არამედ პარტნიორების მოსმენების შესახებაც და სრულად დაკარგავ რეალურისა და გამოგონილის გარჩევის უნარს.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ აღებული ვალების საერთო რაოდენობას.**

მთელი სტუდენტური სესხების დაახლოებით 11%-ის მომხმარებელს მინიმუმ 90-დღიანი ვადაგადაცილება აქვს სესხის შენატანზე. ამასთან, სტუდენტური სესხის დაფარვაზე ვადაგადაცილებისთვის ჯარიმები 2005 წლიდან თითქმის გაორმაგდა.

**ახლა ამერიკაში 100 ათასზე მეტი მეეზოვე და 317 ათასზე მეტი ოფიციანტი უმაღლესი განათლების მქონეა.**

25-დან 34-წლამდე ამერიკელების მხოლოდ 44,2%-ია დაოჯახებული და ეს რეკორდულად დაბალი მაჩვენებელია ანალოგიური სტატისტიკის წარმოების მთელი ისტორიის მანძილზე.

18-დან 24-წლამდე ამერიკელების 57% და 25-დან 34-წლამდე ამერიკელების 29% ამ დრომდე მშობლებთან ერთად ცხოვრობს. საერთო ჯამში **ახლა ამერიკაში დაახლოებით 25 მილიონი ზრდასრული ადამიანი იძულებულია, მშობლებთან ერთად იცხოვროს.**

ახალგაზრდა თაობა გაცოფებულია იმის გამო, რომ წინა თაობები მათ 17 ტრილიონი დოლარის მოცულობის სახელმწიფო ვალს უტოვებს. ამ ახალგაზრდებს ამ ვალის მომსახურება და გადახდა მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუწევთ.

fbii.org

**◀ გერმანიამ ბრაზილიისა და კიდევ რამდენიმე ლათინოამერიკული ქვეყნის მხარდაჭერით მიმართა გაეროს, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის ადაპტირება მსოფლიო ქსელის მუშაობის რეალიებთან.**

23 ოქტომბერს ევროპარლამენტმა დეპუტატთა უმრავლესობის ხმებით მიიღო რეზოლუცია ინფორმაციის გაცვლისა და გადახდების წარმოების საერთაშორისო საბანკო სისტემა SWIFT-ის დენონსაციის შესახებ, რადგან ეს სისტემა ამერიკელებს ევროპელების საბანკო მონაცემებისადმი წვდომას უხსნიდა.

**გერმანელები უფრო შორს წავიდნენ საკუთარი მოქალაქეების პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხში.** როგორც Deutsche Telekom-ში კანცლერის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფილიპ ბლანკმა განაცხადა, **კანცლერს იდეა აქვს, აამუშაოს „ნაციონალური მარშრუტიზაციის“ პროექტი, ანუ აკრძალოს ინტერნეტ-ტრაფიკის მოძრაობა ქვეყნის გარეთ მდებარე კვანძების გავლით.**

როგორი იქნება ახალი მოდელი, ჯერ ბოლომდე ცნობილი არ არის, მაგრამ ის აუცილებლად მოიცავს თანმიმდევრულ გამიჯვნას უკიდურესი ლიბერალიზმისგან, რომელმაც აშკარად მოახერხა საკუთარი თავის კომპრომეტირება იმ ტოტალურ კიბერომში, რომელსაც აშშ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ აწარმოებს...

ИАП Империя

# ობამას საიდუმლო კარავი

**რა საერთო აქვთ ოაბამასა და კადაფის? პასუხი: საზღვარგარეთ გამგზავრებებისას კარვებისადმი მიჯაჭვულობა. ლიბიის ჯამახირიის აწგანსვენებული ლიდერი უცხოეთის ქვეყნებში ვიზიტებისას სწორედ კარვებში ცხოვრობდა და ეს ფაქტი ფართოდ იყო ცნობილი. ეს კარვები ასახიერებდა სამშობლოსადმი მის სიყვარულს. თავისი ქვეყნიდან შორს ყოფნისასაც კი მათში კადაფი თავს თითქმის ისევე გრძნობდა, როგორც სამშობლოში. უცხოური ტურნეებისას ობამაც ბევრ დროს ატარებს კარვებში, მაგრამ ეს დიდი საიდუმლოა.**



აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა განიხილავს ლიბიის პრობლემას 2011 წელს რიო-დე-ჟანეიროში ვიზიტისას. თეთრი სახლის ოფიციალური ფოტო

საიდუმლოს ფარდა მაშინ აეხადა, როდესაც ობამას კარვების შესახებ გაზეთმა New York Times-მა დაწერა. სხვა განსხვავებაც არის: **ობამას კარვები სამშობლოსადმი სიყვარულს კი არა, შიშს გამოხატავს. თვით ნატოელ უახლოეს პარტნიორთან სტუმრობის დროსაც კი აშშ-ის პრეზიდენტს გამუდმებით ეჩვენება, რომ უთვალთვალებენ და უსმენენ.**

ობამას კარავი ვერც დახვეწილობით და ვერც ზომებით ახლოს ვერ მივა კადაფის კარვებთან. ირგვლივ ხმაურის გენერატორები გუგუნებს, რათა საიდუმლო მიკროფონებმა რაიმე ხმის გადაცემა ვერ მოახერხოს. ობამას კარავს არც ერთი ფანჯარა არ აქვს. მისი კედლები მზის სხივს არ ატარებს, რათა საიდუმლო კამერებმა რაიმე არ გადაიღონ. იმისთვის, რომ კარავში შეძვრეს, ობამა ლამის ოთხად უნდა მოიკეცოს, შიგნით კი პატარა სკამზე უნდა იჯდეს. წამოწოლაზე საუბარიც ზედმეტია — ობამას კარავი ხომ იმდენად მცირე ზომისაა, რომ პრეზიდენტისთვის განკუთვნილ სასტუმროს ოთახში შლიან.

**ობამას კარავი ჩვეულებრივი ამერიკული პარანოიის განსახიერებაა. ამერიკელები თავად ხომ ნებისმიერ წამს ვიღაცას უთვალთვალებენ, შემდეგ კი საკუთარი არშინით ზომავენ და მუდმივად ეჩვენებათ, რომ ყველა მათ უთვალთვალებს.**

„სადაც არ უნდა ვიყოთ, დღეს ჩვენ ყველგან სამიზნეები ვართ“, — ამბობს ჯეიმს ვულსი, კლინტონის ადმინისტრაციის დროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი.

**ობამა ბევრ დროს ატარებს კარავში: უნდა წაიკითხოს საიდუმლო დოკუმენტები, ისინი კი უამრავია, ისაუბროს სატელეფონო კავშირის დაცული ხაზით და ასეთი საუბრებიც უამრავია... გაატარებ რამდენიმე საათს ამგვარ კარავში ხმის ჩამხშობების გარემოცვაში, წაიკითხავ უამრავ მასალას არა მხოლოდ მტრების, არამედ პარტნიორების მოსმენების შესახებაც და სრულად დაკარგავ რეალურისა და გამოგონილის გარჩევის უნარს.**

მაგალითად, დაიწყებ იმის მტკიცებას, რომ წარმოდგენა არ გქონდა ანგელა მერკელის მოსმენის შესახებ.

რაც კიდევ უფრო უარესია, დაიწყებ ფიქრს, რომ შენ ირგვლივაც ყველამ დაკარგა რეალურისა და გამოგონილის გარჩევის უნარი. ვერ შენიშნავ, რომ ჟურნალმა Foreign Policy-მა თეთრი სახლის ანონიმ ექსჩინოვნიკზე დაყრდნობით გაავრცელა ცნობა, რომ **შეუძლებელია, ამერიკის პრეზიდენტს დაწვრილებით არ სცოდნოდა იმის შესახებ, თუ როგორ უსმენდნენ ამერიკის სპეცსამსახურები და განსაკუთრებით ნაციონალური უშიშროების სააგენტო უცხოეთის ქვეყნების ლიდერებს.** ხელს ჩაიქნევ ყოფილი თანამშრომლის მტკიცებაზე, რომ სადაზვერვო სამსახურების მასალები აუცილებელი ნაწილია აშშ-ის პრეზიდენტის მომზადებისას უცხოეთის ლიდერებთან შესახვედრად და რომ მას ინფორმაციას აწვდიან დიპლომატიური ურთიერთობების, ყველა საერთაშორისო საუბრის შესახებ. რომ ამავე ჩინოვნიკის განცხადებით უცხოელი ლიდერების სატელეფონო მოსმენებისა და ელექტრონული ფოსტის კონტროლის შედეგად მათ შესახებ მოგროვილი ინფორმაცია „უნიკალური ხასიათისაა“ და მის წარმომავლობას მარტივად მიხვდება ნებისმიერი, ვინც ისმენს ან კითხულობს დაზვერვის მასალებს. **„თქვენ რომ ეს ინფორმაცია ნახოთ, უმალ მიხვდებით, რომ ის ვიღაცის საუბრიდან მოდის. ამ მასალების დიდი ნაწილი მოპოვებულია ელექტრონული თვალთვალის წყალობით, სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელს თანამდებობიდან დათხოვნა ელის, თუ არ აცნობებს პრეზიდენტს, კონკრეტულად რომელ უცხოელ ლიდერს უსმენდნენ ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად. პრეზიდენტისგან ამის დამალვა სამსახურებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობაა“.**

მაგრამ, აი, რა არის საინტერესო — **მერკელის მოსმენებთან დაკავშირებით სკანდალის დარეგულირება გერმანელებმა დაავალეს არა დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს, მათ ვაშინგტონში მზვერავები გაგზავნეს, მზვერავები, რომლებიც თავად მხოლოდ იმით არიან დაკავებულნი, რომ პროფესიონალურ დონეზე იპარავენ ელექტრონულ ინფორმაციას.**

**თვით ნატოელ უახლოეს პარტნიორთან სტუმრობის დროსაც კი აშშ-ის პრეზიდენტს გამუდმებით ეჩვენება, რომ უთვალთვალებენ და უსმენენ**

ერთი შეხედვით რაღაც სისულელეს ჰგავს, მაგრამ სულაც არ არის სისულელე. საიდუმლო The Copenhagen Post-მა გამოამჟღავნა. საქმე ისაა, რომ გერმანელებმა გადაწყვიტეს, ესარგებლათ სკანდალით და არა იმ მხრივ, რომ აღეკვეთათ მათ მიმართ ჯაშუშობა ამერიკელების მხრიდან. ისინი, თურმე დიდი ხანია, იტანჯებიან იმის გამო, რომ მათი დაზვერვა შედის მოკავშირეების მხოლოდ იმ ჯგუფში, რომლის სახელწოდებაა „14 თვალი“, არადა სურთ, სტატუსი ჯგუფამდე „9 თვალი“ აიმაღლონ და ვერც კი ოცნებობენ ჯგუფში „5 თვალი“ შესვლაზე.

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს, განვმარტავთ, რომ **„5 თვალი“ არის აშშ-ის, ბრიტანეთის, კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ელექტრონული დაზვერვა, ანუ ეს არის ერთგვარი ანგლოსაქსური ელექტრონულ-ჯაშუშური უახლესი დროის იმპერია. ამ ჯგუფის შიგნით ნდობის დონე ყველაზე მაღალია, ინფორმაციის გაცვლა კი — შედარებით თავისუფალი.** უკიდურეს შემთხვევაში, ასე მიიჩნევს ჩამონათვალის ბოლო ოთხი „თვალი“. ამერიკული თვალი კი, როგორც ჟურნალი Foreign Policy ირწმუნება, მტკიცედ ჩამოყალიბებულია ერთ საკითხზე — ეკონომიკურ სადაზვერვო ინფორმაციას არავის უზიარებს. თვით ბრიტანელებსაც კი, რომლებმაც შექმნეს იმპერია, „რომლისთვისაც მზე არასდროს ჩადის“.

**„9 თვალი“ არის იგივე „5 თვალს“ დამატებული დანია, ნორვეგია, ნიდერლანდები და საფრანგეთი — ისინი, ვინც ოდნავ მაინც ეწინააღმდეგებოდა ჰიტლერიზმს მეორე მსოფლიო ომის დროს. ამ ჯგუფში პირველთან შედარებით შემცირებულია ნდობისა და ინფორმაციის გაცვლის დონე.**

**მაგრამ ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დაბალია ჯგუფში „14 თვალი“, რომელშიც გერმანიაც შედის. მასთან ერთად ამ დაბალი დონის სტანდარტებს იზიარებენ ბელგია, შვედეთი, ესპანეთი და იტალია.** ცხადია, გერმანელებს სწყინთ, ბევრს საუბრობენ ნატოსეულ ნდობასა და თანამშრომლობაზე, საქმეში კი არ ენდობიან. ჯგუფში არის ორი ქვეყანა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტურ ღერძს ქმნიდა. **კიდევ ერთი ქვეყანა — ესპანეთი — ფაშისტურად რჩებოდა 1975 წლამდე, ვიდრე ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაიცვალა დიქტატორი ფრანკო. შვედეთი მეორე მსოფლიო ომის დროს სიტყვიერად ინარჩუნებდა „პირობით ნეიტრალიტეტს“, საქმით კი ფაშისტურ ძალებს უფლებას აძლევდა, მისი ტერიტორიის გავლით გადაეზიდათ შეიარაღება და გადაეყვანათ შეიარაღებული ძალები ჩრდილოეთით ბრძოლების საწარმოებლად და რეიხთან სავსებით ნორმალური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთიობები აკავშირებდა. ბელგია? მისმა ძლევამოსილმა შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა, წინდახედული მეფის — ლეოპოლდ III-ს ბრძანებით, 1940 წლის მაისშივე გამოაცხადეს კაპიტულაცია.**

მოკლედ, ამერიკელებს ლოგიკას ვერ დაუწუნებ.

ობამამ მშვენივრად იცის, რომ გერმანელები გაიბუტებიან და შემდეგ დამშვიდდებიან. ასევე იცის, თუ რატომ ჯობს, რომ თვით მოკავშირეებთან სტუმრობისასაც კი საიდუმლო საბუთები იკითხოს და საქმიანი საუბრები აწარმოოს ხმაურიან კარავში.

პარანოია ცალკე თემაა, სიფრთხილეს კი თავი არ სტკივა...

svpressa.ru

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამჭრიახი, მოქნილი, პრინციპული, სამშობლოსთვის ყველაფრის შესაწირად მზადმყოფი პოლიტიკოსია საჭირო დღევანდელი უბედურებიდან თავის დასაღწევად და არა ქვეყნის მაცოცხლებელ ძარღვზე წურბელასავით მომჯდარი, სიცრუისა და ტრაბახის კორიანტელს რომ აყენებს და ტელეშოუზე უკბილო ოხუნჯობით ტრაბახობს.**

# კოჰაბიტაციის ჯადო

**არადა არ მოელო ბოლო ქართულ ნაციონალურ სიწმინდეში ევროატლანტიკური ცინიზმით შენელებული და ამერიკული დემოკრატიის საფანელმოყრილი პოლიტიკური თაღლითობით ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის დაჩაჩანაკების მცდელობას.**



ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ საქართველოში განა ეროვნული სიამაყის დამცრობის მკაფიო მაგალითი არ არის უცხოეთიდან თავსმოხვეული კოჰაბიტაცია?! ქართველი ხალხი გათავხედებულ „ნაციონალთა" ალვირახსნილი ძალადობით მოთმინების ზღვართან იყო, რომლის გადალახვის შემთხვევაში ქვეყნის მოსპობისა და ერის გადაგვარებად მოვლენილ გაზულუქებულ პარაზიტებს ვერავითარი უცხოელი პატრონი ველარ უშველიდა. ამერიკელებს ამის მწარე აბები კუბიდან აქვთ ნაყლაპი, მაგრამ ჭკუის სასწავლებლად მაინც არ ეყოთ.

მსოფლიო საბარდელოდ გადაქცეული კუბა ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის, გახრწნის, გარყვნილებისა და ეკონომიკური დაბეჩავების ნათელი მაგალითი იყო. რომელ ეროვნულ სიამაყეზეა ლაპარაკი, როცა გაზულუქებული ამერიკელები თავიანთ ზნედაცემულობას კუბის კაზინოებში, სასტუმროებში, რესტორნებსა და ბარდელებში იკმაყოფილებდნენ. ეს პროცესები შეუქცევადი რომ ეგონათ, კუბის ღირსეულმა მამულიშვილებმა ქვეყანა გამოჰგლიჯეს ზნედაცემულ, დემოკრატიისნილბიან ამერიკული სპრუტის საცეცებს და ზედ მის ცხვირწინ ეროვნული სიამაყის გამარჯვებას დღემდე ზეიმობენ.

**მთელ მსოფლიოში სამარცხვინოდ ისმის ქართველ პოლიტიკოსთა ღრეჭა ევროკავშირის კართან ევროპელებად მისაღებად. ვიღაც რაღაცას შეჰპირდებათ, როგორც ბრჭყვიალა სათამაშოსთვის ტირილით გადაფიჩინებულ ბავშვს. ჩამოვლენ საქართველოში და ტელეეთერში თავიანთ სასაცილო მიღწევათა შიგთავსს ამაყად ჩამოცლიან, რადგან ევროპიდან ჭირვეული ბავშვივით დაყვავებით გამოუშვეს და ჭიტლაყით არ გამოაპანღურეს. ესეც დიდი სტიმულია ევროპის კარზე ისევ მათხოვარივით ასატუზად. არადა, ამ საცოდავ თაგვებს ცაში ლაღად მოსრიალე ჩიტებად კი არა, ღამურებად გადაქცევაც არ აღირსეს მათმა ევროპელმა წამქეზებლებმა. მაინც კმაყოფილები არიან და, როგორც ფარეხში ჩამოკიდებული კატის ჩხავილი მშიერ ცხვრებს, ისე დაგვჩხავიან გაუსაძლისი ცხოვრებისგან შეჭირვებულთ ევროატლანტიკური ლაქუცის ქართველი ხალხის სურვილზე გადაბრალებით.**

**ამაყი, მომთმენი, კეთილშობილი, სამართლიანი ქართველი ხალხი უცდის გამათხოვრების გზაზე დამდგარ უძღებ შვილთა სიცრუესთან წილნაყარ გაწამაწიას, რომელთაც ავიწყდებათ, რომ ხალხის მოთმინების ფიალა უძირო არ არის.**

ევროკავშირია, ნატო, კატო თუ სათენიკა, არ უნდა ეხვეწო მასთან შესვლას, ისე მოაწყვე ცხოვრება, იყავი თავმოყვარე და ამაყი, რომ აქეთ გეხვეწონ, — ჩვენთან თუ არ შემოხვალ, შენთან მაინც მიგვიღეო. ასეთი სამშობლოს ღირსია კაცობრიობის პატარა მარგალიტი — მისი კეთილშობილება ქართველი ერი.

**გამჭრიახი, მოქნილი, პრინციპული, სამშობლოსთვის ყველაფრის შესაწირად მზადმყოფი პოლიტიკოსია საჭირო დღევანდელი უბედურებიდან თავის დასაღწევად და არა ქვეყნის მაცოცხლებელ ძარღვზე წურბელასავით მომჯდარი, სიცრუისა და ტრაბახის კორიანტელს რომ აყენებს და ტელეშოუზე უკბილო ოხუნჯობით ტრაბახობს.**

არადა, რატომ წუნობენ აზიელობას, თუნდაც აფრიკელობას? სადაც ისეთ ღრმა წარსულში დაირწა ცივილიზაციის აკვანი, რომ მის სათავეებთან დღემდე ვერ მიუღწევიათ. ევროპაში ცხოვრების დონემ, ეკონომიკურმა სიძლიერემ და დემოკრატიამ მიიზიდათ? ასე ფრენა-ფრენით ამოყოფენ თავს ლაპლანდიაში, თუ უკვე იქიდან არ გვირევენ გზა-კვალს.

ევროპელობა რომ მოგვინდომეს, რით არიან ისინი სპარსეთის, ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, თუნდაც არაბების მიერ კაცობრიობის განვითარების წინაშე დამსახურებაზე მაღლა. იქნებ შენდობით და მოყვასის სიყვარულით უსწრებენ აზიელებს?

**ადამიანთა მოდგმას დღესაც აშფოთებს საზარელი ინკვიზიციის ბოროტი აჩრდილი, ინდულგენციებით თაღლითობა, რაც არასდროს უკადრებია მართლმადიდებლობას. ნურც სამარცხვინო ჯვაროსნულ ლაშქრობებს, მუსლიმან სალადინის რაინდულ საქციელს და ჯვაროსანთა საზარელ, ველურ დაუნდობლობას; ბოლოს კი ამ ქრისტეს საფლავის მაძიებელთა მიერ მართლმადიდებელი ქრისტიანობის ციტადელის ხუთჯვრიანი დროშის ფრიალით საზარელ აოხრებას დაივიწყებენ.**

**„ნაციონალების" მიერ სახელმწიფო დროშად აღიარებული ამ უბედურების ისევ დატოვება იმის ტოლფასია, ფაშიზმის დამხობის შემდეგ გერმანიაში ისევ სვასტიკიანი დროშებით რომ მოეწონებინათ თავი.**

სულმნათი გურამ შარაძე ამ შერცხვენილი დროშისა და „ნაციონალთა" მუხთლობასთან შეურიგებლობას შეეწირა, რომლის მკვლელობა, გამოძიების ჭოგრიტის გარეშე, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს.

კოჰაბიტაციით დაშინებული კბილაშვილი წავიდა და დაგვიტოვა ფრთოსანი გამოთქმა: **ნაციონალების დროს მომუშავე პროკურორები იმ ხელისუფლების მძევლები იყვნენო. ეს ძალადობის ტყვე, ქოსმენივით ნაპატივები პროკურორები მძევლები ყოფილან, მათ მიერ გაუბედურებული, უდანაშაულო ადამიანები კი — ამ ხელისუფლების ნებიერნი.** თუ კოჰაბიტაცია დამთავრდა, იქნებ ახლა მაინც გაირკვეს, რატომ არ ილებენ „ხელისუფლების მძევლებად" — მძევალი პროკურატურის მესვეურნი თუ კუბლაშვილები მაშინდელ ხელისუფალთა „ნებიერთ", ბრწყინვალედ რომ ჩააბარეს პროკურატურის, მოსამართლეობის და სხვა გამოცდები, მაგრამ მათი ლაქიები არ იქნებოდნენ.

ამჟამად ხალხი რწმენით უცდის, რომ კოჰაბიტაციის ჯადო მოხსნილია და ახალი პროკურორი „ნაციონალთა" მტაცებლის სიფათზე ახლადდაკემსილ ნიღაბს ბოლომდე ჩამოხსნის და სამარცხვინო ნაგავსაყრელის გზას გაუყენებს.

**ხალხმა საქართველოს დაქცევა-დაშლის გზაზე მდგარი „ნაციონალები" ქუთაისში ცოდვიან პარლამენტის შენობასთან ამოაბუქსავა. ახლა დროდადრო იუმორით იყუჩებს მუხთალთა მიერ მიყენებულ ტკივილს. პარლამენტარი ქალბატონი შეწუხებული ამბობს, ცალი ფეხი თბილისში მაქვს, ცალი კიდევ — ქუთაისშიო. კარგად ახსოვთ, ტუტუცი პრეზიდენტი როგორ სატელევიზიო მთავრობის სხდომებს ატარებდა, მარტო თვითონ ბაქიბუქობით ნაცარს ამტვერებდა და სიცრუის კორიანტელში მჯდარი მთავრობის წევრები პირმოთნე ღიმილით პოსტის შენარჩუნების სურვილს იკმაყოფილებდნენ.** მის სულელურ გამოსვლას პარლამენტში ოვაციებით ხვდებოდნენ და ერთს არ დაბადებია ყოვლად უვნებელი შეკითხვის სურვილი, ირაკლი ღარიბაშვილს კი ისეთი გაცოფებით აძლევდნენ სამარცხვინო შეკითხვებს, რომ სახეზე ნიღაბი აღარ უჩერდებოდათ და მაყურებელს კოშმარივით ახსენდებოდა „ნაციონალთა" ბატონობის საზარელი დღეები.

**მთელი წელია, რაც ორხელისუფლებიანობას განვიცდით. ახალი მთავრობის სასიკეთო ღონისძიებათა მცდელობა და „ნაციონალთა" ცოფმორეული ღავღავი პროგრესის დასამუხრუჭებლად და უკან დასახევად; უცხოეთში ცრუ დასმენების და მათი პატრონი მაღალჩინოსნების გაავებული თითის ქნევა დემოკრატიის დამცველთა ნიღბით; შედეგად გათავხედებული კოჰაბიტაციის ჯღანით დაცულ „ნაციონალთა" ხელშეუხებლობა საკუთარ თავზე ვიწვნიეთ.**

თავხედობა, მთელი ერის დაცინვა, ქვეყნის ღალატი, სხვა რა უნდა ეწოდოს თავქარიანი მიშას მიერ ათასობით უცხოტომელზე საქართველოს მოქალაქეობის ასე ფლავივით დარიგებას. ამ პოლიტიკურ გვამად ქცეულმა მეძავმა საქართველოს მოქალაქეობა არ მისცა ბიძინა ივანიშვილს, რომლის ქვეყნისა და ერის წინაშე უდიდეს ღვაწლზე ყველამ კარგად იცის. ასევე უარი უთხრა ღირსეულ ქართველ მამულიშვილს — ალექსანდრე ებრალიძეს. იმ დროს, როდესაც თავქარქაშა მიშა და მისი ხროვა მთელი თავისი ბინძური არსენალის გამოყენებით ებრძოდნენ შემოქმედებით ინტელიგენციას და მის გადაგვარებას ცდილობდნენ, პეტერბურგში მცხოვრებმა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა მამულიშვილმა დავით ალმაშენებლის სახელობის პრემია დააარსა, რომლითაც შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს აჯილდოებდა და ხელი შეუშალა ამ მუხთალთა ხროვას, რომ ქართულ გენში შემოქმედებითი ცეცხლი ჩაექრო და ბინძურ უზნეოთა გარყვნილებას ეზეიმა. გასაკვირი და გამაოგნებელია, რომ „ნაციონალები" სასიკეთოდ ამოძრავებულ ცხოვრების ფორანს მიწოლის მაგიერ თვალებში ეჩხირებიან და მიშას ოინბაზობას ახალი ენერგიით უქშევენ ხელს.

ქვეყანა დაქცევამდე მიიყვანეს, მიწები გაყიდეს, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომი დაიწყეს, ტერიტორიები გაანიავეს, დამარცხება გამარჯვებად იზეიმეს, ახლა საქართველოს საბოლოოდ დაქუცმაცების პარლამენტში სხედან და „ქართული ოცნების" ნაკლოვანებათა, თავიანთი ჭკუით მოგროვილი, ჩხრიმლით ტივის შეკვრას ცდილობენ ქვეყნის დასაქცევად მეორედ მოსვლისთვის ხალხის ბობოქარ ოკეანედ ქცეულ რისხვის გადასაცურად. **იმდენი მსხვილ-წვრილი, ღალატთან წილნაყარი დანაშაულობანი აქვთ ქვეყანაში გაფანტული, რომელთა ამოშანთვის გარეშე ნორმალურად გან-** ▶

**ყოველი ნაბიჯი «ნაციონალებთან» თანამშრომლობის, ოპოზიციად ჩათვლის და ჩაკოჰაბიტაციებით ქართველი ერის ნდობის დაკარგვის ტოლფასია**

## შვეიცარიასა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურები მარტივდება

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, **„შვეიცარიასა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" 2013 წლის 13 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმების ძალაში შესვლის მიზნით, საქართველომ და შვეიცარიამ დაასრულეს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები. შეთანხმება ძალაში 2014 წლის 1 იანვრიდან შევა.**

შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეებისთვის შვეიცარიის ტერიტორიაზე მიმოსვლისთვის ხელსაყრელი პირობების შემოღებას, ასევე, სავიზო მოსაკრებლის ოდენობის, მრავალჯერადი ვიზის გაცემის, ვიზის განაცხადის განხილვის და ვიზის გაცემასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების დარეგულირებას.

გარდა ამისა, შეთანხმების თანახმად, დიპლომატიური პასპორტის მფლობელ პირებს შეუძლიათ ვიზის გარეშე შევიდნენ, დატოვონ და ტრანზიტით გაიარონ შვეიცარიის ტერიტორია.



## ვინც „ნაციონალების“ შესანარჩუნებლად თავს იდებს, აუცილებლად უნდა მოეკვეთოს კუდი, რომელიც ქვეყნის დამაქცევრებთან აქვს გადაბმული. ყოველი ნაბიჯი „ნაციონალებთან“ თანამშრომლობის, ოპოზიციად ჩათვლის და ჩაკოჰაბიტაციებით ქართველი ერის ნდობის დაკარგვის ტოლფასია. ესენი სამშობლოს ღალატის კეთრის მატარებლები არიან.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვითარება შეუძლებელია. მცირედი ნამუსი მაინც რომ ჰქონდეთ შერჩენილი, სადმე ბნელ კუთხეში მიჯდებოდნენ და შენდობის ხვეწნა-მუდარით შეაწუხებდნენ მათზე ესოდენ განაწყენებულ ქართველთა მფარველ ღვთაებას.** ესენი კი, რაც დრო გადის, უფრო უმატებენ სამსალას თავიანთ გაუკუღმართებულ საქმიანობას, რომლის სტიმულატორი „მეოცნებეთა“ კოჰაბიტაციით დადონდლებული სახედარია, რომელსაც ევროატლანტიკური ჭინკა გადასჯდომია და „ნაციონალთა“ უკუღმართ კვალზე უპირებს გაჭენებას.

**თურმე „ნაციონალების“ მიერ პარლამენტის შესახებ კონსტიტუციაში შეტანილ კანონს ვერ ცვლიან; ასევე კანონს პრეზიდენტის უფლებების შესახებ. ასე რომ, მიშას ჯიბის პარლამენტის ნაბოდვარზე გვიხდება სიარული? რადგან დღევანდელი ხელისუფლება კანონმორჩილია, მუხთალთა მიერ დაკანონებული ვერაგობა უნდა მოვითმინოთ?**

კაცო, ის პრეზიდენტი ტუტუცი და მოღალატე რომ იყო, ახლისა რა ბრალია, რძისგან შეშინებულები დოს რატომ უბერავენ. გუბერნატორებია თუ რწმუნებულები, თავისი აპარატით ზედმეტი რომ არის, მე ვატყობ და თვითონ რატომ ვერ მიმხვდარან? ეგ შევარდნაძის მოგონილი მეჭეჭი მას სჭირდებოდა, ხალხის რომ ეშინოდა. ამ ახალ ხელისუფლებას, რომელსაც ხალხის ნდობა და მხარდაჭერა აქვს, რაში სჭირდება მათზე ბიუჯეტის გადაყრაო. ასეა, დღეს საქართველოს ბიუჯეტის ასე მიშასეულად ხელაღებით განიავების ფუფუნების უფლება არ გვაქვსო.

**ხალხს ვერაფრით მოატყუებ, მან ყველაფერი იცის და თავის დროზე ყველას სათანადოდ მიუზღავს. თუნდაც „ნაციონალების“ მიერ გაპიარებულ სიღნაღზე ხმაური ავიღოთ. არაფერს ამბობენ, რატომ დააქციეს სიღნაღის შესასვლელთან მთელი ქიზიყის სიამაყედ აღმართული ამირანის უზარმაზარი ძეგლი. იქვე საუკეთესოდ კეთილმოწყობილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შენობა, კაცმა არ იცის, ვის მიჰყიდეს, რომელმაც დაანგრია და ბეტონის გროვად აქცია; კეთილმოწყობილი საავადმყოფო მიწასთან გაასწორეს; ბიბლიოთეკა, რაიონს რომ ემსახურებოდა, შენობიდან გამოასახლეს და უნიკალური წიგნების ფონდი სარდაფში შეყარეს;**

სამამულო ომში დაღუპულთა ბრწყინვალე ობელისკი გაანადგურეს, რაიონიდან სამამულო ომში დაღუპული ხუთი ათასი ვაჟკაცის წმინდათაწმინდა ხსოვნის აღსანიშნავად რომ იყო აღმართული. რა უფლებით წყრებიან, როცა ამ საძულველ „ნაციონალებს“ ნეოფაშისტებად მოიხსენიებენ. თვითონ ბერლინში, სადაც ფაშიზმის ამოსაძირკვად ყველაზე მძიმე და დამანგრეველი ბრძოლა გაიმართა, ფაშიზმის საშინელებათა მომსწრე გერმანელი ხალხი ასე სათუთად უვლის და უფრთხილდება საბჭოთა მებრძოლების ძეგლებს.

„ნაციონალების“ მიერ სიღნაღში ჩადენილ დანაშაულობათა პასუხის გარეშე დატოვება ამ ვანდალების წახალისების ტოლფასია; უამრავი მსგავსი დანაშაული აქვთ ჩადენილი „ნაციონალებს“. რა პირით უნდა მოითხოვო ევროპელობა იქ, სადაც ფაშიზმის წინააღმდეგ დაღუპულთა ხსოვნას ასე სათუთად უფრთხილდებიან. აქ კი ეს ვანდალები მათ მიერ განადგურებულ და სისხლდანთხეული ობელისკის ადგილზე აშენებულ ცოდვიან შენობაში თავიანთ მუხთლობას არ იშლიან. როგორი ევროპელი ხარ, სად გინდა მიიტანო ამ ნეოფაშისტური მკბენარებისგან გაუწმენდავი სხეული?!

**საქართველოს გაერთიანება ქუთაისიდან დაიწყო და მისმა ძლიერებამ თავის ზენიტს მიაღწია. უცხოეთის ლაქია „ნაციონალები“ კი მის დაქცევა-დაქუცმაცების ზრახვებს ქუთაისისკენ მოახრიგინებდნენ. თუმცა დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყანას, მაინც ვერ დააქციეს. ხალხმა „ქართულ ოცნებას“ დაავალა მათი დანაშაულობების გამოძიება, რომელიც ისედაც თვალნათლივ ტივტივებს.**

**ვინც „ნაციონალების“ შესანარჩუნებლად თავს იდებს, აუცილებლად უნდა მოეკვეთოს კუდი, რომელიც ქვეყნის დამაქცევრებთან აქვს გადაბმული. ყოველი ნაბიჯი „ნაციონალებთან“ თანამშრომლობის, ოპოზიციად ჩათვლის და ჩაკოჰაბიტაციებით ქართველი ერის ნდობის დაკარგვის ტოლფასია. ესენი სამშობლოს ღალატის კეთრის მატარებლები არიან.** სამწუხაროდ, ამ დაავადების ნიშნები სხვებზეც შეინიშნება, ამიტომ ხალხი ასე დაჟინებით მოითხოვს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. რომელიც ქარიშხლის მომასწავებელ გუგუნად გადაიქცევა, თუ მაღალ სკამზე მოკალათებული ზოგიერთი ბლენძი მისი ჩატარების წინააღმდეგ ხრიკების მოწყობას გააგრძელებს.

**გივი სომხიშვილი**



**«ნაციონალების» მიერ სახელმწიფო დროშად აღიარებული ამ უბედურების ისევ დატოვება იმის ტოლფასია, ფაშიზმის დამხობის შემდეგ გერმანიაში ისევ სვასტიკიანი დროშებით რომ მოეწონებინათ თავი**

# საპატიო ვეტერანი

## გამოჩენილ მეხილე აგროტექნიკოსს, საზოგადო მოღვაწეს — გიორგი ჯომარდიძეს 90 წელი შეუსრულდა



**სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს ტექნოლოგიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი იოსების ძე ჯომარდიძე დაიბადა 1923 წლის 15 ნოემბერს ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, სადაც წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა. 1942 წელს მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში და სამშობლოს წინაშე ვალი მოიხადა. 1948 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1948-1951 წლებში მუშაობდა ახალციხის რაიონში ჯერ რაიონის მეხილე აგრონომად, შემდეგ კი მთავარ აგრონომად. 1954 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა მეხილეობის განხრით. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1956-1969 წლებში მუშაობდა მეხილეობის სკრის საცდელ სადგურში და საქართველოს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად.**

გიორგი ჯომარდიძეს 1964 წლის 17 ივნისს მიენიჭა უფროსი მეცნიერ-მუშაკის წოდება, 1987 წელს კი სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების საპატიო წევრი გახდა.

**გ. ჯომარდიძე არის თანამედროვე კვლევის მეთოდების მაღალ კვალიფიცირებული სპეციალისტი, პროფესიონალი, რომელმაც გაიარა მეტად ნაყოფიერი გზა რიგითი აგრონომიდან მთავარ აგრონომამდე, უმცროსი მეცნიერ-მუშაკიდან საქართველოს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მეხილეობის აგროტექნიკის განყოფილების გამგებლამდე.**

გ. ჯომარდიძემ გადაწყვიტა მეხილეობის დარგის მრავალი პრობლემური საკითხი, რის შესახებაც გამოაქვეყნა 7 წიგნი, 10 ბროშურა, 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, წარმოებას დასანერგად გადასცა 20-ზე მეტი რეკომენდაცია და ინსტრუქცია ინტენსიური და მაღალინტენსიური ბაღების გაშენება-მოვლის ტექნოლოგიის შესახებ, სახელდობრ: ნაგალა ხეხილის ბაღების გასაშენებლად, წამყვანი ნერგის წარმოების ახალი ტექნოლოგია და ბაღების გაშენების ახალი წესი, რაზეც მიღებული აქვს საავტორო მოწმობა, ნიადაგის მოვლის წესები კურკოვანი ხეხილის ბაღებისთვის, ხეხილის გასხვლის დიფერენცირებული წესები, ოპტიმალური კვების არეები, ვაშლის (სუსტი, საშუალო და ძლიერ საძირეზე გაშენებული ბაღებისთვის), მსხლის, ატმის, ბლისა და ქლიავის კულტურებისთვის, ხეხილის ვარჯის ფორმირების პროგრესული წესები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსავლიანობის გადიდებას, ხილის ხარისხის გაუმჯობესებას და ხეხილის მსხმოიარობაში დაჩქარებით შესვლას (ვაშლის საძირეების მიხედვით — 2-4 წლით, ატმის, ბლისა და ქლიავისათვის — 2-3 წლით).

**გ. ჯომარდიძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დადგენილია ატმის, ბლისა და ქლიავის ბაღების გაახალგაზრდავების წესები, ვაშლის, ატმის, ბლისა და ქლიავის ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარების ბიოლოგიური თავისებურებანი — აქტიური ფესვების ზრდის ზღვრები** (ნიადაგის ტემპერატურისა და ტენიანობის ფონზე).

**გ. ჯომარდიძე თავის თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას დიდი მონდომებითა და სიყვარულით ახმარდა ახალგაზრდობის აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით 15 მეცნიერმა და ასპირანტმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაციები.** მან ოპონირება გაუწია ათეულობით მეცნიერ-მუშაკსა და ასპირანტს, საკანდიდატო დისერტაციების დაცვასთან დაკავშირებით. მისი ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით სოფლის მეურნეობის პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის, სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ჩატარდა თეორიული კონფერენციები და პრაქტიკული დახმარება გაეწია გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, ახალციხის ადიგენის, ასპინძის, საგარეჯოს და სხვა მეხილეობისა და მევენახეობის რაიონებს.

**გ. ჯომარდიძე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივი დავალებების შესრულებაში. იგი 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და მეხილეობა-მევენახეობის სექციის თავმჯდომარე, საზოგადოება „ცოდნის“ სოფლის მეურნეობის მეთოდისტი და ლექტორი, საქართველოს ს/მ პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი და სარევიზიო კომისიის წევრი.** მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში პროფორგანიზაციის კომიტეტის მუშაობას, ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას, **მონაწილეობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემაში, იყო მეხილეობის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე წლების განმავლობაში.**

გ. ჯომარდიძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა მთავრობამ დააფასა და იგი დააჯილდოვა საპატიო სიგელებით, მედლებითა და ღირსების ორდენით.

**ბატონო გიორგი, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კვლავაც ნაყოფიერ შრომას!**

**სამამულო ომის ვეტერანთა საბჭო**

მოკლედ

## პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის ახალი შემადგენლობა წარადგინა

**საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, შეწყალების სახელმწიფო კომისიის ახალი შემადგენლობა წარადგინა. კომისიას ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი უხელმძღვანელებს, მის შემადგენლობაში შევლენ: თამარ ხიდაშელი, ლია მუხაშავრია, ბასა ჯანიკაშვილი, უჩა ნანუაშვილი, მიტროპოლიტი მამა თეოდორე, ეკა გიგაური, გივი შაჰნაზარი, კოტე ჯანდიერი, ზვიად ქორიძე და ფსიქოლოგი თეა გოგოტიშვილი.**

როგორც გიორგი მარგველაშვილმა კომისიის წარდგენისას განაცხადა, კომისიის თითოეული წევრი მათ მიმართ საზოგადოების ნდობისა და იმის გათვალისწინებით შეირჩა, რომ არც ერთი მათგანი რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებული არ არის.

„მინდა, კომისიის წევრებს მადლობა გადავუხადო, რომ დათანხმდნენ ასეთ მნიშვნელოვან და ამავე დროს რთულ სამსახურს. კომისია იმუშავებს ამჟამად მიმდინარე საქმეებზე და ასევე კომისიის დებულებაზე, რათა დაიხვეწოს და გახდეს ეფექტური. კომისიის ყველა წევრის შერჩევის კრიტერიუმი ეს იყო ნდობა, რომელიც ამ ადამიანებს აქვთ საზოგადოების მხრიდან, ის, რომ ისინი არ არიან დაკავშირებული რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან და მათი განსაკუთრებული ღირებულებებისა და ჰუმანურობიდან გამომდინარე, რაც მათ ბიოგრაფიას გასდევს“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

დედაქალაქი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უამრავი კოლექციონერია მსოფლიოში, ვინც ხელოვნების ნიმუშების შესყიდვითაა გატაცებული. ყიდულობს, ინახავს, მალავს — მხოლოდ საკუთარ ხვაშიადს იკმაყოფილებს, სუპერეგოისტობაა. გია ჯოხთაბერიძე მუზეუმს აშენებს ხალხის წინაშე ხელოვნების ნიმუშების გამოსაფენად, სახილველად, ერის გემოვნებისა და კულტურის დონის ასამაღლებლად და მსოფლმხედველობის არეალის გასაფართოებლად, ერის საგანძურის დასაცავად, რა თქმა უნდა... ერის კაცია და იმიტომ.**

# ომარ ძიაპშიპა: სახვითი ხელოვნების მუზეუმის მშენებლობას 2016 წლისთვის დავამთავრებთ

**აქ, თბილისის გულში, რუსთაველის პროსპექტზე, ქაშუეთის გვერდით 20 წლის განმავლობაში პირდაბჩენილი ქვაბული იყო, საქართველოს ძნელბედობის სიმბოლო.
იოსიბ ბროდსკიმ ანდრეი პლატონოვის შედევრი „ქვაბული“ („Котлован“) შეაფასა, როგორც მსოფლიოსთვის გამჟღავნებული ამბავი რუსეთის ტრაგედიის, მისი ეროვნული ბედის უკუღმართობა. შეცვალეთ რუსეთი საქართველოთი და მიიღებთ ზუსტ შეფასებას ამ პირდაბჩენილი უბედურების.
იყო ასე.
ცხრა თვის წინათ რადიკალურად შეიცვალა ყველაფერი: ქართველმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა გია ჯოხთაბერიძემ ქვაბულის ადგილზე დაიწყო ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის კომპლექსის დიდი მშენებლობა.
თვითონ ამბობს, რომ მუზეუმი შპს „მაგთის“ დაფინანსებით შენდება.
თავმდაბალი კაცის პოზიციაა.**



მომავალი მუზეუმის ხედი რუსთაველის პროსპექტიდან

**სახვითი ხელოვნების ნიმუშები თუ ქვეყნიდან გაიტანეს, ისინი სამუდამოდ დაკარგულია... მხატვრის ნამუშევარი მუზეუმში რომ ხვდება, იგი დაცულია და მას «ფესვები» აქვს**



მშენებლები: კახაბერ ფირცხალავა, გოგი ჩოჩელი და ომარ ძიაპშიპა

## ქვაბული

მშენებარე ობიექტში (ვთქვათ ასე პროზაულად) „წვეთი სისხლი არ არის არაქართული“.

**არქიტექტორები — ქურდიანების გვარი, ცნობილ არქიტექტორთა დინასტიის წარმომადგენელები — მამაშვილი არჩილ და გიორგი ქურდიანები.**

**მშენებლობა მთლიანად ქველმოქმედებაა. ესეც — ქართული.**

**აშენებენ ქართველები — სამუშაოთა მწარმოებლები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშები, შპს იმკ+, რომლის დამფუძნებელი და მმართველია თემურ სარიშვილი.**

**„მზერა ქართულია, სივრცის დაუნჯებით“.**

**და შურით მოჩუქურთმებული ჭორი და წინააღმდეგობაც — ქართული, ობივატელური, ბანალური, რაც ყველა სიკეთეს თან სდევს, სამწუხაროდ.**

— თბილისში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სახვითი ხელოვნების მუზეუმის ჯერ გამოუქვეყნებელმა პროექტმა, — **იხსენებს ბატონი გია ჯოხთაბერიძე,** — ზოგი ამბობდა შუშის შენობა შენდებაო, ზოგიც — შენობაზე რუსული ორთავიანი არწივი უნდა დადგესო. მაგრამ ეს ასე არ არის! ხომ იცით, საქართველოში მთავარია სუბიექტი ან ობიექტი იყოს, თორემ მათზე ზღაპრების მოყოლა არ გვიჭირს.

**ბევრი კარგი იდეა გადაუძოვია აგრესიულ „სიტყვის თავისუფლებას“.**

**აქ ასე არ მოხდა, ვერც მოხდებოდა და აი, რატომ.**

**კიდევ რომელ თხემით ტერფამდე ქართულ შენობას დაასახელებთ დედაქალაქის მთავარ არტერიაზე აგებულს — იდეით, დანიშნულებით შემსრულებლებით ქართულს? ქველმოქმედებით აგებულს, კერძო პირის მიერ?**

**ვერც ერთს.**

კერძო პირი არის — მელიქკაზარიანცი, რომელმაც თავის საყვარელს უძღვნა უზარმაზარი სასახლე, და დარჩა თბილისს, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისის წყაროებში სომხურ ქალაქად მოიხსენიებოდა (Тифлис — город армянский) და რომლის საკრებულოში სომხები იყვნენ არჩეულნი, რადგან გადამწყვეტი ქონებრივი ცენზი იყო.

ყველა სხვა შენობა ხელისუფლების მიერაა აგებული.

ხომ ასეა და არაფერი მეშლება?

ასეა.

**სახვითი ხელოვნების მუზეუმის გამორჩეულობის, მისი, როგორც ქართული ფენომენის, შეფასების საწინააღმდეგოდ, არა მგონია, რაიმე არგუმენტი არსებობდეს.**

**რადგან კეთილშობილურ განზრახვაზეა აღმოცენებული იგი, სახვითი ხელოვნების დარგის გადარჩენაზეა ორიენტირებული.**

ბატონი **გია ჯოხთაბერიძე** ასე ხსნის:

— ...ნელ-ნელა, ვცდილობდი, გადამერჩინა და შემენარჩუნებინა სურათები ჩვენი ქვეყნისთვის.

**ეს არ არის ლიტონი სიტყვები, რადგან მოწმე ვარ იმისა, როგორი კმაყოფილებით და, პათეტიკაში არ ჩამომართვათ, სიამაყით დამათვალიერებინა თხუთმეტიოდ წლის წინათ მაგთის ოფისში მოწყობილი მცირე გამოფენა ქართველი მხატვრების მის მიერ შესყიდული ნამუშევრების, მის მიერ გამოცემული პირველი ალბომები.**

— სახვითი ხელოვნების ნიმუშები თუ ქვეყნიდან გაიტანეს, ისინი სამუდამოდ დაკარგულია... მხატვრის ნამუშევარი მუზეუმში რომ ხვდება, იგი დაცულია და მას „ფესვები“ აქვს.

**გია ჯოხთაბერიძეს თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი კოლექციის რომელიმე მუზეუმისთვის ჩუქება. მაგრამ, როცა შეიტყო, თუ რა სავალალო მდგომარეობაშია მუზეუმების საცავები, გასხვისებაზე ხელი აიღო.**

**თანდათან ყალიბდებოდა აზრი და რეალურ კონტურებს იძენდა იდეა მუზეუმის შექმნის.**

**იდეა გამყარდა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ურთიერთნდობის ატმოსფერო მეცენატსა და მხატვრებს შორის.**

**ერთ-ერთ პუბლიკაციაში (ჟურნალი „მუდმივი კავშირის სამყარო“ 3(59), 2013, „ისინი მე მენდნენ“) გია ჯოხთაბერიძე წერს:**

— ამ საქმემ გამიტაცა... დავიწყე ნამუშევრებზე „ნადირობა“. მოქმედ მხატვრებთან მივდიოდი და მათ ნახატებს, ზოგჯერ მთელ კოლექციას, ვიძენდი. მხატვრები, ნუ მიწყენენ და, ცოტა ეჭვიანი ხალხია. პირველ ხანებში ჩემს წინადადებას გაოცებით ხვდებოდნენ. მე მათიც ძალიან კარგად მესმის — ძნელია, ერთბაშად შეელიო მთელი ცხოვრების მანძილზე შექმნილ ტილოებს. მაგრამ აქ მთავარი ნდობის ფაქტორი გახდა — ისინი მე მენდნენ!“

**ბატონ გია ჯოხთაბერიძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს მხატვრობისადმი:**

— დღეს საქართველოში სახვითი ხელოვნება ძალიან მაღალ დონეზეა. ვფიქრობ, ჩვენი მხატვრები ევროპელ და სხვა უცხოელ კოლეგებს ბევრ რამეში უსწრებენ კიდეც. ჩემი აზრით, ამას საბჭოთა კავშირის დაშლამაც შეუწყო ხელი. იმ ეპოქაში ბევრ მათგანს საბჭოთა იდეოლოგია ბოჭავდა, არ აძლევდა თავისუფალი შემოქმედების საშუალებას და მათი ნამუშევრები იშვიათად იფინებოდა. ამის მაგალითად საკმარისია თემო ჯაფარიძის, ოთარ ჩხარტიშვილის, ჯიბსონ ხუნდაძის და მრავალი სხვა ხელოვანის დასახელება.

ჩემთვის რამდენიმე მხატვარია განსაკუთრებით გამორჩეული. ესენი არიან დღეს მოქმედი, ნამდვილად გენიოსები ედმონდ კალანდაძე და ჯიბსონ ხუნდაძე; გარდაცვლილთაგან კი დავით კაკაბაძეს, ელენე ახვლედიანს, თემო ჯაფარიძეს, რომლის შემოქმედების 90 პროცენტი ჩვენს კოლექციაშია, ირაკლი ფარჯიანს და მერაბ აბრამიშვილს დავასახელებდი.

**სახვითი ხელოვნების სიყვარულისა და გამორჩეული ნიმუშების გადარჩენის კეთილშობილური სურვილის მომდევნო საფუძველი, რომელზეც სახვითი ხელოვნების მუზეუმის აგების იდეა აღმოცენდა, ნდობის ფაქტორია.**

**უამრავი კოლექციონერია მსოფლიოში, ვინც ხელოვნების ნიმუშების შესყიდვითაა გატაცებული. ყიდულობს, ინახავს, მალავს — მხოლოდ საკუთარ ხვაშიადს იკმაყოფილებს, სუპერეგოისტობაა.**

**გია ჯოხთაბერიძე მუზეუმს აშენებს ხალხის წინაშე ხელოვნების ნიმუშების გამოსაფენად, სახილველად, ერის გემოვნებისა და კულტურის დონის ასამაღლებლად და მსოფლმხედველობის არეალის გასაფართოებლად, ერის საგანძურის დასაცავად, რა თქმა უნდა.**

**ერის კაცია და იმიტომ.**

ესეც კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ახალი მუზეუმის საძირკველში ჩაიდო:

— ჩვენს კოლექციაში ქართველ მხატვართა დაცული, ჩარჩოში ჩასმული, მოწესრიგებული, გამოსაფენად გამზადებული 3000-მდე ნამუშევარი დაგროვდა, — **ამბობს მეცენატი,** — უკვე ვიცი, რომ ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორიაში წყვეტა აღარ იქნება!

**ჭეშმარიტად მაღალ შეფასებას აძლევენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები ბატონ გია ჯოხთაბერიძის წამოწყებულ საშვილიშვილო საქმეს.**

**ჭაბუა ამირეჯიბი-ბერი დავითი:** — დროა, მადლობა მოვახსენოთ ბატონ გიას მისი უანგარო ღვაწლისთვის და ამჟამად კი — საგანგებოდ იმ გრანდიოზული წამოწყებისთვის, რომელიც მას განუზრახავს — თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის აშენება.

**დიმიტრი ერისთავი, საქართველოს სახალხო მხატვარი:** — ჩვენ, მხატვრები, და ჩვენთან ერთად საზოგადოებაც ვეღირსეთ, რომ დედაქალაქში შენდება ახალი მუზეუმი — აბა, გამახსენეთ, როდის აშენდა ბოლო მუზეუმი თბილისში?

**გიგა ბათიაშვილი,** საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი: — ეს შენობა აუცილებლად უნდა აშენდეს, და ეს იდეა გასაფრთხილებელი, მოსაფერებელი და მადლობის სათქმელია... თბილისს სჭირდება სახვითი ხელოვნების მუზეუმი!

**რადიშ თორდია,** საქართველოს სახალხო მხატვარი: — ...პროექტი ძალი- ▶

# არწივის ქანდაკება იქნება, მაგრამ არა შენობაზე, არამედ მის ფასადზე, არა რუსული, თანაც ორთავიანი, არამედ ქართული, რომელიც ვანში აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეების არწივის სამი ფიგურის ორგანული შენივთებაა, სინთეზი, რომელშიც ამ სამი ფიგურის სხვადასხვა დეტალია გაერთიანებული... როგორც ცნობილია, ეს ნამუშევარი ბრინჯაოში ჩამოისხმება. ქანდაკების სიმაღლე 2,5 მეტრია, ფრთების გაშლა — 4 მეტრი. მას მუზეუმის შენობის ფასადზე 11 მეტრის სიმაღლეზე დაამაგრებენ.

დედაქალაქი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


გია ჯოხთაბერიძე და საქართველოს სახალხო მხატვარი ჯიბსონ ხუნდაძე


არჩილ და გიორგი ქურდიანები

ან კარგია, მომწონს, სამხატვრო აკადემიაში პროფესორ-მასწავლებლებს ვაჩვენე, რომლებიც აღფრთოვანდნენ.

**თემო გოცაძე,** საქართველოს სახალხო მხატვარი: — ეს ადგილი პატარა მოედანია, სადაც თავს იყრის ეკლესია, ცოტა ზევით — სასტუმრო და თეატრი, გვერდზე — კინოთეატრი, გაივლი და — ისტორიის მუზეუმი; ჩახვალ ქვევით და გუდიაშვილის ქუჩაზე — ლადოს სახლ-მუზეუმი... ეს შენობაც მაქსიმალურადაა მოცემულობაში ჩასმული — დაცულია მასშტაბი, გრაფიკა, რიტმიკა და ფუნქცია.

## „რა ხელმა ააგო“

**ქართველი კაცის ხელი რომ აშენებს, ეს უკვე ვთქვი. ახლა კი მშენებლობის პროზაულობაზე ვესაუბრები მშენებლობის ხელმძღვანელს — ომარ ძიაპშიპას. ბატონი ომარი ლეგენდარული თბილისის „დინამოს“ ცენტრალური მცველის — ნიაზ ძიაპშიპას ვაჟია, გამოცდილი მშენებელია და სუპერპროფესიონალი.**

**დამკვეთთან მშენებლების ურთიერთობაზე ვეკითხები:**

— ბატონ გია ჯოხთაბერიძეს დღე არ გაუცდენია, მშენებლობაზე გვსტუმრობს და დეტალურად არის ჩახედული ცალკეულ ელემენტებშიც კი, პროფესიულადაა ჩახედული. ასეთ კომპეტენტურ ადამიანთან ურთიერთობა არამარტო საქმისთვისაა სასარგებლო, არამედ სასიამოვნოც არის, არ გვადუნებს მშენებლებს. ასეთი დამკვეთი არ შემხვედრია ცხოვრებაში. შეცდომას არ პატიობს. თვალი აქვს, მინიმალურ უზუსტობასაც, რაც, ვთქვათ, მშენებლობის ნორმებით დასაშვებია, გვასწორებინებს.

კარკასის მშენებლობის ურთულესი ეტაპი გავიარეთ. მოპირკეთების სამუშაოებს რომ დავიწყებთ, იქ მილიმეტრით გადაცდენაც დაუშვებელი იქნება. მაშინ კონტროლი კიდევ უფრო გაძლიერდება.

აქედანვე ვეჩვევით *(ღიმილი).*

**— დამთავრებას როდისთვის აპირებთ?**

— 2016 წლისთვის ვაპირებთ, მაგრამ ისეთი ტემპით მივდივართ, რომ გრაფიკს გავასწრებთ. პირდაპირ გეტყვით, დღეისთვის გრაფიკს ერთი თვით ვუსწრებთ. ამინდებმაც ხელი შეგვიწყო და არც ჩვენ დავაკელით მონდომება. მოცულობა დიდი იყო — ორმეტრიანი ფუნდამენტი, ზოგან — სამი.

**— ცნობილია, რომ შენობათა ეს კომპლექსი ცხრაბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი. ამას განსაკუთრებული მარკის ბეტონი სჭირდება. რა თქმა უნდა, შესაბამისი არმატურაც. ენგურჰესის კაშხალისთვის სპეციალური ბეტონი მზადდებოდა. ხომ ასეა?**

— დიახ, აქაც სულფატომედეგ ბეტონს ვიყენებთ, აგრესიულმა წყლებმა რომ არ დააზიანოს. 450 მარკის ბეტონია. ბეტონის ორი ქარხანა გვაქვს და ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ. ცემენტი შემოგვაქვს — „ჰაიდელბერგ ცემენტია“. ინერტული მასალებიც შემოგვაქვს. რუსთავის ყოფილ მეტალურგიულ კომბინატში ჩვენი დაკვეთით ამზადებენ არმატურას. იქაც სამუშაო ფრონტის სტაბილურობას ჩვენი მხრიდან უზრუნველვყოფთ. არმატურასთან დაკავშირებით ასეთ ცნობასაც მოგაწვდით. ერთ კუბურ მეტრში, როგორც წესი, არმატურის მაქსიმალური რაოდენობა 150 კილოგრამია. აქ, ჩვენს საძირკველში კი არმატურის წონა 450 კილოგრამამდე ავიდა. გასაგებია, რა სიმყარის საძირკველზეც აშენდება ჩვენი ობიექტი.

**— აშენებთ და მშენებელთა სოციალურ პრობლემებსაც წყვეტთ, საკმაოდ ეფექტიანადაც. ფაქტი სახეზეა. მაგრამ ისე ხომ არ არის, რომ უმუშევრობით გაიაფებულ მუშახელს იაფად ამუშავებთ?**

— გამორიცხულია! ჯერ ერთი, საშუალო ხელფასი 1000 ლარზე მეტია. მეორეც, დასაქმებული გვყავს კვალიფიციური მუშახელი, რომელთა შრომა შესაბამისად უნდა იყოს ანაზღაურებული, თუ გვსურს, უწუნო და მაღალხარისხოვანი შედეგი მივიღოთ. ამას მატერიალური და მორალური სტიმულები ერთნაირად უზრუნველყოფს: დაფასება, ადამიანური ღირსების შესაბამისი დონის არსებობა.

მშენებლობაზე ადგილობრივი კადრია დასაქმებული — საქართველოს მოქალაქეები, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

**— ხომ არ გაგიჭირდათ კვალიფიციური მშენებლების მოძებნა?**

— არა, სხვათა შორის. ბევრმა მათგანმა აქ, ჩვენთან აიმაღლა კვალიფიკაცია, აითვისა ახალ, გერმანულ და ავსტრიულ დანადგარებზე მუშაობა — ამწე კრანი, მექანიზმები, საყალიბე მასალა და ა. შ. არც ეს საყალიბე მასალები, არც ასეთი ამწე კრანი საქართველოში სხვაგან არ არის.


შენობა ცხრაბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი

**დასაქმებული გვყავს კვალიფიციური მუშახელი, რომელთა შრომა შესაბამისად უნდა იყოს ანაზღაურებული, თუ გვსურს, უწუნო და მაღალხარისხოვანი შედეგი მივიღოთ. ამას მატერიალური და მორალური სტიმულები ერთნაირად უზრუნველყოფს**

**— და ეს ზრდის შრომისნაყოფიერებას?**

— შრომისნაყოფიერებასაც და ხარისხსაც. ამჟამად ჩვენს ობიექტზე 150 კაცი მუშაობს — დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

**სამუშაოთა შესრულების ხარისხზე რომ ლაპარაკობდა, ომარ ძიაპშიპამ „მაგთის“ ცენტრალური ოფისის შენობა ახსენა, რომელიც აღმაშენებლის პროსპექტის, შეიძლება ითქვას, დამაგვირგვინებელი აქცენტია, ლამაზი შენობააო.**

**მართლაც ასეთია. პროსპექტის ბუტაფორული არქიტექტურის ფონზე განსაკუთრებით გამორჩეულია.**

**ხელოვნების მუზეუმის სამშენებლო კოლექტივის ძირითადმა ბირთვმა სწორედ ამ უნიკალური ნაგებობის მშენებლობის პროცესში დახვეწა თავისი ოსტატობა. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რა თქმა უნდა, უმაღლესი განათლებისაა და, კვლავ, რა თქმა უნდა, — საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. არიან ისეთებიც, ვინც ჯერ კიდევ სტუდენტია.**

— ტრადიციები საქართველოს მშენებლებს ყოველთვის კარგი ჰქონდათ. ახლაც შესანიშნავი თაობა მოდის, — **ამბობს ომარ ძიაპშიპა.**

**— შეიძლება ვცდები, მაგრამ ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ მშენებლობის პროცესი, აქ მომუშავე ადამიანები, მექანიზმები, უფრო ცივილიზებული, უფრო გაევროპელებულია წინა პერიოდებთან შედარებით. ასეთი გარემო პირველად 1986 წელს ვნახე აშშ-ში ქალაქ სიეტლის ერთ-ერთი ცათამბჯენის მშენებლობაზე და ახლა აგერ — თბილისშიც ვხედავ.**

— მართლაც ასეა. გაიზარდა მოთხოვნა, ამაღლდა შრომის კულტურა. სხვა თუ არაფერი, ჩვენთან გერმანელი კონსტრუქტორები მუშაობენ, რომლებიც თვალს ადევნებენ ნორმების ზუსტად დაცვას, მათ მშენებლობის ხარისხის კონტროლიც ევალებათ. ცნობილი გერმანული კომპანია **W+P** და მისი შვილობილი კომპანია **PLAN FORWARD** სამშენებლო პროექტის ავტორები არიან და მათი დაინტერესება სავსებით ბუნებრივია. გერმანელები ყოველ ორ კვირაში ჩამოდიან, ამოწმებენ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოებს.

**— რეკლამაციის ფაქტები თუ იყო?**

— პრინციპში, არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, — სერიოზული არაფერი. 9 თვეა, ვმუშაობთ და ვერაფერს ვიხსენებ.

რაც მთავარია, დამკვეთი დაინტერესებულია, რომ სამშენებლო პროცესი წარიმართოს უახლესი ტექნიკის გამოყენებით. ამის მაგალითია, თუნდაც ბეტონის გამანაწილებელი, „ხორთუმიანი“ დანადგარი, რომელიც მოძრავია და ძალიან მოხერხებულია მშენებლებისთვის. და, საერთოდ, მთელ ამ პროცესში პერსონალის უსაფრთხოება სრულად არის დაცული.

**— ძირითადად რომელი პროფესიის ოსტატები მუშაობენ ამჟამად?**

— ამ ეტაპზე, მეარმატურეების გარდა, დასაქმებულები არიან დურგლები, შემდეგ და შემდეგ შემოგვიერთდებიან კალატოზები, მლესავები, მოპირკეთების ოსტატები, ქვისმჭრელები და ა.შ. ერთ-ორ სართულს რომ გადავხურავთ, შეიძლება კიდეც დავიწყოთ მოპირკეთების სამუშაოები, ყინვებმა ხელი თუ არ შეგვიშალა.

**მშენებლებთან საუბრისას პროექტზე ლაპარაკს გვერდს ვერ ავუვლიდით. წარმოუდგენელია. ომარ ძიაპშიპას შეფასება ასეთია:**

— ლამაზია. რუსთაველზე მომავალი შენობის სურათებია გამოფენილი და ესეც კი ამშვენებს აქაურობას. დახვეწილი პროექტია, სამუშაოდ ძალიან ადვილია. იშვიათად თუ გვიჩნდება შეკითხვები კონსტრუქტორებთან. არქიტექტურის ძირითად სამუშაოებს რომ მივადგებით, შეიძლება დასაზუსტებელი და შესათანხმებელი დეტალები გამოჩნდეს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი სამუშაო პრაქტიკაა.

## ორთავიანი რუსული არწივი

**ამ პუბლიკაციის დასაწყისში „კრიტიკოსთა“ გამოხდომა რუსული ორთავიანი არწივის შესახებ, რომელიც თითქოს შენობაზე უნდა დაიდგას, სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე დაკიდებული თოფივითაა — უნდა გავარდეს.**

**არწივის ქანდაკება იქნება, მაგრამ არა შენობაზე, არამედ მის ფასადზე, არა რუსული, არამედ ქართული, რომელიც ვანში აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეების არწივის სამი ფიგურის ორგანული შენივთებაა, სინთეზი, რომელშიც ამ სამი ფიგურის სხვადასხვა დეტალია გაერთიანებული.**

**როგორც ცნობილია, ეს ნამუშევარი ბრინჯაოში ჩამოისხმება. ქანდაკების სიმაღლე 2,5 მეტრია, ფრთების გაშლა — 4 მეტრი. მას მუზეუმის შენობის ფასადზე 11 მეტრის სიმაღლეზე დაამაგრებენ.**

**ამ ქანდაკების ორიგინალურ ვარიანტზე მუშაობენ მოქანდაკეები ედუარდ შახნაზაროვი და დავით მინდორაშვილი, ყალიბს გელა სოლომონაშვილი დაამზადებს, ჩამოასხამენ ოლეგ და პაატა გელაშვილები.**

**არქიტექტორების ჩანაფიქრით, არწივის ერთმეტრიანი თითბრის ასლი მუზეუმის ცენტრალურ ფოიეს დაამშვენებს.**

**აი, ასე მარტივადაა საქმე.**

**არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## პირველი ფოტო კაცობრიობის ისტორიაში

**ის, რაც დღეს თითოეული ჩვენგანისთვის ხელმისაწვდომია და რაც ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებსა თუ ყოველდღიურობას ასახავს, თითქმის 2 საუკუნის წინ გამოიგონეს.**

გამოგონების ავტორი ფრანგი ჟოზეფ ნისეფორ ნიეფსია, სწორედ მას ეკუთვნის პირველი მყარი გამოსახულება. მას შემდეგ ფოტოს განვითარებამ დიდი გზა განვლო. კაცობრიობის ისტორიაში გადაღებული პირველი ფოტო ახლა მხოლოდ მუქ და ღია ჩრდილებს ჰგავს, მაგრამ სწორედ მან დაუდო საფუძველი თანამედროვე ფოტოხელოვნებას.

# 15 000 წლის წინ ვიღაც დაფრინავდა და ბირთვულ იარაღს ისროდა

**ინდოეთის ქალაქ ხაიდარაბადში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „მეცნიერება და ტექნიკა ძველ ინდოეთში“, ლაპარაკი იყო საოცარ საფრენ აპარატებზე, ვიმანებსა და იდუმალ ქალაქზე მაჰენჯო დარა, რომელიც განადგურებულ იქნა საშინელი ძალის იარაღით.**



## ბრძოლა ცაში

**„როცა დადგა დილა, რამამ აიღო ზეციური ხომალდი და გასაფრენად მოემზადა. ხომალდი იყო დიდი და ლამაზად მორთული, ორსართულიანი, ბევრი ოთახითა და ფანჯრით. ხომალდმა მელოდიური ხმა გამოსცა, სანამ ზეცაში აიჭრებოდა“.**

ასეა აღწერილი ძველ ინდურ ეპოსში — „რამაიანა“-ში გმირი ღმერთის — რამას სტარტი ზეციური ხომალდით. ეს არაა ერთადერთი მტკიცებულება, თითქმის ყველა სანსკრიპტულ ტექსტში აღწერილია, თუ როგორ იბრძოდნენ ღმერთები ცაში მფრინავი აპარატების — ვიმანების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი იყო იარაღით.

მაგალითად, ბრძენის მახარაჯა ბხარადვაჯას წიგნში **„ვიმანიკ პრაკარანამ“** (სანსკრიტულიდან ითარგმნება, როგორც „ტრაქტატი ფრენაზე“) მოხსენიებულია სინათლის კონა, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ ობიექტზე ფოკუსირება და მისი განადგურება.

ბევრი ძველი მანუსკრიპტი შეიცავს ძველი აპარატების დეტალურ ტექნიკურ მონაცემებს სიტყვებით, როგორიცაა „წევა“, „გრაფიტი“, „სპილენძით დაფარული ხვია“, „კრისტალური ინდიკატორები“. არის დეტალური აღწერა, თუ როგორ უნდა მართო ვიმანი, რაც არ სჭირდება ზღაპრულ საფრენ აპარატებს, როგორიცაა მფრინავი ხალიჩა ან ალქაჯების ცოცხი. თუ ტექსტებს დავუჯერებთ, აპარატებს შეეძლოთ ჰაერში დაკიდება და მიმართულების მკვეთრი შეცვლაც.





## მაჰენჯო დარას საიდუმლო

**ცნობილია, რომ ნაცისტები დაინტერესებულნი იყვნენ ინდოეთითა და ტიბეტით და, თუ ხმებს დავუჯერებთ, ნაცისტურმა გერმანიამ შექმნა ე. წ. მფრინავი თეფშები. 1930-იანი წლების დასაწყისში ისინი ყოველ წელს გზავნიდნენ ექსპედიციას ამ ადგილებში და, როგორც ჩანს, საფრენ აპარატებთან დაკავშირებით რაღაც მოიძიეს კიდეც.**

ლეგენდის თანახმად, ძველი ინდური იმპერია რამა 15 000 წლის წინ გაანადგურა რაღაც მძლავრმა იარაღმა. ინგლისელმა მკვლევარმა დევიდ დევენპორტმა გამოიკვლია „ვიმანიკ პრაკარანამა“ და „რამაიანა“ და, როცა გააანალიზა ის ადგილი, სადაც აღწერილია იარაღის ძალა, მივიდა დასკვნამდე: ქალაქი მაჰენჯო დარა და მასთან მიმდებარე ქალაქები, რომლებიც მიეკუთვნება არიულამდე არსებულ ცივილიზაციას და მდებარეობდა მდინარე ინდის აუზში, განადგურდა ატომური აფეთქებით.

აი, რა არის ნათქვამი ერთ ბრძოლაზე: „გურკამ (ღვთაება), რომელიც მოფრინდა სწრაფი და მძლავრი ვიმანით, სამი ქალაქის წინააღმდეგ გაგზავნა ერთი ძლიერი მუხტი, რომელიც დამუხტული იყო სამყაროს მთელი ძალით. ცეცხლისა და კვამლის უზარმაზარი ბოძი ავარდა და განათდა, როგორც ათასი მზე... დაღუპული ხალხის ამოცნობა შეუძლებელი იყო, ხოლო გადარჩენილებმა დიდხანს ვერ იცოცხლეს: მათ გასცვივდათ თმა, მოძვრათ კბილები და ფრჩხილები“. ეს კი ძალიან ჰგავს ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოგდებული ბირთვული ბომბის აფეთქებას და რადიაციულ დასხივებას.

რაც მთავარია: მაჰენჯო დარას ნანგრევებში შეინიშნება ძალიან მაღალი ტემპერატურისა და დარტყმითი ტალღის კვალი. სავარაუდო აფეთქების ეპიცენტრში ნაპოვნი კერამიკის ნამტვრევები გამდნარია. ასევე აქვე ნაპოვნი ქვიშა მაღალი ტემპერატურის გამო მინადაა გადაქცეული.



## ვისთან ომობდნენ?

**ჩინეთში, ლხასაში (ტიბეტი) აღმოაჩინეს რამდენიმე ძველი ტექსტი სანსკრიტულ ენაზე და სათარგმნელად გადასცეს ქალაქ ჩანდრიდახში არსებულ პანჯაბის უნივერსიტეტს.**

როგორც დოქტორმა რუტ რეინმა აღნიშნა, დოკუმენტში მოთხრობილია ვარსკვლავთშორის საფრენი კოსმოსური ხომალდების კონსტრუქციაზე. აღწერილია ძრავებიც, რომელთა მოქმედების პრინციპი ანტიგრავიტაციულია და გამოიყენებდა რაღაც ენერგიას სახელად „ეგო“.

დოქტორმა რეინმა თქვა, რომ, დოკუმენტების მიხედვით, ამ აპარატებს ერქვათ „ასტრა“ და ძველ ინდოელებს შეეძლოთ ადამიანის გაგზავნა ნებისმიერ პლანეტაზე.

ინდურ ეპოსში „რამაიანა“ ზედმიწევნით ზუსტადაა აღწერილი არამარტო ვარსკვლავთშორისი გადაფრენები ხომალდით „ასტრა“, არამედ შეტაკება მთვარეზე ძველ ინდოელებსა და ატლანტების ხომალდ „ვაილისკის“ შორის, რომელიც ასევე კარგად მანევრირებდა კოსმოსში, ატმოსფეროში და წყლის ქვეშ. თუ დავუჯერებთ მსგავს წყაროებს, რამას იმპერია არსებობდა ატლანტიდას პარალელურად და კონკურენციასაც კი უწევდა.

წარსულში არსებული საფრენი აპარატების არსებობის ახსნა მარტო მაღალგანვითარებული ცივილიზაციით არ ხორციელდება. იქნებ „ვიმანიკა პრაკარანამ“ უცხოპლანეტელებთან კონტაქტის შედეგად შეიქმნა? ვინ იცის, რამდენი საიდუმლო იმალება ბურუსით მოცულ წარსულში და როდის აეხდება ყველაფერს ფარდა. ქალაქ აბიდოსში (ეგვიპტე) აღმოჩენილი ფრესკების თაობაზე კი დასკვნები თავად გააკეთეთ.



## აპარატების ოთხი ტიპი

**თუ უძველეს ტექსტებს დავუჯერებთ, ღმერთებს მინიმუმ ოთხი სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატი მაინც ჰქონდათ — „რუკმა ვიმანა“, „სუნდარა ვიმანა“, „ტრიპურა ვიმანა“ და „შაკუნა ვიმანა“. პირველი ორი იყო კონუსისებური, გარსშემონადენი ფორმით. იყვნენ სამ იარუსიანები. ძრავები განთავსებული იყო ძირში.**

„ტრიპურა ვიმანა“ მოზრდილი ხომალდი იყო და მრავალმხრივი დანიშულებისთვის გამოიყენებოდა. აპარატის გამოყენება შეიძლებოდა როგორც საჰაერო, ისე წყალქვეშა მოგზაურობისთვის.

„იმანიკა პრაკარანამ“-ის მიხედვით, ვიმანების სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა მეტალის სამი სახეობა: „სომაკა“, „საუნდალიკა“, „მაურტხვიკა“ და ასევე შენადნობები, რომლებსაც შეეძლოთ მაღალი ტემპერატურის გაძლება.

„ვიმანიკა პრაკარანა“-ში მთელი თავია მიძღვნილი უნიკალური მოწყობილობის „გუხაგარაბდაშ იანტრა“-ს აღწერილობისთვის, რომელიც ყენდება საფრენ აპარატზე. როგორც ძველ წიგნში წერია, მისი საშუალებით მაღლიდან შეიძლებოდა მიწისქვეშ დამალული საგნების ადგილმდებარეობის დადგენა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ლაპარაკია რადარზე, რომელიც რეაგირებს მოწინააღმდეგის შენიღბულ საჰაერო თავდაცვის სისტემაზე.

ხელსაწყო შედგებოდა 12 ბლოკისგან. მისი ნაწილები შედგებოდა ნახევარგამტარი შენადნობისგან „ჩამბაკ მანი“, რომელიც „შაკტი ძალის“ წყაროს წარმოადგენდა. ნარინა შეხტის აზრით, ამ შემთხვევაში ლაპარაკია მძლავრი გამოსხივების წყაროზე, რომელსაც შეუძლია მიწისქვეშ დაფარული საგნების აღმოჩენა მიკრო ტალღების გაგზავნით და მათი მიღების მეშვეობით.

ნარინ შეხტის დასჭირდა სამი წელი, რათა დაედგინა 14 ნივთიერება, რომლისგანაც, ფორმულის თანახმად, შედგება შენადნობი „ჩამბაკ მანი“. შემდეგ მეცნიერებმა შეძლეს ამ ნივთიერების დამზადება ინდოეთის, ბომბეის ტექნიკური ინსტიტუტის დახმარებით. შენადნობი აღწერილია, როგორც „მყარი, შავი ფერის ნივთიერება, მაგნიტური თვისებით, რომელიც არ იხსნება მჟავაში“. მის შემადგენლობაში, ძირითადად, შედის სილიციუმი, ნატრიუმი, სპილენძი და რკინა.

„გუხაგარაბდაშ იანტრა“ ერთ-ერთია იმ 32 მოწყობილობიდან, რომლებიც, აღწერილობის მიხედვით, ყენდებოდა საფრენ აპარატებზე. დანარჩენები, დღევანდელი გაგებით, ასრულებდა რადარის, ფოტოაპარატის, პროჟექტორისა და სხვა მოწყობილობების ფუნქციებს.

აგრეთვე, იყო სარკეები ლინზებით ვიზუალური დაკვირვებისთვის. ერთ-ერთი მათგანი — „ინჯულის სარკე“ განკუთვნილი იყო პილოტების თვალების დასაცავად მოწინააღმდეგის „დემონური სხივებისგან“.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## 500-მილიონიანი ვარცხნილობა

**სამკაულების ბრენდმა Graff Diamonds ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სარეკლამო კამპანიის თანამედროვე ვერსია გადაიღო.** 1970 წელს ბრენდმა „1-მილიონიანი ვარცხნილობით“ გააოცა საზოგადოება, 2013 წელს კი რეკლამისთვის მოდელს თმაში 500 მილიონი დოლარის ღირებულების ბრილიანტები ჩააზნიეს. სარეკლამო კამპანია ბრენდის 60 წლის იუბილეს და მე-40 მაღაზიის გახსნას ეძღვნება. ფოტოსესიაში მოდელს 22 ძვირადღირებული სამკაული უკეთია. მათ შორის ორი ბროში, რამდენიმე სამაჯური, საყურე და ბეჭდები. სამკაულებს შორისაა ფერადი ბრილიანტებით შემკული ბეჭდებიც.

# კინო-ავტომობილების მუზეუმი

**ყოფილი სტომატოლოგი, ბრიტანელი პიტერ ნელსონი აგროვებს ავტომობილებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცნობილი კინოფილმების გადაღებებში.**

30 წლის განმავლობაში ავტომობილების შეძენაში პიტერმა 1 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი დახარჯა. ამჟამად კოლექციონერი პიტერ ნელსონი გეგმავს, გამოიტანოს მანქანები გასაყიდად ინტერნეტ-აუქციონ ebay-ის მეშვეობით.

მუზეუმში სულ ავტომობილების 25 ექსპონატია, მათ შორისაა ავტომობილები ფილმებიდან „უკან მომავალში“, „შეშლილი მაქსი“, „Chitty Chitty Bang Bang“, „ფორსაჟი“, „საფრთხის ჰერცოგები“, „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი“, „ომის ნადავლი“, „მხოლოდ სულელები და ცხენები“, „გზების რაინდი“, „გუნდი“ და სხვ.




























## «დეპრესიული» პროდუქტები

**ესპანელმა მკვლევარებმა შეადგინეს იმ პროდუქტების „შავი სია“, რომელთა მოხმარებაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ადამიანში შიშს, დაძაბულობას და დეპრესიას იწვევს.**

სიაში მოხვდა ფასტ-ფუდი, საკონდიტრო ტკბილეული, კანფეტები და მასობრივი წარმოების შოკოლადის ბატონები.

სპეციალისტების დასკვნები გამოტანილია მასშტაბური ექსპერიმენტიდან, რომელშიც 9 000 ადამიანი მონაწილეობდა. ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფასტ-ფუდის საკვებს და ტკბილეულს მიირთმევდნენ. გამოკითხულთა 50% აცხადებდა, რომ ისინი უფრო მტკივნეულად რეაგირებდნენ პრობლემებზე, ხოლო ზოგიერთმა აღიარა, რომ დეპრესიის სიმპტომები ჰქონდა.

მეცნიერთა აზრით, ჩვენს ორგანიზმში ნეგატიური ცვლილებები დაკავშირებულია ცხიმების კონცენტრაციის მატებასთან.



## მამაკაცმა 23 წლის შემდეგ პირველად გაიარა

**ინგლისის საგრაფოში, კორნუოლში მცხოვრები 26 წლის ნიკ ქერი 23 წლის შემდეგ პირველად წამოდგა ფეხზე.**

საშინელი ტკივილის მიუხედავად, იმის დასტურად, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, ის ეტლიდან წამოდგა. ნიკი ეტლს 3 წლის ასაკში მიეჯაჭვა, როდესაც ენცეფალიტი დაემართა. ექიმებმა მძიმე დიაგნოზი დაუსვეს — ის ფეხზე დადგომას ვერასდროს შეძლებდა. თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, ნიკი ძალდატანებით წამოდგა ეტლიდან, ეტლის სახელურებს დაეყრდნო და მეგობრის დახმარებით 65 ნაბიჯი გაიარა. **„ძალიან მტკივნეული იყო. ბევრმა ჩემს დანახვაზე იტირა; ემოციური დღე იყო“**, — ამბობს ის.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კატა — თაიგულის ნაცვლად

მოგბეზრდათ სტანდარტული პატარძლები ან სტანდარტული კატების ფოტოები? მსოფლიოში ახალი ტრენდია — პატარძლები, რომლებიც საქორწინო თაიგულის ნაცვლად ზურგს უკან კატას ისვრიან. როგორც უცხოურ საიტებზე გამოქვეყნებულ ამ ფოტოებზეა მითითებული, ფაქტის დროს არც ერთი შინაური ცხოველი არ დაზარალებულა.





## ერთადერთი ადგილი, სადაც განუწყვეტლივ წვიმს

**ინდოეთში, მეგჰალაიას შტატის სოფელ მავსინრამში განუწყვეტლივ წვიმს.**

თვეები ისე გადის, ადგილობრივებს მზის დანახვა ენატრებათ. გადაუღებელი წვიმის გამო ქუჩაში ყოველთვის ნიაღვრებია და წყალი სახლებშიც შედის. მათ შინაური ცხოველებისთვის სპეციალური თავშესაფარი აქვთ მოწყობილი, რათა საქონელი წყალმა არ დაახრჩოს. ადგილობრივები სახლიდან ქოლგის გარეშე არასდროს გადიან — დღის განმავლობაში აუცილებლად კოკისპირულად იწვიმებს. ეს სოფელი მსოფლიოში ყველაზე ნესტიანი ადგილია.

სოფელში დეკემბრიდან თებერვლამდე მშრალი სეზონია — ამ დროს ადგილობრივებისთვის ყველაზე დიდი პრობლემა უწყლობაა. მათ წყალი არც დასალევად აქვთ და არც გასარეცხად. აქ წლის მაქსიმალური ტემპერატურა 20 გრადუსია.









## მფრინავი მანქანა

ამერიკული კომპანია Terrafugia შეუდგა მფრინავი ავტომობილის შექმნას. მფრინავი ავტომობილი, რომელსაც ამ ეტაპზე F-X-ს უწოდებენ, ჰიბრიდული ძალოვანი დანადგარით იქნება აღჭურვილი და მას ვერტიკალური აფრენისა და დაშვების სისტემაც ექნება. ამავე დროს მისი ელემენტის დატენვა ჩვეულებრივი დენის წყაროთიც იქნება შესაძლებელი.

ძრავის საერთო მოცულობა 500 ცხენის ძალა იქნება, ხოლო ჰაერში მაქსიმალური სიჩქარე — 322 კილომეტრი საათში, მოძრაობის მარაგი 800 კილომეტრზე მეტით იქნება განსაზღვრული.







## გაქცევა მევალეებისგან

**ჩინეთში, გუანდუნის პროვინციაში მცხოვრები 21 წლის ჰენგ ჰსიეჰი ფიქრობდა, რომ მაღალანაზღაურებად სამსახურს იშოვიდა, ამიტომ მეზობლებისგან და ნათესავებისგან ფული თამამად ისესხა.** სწავლის გადასახადი დაფარა, მაგრამ სამსახურში არავინ აიყვანა. ჰენგი იძულებული გახდა, მევალეებს გაქცეოდა და სხვა ვერაფერი მოიფიქრა — მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ანძაზე ავიდა. საბედნიეროდ, ჰენგი მალევე შენიშნეს და ელექტროენერგია გათიშეს. 5 საათი კაცი ანძაზე იჯდა, ჩინურ სიმღერებს მღეროდა და ოჯახის წევრების თხოვნაზე, ძირს ჩამოსულიყო, უარს ამბობდა. ზოგიერთმა მევალემ თქვა, რომ მისგან ფულის დაბრუნებას აღარ მოითხოვს. ჰენგის მამა მევალეებს დაჰპირდა, რომ ვალს უახლოეს მომავალში გაისტუმრებენ.

## ამერიკელმა ვერ დაამტკიცა, რომ ცოცხალია

**ოჰაიოს შტატში მცხოვრებმა მამაკაცმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, ბათილად ეცნოთ გადაწყვეტილება მისი გარდაცვალების შესახებ. სასამართლომ დონალდ იუჯინ მილერი უმცროსი 1944 წელს სცნო გარდაცვლილად, მას შემდეგ, რაც 8 წელი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა.**

ახლანდელ სასამართლოზე მოსამართლე ფაქტის წინაშე აღმოჩნდა და აღიარა: **„გხედავთ, რომ ჯანმრთელი და საღსამალათი ბრძანდებით, მაგრამ... სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ შევცვლი, რადგან ამ განჩინების შეცვლის ხანდაზმულობის ვადა დიდი ხნის წინ გავიდა“.**

დონალდი 27 წლის წინ გაიქცა სახლიდან, რადგან ბევრს სვამდა და სამსახურიც დაკარგა. ამაო ლოდინის შემდეგ მისმა ცოლმა სასამართლოს მიმართა, რათა შვილებისთვის სოციალური დახმარება მოეპოვებინა. მთელი ამ დროის განმავლობაში არავინ იცოდა, რომ დონალდ იუჯინ მილერი ცოცხალი იყო.



## მეცნიერებმა თმის აღდგენა ისწავლეს



**ამერიკელმა მკვლევარებმა სიმელოტის მკურნალობის ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელიც თმის გადანერგვას არ მოითხოვს.**

კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერისა და მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელის ანჟელა კრისტიანოს თქმით, სიმელოტის მკურნალობა ახალი თმის ფოლიკულების ზრდითაა შესაძლებელი.

**„ჩვენი მეთოდი დონორის მხოლოდ რამდენიმე ასეული თმის გამოყენებით ახალი თმის ფოლიკულების შექმნასა და უკვე არსებულის აღდგენის საშუალებას იძლევა. ტრანსპლანტაცია ხელმისაწვდომი შეზღუდული რაოდენობის ფოლიკულების მქონე ადამიანებისთვის იქნება, ასე მაგალითად, გამელოტებისას ან ნაწიბურებისა და დამწვრობის გამო თმის დაკარგვისას“,** — ამბობს კრისტიანო.

მეთოდი, ახალი თმის „წყაროდ“ პაპილარული უჯრედების გამოყენებას ეფუძნება, რომლებიც ქსოვილში თმის დაკარგვის შემდეგაც რჩება. ეს უჯრედები კანის ღეროვანი უჯრედებიდან ახალი ფოლიკულის ფორმირებას იწყებენ. ადრე ეს მეთოდი მხოლოდ თაგვებზე ამართლებდა, მაგრამ მეცნიერებმა უიღბლობის მიზეზებში გარკვევა შეძლეს.

## კატები გაქირავებით

**კიეველები კატას ერთი დღით აქირავებენ. კიეველმა სერგეიმ სოციალურ ქსელში განთავსებულ განცხადებაში მიუთითა, რომ კატას კლიენტს სასურველ ადგილას მიუყვანენ და მომსახურება დაახლოებით 30 გრივენი ეღირება. ნაქირავებ ცხოველს კაკაო, თბილი პლედი და სასიამოვნო მუსიკის დისკი მოჰყვება.**

ცხოველების აყვანას სერგეი ცხოველთა თავშესაფრიდან აპირებს. მაგრამ ჯერჯერობით თავშესაფრები მასთან თანამშრომლობაზე უარს ამბობენ. თავშესაფრების ხელმძღვანელების თქმით, პატრონების გამუდმებული ცვლა ცხოველისთვის დიდი სტრესია. სერგეის იმედი აქვს, რომ ახალი მომსახურება თავშესაფრის ბინადარ კატებს პატრონის მოძებნაში დაეხმარება. მისი აზრით, ცხოველთან ერთი საათის გატარების შემდეგ კლიენტი მასთან განშორებას არ მოინდომებს.








## ტუალეტები ტრანსსექსუალებისთვის

**ინგლისში, ქალაქ ბრაიტონში მდებარე სასექსის უნივერსიტეტში ტრანსსექსუალებს საკუთარი, იზოლირებული ტუალეტი ექნებათ. ეს სტუდენდების მოთხოვნა იყო, რათა თავი ყველას კომფორტულად ეგრძნო.** სტუდენტების მცირე ნაწილი კი ინიციატივას „სისულელეს“ უწოდებს და ამბობს, რომ ფინანსები უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად უნდა იხარჯებოდეს.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე უჩვეულო მასაჟი

თურმე მასაჟის გაკეთება შესაძლებელია უბრალო საუბრით, გოლფის ბურთებით ან ლოკოკინის დახმარებით. მსოფლიო სპასალონები სხვადასხვა ორიგინალურ მასაჟს სთავაზობს ხალხს.



## მზრუნველი ლოკოკინა

ამ ორიგინალურ მასაჟს სთავაზობენ რუსულ სპასალონში. მასაჟისტის როლს ლოკოკინა ასრულებს. თურმე როდესაც ლოკოკინა დაცოცავს და ტოვებს სისველეს, ეს აახალგაზრდავებს და რეგერენაციის უნარს აძლევს კანს. პროცედურა ასეთია: სახეზე და დეკოლტის მიდამოებში სვავენ ჯგუფ „მასაჟისტებს“, ისინი დაცოცავენ და ტოვებენ სისველეს, რასაც კლიენტის კანზე აჩერებენ 15 წუთს და შემდეგ ჩამობანენ.



## გოლფის ბურთები

კალიფორნიის სასტუმრო Westin Hilton Head Island Resort & Spa-ში გოლფის მოყვარულებს სთავაზობენ უჩვეულო მასაჟს გოლფის სათამაშო ბურთების დახმარებით. ბურთებს, უბრალოდ, აგორებენ პაციენტის სხეულზე, ყურადღება ექცევა სპეციალურ ზონებს. მასაჟს აქვს მოსადუნებელი ან მატონიზირებელი ეფექტი.



## ვისაუბროთ?

ამერიკაში მოიფიქრეს მასაჟის ძალიან უჩვეულო სახეობა. ფსიქოლოგიური... სეანსის დროს პაციენტი უყვება მოპასუხე მასაჟისტს თავისი პრობლემების შესახებ. სპეციალისტი კი პასუხობს, როგორ გავლენას ახდებს ეს მისი ორგანიზმის მდგომარეობაზე და ორგანიზმის რა პრობლემები იწვევს წარუმატებლობას მის პირად ცხოვრებაში. კეთდება ფსიქოანალიზი და ენერგეტიკული ბალანსის აღდგენა.



## ზურგზე ცეკვა

გოაში საკმაოდ გავრცელებულია მასაჟი ფეხებით. ითვლება, რომ პროცედურა გაჩნდა ათასწლეულების წინ და თავდაპირველად მას ჯარისკაცები ძალის აღსადგენად იყენებდნენ. პროფესიონალი მასაჟისტი ფეხებით ათავისუფლებს ტკივილის შეგრძნებას ზურგზე და ხსნის სპაზმებს კუნთებიდან. ასევე პაციენტს უსმევენ სასარგებლო ეთერზეთებს.



## დანები

ტაილანდის სპასალონში კლიენტებს სთავაზობენ ექსტრემალურ მასაჟს დანებით. ეს ბოსტნეულის საჭრელს ჰგავს. პაციენტს დაფარული აქვს სხეული და პროცედურა დაშინებას წააგავს, მაგრამ სისხლის გარეშე, თუმცა შეიძლება იყოს ტკივილის შეგრძნება.





# რობოტი, რომელიც სახლს დამოუკიდებლად ალაგებს

**დიასახლისებისთვის ყველაზე შრომატევადი სახლის დალაგებაა: მტვრის დაწმენდა, მინებისა და სარკეების გასუფთავება, ხალიჩის მოწესრიგება. განსაკუთრებით რთული სააბაზანოს, ტუალეტისა და სამზარეულოს მოწესრიგებაა.**

თუმცა, თანამედროვე ელექტრონული დიზაინის კონკურსის გამარჯვებული პროექტის — **The Mab**-ის წყალობით, ეს პრობლემა ადვილად მოგვარდება. კოლუმბიელი დიზაინერი ადრიან პერეზ ზაპატა საზოგადოებას ინოვაციურ მოწყობილობას სთავაზობს — რობოტს, რომელშიც პაწაწინა რობოტებია დამონტაჟებული. დიასახლისს მხოლოდ ღილაკზე ხელის დაჭერა მოუწევს და ოთახი რამდენიმე წამში აივსება პატარა რობოტებით, რომლებიც ძირითად ტექნიკასთან იქნება დაკავშირებული. რამდენიმე რობოტი ჰაერში გადაადგილდება და ყველა წერტილიდან მტვერს შეისრუტავს.

**„უნივერსიტეტის ბაღში ვიყავი, როდესაც მსგავსი პროექტის გაკეთების იდეა გამიჩნდა. ვხედავდი, როგორ დაფუსფუსებდნენ ფუტკრები ყვავილზე. წარმოიდგინეთ, დიასახლისი გვერდითა ოთახიდან უყურებს, როგორ ასუფთავებენ მინირობოტები ბინას. ჩემი პროექტის მიზანია, ქალებს შრომა შევუმსუბუქო“,** — ამბობს დიზაინერი.

ჯერჯერობით უცნობია, როდის დაიწყება პროექტზე მუშაობა.





# განათება სარკეებით

**ნორვეგიაში, ქალაქ რიუკანში, მაღალი მთების გამო მზის სხივები ქუჩაში ვერასდროს აღწევს. ამიტომ მერიაში გადაწყვიტეს, რიუკანი სარკეებით გაანათონ.**

ზამთრისთვის მზადება ადრე დაიწყო. სარკეში არეკლილი სინათლე ქუჩას ეფინება. მერიის გადაწყვეტილებით, ვერტმფრენებით მთაზე 3 უზარმაზარი სარკე უკვე განათავსეს. რიუკანელები ამ სიახლით კმაყოფილები არიან და ამბობენ, რომ ზამთრის ცივ დღეებში ქალაქის ცენტრში სეირნობა სასიამოვნო იქნება.



# ტყუპი ძმები ტყუპ დებზე დაქორწინდნენ

**ჩინეთში, ხენანის პროვინციაში მცხოვრები ტყუპი დები ტყუპ ძმებზე არიან გათხოვილნი.**

50 წელია, ტყუპი დები — ტიანქინი და შუანგქინი და ტყუპი ძმები — ტიევასი და ჟუბიაო ერთად ბედნიერად ცხოვრობენ. მათ დაქორწინება ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით გადაწყვიტეს — ტყუპების ტყუპებზე ქორწინება ჩინეთში იღბალთან და ბედნიერებასთან ასოცირდება. **„ჩვენს პროვინციაში ყველას სჯერა, რომ ტყუპი ძმების ტყუპ დებზე დაქორწინებას იღბალი მოაქვს. ერთმანეთი ბავშვობაში გავიცანით. ოჯახის წევრები გეგმავდნენ, რომ, როდესაც გავიზრდებოდით, დავქორწინებულიყავით“,** — ამბობენ ტყუპი დები.

ერთ ოჯახს 5 ვაჟი, ხოლო მეორეს — 4 ქალიშვილი ჰყავს.



# «ნაცმოძრაობამ» მამული დადიანებსაც გაუყიდა

## ლილი ბერაია: ვერც ვიფიქრებდი, თუ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ტერიტორია ოდესმე კერძო მფლობელის ხელში აღმოჩნდებოდა

**საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კრძალავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების გასხვისებას. კულტურული ძეგლის სარგებლობაში გადაცემა კი დასაშვებია მხოლოდ ფლობისა და სარგებლობის უფლებით, რაც, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, წინასწარ განსაზღვრული მოვლა-პატრონობის პირობით ხორციელდება. ამ კანონის მიუხედავად, ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, ზუგდიდში დადიანების სასახლის კუთვნილებაში არსებული 994 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით.**
**სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ სასახლის მუზეუმის დირექტორ ლილი ბერაიას დაუკავშირდა.**

**— როგორ მოხდა მიწის ნაკვეთის გასხვისება და მისი მოხვედრა კერძო მფლობელის ხელში?**

— იმ დროისთვის, როდესაც მიწის გარკვეული ნაწილი კერძო მფლობელის ხელში გადავიდა, მუზეუმის ბაზაზე სამეცნიერო ცენტრი შეიქმნა. შესაბამისად, ამ პერიოდისთვის ის მეცნიერებათა აკადემიას ეკუთვნოდა და მის დაქვემდებარებაში იყო. მე ნამდვილად არ ვფლობ ინფორმაციას, თუ ვისზე ან რამდენ კერძო პირზე იყო მიწა გასხვისებული. თქვენ შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრს მიმართოთ. იქ იურისტები ყველაფერში გაგარკვევენ.

მიწის ნაკვეთის გასხვისების დროს მე არ ვიყავი მუზეუმის დირექტორი. აღნიშნულ თანამდებობაზე 2007 წელს დამნიშნეს და ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად არაფერი ვიცოდი. სიმართლე გითხრათ, ვერც ვიფიქრებდი, რომ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ტერიტორია ოდესმე კერძო მფლობელის ხელში აღმოჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, ვერ გეტყვით, როგორ მოხდა მიწის ნაკვეთი კერძო მფლობელის ხელში. ეს ამბავი საჯარო რეესტრში სრულიად შემთხვევით გავიგე. მიწა ჩემთვის უზურფრუქტით უნდა გადმოეცათ და რეესტრში სწორედ ამ საკითხის გამო წავედი. დაკანონებაზე მისულს კი ხელთ ჩამივარდა უკვე გასხვისებული და კერძო მფლობელზე დარეგისტრირებული 994 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

**დადიანების სასახლე, ისევე, როგორც ყველა კულტურული ძეგლი თუ ტერიტორია სახელმწიფოს და საზოგადოებას ეკუთვნის. სწორედ ამიტომ დირექტორად დანიშვნის შემდეგ ყოველთვის ვცდილობდი ტერიტორიის მუზეუმისთვის დაკანონებას. მინდოდა, სასახლის ირგვლივ არსებული მიწის ნაკვეთი მის მფლობელობაში ყოფილიყო.**

ჩვენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი 2005 წელს გავხდით. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს კი სასახლის ირგვლივ არსებული ტერიტორია დაკანონებული უნდა ჰქონოდა უზურფრუქტის წესით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ გვქონდა სასახლის ტერიტორიით სარგებლობის უფლება იმ პირობით, თუ მას არაფერი დააკლდებოდა. ახალი მთავრობის დროს ისევ დაიწყო ამ საქმის განხილვა და მთელ რიგ საკითხებზე მუშაობა. ყველა ის დოკუმენტი და საბუთი, რომელიც ამ საკითხის სამართლებრივად დასრულებისთვისაა საჭირო და აუცილებელი, უკვე იურისტზეა გადაცემული. გასხვისების თემაზე მუშაობა საფუძვლიანად მიმდინარეობს. **ძალიან ცუდია, როდესაც გაიგებ, რომ 994 კვ.მ მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც წესით და კანონით სასახლეს და შესაბამისად სახელმწიფოს ეკუთვნის, თურმე კერძო მფლობელის ხელში ყოფილა. უარესი კი ისაა, რომ ეს გასხვისების თემა ჩუმად, ფარულად მიმდინარეობდა და შესაბამისად, ამის შესახებ ჩვენც არაფერი ვიცოდით.**

მთელი რიგი იურიდიული საკითხებია განსახილველი და დეტალურად შესასწავლი, ვინაიდან ისტორიული მიწის გასხვისება კერძო პირზე ხდებოდა. ეს კი უკვე კანონის დარღვევა და დანაშაულია. **ჩვენ 7,1 ჰექტარი გასხვისებული მიწის ფართობის სასახლისთვის დაბრუნებას სამართლიანად ვითხოვთ და დავიბრუნებთ კიდეც!**

**— ახლა რა პროცესები მიმდინარეობს გასხვისებული მიწის ნაკვეთის ირგვლივ?**

— 21 ნოემბერს სასახლეში კულტურის მინისტრი გვეწვია. მან სასახლის მთელი ტერიტორია დაათვალიერა, მათ შორის, გასხვისებული მიწის ნაკვეთიც. **მინისტრმა აღნიშნა, რომ სასახლე მისი ტერიტორიითურთ საქართველოს კულტურული ძეგლია და სწორედ ამიტომ კულტურის სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს გასხვისებული მიწის ნაკვეთის კვლავ სასახლისთვის დასაბრუნებლად.** პირადად მე დიდი იმედი მაქვს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერის. მჯერა, რომ ამ პრობლემას აუცილებლად ეშველება და სასახლის ტერიტორიას უმცირესი მიწის ნაკვეთიც კი არ დააკლდება.

ამ ეტაპზე ვცდილობთ, რომ გასხვისებული ტერიტორია დადიანების სასახლესა და ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს რაც შეიძლება მოკლე დროში დაუკანონდეს. უკან არავითარ შემთხვევაში არ დავიხევთ და ჩვენს პოზიციას ყველგან მყარად დავაფიქსირებთ. ამ საქმეში სასამართლოს ჩარევაც რომ დაგვჭირდეს, არც ამაზე დავიხევთ უკან. ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ მუზეუმს არაფერი დაეკარგოს და კერძო მფლობელის ხელში არსებული მიწა მას დროულად და უკლებლივ დაუბრუნდეს.

**— მიწის გასხვისების შემდეგ შეეცვალა თუ არა სასახლეს მისამართი?**

— სასახლის მისამართი ყოველთვის იყო გამსახურდიას ქ. №1 და ცხადია, ყველა დოკუმენტსა თუ სხვადასხვა ხელშეკრულებაზე ამ მისამართს ვაფიქსირებდით. გაირკვა, რომ მიწის გასხვისების შემდეგ ჩვენი მისამართი შეცვლილა. საჯარო რეესტრში სწორედ შეცვლილი მისამართი იყო დაფიქსირებული. აღმოჩნდა, რომ მიწის გასხვისების შემდეგ ჩვენი მისამართი გამსახურდიას ქ. №1ა-დ გადაკეთებულა, გასხვისებული მიწა კი გამსახურდიას ქ. №1-ში ფიქსირდებოდა.

ჩვენ რაიმე განსახილველი საკითხისა თუ სხვადასხვა პრობლემის შესახებ ყოველთვის კულტურის სამინისტროს მივმართავდით. ახლაც მათი იმედი გვქონდა და მოხდა კიდეც მათგან დროული რეაგირება. როგორც უკვე მოგახსენეთ, იყო კიდეც ჩამოსული კულტურის მინისტრი და აქ მიმდინარე პროცესებში სამინისტრო აქტიურ რეჟიმში ჩაება. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის და ეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემა ჩვენ სასიკეთოდ გადაწყდება.

ესაუბრა
**შორენა ღვაჩლიანი**

## უცნობი პუტინი




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“. წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4).




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.

ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.

კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4)

## ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩვნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894